გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1987

85. 1 (5)
ქ 693

ლ. კოტრელის წიგნი „ანტიკურობის საოცრებანი" წარმოადგენს მხატვრულ ნარკვევს სამყაროს შვიდი საოცრების შესახებ, რომელსაც მეცნიერული ღირებულებაც გააჩნია. იგი მოგვითხრობს აგრეთვე იმავე ეპოქის სხვა არქიტექტურულ ძეგლებზე, რომელნიც შეიძლება განისაზღვროს როგორც საოცრებანი ანტიკური არქიტექტურული და საინჟინრო ხელოვნებისა. ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველესი ქვეყნების კულტურული სამყარო (ბინოსის სასახლე, კარიის მეფის მავზოლეუმი), რომლის ერთიანობა პალეოკავკასიურ, პროტო-ქართულ სამყაროსთან დღეს დადასტურებულია მეცნიერებაში. ასე რომ, მოცემული წიგნი პროტოიბერიული, პროტოქართული, ხმელთაშუა ზღვის მოდგმის კულტურულ წარსულზეც გვესაუბრება.

К $\frac{4703000000-178}{М-602(08)-87}$ რეზ. — 87

© თარგმანი ქართულ ენაზე, გამომცემლობა „განათლება", 1987.

შესავალი

ამ წიგნს უჩვეულო ისტორია აქვს. ერთ დროს მიზიდავდა იდეა სამყაროს შვიდი ნამდვილი საოცრების აღწერისა, რომელნიც შეარჩია ფილონ ბიზანტიელმა და მათი თანამედროვე შვიდი ეკვივალენტის პოვნისა. ანტიკური საოცრებები იყო:

დიდი პირამიდა,
ალექსანდრიის შუქურა,
ბაბილონის დაკიდებული ბაღები,
როდოსის კოლოსი,
მაუზოლუსის აკლდამა ჰალიკარნასში,
არტემიდეს ტაძარი ეფესოში,
ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში.

შუქურისა და დაკიდებული ბაღების გამოკლებით, ყველა ეს საოცრება რელიგიური ძეგლები, ანუ ღვთისმოსაობის ქმნილებებია (როდოსის კოლოსი, მაგალითად, იყო მზის ღმერთის, ჰელიოსის ქანდაკება). როდესაც ვცადე მომეძებნა მათი თანამედროვე პარალელები, დავრწმუნდი, რომ არ არსებობს მათი ნამდვილი ეკვივალენტები. ძნელი არ იქნებოდა შერჩევა თანამედროვე შუქურისა, ორი რელიგიური ქანდაკებისა, ან თანამედროვე კათედრალისა, რომელიც ტოლს არ დაუდებდა არტემიდეს ტაძარს. დაკიდებულ ბაღებს უფრო ძნელად მოეძებნებოდა პარალელი, ისევე როგორც დიდ პირამიდას. მაგრამ რაც უნდა შეარჩიო, გინდ არქიტექტურული, გინდ სკულპტურული ქმნილება, იგი იმგვარ შთაბეჭდილებას მაინც ვერ მოახდენს თანამედროვე მსოფლიოზე, როგორც შვიდი ნამდვილი საოცრება განაცვიფრებდა და მოწიწებით აღავსებდა ძველებს. ამის მიზეზი ის როდია, რომ ჩვენ მათზე მეტად დავბრძენდით. ამ ცვლილების მიზეზია, ნაწილობრივ, მაშინერიის გამოგონება; ჩვენთვის ჩვეულებ-

რივი ამბავია უშველებელი კაშხალებისა და ცათამბჯენების მშენებლობა, რისთვისაც ანტიკურ სამყაროს დასჭირდებოდა კოლოსალური ადამიანური ენერგიის დახარჯვა. ჩვენ წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნის ადამიანისათვის ალექსანდრიის ფაროსი (შუქურა), 400 ფუტის სიმაღლის კოშკი, შუქურით დაგვირგვინებული, რომელიც მოჩანდა მრავალი მილის მანძილზე ზღვიდან, ტექნიკური მიღწევების მწვერვალი იყო. იგი დღესაც დიდ აღტაცებას დაიმსახურებდა, მაგრამ საეჭვოა, რომ მას განცვიფრება გამოეწვია. იგივე ითქმის პირამიდაზე, როდოსის კოლოსზე და დაკიდებულ ბაღებზეც.

მაგრამ, როდესაც მივეახლებით არტემიდეს ტაძარს, მაუზოლუსის აკლდამას და ოლიმპიელი ზევსის ქანდაკებას, ჩვენს წინაშე დგება განსხვავებული კონცეფცია. ძველი მატიანეებიდან აშკარაა, რომ ეს ძეგლები იწვევდნენ არა მხოლოდ აღტაცებას მათი კონსტრუქციის ტექნიკური ხელოვნების მეოხებით, არამედ თაყვანისცემასაც. ქრისტემდე პირველი საუკუნის ბერძენი მწერალი შემდეგნაირად აღგვიწერს პალადა ათენას ქანდაკებას პართენონში:

„გულდამძიმებული კაცი, რომელსაც საწუთრომ შეასვა თასი უბედობისა და კაეშნისა, ამ ქანდაკების ჭვრეტისას დაივიწყებდა მძიმე და აბეზარ ტვირთს ამ უაზრო სამყაროისას“.

აქ არის შერწყმა რელიგიური გრძნობისა მშვენიერების თაყვანისცემასთან, რაც ტიპურია ბერძნებისათვის და რასაც არ გააჩნია პარალელი თანამედროვე მსოფლიოში. იმავე მიზეზით და არა ზომის ან ტექნიკური სრულყოფის გამო სთვლიდნენ ძველები ოლიმპიურ ზევსს სამყაროს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთ საოცრებად. აღსანიშნავია, რომ ზევსისა და ათენას ზემოხსენებული ქანდაკებები ერთი და იმავე მოქანდაკის მიერაა შესრულებული. იმავე მიზეზით მიემართებოდნენ მწირნი არტემიდეს ტაძრის მოსახილველად ეფესოში, მცირე აზიაში. თანამედროვე მონაცემების მიხედვით, არქეოლოგიურ აღმოჩენებზე დაყრდნობით, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ეს ტაძარი იყო ერთ-ერთი უსაჩინოესი ნაგებობა კლასიკური სამყაროსი; ამასთან იგი იყო სამლოცველო აზიური დედა-ქალღმერთისა, რომელიც შეითვისეს ბერძნებმა იონიაში დამკვიდრებისას. დღესაც მრავალი სამლოცველოსა და ეკლესიის მოსალოცად დადიან მილიონობით მორწმუნენი, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ პრაქტიკულად მთელი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის აუზის ხალხებისათვის

ოცი საუკუნის წინ არტემიდეს ტაძარი იყო წმინდა და საოცრად მშვენიერი.

თუ ვიხელმძღვანელებთ უნივერსალური აღიარებით, როგორც საზომით, მაშინ შეუძლებელი გახდება შერჩევა შვიდი თანამედროვე საოცრებისა. კლასიკური მსოფლიო შედარებით მცირე იყო და კომპაქტური. დღეს, როგორც ჩანს, შეუძლებელი აღმოჩნდება უნივერსალური შეთანხმების მიღწევა რომელიმე შვიდ ობიექტთან დაკავშირებით, რაოდენ ღირსშესანიშნავიც არ უნდა იყვნენ ისინი. რამდენიმე წლის წინათ სამოქალაქო ინჟინერთა ამერიკულმა საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი იმის გადასაწყვეტად, თუ რომელია თანამედროვე მსოფლიოს შვიდი საოცრება. შედეგი გვაძლევს მნიშვნელოვან მახასიათებელს ჩვენი საზოგადოებისას და ცხადყოფს, თუ რაოდენ რთულია ანტიკურობის საოცრებათა გათანაბრება დღევანდელთან. აი ეს სიაც:

ჩიკაგოს წყალსაცავთა განმანაწილებელი სისტემა,

მდინარე კოლორადოს აკვედუკი,

დიდი ხეობის დამბა (კოლუმბიის წყალსაცავთა პროექტი),

ჰუვერის ჯებირი,

პანამის არხი,

სან-ფრანცისკო-ოკლენდის ყურის ხიდი,

ემპაირ სტეიტ ბილდინგი (ნიუ-იორკი).

ყველა ესენი წარმოადგენენ განსაცვიფრებელ საინჟინრო სასწაულებს. არიან სხვებიც, შეერთებული შტატების კიდეგან: რადიოტელესკოპი ჯოდრელის პირად, სნოუვი-რივერის ჰიდროელექტრული სქემა ავსტრალიაში, კალდერ ჰოლი, მსოფლიოში პირველი კომერციული ატომური ელექტროსადგური, პირველი თანამგზავრი დედამიწისა, საბჭოთა კავშირის მიერ გაშვებული ორბიტაზე. მაგრამ განა შეიძლება გულწრფელად ვთქვათ, რომ ადამიანთა უმრავლესობა ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს დაასახელებს, თუ ჰკითხავთ მათ მსოფლიოს თანამედროვე საოცრებათა შესახებ?

ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მარტოოდენ 7 თანამედროვე საოცრება კი არ არსებობს, არამედ შვიდი ათასი, და შერჩევაც დამოკიდებულია ინდივიდუალურ გემოვნებაზე. ბოლოს მეც გავაკეთე ჩემი არჩევანი და დავწერე წიგნი, რომელიც გამოვეცი აშშ-ში. თუმც მოგ-

ვიანებით, როდესაც ვამზადებდი წიგნს დიდ ბრიტანეთში გამოსაცემად, ზოგი რამ გადავამუშავე.

ჩემთვის პრობლემის არსი მდგომარეობს სიტყვა „საოცრების" განსაზღვრაში. თვით შორეული მსგავსების პოვნაც კი ძველსა და ახალს შორის მკაცრ ტერმინოლოგიურ განსაზღვრებებს მოითხოვს. ობიექტი უნდა იყოს ხელოვნური, ადამიანის ხელით ნაგები, უმჯობესია არქიტექტურის ან საინჟინრო ხელოვნების ქმნილება, თან ამავე დროს იგი უნდა იყოს „თანამედროვე", ე. ი. საუკუნის ამ ნახევრისა. მაგრამ განა მილიონობით ტონა რკინა-ბეტონი ჰქმნის დღევანდელი დღის „საოცრებას"? ან თუნდაც ხელოვნების სამყაროში განა მოიპოვება ქმნილება სკულპტურული ან ფერწერული ხელოვნებისა, რომელსაც თაყვანს სცემენ მილიონები, ისევე როგორც ანტიკურ სამყაროში სცემდნენ თაყვანს ოლიმპიელ ზევსს? მე, მართალია, აღტაცებული ვარ ისეთი მიღწევებით, როგორიცაა, მაგ. კალდერ ჰოლი, გოულდენ გეიტ ბრიჯი[1] და დედამიწის თანამგზავრები,— სამი ნიმუში ჩემს მიერ შედგენილი სიიდან, მაგრამ ისინი როდი აღმიძრავენ ისეთ გრძნობას, როგორსაც აღუძრავდა ალბათ, ფილონ ბიზანტიელს ზევსის ქანდაკება.

არის აგრეთვე წარსულის სხვა ძეგლები, რომელნიც მე მინახავს და რომელნიც აღძრავდნენ ჩემში სულის იმ მაგიური განთავისუფლების გრძნობას, მოწიწებასა და იდუმალ თრთოლვას, რომელიც ჰქონდათ ძველებს, და რასაც შეიძლება ეწოდოს რელიგიური გრძნობა. უცნაურია, თუმც მე არ მივაწერ ყოველივე ამას რომელიმე ორთოდოქსულ რწმენას, მაგრამ დასახელებულ შვიდ ძეგლთაგან ხუთი აღძრავს ჩემში ღრმა რელიგიურ ასოციაციებს. თუმც გარწმუნებთ, რომ ეს არ გახლავთ რაიმე ცნობიერი წინასწარგანწყობა; ეს უფრო შემთხვევითობაა. გარდა ამისა, მე ვხმარობ სიტყვა „რელიგიურს" უაღრესად ფართო მნიშვნელობით. ჩემს მიერ შერჩეულ საოცრებათაგან მხოლოდ ერთი უკავშირდება უშუალოდ ქრისტიანობას.

ეს საოცრებანი გახლავთ; 1. მინოსის სასახლე კრეტაზე, 2. თებეს ნეკროპოლისი, 3. მეფეთა ველი (ორივე ეგვიპტეშია), 4. ქალაქი პალმირა სირიაში, 5. კლდოვანი გუმბათი იერუსალიმში, 6. კრაკ დე შევალიე—ჯვაროსანთა ციხესიმაგრე ლიბანში, 7. აპო-

---

[1] ვეება» დაკიდებული ხიდი კალიფორნიაში.

ლონის სამლოცველო დელფოში. წინასწარ ვერ ვიტყვი, რომ ამ წიგნის ყველა მკითხველი დაეთანხმება ჩემს არჩევანს. შემიძლია მხოლოდ აღვნიშნო, რომ ეს ადგილები სხვათა უმეტეს აღძრავდნენ ჩემში ემოციას, რომელიც გამოხატა უორდსვორთმა თავის ცნობილ სტრიქონებში:

> მე ამ საამურ ველზე მდგომი განმარტოებით
> ვეპყრეტ მშვენებას და თავსა ვგრძნობ ნაკლებ ეულად,
> ვხედავ პროტეუსს ამოზიდულს ზღვის ტალღებიდან,
> მესმის ტრიტონის დაგრაგნილი საყვირის ხმები.[1]

---

[1] წიგნში ყველა ლექსი და ასევე სხვა ავტორების პროზაული ციტატები თარგმნა ს. გამსახურდიამ.

1. შემორჩენილი საოცრება

დაახლოებით საუკუნენახევრის წინ ქრისტეს შობამდე სახელგანთქმულმა ბერძენმა მათემატიკოსმა ფილონ ბიზანტიელმა დაწერა მცირე ტრაქტატი „დე სეპტუმ ორბის სპექტაკლეს“ — „სამყაროს შვიდი საოცრება“. ეს არის პატარა, რიტორიკული სტილით დაწერილი თხზულება, რომელიც მოკლედ აგვიწერს იმ შვიდ ღირსშესანიშნავ ძეგლს, შესავალში რომ ვახსენეთ. ამათგან, თუ არ გავითვალისწინებთ მცირე ნანგრევებს მაუზოლუსის აკლდამისას (აქედანაა სიტყვა „მაუზოლეუმი“) და არტემიდეს ტაძრისას ეფესოში, შემორჩენილია მხოლოდ ერთი — დიდი პირამიდა.

იგი შემორჩა თავისი უშველებელი, მყარი, თითქმის ურყევი მასის წყალობით, ნაწილობრივ, თავისი განმარტოების წყალობითაც, აგრეთვე იმ ფაქტის მეოხებით, რომ გადაურჩა ხატმბრძოლურ ვნებათა ღელვებს, რომელთა მსხვერპლიც გახდა ეფესის ტაძარი. ქრისტიანებმა და მუსულმანებმა დაამახინჯეს მრავალი მცირე ძეგლი და ფერწერა ეგვიპტისა, რამდენადაც ხელი მიუწვდებოდათ, მაგრამ იმ დროს, როდესაც ძლიერი ასაფეთქებელი მასალები ჯერ არ იყო გამოგონებული, დიდ პირამიდაზე შეტევა იმდენადვე უსარგებლო იქნებოდა, როგორც ნგრევა გიბრალტარის კლდისა. ამგვარი ვანდალების ყველაზე დიდი მიღწევა იყო მორღვევა თეთრი ქვით მოპირკეთებული ზედაპირისა, ხოლო მერვე საუკუნეში ხალიფა მამუნმა სცადა შეღწევა ქვის მყარ შრეებში, რათა ეპოვნა ხეოპსის აკლდამა.

დიდი პირამიდა, ერთადერთი შემორჩენილი საოცრება, ამავე დროს საოცრებათა შორის უძველესიცაა. იგი სხვებზე ორი ათასი წლით ადრე იყო აღმართული, ამასთან, საყოველთაო აღიარებით, ყველაზე მეტად განსაცვიფრებელია, თუმც არა მხოლოდ თავისი სიძველით. კლასიკურ ავტორებს, ჰეროდოტედან მოყოლებით, ვინც მოინახულა პირამიდების ზეგანი 4 საუკუნის განმავლობაში ქრის-

ტემდე, არ გააჩნდათ გარკვეული ცოდნა ნაგებობის სიძველის შესახებ, თუმც იცოდნენ, რომ იგი ძალზე ძველი იყო. მათზე შთაბეჭდილებას ახდენდა მისი უშველებელი ზომა, — ქვის მთა, კაცის ხელით ნაგები, დაახლოებით 500 ფუტი სიმაღლისა და საოცარი ხელოვნება კონსტრუქციისა.

ჰეროდოტე (450 წ. ქრისტემდე) გვაძლევს უადრეს აღწერას: „იმ ბორცვზე, რომელზედაც დგას პირამიდა, ნილოსიდან გამოიყვანეს არხი, ასე რომ წყალმა შემოუარა მას და კუნძულად აქცია. თავად პირამიდის მშენებლობას დასჭირდა ოცი წელი. იგი ოთხკუთხაა და მკვიდრი, მისი სიმაღლე (800 ფუტი) უდრის სიგრძეს ფუძის ყოველი წახნაგისას. იგი შედგება გარანდული ქვის ლოდებისგან, რომელთაგან თითოეული ოცდაათ ფუტამდე სიგრძისაა.“

ჰეროდოტე, თავისუფლებისმოყვარე ბერძენი, ხედებოდა, რომ ასეთი შენობის აგება შეეძლო მხოლოდ მონურ შრომას:

„ზოგიერთებს ათრევინებდნენ ლოდებს არაბეთის მთების სამტეხლოებიდან ნილოსის პირამდე, სადაც ხდებოდა მათი გარანდვა და სხვების მიერ გადატანა ლიბიის გორაკებზე. მუშაობდნენ ცვლაში სამ-სამი თვით. თითო ცვლაში ასი ათასამდე კაცი იყო. ათი წელიწადი დასჭირდა ამ მძიმე, მონური შრომით ქვით მოკირწყლული გზის აშენებას, გზისა, რომელზედაც მიათრევდნენ ლოდებს — სამუშაოს, რომელიც ჩემის აზრით, არანაკლებ შრომატევადი იყო, ვიდრე თვით პირამიდის აგება“.[1]

ეს ინფორმაცია მან მიიღო, რაღა თქმა უნდა, ეგვიპტელი ქურუმებისაგან, რომელნიც მზად იყვნენ ნებისმიერი ზღაპარი მოეთხროთ დაინტერესებულ უცხოელთათვის, დღევანდელი დრაგომანების (გიდების) მსგავსად; მაგრამ მათ, პირამიდის აგებიდან ოცდაორი საუკუნით გვიან მცხოვრებთ, ცხადია, ვეღარ ექნებოდათ უშუალო ცოდნა. უაზრო იქნებოდა, რომ მიგვესადაგებინა ჰეროდოტეს დროინდელი გაგება ხეოპსის ეპოქისათვის (2700 წ. ქრისტემდე). ამ ეპოქაში ჯერაც არ იყო გამოგონებული ფული, არავინ ღებულობდა ფულად ჯამაგირს მეფის ქვეშევრდომთაგან. სამთვიანი ცვლის არსებობა სარწმუნოა. ნილოსის წყალდიდობის პერიოდში, რომელიც სამ თვეს გრძელდებოდა, მიწის მუშები თავისუფალნი იყვნენ; ბუნებრივია, მათ გამოიყენებდნენ მძიმე სამუშაოებისათვის, ლოდების გადასათრევად ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ქვის სამტეხლოე-

[1] ჰეროდოტე, ისტორია, წ II.

ბიდან. ლოდები გადაჰქონდათ ადიდებულ მდინარეზე ბარჟებით, ხოლო შემდეგ მათ ეზიდებოდნენ პირამიდის პლატოზე, რომელიც დასავლეთ ნაპირზე იყო. რაც შეეხება დახელოვნებულ მტეხავებსა და ქვის მთლელებს, მათ, როგორც ჩანს, მთელი წლის განმავლობაში ამუშავებდნენ. მოკატამის გორაკებზე დღესაც მოჩანს ღრმა გამოქვაბულებში ქვის სამტეხლოები. მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის ჯარები იყენებდნენ ამ სამტეხლოებს საჰხედრო საჭურველის საწყობებად. გამოქვაბულების სიღრმეში, სადაც ერიდებოდნენ შესვლას ცრუმორწმუნე არაბები, ჯარისკაცები წააწყდნენ ლერწმისაგან დაწნულ სქელ თოკებს, რომელნიც იქ დაეტოვებინათ ძველეგვიპტელ მტეხავებს 5000 წლის წინ. ომის შემდეგ ბრიტიშ მუზეუმში ყოფილ ჯარისკაცებს მოჰქონდათ გასაყიდად ამგვარი თოკები.

მეორე ბერძენი ისტორიკოსი, დიოდორე სიცილიელი, რომელიც ჰეროდოტეზე ოთხი საუკუნით გვიან ცხოვრობდა, აღწერს თავის შთაბეჭდილებებს პირამიდების მონახულებისას:

„ოთხკუთხა უდიდესია; მისი თითო წახნაგი 700 ფუტის სიგრძისაა და 600 ფუტის სიმაღლისა (ცნობა არაზუსტია); წახნაგები თანდათან მიემართებიან მწვერვალისაკენ, სადაც ყოველი მხარე ექვსი წყრთის ზომისაა; იგი აგებულია მყარი ქვისაგან, რთულადაა ნახელოვნები, მაგრამ სამუდამოდ გასძლებს; როგორც ამბობენ, ათასი წელი გავიდა მათი აგებიდან... ქვები კი არც დაძრულან ადგილიდან და მთლიანობა ურღვევია.[1]"

ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი გაკვრით ეხება პირამიდებს, პლინიუსმაც გადმოხედა მათ თავისი რომაული ცხვირის სიმაღლიდან:

- „გაკვრით უნდა მოვიხსენიოთ ეგვიპტის პირამიდები, სადაც ესოდენ უსაზმნოდ და თავქარიანად ფანტავდნენ მონარქები თავისი ქვეყნის რესურსებს, რათა ეტრაბახათ ამით... მათი კონსტრუქციები მრავალგვარია და ნაწილი მათი ჯერაც არ ყრის დასრულებული".

დღეს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტია ცნობილი პირამიდების შესახებ, ვიდრე ამას ხვდებოდნენ ეს ანტიკური ავტორები. არქეოლოგებმა და ინჟინრებმა გაზომეს, გადმოხაზეს, ფოტოსურათები გადაუღეს მათ; სხვებმა გამოავლინეს მათი კონსტრუქციის მეთო-

---

[1] დიოდორე სიცილიელი. ისტორიული ბიბლიოთეკა, წიგნი I, II, III (ინგ. ენაზე).

დი, საოცარი სისწორე ორიენტაციისა და ზედმიწევნითი სიზუსტე უშველებელი ქვების გარანდვისა და დაწყობისა. ანტიკურ მწერლებს რომ სცოდნოდათ ეს ყოველივე, ალბათ უფრო დიდი მოწიწებით განიმსჭვალებოდნენ დიდი პირამიდის წინაშე, რომელიც იმჟამად ყველას როდი მიაჩნდა ეგვიპტის უდიდეს საოცრებად.

ჰეროდოტე, მაგალითად, ამბობს: „პირამიდები მართლაც რომ განსაცვიფრებელი ნაგებობაა, თითოეული მათგანი უტოლდება ბერძენთა ყველაზე საამაყო ქმნილებებს, მაგრამ ლაბირინთს მაინც ვერ შეედრებიან ისინი“.

ეს „ლაბირინთი“ იყო უშველებელი მრავალსენაკიანი ტაძარი მოერისის ტბის ოდნავ ზემოთ, იმ ადგილის მახლობლად, რომელსაც ეწოდება „ნიანგების ქალაქი“. ბერძენმა ისტორიკოსმა მოინახულა იგი და აღწერა განცვიფრებულმა:

„მას აქვს 12 გადახურული ეზო, 6 მწკრივი ჩრდილოეთისაკენ, 6 მწკრივი სამხრეთისაკენ, ერთი მწკრივის ჭიშკარი ზუსტად უპირისპირდება მეორის ჭიშკარს. მათ ირგვლივ ზღუდე აქვთ შემოვლებული. შენობაში ორი სართულია და 300-მდე ოთახი, რომელთაგან ნახევარი მიწისქვეშაა და ნახევარი უშუალოდ მათ ზემოთ. მე შემიყვანეს ზედა სართულის ოთახებში, ასე რომ ჩემი აღწერა მოდის ჩემივე დაკვირვებიდან, მაგრამ მიწისქვეშა ოთახების შესახებ მე მხოლოდ მონათხრობის მიხედვით შემიძლია საუბარი, ვინაიდან ეგვიპტელებმა უარი მითხრეს მათ დათვალიერებაზე, რამდენადაც ისინი შეიცავენ ლაბირინთის ამგებ მეფეთა და წმინდა ნიანგების აკლდამებს. ზედა ოთახები მე კარგად დავათვალიერე და ძნელი დასაჯერებელია, რომ ისინი კაცის ხელით არიან ნაგებნი. ოთახიდან ოთახში გასასვლელები იმდენად დახლართულია, იმდენად უსასრულოა უზოდან ეზოში გასასვლელები, რომ ყოველივე ეს განცვიფრებას იწვევს. ჩვენ შევდიოდით ეზოებიდან ოთახებში, ოთახებიდან გალერეებში, გალერეებიდან ისევ ოთახებში და იქიდან კიდევ უფრო მეტ ეზოებში. ყოველი ოთახის, ეზოს თუ გალერეის სახურავი ქვისაა, ისევე როგორც მისი კედლები. კედლებზე სხვადასხვა ფიგურაა ამოტვიფრული, ხოლო თითოეული ეზო თეთრი მარმარილოსაგანაა ნაგები და კოლონადებით გარშემორტყმული“.

ეს ეგრეთწოდებული ლაბირინთი იყო სინამდვილეში სააკლდამო ტაძარი, რომელიც უერთდებოდა ა მ ე ნ ე მ ჰ ა ტ III-ის პირამიდას, ეგვიპტის უდიდესი ფარაონისას, რომელიც ეკუთვნოდა მეთორმეტე

დინასტიას (2000—1790 წ. ქრისტემდე). დღეს არაფერია შემორჩენილი მისგან, გარდა საძირკვლებისა, რომლებიც გათხარა სერ ფლინდერს პეტრიმ 1889 წელს, რამაც დაადასტურა (რამდენადაც შეიძლებოდა ამის დადასტურება) ბერძენი ისტორიკოსის აღწერათა სისწორე. 1000 ფუტის სიგრძე და 800 ფუტის სიგანე ლაბირინთი არ ჩამოჰგავდა ეგვიპტის არც ერთ საძვალე ტაძარს. იგი შედგებოდა აურაცხელი ცალკე ეზოებისაგან, რომლებიც რიგებად იყვნენ გამწკრივებულნი. ჰეროდოტეს დროიდან 5 საუკუნის შემდეგ სტრაბონმაც ნახა იგივე შენობა. იგი წერდა: აქ გვაქვს ლაბირინთი, პირამიდების თანასწორი ნაგებობა. მას ერთვის აგრეთვე აკლდამა მეფისა, რომელმაც ააგო ლაბირინთი.

ჰეროდოტეზეც, ისევე როგორც სტრაბონზე, უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეორე დიდმა ნაგებობამ, რომელიც აგრეთვე მიეწერება ამენემჰატ III-ს (მოერისს რომ უწოდებდნენ). ეს იყო უშველებელი ხელოვნური ზღვა, რომელსაც კვებავდა ნილოსიდან გამოყვანილი არხები წყალდიდობის დროს. ეს იყო სარწყავი წყალსაცავი.

„ლაბირინთიგით საოცარია (წერს ჰეროდოტე) ე. წ. მოერისის ტბა, რომელიც ესაზღვრება ლაბირინთს; მისი ზედაპირი 3600 სტადიას, ანუ შოენს უდრის. სანაპირო ზოლის სიგრძე 420 მილს უტოლდება, ე. ი. ეგვიპტის მთელი სანაპიროს სიგრძეს; ფორმით იგი ოვალურია, ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ გაგრძელებული, მისი უდიდესი სიღრმეა 50 საჟენი. ეს ვეება აუზი ხელოვნურია, ვინაიდან მის შუაგულში ორი პირამიდა დგას, სამასი ფუტის სიმაღლეზე აზიდულნი წყლის ზედაპირიდან (მათი საფუძველიც ამდენსავე სიღრმეზეა წყალქვეშ)[1], ყოველ მათგანს აგვირგვინებს ქვისგან გამოთლილი გამოსახულება აღსაყდრებული კაცისა“.

კაიროდან სამხრეთისკენ თუ წახვალთ ოცდაოდე მილზე და შემდეგ დასავლეთით გაუხვევთ, აღმოჩნდებით ურწყულ და კლდოვან, ქვიშიან უდაბნოში. ეს არის დასავლეთი უდაბნო. ნახევარი საათის გზაზეა აქედან რომბოიდული ბრტყელწახნაგიანი ქვის ნაგებობის კონტურები, რომელთაც მსუბუქი ნისლი ფარავს — ეს არის სნოფრუს, ხეოპსის მამის პირამიდა. ეს განმარტოებული მთა რაც უფრო

---

[1] განზომილებები საეჭვოა. ხეოპსის პირამიდა (მეოთხე დინასტია), რომელსაც ვერ უტოლდება მისი მომდევნო, მეთორმეტე დინასტიის პირამიდები, მხოლოდ 480 ფუტის სიმაღლისაა. (ფუტი — 305 სმ, მილი — 1852).

ახლოვდება, მით უფრო დაბლდება თითქოს უდაბნოს სიცარიელეში. გაუელით გვერდით პირამიდას და უეცრად იცვლება ლანდშაფტი: დიუნებისა და ღრანტეების ნაცვლად თქვენს წინაშე გადაიშლება ბამბის ამწვანებული მინდვრები და გადაყვითლებული პურის ყანები; გახურებული, დახეთქილი კლდეების ნაცვლად პალმის ტყეებში ჩაძირული სოფლები. სადაც ტიტლიკანა, მზემოკიდებული ბავშვები ჭყუმპლაობენ ნაკადულებში, ა ტ რ ი ა ლ ე ბ ე ნ წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ბ ო რ ბ ლ ე ბ ს და შაოსანი გლეხის ქალები ფეხშიშველნი ძიერეკეებიან მძიმედ დატვირთულ სახეღრებს. თქვენ ფაიუმის ოაზისში ხართ.

რამდენიმე მილის გავლის შემდეგ სახეში გეცემათ ძლიერი, მომლაშო ბრიზი და თქვენს წინაშე გადაიშლება მთელი ამ ნაყოფიერების წყარო — დიდი ხელოვნური ზღვა, მზეზე მოელვარე. ეს არის მოერისის ტბა[1], ეგვიპტელი ინჟინრების მიერ შექმნილი ოთხ ათასზე მეტი წლის წინათ. ჰეროდოტე რომ განაცვიფრა, ეს ტბა უკვე ათას ხუთასი წლისა იყო:

„ტბა წყლით მარაგდება არა ბუნებრივი წყაროებით (გარშემო უწყლო ლანდშაფტია), არამედ ნილოსიდან გამოყვანილი ხელოვნური არხით, რომელიც 6 თვის განმავლობაში ავსებს მას წყლით, ხოლო დანარჩენი ექვსი თვის განმავლობაში წყალს კვლავ უბრუნებს მდინარეს“.

ჰეროდოტე ინჟინერი არ იყო, ამიტომ მან გაამარტივა ამ სქემის მოქმედება, ვინაიდან უაზრობა იქნებოდა წყლის დაგროვება, თუ მას ისევ უკან უშვებდნენ ნილოსში, ძველი ეგვიპტელები შლეგები როდი იყვნენ. მეორე ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი უფრო მეცნიერულ მონაცემებს გვაძლევს:

„მოერისმა (ამენემჰატმა)... ამოთხარა უაღრესად სასარგებლო ტბა არნახულად მძიმე შრომის საფასურად. როგორც ამბობენ, მისი ზედაპირი 3600 სტადიას უდრის. მისი სიღრმე უმეტესწილად 50 ს ა ჟ ე ნ ი ა[2]. ამ გრანდიოზული კონსტრუქციის მნახველი, ბუნებრივია, დასვამს კითხვას, თუ რამდენი ათასი კაცი მუშაობდა მასზე და რამდენი წელი გრძელდებოდა ეს სამუშაო. რა ენა იტყვის ქებას მეფის

---

[1] მოერისის ტბა, მართალია, მიეწერება ამენემჰატ III-ს, მაგრამ თითქმის დადგენილია, რომ იგი არსებობდა უფრო ადრე. ფარაონმა, შესაძლოა, გააუმჯობესა იგი. იხ. ი. ე. ს. ედვარდსი, „ეგვიპტური პირამიდები“. 1947 წ. ინგ. ენაზე.

[2] სჟენი — 2 მ. და 13 სმ.

ამ გეგმისას, რომელმაც ამდენი სარგებლობა და უპირატესობა მოუტანა ეგვიპტეს!

რამდენადაც ნილოსს არა აქვს გარკვეული საზღვრები ადიდებისას და ქვეყნის ნაყოფიერება დამოკიდებული იყო წყლის დონის რეგულირებაზე, მეფემ გაათხრევინა ტბა, რათა დაემორჩილებინა მოდიდებული წყალი, რომ არ დაეტბორა მინდორ-ველები, არ შეექმნა ტბორები და ჭაობები, ხოლო გვალვისას ნათესები არ გადაბუგულიყო. მდინარესა და ტბას შორის მან გააყვანინა არხი 80 სტადიის სიგრძისა და 300 ფუტი სიგანისა. ამ არხის მეშვეობით ზოგჯერ გზას აძლევდნენ მდინარის წყალს, ზოგჯერ კი კეტავდნენ მას, ამრიგად უნაწილებდნენ მიწათმოქმედ გლეხებს წყალს, მეცნიერული გაანგარიშებით, გარკვეული ფულადი საზღაურის საფასურად. 50 ტალანტი იყო დაწესებული, თუ ვისმეს სურდა გაღება ან დახურვა შლიუზისა".

შლიუზის გახსნა-დახურვისათვის დაწესებული დიდი საფასური მიგვითითებს იმაზე, რომ იგი მოითხოვდა ძალზე მძიმე ადამიანურ შრომას, შესაძლოა ნაწილობრივ დარღვევას და კვლავ აშენებას ჯებირისას. ძნელი სათქმელია, როგორი იყო ეს ტექნიკა, ვინაიდან პირვანდელი შლიუზები გაუჩინარდნენ და წყლის გასვლა-შემოსვლას თანამედროვე ტექნიკით აკონტროლებენ, მაგრამ დიდი ტბა კვლავ თავის ადგილზეა და ემსახურება ფაიუმის გლეხებს ისევე, როგორც ემსახურებოდა მათ წინაპრებს 40 საუკუნის წინათ.

მე გადავუხვიე ამ თავში ჩემს მთავარ თემას, დიდ პირამიდას, ვინაიდან მოერისის ტბა უფრო ახლოა „საოცრების" თანამედროვე მატერიალისტურ-ჰუმანისტურ გაგებასთან, კაცობრიობისათვის სარგებლობის მოტანის თვალსაზრისით. ეს ნათელი იყო, როდესაც მეცნიერმა დიოდორემ ნახა ტბა; იგი აქებს „მეფის გეგმას, რომელმაც ამდენი სარგებლობა და უპირატესობა მოუტანა ეგვიპტეს".

დიდ პირამიდას არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ იგიც განსაცვიფრებელი ქმნილებაა საინჟინრო ხელოვნებისა. მართალია, ამას ვერ სწვდებოდნენ დიოდორე, პლინიუსი, სტრაბონი და ჰეროდოტე, მაგრამ მათ მოწონებას იმსახურებდა მისი გრანდიოზულობა, მასიური კონცენტრაცია ადამიანური შრომისა, რომელმაც იგი ააგო. ისინი სწორად ხვდებოდნენ მის დანიშნულებას და ძირითადად მისი კონსტრუქციის მეთოდს; ჰეროდოტეს მონათხრობი, 23 საუკუნის წინანდელი, ძირითადად ემთხვევა თანამედროვე არქეოლოგიურ მონაცემებს, მცირე დეტალების გამოკლე-

ბით. მაგრამ ვიდრე ევროპელი მეცნიერები არ დაიწყებდნენ XIX საუკუნეში პირველ მეცნიერულ გამოკვლევებს პირამიდებისას, ეგვიპტის მიღწევათა მთელი სიდიადე ჯერ არ იყო გამოვლენილი. ავიღოთ ჯერ მისი ზომები: სივრცე. რომელიც მას უჭირავს, დაიტევს ერთად წმინდა პეტრეს ტაძარს რომისას, უესტმინსტერის საabატოს, ფლორენციისა და მილანის ტაძრებს. ერთმა ავტორიტეტმა გამოითვალა: მისი მასალა რომ დააწყოთ თითო ფუტის სიგრძე კუბებად ერთმანეთის მიყოლებით, იგი უდრის 2/3-ს დედამიწის გარშემოწერილობისას. ნაპოლეონმა, რომელმაც შეისწავლა ძეგლი და აცოცდა კიდეც მის მწვერვალზე, გამოუცხადა თავის გენერლებს, რომ მისი გამოთვლის მიხედვით დიდი პირამიდა შეიცავდა საკმარის ქვებს, რათა შემოეევლოთ 10 ფუტის სიმაღლე და ერთი ფუტის სისქე გალავანი მთელი საფრანგეთისათვის! გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი, რომელიც ახლდა იმპერატორს მის ეგვიპტურ ექსპედიციაში, როგორც ამბობენ, ადასტურებდა ამ გამოთვლებს (იხ. ედვარდის „ეგვიპტის პირამიდები").

ხეოპსის ძეგლი თავდაპირველადვე შეიცავდა თითქმის ორნახევარ მილიონ ქვის ბლოკს, რომელთა წონაც საშუალოდ ნახევარი ტონა იყო, ზოგი თხუთმეტ ტონასაც იწონიდა. ეს ბლოკები აჰქონდათ პირამიდის პლატოზე მარხილებით, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების გამწე ძალით. პირამიდების მშენებლობის პერიოდში ეგვიპტელებს არ ჰქონდათ ბორბლიანი ან ცხენშებმული რაიმე ტრანსპორტი. ასე რომ, ბლოკების აზიდვისას არ გამოიყენებოდა არავითარი მექანიკური მოწყობილობანი, გარდა ბერკეტისა და საგორავისა. იმჟამად უბრალო შკივიც კი არ იყო გამოგონებული (დანარჩენი დეტალები იხ. „ქვის დამუშავება ძველ ეგვიპტეში", ს. კლარკი და რ. ენგელბარხი, ლონდონი, 1930 წელი).

ხელოვნური გორაკები და ყორღანები არსებობდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მაგ. ცეილონის დაგობასები და მექსიკის პირამიდები (თუმც არც ერთი მათგანი არ შეედრება სიდიდით დიდ ეგვიპტურ მონუმენტს), მაგრამ ეგვიპტის პირამიდა უნიკალურია თავისი კონსტრუქციის სიზუსტით. სერ ფლინდერს პეტრიმ, რომელმაც პირველმა შეისწავლა მეცნიერულად. ეგვიპტის დიდი პირამიდა, ალმოაჩინა, რომ მისი ორიენტაცია იმდენად ზუსტია, რომ მისი მიხედ-

ვით შეიძლება გასწორება კომპასის ცდომილებათა. აი, დადგენილი ცდომილებანი:

ჩრდილო მხარე — 0.2′28′′ დასავლეთ-სამხრეთი.

სამხრეთი მხარე — 0.1′57′′ დასავლეთ-სამხრეთი.

აღმოსავლეთი მხარე — 0.5′30′′ ჩრდილო-დასავლეთი

დასავლეთი მხარე — 0.2′30′′ ჩრდილო-დასავლეთი

მაქსიმალური ცდომილებაა, აქედან გამომდინარე, გრადუსის 1/2.

ოთხივე კუთხე თითქმის სწორი კუთხეებია, მაქსიმალური გადახრა 90°-დან თითქმის ერთი მეოცედი გრადუსია — ეს იმ შენობაში, რომლის ზომაც, მისი ფუძის თითოეულ წახნაგზე, 750 ფუტზე მეტია. დიდი პირამიდა წარმოადგენს ქვის მყარ მასას (შესავალი ტალანებისა და მცირე შინაგანი სენაკების გამოკლებით). შიგთავსი კირქვის გარანდული ბლოკებია, აღგილობრივად დამუშავებული. ეს ის ბლოკებია, დღეს რომ მოჩანან ლურჯი ცისკენ აღმავალი, ოქროსაფეხურებიანი კიბის მსგავსად. მაგრამ პირამიდის მშენებლებს ასე როდი დაუტოვებიათ ნაგებობა, ჰეროდოტემ, სტრაბონმა და პლინიუსმაც ასე როდი იხილეს პირამიდა. თავდაპირველად იგი დაფარული იყო თეთრი კირქვით, რომელსაც ამუშავებდნენ მოკატამის მთებში, ნილოსის მოპირდაპირე ნაპირზე. არაბმა მძარცველებმა თითქმის მთლიანად შემოაცალეს მას ეს პერანგი, მაგრამ პეტრიმ მაინც იპოვნა რამდენიმე ფრაგმენტი, შემორჩენილი ფუძეზე. მათი დამუშავების სიფაქიზე განსაცვიფრებელია. პეტრი წერდა:

„საშუალო სისქე ჩრდილო ფერდობის ქვის პერანგის აღმოსავლეთ ნაწილისა უდრის 1/50 გოჯს, ამიტომ ვარიაციულ საშუალოს გამოთლილი ქვის ზოლისას აქვს 1/100 გოჯის გადახრა სწორი ხაზიდან 75 გოჯის მანძილზე. ეს შემჭიდი ნაწილები, რომელთა ფართობი 35 კვადრატულ ფუტს უდრის (თითოეულისა), არა მხოლოდ დამუშავებულია ფაქიზად, არამედ ჩადუღაბებულიც. მიუხედავად ამისა, რომ ქვები ურთიერთთან არიან მიჯრილი გოჯის 1/500-ით, ხოლო შემჭიდთა შორის ნაპრალები საშუალოდ 1/500 გოჯია, მშენებლები მაინც ახერხებდნენ ნაპრალებში დუღაბის ჩასხმას, მიუხედავად ფართობის სიდიდისა და ქვების წონისა, რომელთაგან თითოეული 16 ტონამდე იწონიდა“.

პეტრისეული მათემატიკური მიდგომის საპირისპიროდ, მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისელი მოგზაური, ოქსფორდელი პროფესორი გრიეზი იძლევა უფრო სუბიექტურ შთაბეჭდილებას პირამიდის ინტერიერზე, მეფე ჩარლზის ეპოქისეული პროზით:

„მისი სტრუქტურა (დამავალი გალერეისა) დახელოვნებულ ოსტატთა ნამუშევარია, რაც შემჭიდთა სიბრტყესა და სიგლუვეში ეტყობა. ჩვენ სანთლებით ხელში განვვლეთ ეს ვიწრო დერეფანი და დიღის გაჭირვებით (გველებივით მუცელზე ხოხვით) გადავეკვეთ სათავსოში, რომელიც უფრო მოზრდილი იყო და კარგა მაღალი...“

ე. წ. დიდი გალერეის შესახებ, რომელიც მიჰყვება ქვის ფერდობის ძარღვიან და გათლილ გრანიტს, გრიეზი წერდა:

„დიდად წარმოსადეგი ნაგებობაა, რომელიც არ ჩამოუვარდება არც ერთ მეფურ და ღიდებულ შენობას არც განსაცვიფრებელი ხელოვნებით, არც მასალის სიმდიდრით... თუნდ სიმყარით, თუნდ შემჭიდთა მტკიცე დუღაბით. ისინი ისე მჭიდროდ არიან მიკრილნი, რომ მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ გაარჩევს მათ ურთიერთისაგან. მთელი სტრუქტურა გვირაბებისა იმგვარია, რომ ფრიად რთულია მათში გაძვრომა სიგლუვისა და დაცერების გამო“.

მე მსურს აღმოვაჩინო ძველ და ახალ ნაწერებში კიდევ უფრო დამაკმაყოფილებელი აღწერა ამ ბნელი, იდუმალებით მოსილი დერეფნებისა, რომელნიც ჯერ დაბლა ეშვებიან დახრილი კუთხით, ხოლო შემდეგ აღმა მიდიან და უერთდებიან გულს ხეოპსის მონუმენტისას — თავად მეფის აკლდამას: ასუანიდან მოზიდული გრანიტით მოპირკეთებულს, ასუანიდან, რომელიც 700 მილზეა აქედან. აკლდამა გადახურულია გრანიტის 9 ფილით, რომელთა წონაც, პეტრის გამოთვლით, 400 ტონას უდრის. ბლოკები, რომელთაგან თითოეული 45 ტონას იწონის, უდიდესნი როდი არიან მათ შორის, რომელთაც იყენებდნენ პირამიდის მშენებლები. მენკაურეს ტაძრის კონსტრუქციაში ზოგიერთი კირქვის მონოლითი 200 ტონას იწონის. ყოველი მათგანი დადგმულია საამშენებლო წყობაში ხელოსნების მიერ, რომელნიც ხმარობდნენ მხოლოდ და მხოლოდ თოკებს და არავითარ სხვა მექანიკურ საშუალებას არ იყენებდნენ.

მიუხედავად თავიანთი სიზუსტის ფანტასტიკურად მაღალი დონისა, პირამიდის მშენებლები შეუჭცდარნი მაინც არ იყვნენ. მათი ხე-

ლოვნება ყოველგვარ ქების სიტყვაზე მაღლა დგას, მავრამ ისინიც ზოგჯერ იცვლიდნენ ჩანაფიქრს და ცვლიდნენ გეგმას, რითაც იწვევდნენ ანომალიებს და ზედმეტ ხარჯებს კონსტრუქციაში. მაგალითად, ბორხარტმა, გერმანელმა არქეოლოგმა, შეძლო დამტკიცება, რომ დიდი პირამიდა ჩაფიქრებული იყო იმგვარად, რომ მას თავდაპირველად უნდა ჰქონოდა ძირში აკლდამა, კლდეში გამოთლილი, რომელსაც შეუერთდებოდა დამავალი გვირაბი. ეს აკლდამა დაუმთავრებელი დარჩა. მის ნაცვლად არქიტექტორმა დაგეგმა აღმავალი დერეფანი თავად პირამიდაში ჩაშენებული აკლდამებისაკენ. როდესაც ეს ახალი გეგმა შემუშავდა, პირამიდის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე აგებული იყო, რაც იმით მტკიცდება, რომ აღმავალი დერეფნის ქვედა ნაწილი უკვე არსებულ ქვის ნაგებობაშია გაყვანილი. გარკვეული წერტილიდან დაწყებული პირამიდის მშენებლობა კი უკვე მისადაგებულია დერეფნისადმი. ბორხარტმა მიუთითა, რომ ის ადგილი, საიდანაც იწყება ცვლილება, მიგვითითებს დონეზე, რომელსაც მიაღწია პირამიდამ ამ პერიოდისათვის. ამ დროს გადაწყდა აკლდამის აშენება სტრუქტურის შიგნით და არა მის საძირკველში.

არის აგრეთვე ვიწრო ვერტიკალური გვირაბი, რომელიც აერთებს დიდ დერეფანს მიწისქვეშა დამავალ დერეფანთან. ეს გვირაბი ანუ „ჯურღმული" აგრეთვე შემდგომშია მოფიქრებული, იგი არ იყო ნაწილი თავდაპირველი გეგმისა, რამდენადაც იგი უხეშად არის გამონგრეული უკვე არსებულ ქვის წყობაში. როგორც ჩანს, მისი დანიშნულება შემდეგი იყო: როდესაც მუშებმა დიდ დერეფანში შემონახული გრანიტის ვეება ბლოკებით ჩახერგეს აღმავალი დერეფანი, რათა ჩაეკეტათ გზა მომხვდურთათვის, მათ ამ ჯურღმულით გამოაღწიეს გარეთ. ამრიგად, აღმავალი დერეფნის შიგნიდან ჩახერგვის შემდგომ მათ შესაძლებლობა მიეცათ დამავალი დერეფნის გარედან ჩაკეტვისა; თითოეულ შემთხვევაში სიმძიმე დაეხმარა მათ ბლოკების დაცურებასა და დაწყობაში.

მიუხედავად მრავალი ხელმოცარვისა, ძველ ეგვიპტელ მშენებლებს აქვთ ერთი განმასხვავებელი ნიშანი: დედამიწაზე არცერთ ერს, არც მანამ, არც შემდგომში, არც გამოუვლენია მსგავსი ხელოვნება ვეება სიმძიმეთა გადატანაში მხოლოდ და მხოლოდ კუნთების ძალით და მოსაზრებით. ეს იყო მიზეზი ბერძნებისა და რომაელების აღფრთოვანებისა და ამან მიანიჭა დიდ პირამიდას ადგილი სამყაროს

შვიდ საოცრებათა შორის, მაშინ როდესაც მიზანი ამ კოლოსალური შრომისა — ერთადერთი ადამიანის ხრწნადი სხეულის შენახვა — მათ ზიზღსა და გაავებას იწვევდა.

თვით მეცხრამეტე საუკუნეშიც კი მოიძებნებოდნენ ისეთი მკვლევარნი (მაგ. ჯონ ტეილორი, პიაზი სმიტი და მათი მიმდევრები), რომელთაც ვერ დაეჯერებინათ, რომ ესოდენ დიდი შრომა მოხმარდა მხოლოდ და მხოლოდ აკლდამის მშენებლობას. მათი აზრით ეს უნდა ყოფილიყო კიდევ სხვა რაღაცა: ბეღელი, ასტრონომიული ობსერვატორია, სამყაროს საზომი სტანდარტი, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის სახელმძღვანელო. დიდი პირამიდა ყოველთვის მაგნიტივით იზიდავდა შერეკილებს.

„ფანტასტიკური თეორიები (წერდა პეტრი) დროდადრო აღმოცენდებიან ხოლმე და თეორეტიკოსები კვლავ ამტკიცებენ, რომ ფაქტები შეესაბამება მათ ვარაუდებს. ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ საქმის ნამდვილ ვითარებას არავითარ ანგარიშს არ უწევენ ამგვარი ჰალუცინაციების მქონე პიროვნებები.

სინამდვილე კი ის არის, რომ, რა თქმა უნდა, დიდი პირამიდა, ისევე, როგორც დანარჩენი ოთხმოცი პირამიდა ეგვიპტისა, სეფე-აკლდამა იყო და სხვა არაფერი; იგი უდიდესია, მაგრამ სხვებს დიდად არ აღემატება. დაშურში სნოფრუს „მოხრილი პირამიდა“ სიდიდით თითქმის უტოლდება მას, კირქვის გარეგანი საფარველიც თითქმის მთლიანად შენარჩუნებულია მასზე. ამასთანავე, დიდი პირამიდა განსხვავდება სხვათა უმრავლესობისაგან დერეფნებითა და ოთახებით სტრუქტურის შიგნით, თუმცა ამ მხრივაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. სნოფრუს დაშურისეულ პირამიდასაც აქვს შიგნით ოთახების სარტყელი, რაც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მისი ვაჟის, ხეოპსის პირამიდის ოთახებს. დღეს, როდესაც შემორჩენილი ეგვიპტური პირამიდები უკვე გულდასმითაა შესწავლილი, შესაძლებელი ხდება თვალის გადევნება პირამიდის ფორმის განვითარებისათვის, დიოზერის საფეხუროვანი პირამიდიდან დაწყებული (2800 წ. ქრისტემდე). ვიდრე მომცრო აგურის პირამიდებამდე, რომელნიც ეკუთვნიან მეთორმეტე და მეცამეტე დინასტიებს (2000—1700 წ. ქრისტემდე). ამ კონტექსტში ხეოპსის პირამიდა უკვე იზოლირებულად კი არ მოჩანს, არამედ ერთ-ერთი რგოლია განვითარების ჯაჭვისა ათასწლეულის მანძილზე.

მიზანი ყველა შემთხვევაშიც ერთი და იგივე იყო. ეს იყო დაცვა სამეფო გვამისა ძალადობისაგან, მაგრამ ამ მიზანს ვერასოდეს აღწევდნენ, მიუხედავად ქვათა წყობის დიდი სიმძიმისა, დერეფნების ფარული ხვრელებისა, დაფარული შესასვლელებისა, ყველა პირამიდა მაინც გაძარცვეს ძველი ეგვიპტის აკლდამათა მძარცველებმა. ხეოპსის ნეშტიც ვერ გადაურჩა მათ. ბრიტიშ მუზეუმში ინახება ჩონჩხი, რომელიც, შესაძლოა, ეკუთვნოდეს მენკაურეს, გიზეს მესამე პირამიდის აღმშენებელს; რაც შეეხება დიოზერს, მსოფლიოში პირველი პირამიდის ამგებს, როდესაც გერმანელმა არქეოლოგმა ბოლოსდაბოლოს შეაღწია გრანიტის აკლდამაში, რომელიც შენობის საძირკველში 80 ფუტის სიღრმეზეა, მან ერთადერთი წვივის ძვალი იპოვნა მხოლოდ.

„პირამიდებით გვამის შენარჩუნების ცდა დიდი გზაა ბნევაა", — წერდა სერ ტომას ბრაუნი.

კლასიკური ხანის ავტორები, მაგ., პლინიუსი, განიხილავდნენ ამ ცდებს, როგორც ამაოებაში ვარჯიშს. ზოგიერთი თანამედროვე მწერალიც, განსაკუთრებით მარქსისტული სკოლისა, იგივე აზრისაა. ეს ზერელე და უმეცარი ადამიანების თვალსაზრისია, ჩვენი მატერიალისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი. იგი ეფუძნება მცდარ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვითაც იმ გარდასული 5 ათასი წლის წინანდელი ეპოქების ადამიანები ზუსტად ჩვენნაირნი იყვნენ. ათასობით მუშა აგებდა ამ ვეება და ერთი შეხედვით უსარგებლო შენობებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ულმობელი და უწყალო ტირანის მიერ მორეკილი მონები. ჩვენთვის წარმოუდგენელია სხვა მოტივი. გერმანელი ავტორი ეგვიპტეზე დაწერილ თავის უკანასკნელ წიგნში წერს:

„შემზარავია გაფიქრებაც კი იმისა, რომ ასობით ათასი მონის წამებამ და ნახევრად მშიერმა ყოფამ ააგო დიდი პირამიდა—ორნახევარი მილიონი ბლოკი ქვისა! რამდენი მილიონი დარტყმაა? განა არ გვესმის დღესაც მონების გმინვა, განა ჩვენს ყნოსვამდის არ მოდის ოფლის სუნი და ხაშმი?" (ოტო ნებერტი, „მეფეთა ველი", ლონდონი, 1957).

ფაქტია, რომ ასეა, თუმცა, უნდა ითქვას, მრავალი მონაცემი გვაქვს ასირიელთა და ბაბილონელთა ქვეყნებში არსებული მონობის ინსტიტუტის შესახებ, მაგრამ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება მონობის შესახებ ძველ ეგვიპტეში. ნიჭიერმა ეგვიპტელმა არქეოლოგმა,

დ-რმა ბაქირმა მრავალი წელი მონდომა ამგვარი მონაცემების ძიებას, მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელო მასალა შეაგროვა. რა თქმა უნდა, ბევრია დამოკიდებული ტერმინ „მონის“ გაგებაზე. ძველ ეგვიპტელ მუშას, ველზე მომუშავეს, თუ სხვა რამ „საზოგადოებრივ“ სამუშაოზე მყოფს, არ ეძლეოდა ფულადი ხელფასი. ფული ჯერაც არ იყო გამოგონილი, ასე რომ მას აძლევდნენ მხოლოდ საშუალ-სასმელს და ტანისამოსს. თუ ეს აქცევს ადამიანს მონად, მაშინ ძველ ეგვიპტელთა, ასირიელთა, ბაბილონელთა, ჰ ი ტ ი ტ ი ე ლ თ ა უმრავლესობა მონები ყოფილან, მაგრამ სწორი იქნება ასეთი განსაზღვრა?

არ არსებობს აგრეთვე არავითარი მონაცემები იმის შესახებ, რომ ძველეგვიპტური შენობის ამგებლებს სასტიკად ეპყრობოდნენ. შეიძლება მივუთითოთ ასირიულ რელიეფებზე (700 წ. ქრისტემდე, დიდ პირამიდაზე ორი ათასი წლით გვიანდელი ხანა), სადაც ვხედავთ მგმინავ მონებს, რომელნიც მოკაკვულან გზირის მათრახქვეშ. იმ ეგვიპტურ რელიეფებზე კი, რომელნიც ასახავენ, ვთქვათ, კოლოსის გადატანას, ვერ ვხედავთ მათრახიან გზირებს; ვხედავთ მხოლოდ გუსდს ძარგად დისციპლინირებული მუშებისას. რომელნიც ემორჩილებიან ბოწინავე მუშის სიმღერისებურ ძახილს, ისევე როგორც ეს ხდება ბოლევანდელ არქეოლოგიურ გათხრებზე. ამერიკელმა არქეოლოგმა ლ-რმა რუისნერმა პირამიდების პლატოზე მრავალი წლის მუშაობისას აღნიშნა, რომ მისი ეგვიპტელი მუშები ეზიდებოდნენ 400 ტონამდე სიმძიმის ლოდებს მხოლოდ ძალაყინებითა და საგორავებით. „თუ გსურს, ეფენდი, ახალ პირამიდას აგიგებთ“ — ეუბნებოდნენ ისინი რუისნერს.

მეც ვნახე ერთხელ, თუ როგორ მიაჩოჩებდნენ ეგვიპტელი მუშები გრანიტის ვეება ქანდაკებას კაიროს მუზეუმის იატაკზე ძალაყინებით. ისმოდა სიცილ-ხარხარი, ყვირილი და სიმღერაც კი; გმინვა კი არავის აღმოხდომია. ერთადერთი მე ვიყავი შეშინებული, როდესაც ვხედავდი, თუ ვით ირყეოდა ასტონიანი კოლოსი, მაგრამ იგი მუდამ ნახულობდა წონასწორობას, როგორც კი წაქცევის პირად მიდგებოდა.

თუმც კიდევაც რომ უკეთაგდოთ გვიანდელ ავტორთა გადაჭარბებანი და გავითვალისწინოთ, რომ არა გვაქვს არავითარი მონაცემი პირამიდების მშენებლების თანამედროვეთა. ფაქტია, რომ ათასობით კაცი შრომობდა მონუმენტის ასაგებად, რომლის მიზანიც იყო ერ-

თაღერთი გვამის დაცვა. თუ მათი შრომა მხოლოდ ტირანის ამაო წადილის დაკმაყოფილება არ იყო, მაშ რა იყო კიდევ მიზეზი? პასუხი ის იქნება, რომ, რა თქმა უნდა, ფ ა რ ა ო მათთვის მხოლოდ ადამიანი როდი იყო; ი გ ი ი ყ ო ღ მ ე რ თ ი. მეფის ერთ-ერთი ტიტული იყო „რაა-ს ძე“ (რაა იყო მზე-ღმერთი). არსებობდა რწმენა, რომ ფ ა რ ა ო სიკვდილის შემდეგ აღვიდოდა თავის მამასთან და ცაზე იმოგზაურებდა მასთან ერთად ყოველდღე მის ზეციურ ნავში. პირამიდების გასწვრივ არხებში ნაპოვნი ნავებიც. როგორც ჩანს, განზრახული იყო ამგვარი სიტუაციისათვის, თუმცა საქმეს ის ართულებს, რომ მეფის სულს სჭირდებოდა აგრეთვე ნავი აბიდოსელი ოზირისის საკურთხეველისაკენ სამოგზაუროდ.

ფრეიზერი და სხვები გვიჩვენებენ, რომ პრიმიტიულ ხალხებს დღესაც აქვთ რწმენა, თითქოს მეფის (მთავრის) ძალა და სიჯანსაღე ფარულად არის დაკავშირებული მისი ხალხის კეთილდღეობასთან. ზოგიერთ ამგვარ ტომებში მეფეს რიტუალურად კლავენ, როდესაც იგი დასუსტდება და აღარ ძალუძს ქვეყნის მართვა. შესაძლოა იგივე პრაქტიკა არსებობდა პრიმიტიულ ეგვიპტეში, ეგვიპტის ცივილიზაციამდე გაცილებით ადრე, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ეგვიპტელნი ისტორიული პერიოდის მანძილზე, როგორც ანალები გვიჩვენებენ, ეწეოდნენ პრაქტიკას ე. წ. ჰებ-სედ-ის რიტუალისას, რომელშიც მეფე სიმბოლურად კვდება, შემდეგ მაგიურად ცოცხლდება და მისი ძალა განახლდება ხოლმე. „რიტუალური სიკვდილი“ რეალურს უდრიდა. ჩვენ ვიცით, რომ ხეოპსის წინაპრის, დიოზერის პირამიდაში არსებობს რელიეფები, რომელნიც გვიჩვენებენ მეფის მონაწილეობას ამ ცერემონიაში, არსებობს აგრეთვე მაკეტები ტაძრებისა პირამიდების სანახებში, რომელნიც, როგორც ჩანს, ამ პრაქტიკასთან იყვნენ დაკავშირებულნი. შესაძლოა ძველ ეგვიპტელებს სწამდათ, რომ მათი მეფის სული, ამჟამად ღმერთი, ცხოვრების ამგვარ რიტუალურ განახლებას განიცდიდა მიღმა სამყაროში.

იქნებ მათ ისიც სწამდათ, რომ მათი მეფის სიკვდილის შემდგომი კეთილდღეობა მათთვის ისევე მნიშვნელოვანი იყო, როგორც სიცოცხლისჟამინდელი? ამ თვალსაზრისით, სამეფო აკლდამა, რომელიც დომინირდება ამ ქვეყანაში, ისევე, როგორც მისი მფლობელის სიცოცხლის ჟამს, იყო უკიდურესად პრაქტიკული ნაგებობა, არანაკლებ სასარგებლო, ვიდრე მოერისის წყალსაცავი.

ჰეროდოტეც. რა თქმა უნდა, დიდ პირამიდას შესცქეროდა როგორც პროდუქტს მეფის ტირანიისას და ამაო განდიდების წყურვილისას. იგი იმეორებდა მის თანამედროვე ქურუმთა (450 წ. ქრისტემდე) მონათხრობს:

„...ქურუმებმა მაუწყეს, რომ ხეოპსმა ქვეყანა უკიდურეს გასაჭირში ჩააგდო. მან დახურა ყველა ტაძარი და შემდეგ ესეც არ იკმარა, თავიანთ რელიგიას მოწყვეტილი ქვეშევრდომნი აიძულა, გამონაკლისის გარეშე, მონურად ეშრომათ მის სასარგებლოდ. ზოგს აიძულებდნენ ქვის ლოდების თრევას არაბეთის ბორცვების სამტეხლოებიდან ნილოსის პირამდე, სადაც მათ სხვები უხვდებოდნენ და მიათრევდნენ ლოდებს ლიბიის ბორცვებისაკენ...“ (ჰეროდოტე, ისტორია).

მაგრამ ჰეროდოტე და მისი დამმოძღვრავი ქურუმები ისევე ფუვნენ დაშორებულნი ხეოპსის ეპოქას, როგორც ჩვენ ვართ დაშორებულნი ჰეროდოტეს. იმ დროს ეგვიპტის რელიგია უკვე სულს ღაფავდა. ეგვიპტელები ერთხანს ბერძნული კულტურის ზეგავლენას განიცდიდნენ და მათაც გაეგებოდათ საშინელება „ტირანიისა“ და „მონობის“ ბერძნული გაგებისა, თუმც ეს ორივე ცნება საკუთარი იქნებოდა მათი წინაპრებისათვის.

მეორე მხრივ, მათი აღწერები პირამიდების მშენებლობისა საკმაოდ ზუსტად ემთხვევა თანამედროვე არქეოლოგიური კვლევის მონაცემებს. „მანქანები“, რომელთაც ახსენებს ბერძენი ისტორიკოსი, იყო, როგორც ჩანს, უბრალო ხის ძალაყინები. ამას წინათ აღმოჩნდა აგრეთვე საკონსტრუქციო ჩარჩოების ნარჩენები, რომლებშიც აწყობდნენ ქვებს; ისინი აღმოაჩინა ზაქარია გონეიმმა სეხემ-ხეთის დაუმთავრებელი პირამიდის უკან. ქვის თითოეული რიგის დაწყობის შემდეგ ჩარჩოს აფართოებდნენ ისე, რომ ინარჩუნებდნენ კუთხის დახრილობას და ისე აწყობდნენ შემდეგ რიგს. ამასთანავე ხმარობდნენ შეზეთილ ქვასანაყებს კირისათვის. როდესაც საძირკვლიდან მწვერვალამდე ქვები უკვე დაწყობილი იყო, პირამიდას მოაყრიდნენ ხრეშს და სილას ყოველი მხრიდან. შემდეგ მშენებლები აცმევდნენ მას თხელი კირქვის პერანგს მწვერვალიდან დაწყებით (როგორც სწორად აღნიშნავს ჰეროდოტე) და თანდათანობით აცლიდნენ საკონსტრუქ-

ციო ჩარჩოებს. ბოლოს, როდესაც დასდებდნენ უკანასკნელ ქვას, პირამიდა იდგა გათეთრებული და ბრწყინვალე, მისი დერეფნები ჩახერგილ-ჩარაზული იყო და მეფის მუმია დაფარული იყო თავის სარკოფაგში ათასობით ტონა ქვის ქვეშ. ნაგებობის აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო დიდი ტაძარი-აკლდამა, რომელიც უკავშირდებოდა გრძელი ქვაფენილით მეორე ტაძარს, მდინარის პირას მდებარეს. ამჟერად ამ ქვაფენილის მცირე ნაშთიღაა შემორჩენილი, მაგრამ ბერძნების თვალსაზრისით იგი ისეთივე მძლავრი ნაგებობა იყო, როგორც თვით პირამიდა.

ჰეროდოტე, რომელიც სულიერად ეკუთვნის ჩვენს პრაქტიკულ, მეცნიერულ ეპოქას, ხეოპსის პირამიდაში ხედავდა იგივეს, რასაც ჩვენი უმრავლესობა: განსაცვიფრებელ, დაუჯერებელ ტექნიკურ მიღწევას და სხვას არაფერს; მაგრამ საეჭვოა, რომ ხეოპსის დროინდელ ადამიანებსაც ასევე ეცქირათ მისთვის. მათ პირამიდის აგების ხელოვნება იმდენადვე აოცებდათ, როგორც დღევანდელ ადამიანებს რომელიმე თანამედროვე მიღწევა საინჟინრო ხელოვნებისა. იგი განსაცვიფრებელი იყო არა იმით, რასაც იგი წარმოადგენდა, არამედ იმით, რასაც იგი ემსახურებოდა მათი რწმენის მიხედვით.

2. ალექსანდრიიდან ბაბილონამდე

თუ პლინიუსის, დიოდორეს ან ფილონ ბიზანტიელის მსგავსად, ჩვენც მოვისურვებდით ნახვას სამყაროს შვიდივე თავდაპირველი საოცრებისას, საით უნდა აგვეღო გეზი პირამიდების მონახულების შემდეგ? საოცრებათა უმრავლესობა გადაჭიმული იყო ხმელთაშუა ზღვის სამყაროს აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში, უკიდურეს აღმოსავლეთით იყო დაკიდებული ბაღები; უკიდურეს დასავლეთით — ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში. აქედან გამომდინარე, პირამიდების შემდგომ უახლოესი საოცრება იქნებოდა ალექსანდრიის „ფაროსი", ანუ შუქურა, ეგვიპტის სანაპიროზე; შემდეგ ხანგრძლივად უნდა გვესმოგზაურა ხმელეთით, ევფრატის პირად მდებარე ბაბილონისაკენ, ხოლო მის შემდეგ დასავლეთით უნდა გადაგვესერა ზღვა და ვწვეოდით როდოსს; შემდეგ თანმიმდევრობით უნდა მოგვენახულებინა ჰალიკარნასოსის მავზოლეუმი და არტემიდეს ტაძარი ეფესოში, რომელნიც მცირე აზიის სანაპიროზე მდებარეობენ. ჩვენი

მოგზაურობა დამთავრდებოდა ოლიმპიელი ზევსის ქანდაკებასთან საბერძნეთში.

დღეს არც ერთი ამ ძეგლთაგანი აღარ არსებობს, ამიტომ თითქმის მთლიანად უნდა დავეყრდნოთ მათ თანამედროვეთა აღწერებს, რომელთაც აქა-იქ ავსებს არქეოლოგიური კვლევა. მე შეძლებისდაგვარად მოვერიდები ვარაუდებს და დავეყრდნობი მხოლოდ ფაქტებს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება მათი სიზუსტის შემოწმება.

დიდი პირამიდა უკვე ორი ათას სამას წელს ითვლიდა თავისი არსებობისას, როდესაც ალექსანდრე დიდმა ფეხი დადგა ეგვიპტის მიწაზე. თავისი მომავალი დედაქალაქის ადგილად მან აირჩია მეთევზეთა მცირე დასახლება რაკოთისი ნილოსის დასავლეთ ტოტზე. აქ იყო დაბალი, ქვიშიანი ნაპირი და მცირე კუნძული, სადაც ალექსანდრემ თუ მისმა მრჩევლებმა დაინახეს პორტის აგების შესაძლებლობა. მის უკან მდებარეობდა მოერისისეული ტბა, რომელიც ერთვოდა ნილოსს და წყლით ამარაგებდა პორტს მდინარესთან და ზღვასთან ერთად. ნავსადგურამდის არ უწევდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის მოქცევა, რომელმაც შლამით აავსო სხვა პორტები. ეს, რა თქმა უნდა, იცოდნენ ბერძნებმა, რომელნიც მრავალი ასეული წლის წინათ დასახლებულიყვნენ აქ; მათი ქალაქი ნავკრატისი არც ისე შორს იყო. უფრო მეტიც, ეჭვგარეშეა, რომ ალექსანდრეს, როგორც ელინური კულტურის თავკაცს, სურდა ისეთი ადგილი, სადაც მისი დედაქალაქი თავისუფლად განვითარდებოდა, ეგვიპტური ნაგებობისა და ადგილობრივი ტრადიციების მხრივ ხელის შეშლის გარეშე.

ამრიგად, აქ აღმოცენდა უმდიდრესი ქალაქი და უდიდესი კულტურული და კომერციული ცენტრი ბერძნული სამყაროსი; პტოლემეთა დედაქალაქი, ანტონიუსისა და კლეოპატრას მიჯნურობის არენა, ისეთი ელეგანტობის, მშვენებისა და ბრწყინვალების საუფლო, როგორიც ეგვიპტეს არ მოსწრებია იმპერიული თებეს შემდეგ.

„მეცნიერები, პოეტები, ბუნებისმეტყველნი, ვაჭრები, მეზღვაურნი, ჯარისკაცნი, მიწათმოქმედნი და უბრალო მოსეირენი აღავსებდნენ მას ყოველი კუთხიდან... მსოფლიოს მრავალი მხრიდან შემოსულ პროდუქტებს ნახავდით მის სანაპიროზე. სპილოს ძვალი, ეკალმუხა, ოქრო და ნელსაცხებელი მოდიოდა აფრიკიდან, ინდოეთის საქონელიც კი უხვად იყო... საბერძნეთის ქვეყნებიდან შემოდიოდა

ზეთი, ღვინო, თაფლი, ლეღვი, შებოლილი თევზი და ხორცი, ღრუ-ბელი და ა. შ... თავად ქალაქი აწარმოებდა მრავალგვარ მასალას, განსაკუთრებით მინას, აბრეშუმს და პაპირუსს" (ჰ. ი. ბელი, ეგვიპტური არქეოლოგიის ჟურნალი, ლონდონი, 1927, ტ. 13, გვ. 176).

თავად ალექსანდრეს არ მოსწრებია ქალაქი, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, ერთ-ერთმა მისმა გენერალთაგანმა, პტოლემემ, დაიპყრო ეგვიპტე, როგორც თავისი კუთვნილი ნაწილი აწ დაშლილი იმპერიისა, დაარფუძნა დინასტია და მის სატახტო ქალაქად აქცია ალექსანდრია. არქიტექტორმა დინოკრატემ დაგეგმა ქალაქი, რომელიც შედგებოდა წვრილ-წვრილი ქუჩების ქსელისაგან და დიდი ცენტრალურსვეტებიანი მოედნისაგან, რომლის სიგანეც იყო ასი ფუტი. აღმოსავლეთით მას ჰქონდა მზის კარიბჭე, ხოლო დასავლეთით მთვარის კარიბჭე. შუქურის მცირე კუნძული დაუკავშირდა ხმელეთს ჯებირით, ხოლო ერთ დროს ჰაობიან სანაპირო ზოლზე მძლავრი შენობები აღმოცენდნენ. აქ იყო მუზეუმი, გარეგნულად ვითომდაც მუზეების ტაძარი, სინამდვილეში კი უნივერსიტეტი, სადაც თავმოყრილნი იყვნენ მეცნიერები ბერძნული სამყაროს მრავალი კუთხიდან, რომელთაც სახელმწიფო უხდიდა ჯამაგირს, რაც აძლევდა მათ არა მხოლოდ სწავლების, არამედ მეცნიერული კვლევის შესაძლებლობასაც. მუზეუმის კუთვნილი ბიბლიოთეკა მსოფლიოში სახელგანთქმული იყო. იგი იყო მსოფლიოში უდიდესი და რომაული პერიოდისათვის იქ დაგროვდა ათასობით „გრაგნილი". გალენი მოგვითხრობს, რომ პტოლემე II-ის, ეუერგეტესის ბრძანებით, ყოველ მოგზაურს, რომელიც ჩადიოდა ალექსანდრიაში წიგნებით, ორიგინალები უნდა შეეწირა ბიბლიოთეკისათვის და თავად ასლები მიეღო სამაგიეროდ.

აქ იყო მეფეთა სასახლე, ალექსანდრეს აკლდამა, ზოოლოგიური ბაღები, ცეზარეუმი, რომელიც წამოიწყო კლეოპატრამ, ვითარცა ტაძარი, ანტონიუსისადმი მიძღვნილი და რომელიც შემდეგ დასრულდა ავგუსტუსის პატივსაცემად. ამ შენობაზე წერდა ებრაელი ფილოსოფოსი ფილონი:

„მსოფლიოში ვერსად ჰპოვებთ ესოდენ ვრცელ, შემოღობილ სანახებს... სიდიადეს უხვი მსხვერპლიც ზედ ერთვის — სურათები, ოქროსა და ვერცხლის ქანდაკებები... აქ უამრავი გალერეაა, ბიბლიოთეკა, სავანე, საღვთო ჭალა, პროპილეა, მოედანი, დარბაზი ღია ცის ქვეშ..."

აქ უამრავი პარკი და ბაღი იყო; ყვავილების გამყიდველნი და გვირგვინთა შემთხზველნი აღავსებდნენ ქუჩებს. აქ იყო ტაძრები თითქმის ყველა ცნობილი ღვთაებისა, მოსახლეობა მოედინებოდა ანტიკური სამყაროს თითქმის ყველა კუთხიდან. აქ ისეთი აღრეკა იყო რასებისა და ენებისა, რომ უნებლიეთ გვახსენდება ერთი სასაცილო ადგილი თეოკრიტეს მეთხუთმეტე იდილიიდან, სადაც აღწერილია, თუ ვით გააწყვეტინა სიტყვა უცნობმა ორ ენაჭარტალა ქალს:

„ჩემო კეთილო ქალებო, შეწყვიტეთ ეგ გაუთავებელი ტიკტიკი, ჩიტებივით გაუთავებლად რომ ჟღურტულებთ! მეტად დამღალა თქვენმა დორიულმა კილომ!“

ხოლო პრაქსინოა, ერთ-ერთი ქალთაგანი, მიუგებს მკვირცხლად:

„ღვთის გულისათვის, საიდან ბრძანდებით წარმოშობით? განა რას გიშავებთ ჩვენი ჟღურტული? თქვენ მონების ყიდვა-გაყიდვას მიხედეთ, სირაკუზელებს შეუკვეთეთ მონები. ჩვენ კი კორინთოდან გახლავართ წარმოშობით — ბელეროფონის მსგავსად, როგორც უწყით და პელოპონესურად ვსაუბრობთ. ვგონებ, დორიელთ უნდა ჰქონდეთ უფლება, დორიულად საუბრისა, ხომ?“ ასეთ სცენას უთუოდ წააწყდებოდით ალექსანდრიაშიც, მზით გაბრწყინებულ კოლონებთან, კობალტისებურად ლურჯი ზღვის პირად; დიდებული, განსაცვიფრებლად რთული, გარყვნილი ქალაქი, ელინისტური სამყაროს ბრწყინვალე ცენტრი. ასეთ ფონზე და ამგვარ ხალხში უნდა ყოფილიყო უჩვეულოდ ბრწყინვალე მონუმენტი, რომელიც დაიმსახურებდა სახელწოდებას სამყაროს ერთ-ერთი საოცრებისას. ასეთი იყო შუქურა, რომელიც აშენდა პტოლემი ფილადელფოსის (285—247 წ. ქრისტემდე) ბრძანებით ფაროსის მცირე კუნძულზე, რომლის სახელიც დაერქვა შუქურას შემდგომში.

თუ პრაქსინოასთან და მის სიტყვამრავალ კომპანიონთან ერთად გაიკვალავდით ბრბოში გზას მესამე საუკუნის ალექსანდრიაში, დაინახავდით სანაპიროს გასწვრივ ლურჯ წყალზე მოტორტმანე წითელაფრიან, ქიმმოკაკვულ გემებს; პატარ-პატარა ნავებს, აქეთ-იქით რომ სერავენ ზღვას; ჯებირის ხაზს, რომელიც აერთებდა კუნძულს ხმელეთთან და კუნძულზე კი უღრუბლო ცაში ატყორცნილ ოთხასფუტიან მარმარილოს კოშკისდარ ნაგებობას, ბაბილონური ციგურატის მსგავსად საფეხურიანს.[1] ქვედა იარუსები ოთხკუთხაა, ხოლო უმწ-

[1] საფეხურების რაოდენობა დღესაც საკამათოა; ზოგი ამბობს ოთხს, ზოგი რვას. სიმაღლე უნდა ყოფილიყო 400 ან 600 ფუტი.

ვერვალესნი წრიულნი არიან, ყოველი მათგანის ძგიდეზე ფართო აივნებია, მდიდრულად მოხატულ-მოჩუქურთმებულნი. მწვერვალზე მარჯვენა მხარეს უშველებელი მაყალი დგას, რომელშიც გამუდმებულად ანთია ცეცხლი, „ცეცხლის სვეტი ღამით, კვამლის სვეტი დღისით“. ეს იყო პროტოტიპი ყველა შუქურისა, დუვრის პატარა „ფაროსის“ ჩათვლით. ზოგიერთ ევროპულ ენაში ეს სიტყვა დღესაც „შუქურას“ ნიშნავს: მაგალითად, ფრანგული phare, ესპანური და იტალიური faro.

თუ გადავივლით ჯებირს და უფრო ახლოდან შევხედავთ, ჩვენს წინაშე ცათამბჯენივით აღიმართება შენობა. მის თეთრ ზედაპირზე უამრავი სარკმელია, ვინაიდან ეს მხოლოდ შუქურის კოშკი კი არ არის, არამედ ციხესიმაგრეცაა, რომელსაც სამასზე მეტი ოთახი აქვს და მასში კარგა მოზრდილი გარნიზონიც დგას. კოშკში შესულნი განცვიფრებით ვათვალიერებთ თაღებს, აღტაცებულნი ვართ არქიტექტორის, კნიდოსელი სოსტრატეს ხელოვნებით, განსაკუთრებით შუქურისათვის საწვავის მიწოდებით. საძირკვლის დონიდან დაწყებული ფართო სპირალური დვრეფნები მიემართებიან აღმა იმგვარი დახრილობით, რომ დატვირთული ცხენები, თვით ფორნებიც კი იოლად ახერხებენ ზეასვლას. ამ გზის თავზე კარიბჭეა, იქვე ამწეა, რომელიც ეზიდება საწვავს მწვერვალის მაყალზე, დღენიადაგ რომ ხრჩოლავს სილურჯეში. ცეცხლს იქვე უდგას ვეება სარკე „პრიალა ქვისა“, როგორც ჩანს შუშისა, რომელიც აძლიერებს ნათელფენას იმდენად, რომ მისი დანახვა შესაძლებელი ხდება ზღვიდან სამასი მილის მანძილზე.

აი, ყველაფერი, რისი თქმაც შეგვიძლია დაბეჯითებით ალექსანდრიის შუქურის, ანუ ფაროსის შესახებ. რა თქმა უნდა, ბევრი ლეგენდაც არსებობს. არაბები, რომელთაც დაიპყრეს ეგვიპტე მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, მრავალ საოცრებას ჰყვებოდნენ: მაგალითად იმას, რომ სარკის შებრუნება შეიძლებოდა იმგვარად, რომ მზის სხივების ფოკუსში მოქცევის შედეგად შეიძლებოდა მტრის გემების დაწვა ასი მილის მანძილზე; რომ სარკეში შეიძლებოდა დანახვა იმისა, რაც ხდებოდა კონსტანტინოპოლში, მარმარილოს ზღვის პირას. ამ აღმოსავლური ფანტაზიების კიდეგან, ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოსტრატემ გამოიგონა ახალი ფორმის ლინზა, რომელიც იძლეოდა უფრო ძლიერ შუქს, ვიდრე დღემდე არსებული სხვა ლინზები.

არაბთა ალემრწმენობამ და სიხარბემ ბოლო მოუღო ფაროსს. მუსულმანთა მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ მათ შეინარჩუნეს შუქურა, რომელიც, რა თქმა უნდა, დიდად ეხმარებოდა მათ ნაოსნობაში. კონსტანტინოპოლის ქრისტიანი იმპერატორი მიხვდა ამას და გადაწყვიტა ხრიკი ეღონა მის დასანგრევად. მან გააგზავნა დესპანი ალ-ვალიდის კარზე და დაავალა ხალიფის ნდობა დაემსახურებინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ემისარმა დაიწყო გავრცელება ზღაპრული ამბებისა ფაროსის ძირში დამარხული საუნჯის შესახებ. ოქროსმოყვარულ არაბებს სულმა წასძლიათ და დაიწყეს შენობის ნგრევა. თავდაპირველად დიდი სარკე ჩამოუშვეს. შენობა ნახევრამდისაც არ იყო დანგრეული, რომ ხალიფა მიხვდა ხრიკს. მან გასცა ბრძანება მისი აღდგენისა, მაგრამ ეს აღემატებოდა არაბთა შესაძლებლობებს.

სარკის გადაადგილების დროს იგი გადმოუვარდათ და დაიმსხვრა, ახალი სარკე კი ვეღარ გააკეთეს. შემდეგ სცადეს კოშკის აღდგენა აგურებით, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იგი მეჩეთად აქციეს.

მეათე საუკუნეში, როდესაც ქაირო აშენდა, ალექსანდრია თითქმის მიტოვებულ ქალაქად იქცა. ოთხი საუკუნით გვიან მიწისძვრა მოხდა დელტაში და სამყაროს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთის ნაჩენიც განადგურდა ნავსადგურში. ამჯერად აღარაფერია შემორჩენილი, თუმცა ზოგი ამტკიცებს, რომ მშვიდი, დაწმენდილი ზღვის ფსკერზე შეიძლება დანახვა მისი საძირკვლის ნაშთებისა.

თუ ავიღებდით გეზს აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთი საოცრების, ბაბილონის დაკიდებული ბაღებისაკენ, ხანგრძლივი და რთული სახმელეთო მოგზაურობა დაგვჭირდებოდა. ჯერ ალექსანდრიიდან მოგვიხდებოდა ზღვით მოგზაურობა ძველი ფინიკიის ერთ-ერთ პორტამდის—ტეიროსამდის ან ბიბლოსამდის; შემდეგ ლიბანისა და ლიბანის გაღმა ქედების გადავლით, აღმოსავლეთით მივყვებოდით იმ გეზს, რომელიც შესაძლოა, აიღო ალექსანდრემ აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს. ჩვენ გადავკვეთდით სირიის დიდ უდაბნოს, ალბათ ქარავნით, ბედუინი ნომადებისაგან თავდასაცავად, ვიდრე ოთხასიოდე მილის გავლის შემდეგ არ ვუწევდით ევფრატის ველს. აქ ავიყვანდით ნავს ან ტივს და დავყვებოდით დინებას კვლავ 400 მილის მანძილზე იმ გეზით, რომელსაც ალბათ მიჰყვებოდნენ დამპყრობლები: ასირიელნი, სპარსელნი, მაკედონელნი, რამეთუ ბაბილონი, ერთ დროს უდი-

დესი და უმდიდრესი ქალაქი ანტიკური აღმოსავლეთისა, დიდი საცთური იყო ყველასათვის. დაახლოებით ორი ათასი წლით ადრე ქრისტეს შობამდე იგი იყო სატახტო ქალაქი ხამურაბისა. დიდი მპყრობლისა და სჯულისმდებლის შემდეგ იგი ხელთ იგდეს ასირიელებმა, კვლავ აღორძინდა მცირე მეფეთა, კასიტის დინასტიის წარმომადგენელთა ხელში, ვიდრე მეშვიდე საუკუნეში კვლავ არ დაიწყო მისი ზეობა ისეთი მეფეების ხელში, როგორნიც იყვნენ ნ ე ბ უ ქ ა დ ნ ე ზ ა რ ი, ნაბონიდუსი და ბელშეზერი, რომელშაც „იხილა კედელზე წერილი“.

ნებუქადნეზარმა, ამ ახალ ბაბილონელ მონარქთა შორის უდიდესმა, დიდებული გალავნით შემოზღუდა ქალაქი, რომელიც იმდენად განიერი იყო, რომ ორი ეტლი გაჭენდებოდა ზედ; მან დაამშვენა ქალაქი ტაძრებით, სასახლეებით, ბრინჯაოს ვეება კარიბჭეებით, დაკიდებული ბაღებით.

სიტყვა „დაკიდებული“ არასწორი თარგმანია ბერძნული სიტყვისა „კრემასტოს“ და ლათინური „პენსილისა“. რომაული „პენსილიები“ ეწოდებოდა ტერასებს და თუ გულდასმით შევისწავლით თანამედროვეთა მონაცემებს და ზოგიერთ სხვა მასალას, რაც შემორჩა დღემდის, ნათელი გახდება, რომ ნებუქადნეზარის ბაღები „დაკიდულნი“ როდი იყვნენ, ისინი გაშენებულნი იყვნენ დიდი ტერასების სერიებზე, რიგებად მისდევდნენ ურთიერთს მასიურ თაღოვან სტრუქტურებად, ხოლო ამ ხელოვნური მთის მორწყვა ხდებოდა ქვემოდან ამოტუმბული წყლით, ფუძიდან მწვერვალამდე.

არსებობს მომხიბლავი ლეგენდა (რომელიც შესაძლოა, სინამდვილეც იყოს) იმის შესახებ, თუ როგორ შეიმუშავა მეფემ ეს გეგმა.

როდესაც ბაბილონზე ბატონობდნენ ასირიელები, ნებუქადნეზარმა კავშირი შეკრა სიაქსერესთან, მიდიელების მეფესთან. მან იცოდა, რომ იგი ემზადებოდა ნინევიის, ასირიელთა დედაქალაქის, დასალაშქრად. ნინევია დააქციეს, ხოლო ნებუქადნეზარმა შეირთო ასული თავისი მოკავშირისა, მიდიელი მეფის ასული, რომელიც, როგორც მსგავს ლეგენდებს სჩვევია, გამოირჩეოდა თავისი სიტურფით. ბაბილონში მობრუნებისას ნებუქადნეზარმა დაინახა, რომ პატარძალი არ იყო ბედნიერი. მიდიელთა სამეფო, მისი სამშობლო, მთაგორიანი ქვეყანა იყო, ბაბილონი კი მოსაწყენ ვაკეზე მდებარე-

ობდა. ხელმწიფემ დაინახა, რომ ნეფის ასული მისტიროდა თავის მშობლიურ მთებს და ამიტომ გადაწყვიტა მისთვის აეგო მთა ბაბილონშივე.

მან თავი მოუყარა თავის საუკეთესო არქიტექტორებს, ინჟინრებსა და ხელოსნებს და აუხსნა თავისი გეგმა, რაც ფრიად ძვირი დაჯდებოდა, მაგრამ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ ამით დედოფალი შეეგუებოდა თავის ახალ ოჯახს. ამ გეგმით მეფის სასახლის მახლობლად უნდა აშენებულიყო დიდი ტერასებიანი სტრუქტურა, 350 ფუტის სიმაღლისა, სადაც დარგავდნენ ხეებს, ბუჩქებს, დათესავდნენ ბალახს და გააშენებდნენ ყვავილნარებს. მესოპოტამიის ეს ნაწილი გვალვიანია, ასე რომ მცენარეულობის მორწყვისათვის საჭირო იქნებოდა წყლის ამოქაჩვა ევფრატიდან. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილი იყო გეგმისა. ნაგებობის ქვედა ნაწილებში დიდი პალატები იყო ჩაფიქრებული, რომლებშიც შუა ზაფხულში სიგრილე იქნებოდა, ვინაიდან მათ ფანჯრებს ფარდების მსგავსად გადაეფარებოდა სარწყავი წყლის ჩქერალები. ამ პალატებში, რომელნიც გადმოსცქეროდნენ მოფუსფუსე ქალაქს, იცხოვრებდნენ დედოფალი და მისი ქმარი, რომელთაც არ შეაწუხებდათ მესოპოტამიური ზაფხულის ხვატი.

ამრიგად, დაკიდებული ბაღების მშენებლობის ისტორია სიყვარულის ისტორიაა, თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რა ზომამდე შეიძლებოდა მისულიყო აღმოსავლელი დესპოტი, რათა ეამებინა თავისი ვნების ობიექტისათვის. უფრო ფართო გაგებით, ეს არის მაგალითი ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილებისა და, როგორც ასეთი, შეიძლება გაუთანაბრდეს, წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით, ისეთ თანამედროვე საოცრებებს, როგორიცაა „ტენესი ველი აუთორიტი“ ან, გრეიტ ბაულდერ დამი.[1] როგორც ჩანს, ნებუქადნეზარმა და მისმა არქიტექტორებმა თავი გაართვეს თავიანთი გეგმის განხორციელებას, თუმც შესაძლოა ძალზე ძვირი დაუჯდათ იგი. მაგალითად, მესოპოტამიაში არ მოიპოვება ქვა. ძველი ბაბილონური ქალაქები აგურით არიან ნაშენნი. ქვა იმდენად იშვიათი რამ იყო, რომ კარისათვის განკუთვნილ ქვის ჩარჩოებს ინახავდნენ, როდესაც ანგრევდნენ ამა თუ იმ

[1] საირიგაციო ნაგებობანი აშშ-ში (მთარგმ.) –

სასახლეს ან ტაძარს, რათა ხელახალი მშენებლობისას გამოეყენებინათ ისინი. დაკიდებული ბაღების მძლავრი სუპერსტრუქტურისათვის კი ქვა აუცილებელი იყო; ამიტომ ქვას ეზიდებოდნენ უშველებელი მანძილებიდან, რაც ძალზე ძვირი ჯდებოდა, და იყენებდნენ მშენებლობაში. ამას აღნიშნავენ ანტიკური ავტორები და ამასვე ადასტურებს რობერტ კოლდუეი, გერმანელი არქეოლოგი, რომელმაც გათხარა ბაბილონი პირველ მსოფლიო ომამდე. მეორე ტექნიკური პრობლემა, რომელიც იდგა მეფის ინჟინრების წინაშე, იყო პალატების დაცვა მათს სახურავზე გაშენებული ბაღებიდან წყლის გამოჟონვისაგან. მათ დაძლიეს ეს პრობლემა სახურავზე ლაქაშისა და ასფალტის დაგებით, ხოლო ზემოდან ტყვიის სქელი ფენების დასხმით.

ი. ა. ბრენდონი წერს, რომ სიდიდით და გრანდიოზულობით დაკიდებული ბაღები ვერ შეედრებოდნენ ნებუქადნეზარის უშველებელ სასახლეს, ვერც ღმერთის, ბელ მარდუკის, ბაბილონელთა მცველი ღვთაების ტაძარს — რვა სართულიან კოშკისებურ ნაგებობას, რომელსაც ორი დიდი ოქროს საკურთხეველი აგვირგვინებდა. სიმშვენიერით, გრაციოზულობითა და მომხიბლაობით კი დაკიდებულ ბაღებს არ ჰქონდათ ბადალი. მათ ეჭირათ დაახლოებით კვადრატული მილის მეოთხედი ფართობის მოედანი სამეფო სასახლის მთავარი ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთით (ი. ა. ბრენდონი, ბაბილონის დაკიდებული ბაღები. წარსულის სასწაულები, ჰამბერტონი, ლონდონი, 1924 წ.).

კლასიკური ხანის ყველა მწერალი, რომელთაც უნახავთ ბაბილონი, ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ საუცხოო ქალაქში ვერც ერთი შენობა ვერ შეედრებოდა დაკიდებულ ბაღებს. ეს ადამიანები გაუნათლებელი ბარბაროსები კი არ იყვნენ, არამედ ბერძნული და რომაული ცივილიზაციის შვილები, რომელნიც, ასე თუ ისე, ზემოდან დასცქეროდნენ ანტიკურ აღმოსავლეთს. მათ ენახათ პირამიდები, ფაროსი, როდოსის კოლოსი, არტემიდეს ტაძარი და სხვა ყოველივე დანარჩენი; მაგრამ მათ უყოყმანოდ უწოდეს ნებუქადნეზარის ნაგებობას სამყაროს ერთი შვიდ საოცრებათაგანი.

ვაი, რომ აღარც ბაბილონია შემორჩენილი და აღარც მისი ბაღები, თორემ შევამოწმებდით მათი მონაცემების სიზუსტეს. ძალუძთ თუ არა ამ აღწერებს, ძუნწ არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად, დაგვისურათხატონ დაკიდებული ბაღები იმ სახით, რომლითაც ისინი არსებობდნენ მესამე საუკუნეში ქრისტემდე? ჩემის აზრით ძალუძთ.

მიუხედავად სხვადასხვა აღწერებს შორის არსებული ზოგი წინააღმდეგობისა, ზოგიერთი ფაქტი ნათელია. ბაღები გაშენებული იყო ფართო გადმოწოლილ ტერასებზე, რომელთაც ჰქონდათ საფეხურების ფორმა, დაახლოებით 400 ფუტის სიმაღლეზე. ამ ტერასებს იკავებდა მძიმე თაღები. მათზე დაგებული იყო მიწის სქელი ფენები, რაც საკმარისი იყო არა მხოლოდ ყვავილების, არამედ დიდი, ნაყოფიერი ხეების ზრდისათვისაც. ბაღების ირიგაცია ხდებოდა ჰიდრავლიკური ტუმბოებით, რომელთაც ხელით ამუშავებდნენ, ან შესაძლოა, ხარებით, ამის შესახებ არაფერია ცნობილი; აზიის სხვადასხვა კუთხიდან მოტანილი ყვავილები გაფურჩქვნილიყვნენ პლატფორმებზე, რომელთაც მზის მცხუნვარებისაგან იცავდნენ უხვნაყოფიანი ხეები. ჰაერი ყვავილების სურნელით იყო გაჟღენთილი, გამაგრილებელი წყლის ჩქერალებს მიღმა პალატებში ცხოვრობდა მიდიელი დედოფალი და მისი ბრწყინვალე კარი.

ქვევით, ხვატსა და მტვერში გაწოლილიყო მძლავრი ქალაქი ევფრატის ორივე ნაპირზე: გალავნიანი კოშკები, სასახლეები, ტაძრები; ქუჩებს ესაზღვრებოდა ამწვანებული ველები, საირიგაციო არხებით დასერილნი, მათ მიღმა კი გაწოლილიყო რუხი ფერის მშრალი უნაყოფო ველი, რომელზეც მტვრის სვეტები დგებოდა ხოლმე ქარისაგან დროდადრო...

ბაბილონი რომ მოგვენახულებინა მესამე საუკუნეში, ვნახავდით, რომ მისი სიდიადე დაკნინების გზაზე იდგა უკვე. მეხუთე საუკუნეში სპარსეთის მეფე კიროსმა დაიპყრო ბაბილონი და აქედან დაიწყო მისი დაცემა. იყო ერთი დრო, როდესაც ალექსანდრემ, მაკედონიის გმირმა, ბაბილონის დაპყრობის შემდეგ (323 წ. ქრისტემდე) განიზრახა მისი გადაქცევა თავისი აღმოსავლური იმპერიის დედაქალაქად, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეებმა ადმინისტრაციული ცენტრი სელევკიაში გადაიტანეს, ხოლო ბაბილონი თავისი საბოლოო დაცემის გზას დაადგა.

1903 წელს, ორ ათას წელზე მეტი ხნის შემდეგ, რობერტ კოლდუეიმ ჩაატარა სისტემატური გამოკვლევა და გათხარა ბაბილონის ნანგრევები, რომელიც იმ დროისათვის აგურის ყორლანების გროვას

წარმოადგენდა. ნაბუქადნეზარის სასახლის ნარჩენების მახლობლად იგი და მისი შტაბი წააწყდნენ დიდ თაღოვან აკლდამას თუ სარდაფს, რომელიც წარმოადგენდა საძირკველს ისეთი შენობისას, რომელიც ყველა სხვა შენობისაგან განსხვავდებოდა შემოგარენში. მისი მშენებლობისას უხვად გამოეყენებინათ ქვა, იქვე აღმოჩნდა გამომწვარი თიხის წარწერებიანი ფირფიტები, სჩანდა, რომ ეს სარდაფი იყო საწყობი სურსათ-სანოვაგისა, სინამდვილეში ერთგვარი მაცივარი. ცენტრალური დერეფნის ორივე მხარეს კოლდუეიმ აღმოაჩინა შვიდი თაღოვანი სათავსო, რომელიც ფრიად ჰგავდა ანტიკური მწერლების მიერ აღწერილ თაღოვან პალატებს დაკიდებული ბაღებისას. კოლდუეის სწამდა, რომ ეს იყო საფუძველი ნებუქადნეზარისეული ნაგებობისა, რომლის ზედა ნაწილიც მთლიანად განადგურდა.

ერთმა მცირე აღმოჩენამ განამტკიცა მისი რწმენა. ამ თაღოვანი სტრუქტურის დასავლეთ კედელთან კოლდუეიმ აღმოაჩინა უცნაური ჭა, რომლის მსგავსიც მას არ ენახა არც ბაბილონში და არც სხვაგან.

„მას აქვს ურთიერთმიჯრილი სამი ხვრელი (წერს კოლდუეი). ოთხკუთხა ხვრელი ცენტრშია, ხოლო წაგრძელებული ხვრელები გვერდებზე — წყობა, რომლის ახსნაც შეუძლებელია სხვაგვარად, თუ არ წარმოვიდგენთ, რომ აქ იდგა მექანიკური ჰიდრავლიკური მანქანა, რომელიც თანამედროვე ტუმბოს მსგავსად მუშაობდა... ეს გამოგონება... გამუდმებით ქაჩავდა წყალს". (რ. კოლდუეი, ბაბილონის გათხრები, მაკმილანი (1914 წ.).

ნებუქადნეზარი მხოლოდ სახელია ძველ აღთქმაში. მისი მშენებელი მიდიელი დედოფალი ლეგენდაა. მათი ფრესკებიანი დარბაზები, კანდელაბრები, ოქროცურვილი ავეჯი, დოსტაქანნი, მონები და მოცეკვავე ასულნი, ხეებით გადაჩრდილული, უხვად დანამული ყვავილნარიანი ტერასები, — ყოველივე წარხდა. შემორჩა მხოლოდ სარდაფი და ცარიელი ჭა, სადაც მონები და ცხოველები დაუსრულებლად შრომობდნენ ბნელში...

8. ქანდაკება და აკლდამა

„ის კოლოსივით დასცქეროდა ვიწრო სამყაროს, ლაჯებგაშლილი. ჩვენ, პატარა კაცუნებივით, ომის ველებ ფეხებს შორის მიმოვდიოდით.“

შექსპირი

ეს სიტყვები შექსპირმა ათქმევინა კასიუსს „იულიუს კეისარში“. მათში აირეკლა შუასაუკუნეობრივი ტრადიცია როდოსის კოლოსის შესახებ; ამ ტრადიციის მიხედვით კოლოსი მართლაც იდგა ნავსადგურის შესასვლელში, ერთი ფეხი ერთ ჯებირზე ედგა, ხოლო მეორე — მეორე ჯებირზე. ეს ილუზიაა, რომელიც თავიდანვე უნდა დავიეიწყოთ; ვინაიდან ამ ქანდაკების მნახველი არც ერთი ავტორი არ აღნიშნავს, რომ იგი ასეთი ზომისა იყო და ნავსადგურის ორივე მხარეს ედგ ფეხები. მაინც საკმაოდ დიდი იყო იგი. პლინიუსი წერდა მის შესახებ:

„აღტაცების ღირსია მზის ღმერთის კოლოსალური ქანდაკება, ქარეს ლინდიელის ნამუშევარი, რომელიც უწინ იდგა როდოსზე და რომლის სიმაღლეც უდრიდა სამოცდაათ წყრთას. ქანდაკება, რომელიც ორმოცდათექვსმეტ წელს იდგა, ხოლო შემდეგ დაამხო მიწისძვრამ, მიწაზე გართხმულიც კი აღაფრთოვანებს მნახველს. რამდენიმე კაცი თუ შემოაწვდენს ხელს მის ცერ თითს. მისი თითები სხვა ქანდაკებებს უდრის სიდიდით. სადაც კიდურებია მოტეხილი, გამოქვაბულებივით ღრმულები მოჩანს, შიგნითაც მოსჩანს ქვის დიდი მასები, რომელთაც იყენებდა ავტორი მისი დადგმისას“.

ფილონ ბიზანტიელი, რომელმაც დაახლოებით 146 წელს ქრისტემდე დაწერა პირველი წიგნი სამყაროს შვიდი საოცრების შესახებ, შემდეგნაირად აღწერს ქანდაკებას:

„როდოსში დაიდგა კოლოსი 70 წყრთის სიმაღლისა, რომელიც წარმოადგენს მზის ქანდაკებას: ღ ვ თ ი ს ხ ა ტ ე ბ ა, ნ ა ც ნ ო ბ ი მ ი ს შ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ თ ა თ ვ ი ს. ხელოვანმა იმდენი ბრინჯაო დახარჯა, რომ გამოიწვია ბრინჯაოს ნაკლებობა ჩამოსასხმელ საამქროებში; ამ ქანდაკების წაქცევა დიდი ზეიმი იქნებოდა რვალითხუროთათვის. ხელოვანმა შიგნიდან განამტკიცა ბრინჯაო რკინით და ქვის ოთხკუთხა ბლოკებით, რომელთა დამაკავშირებელი ღეროები ატა-

რებდნენ ნიშნებს ურიოი დამუშავებისას, რასაც ალბათ ციკლოპური ძალა დასჭირდებოდა, ასე რომ დაფარულ ნაწილს უფრო დიდი შრომა დასჭირდა, ვიდრე ხილულს... მან თეთრი მარმარილოს კვარცხლბეკი გაუკეთა ქანდაკებას და პროპორციულად განალაგა ზედ წვივები, რომელთაც დაეყრდნო ღმერთის ქანდაკება 70 წყრთის სიმაღლისა. კვარცხლბეკის სიმაღლე (ტერფების დონე) იმდენად დიდი იყო, რომ აჭარბებდა ყველა არსებულ ქანდაკებას, ასე რომ, შეუძლებელი ხდებოდა დანარჩენი ქანდაკების აზიდვა ზემოთ; წვივები შეივსო სხვა მასალით და ქანდაკება ნაწილ-ნაწილ აიტანეს ზემოთ. შენობასავით".

ფილონი აღწერს, როგორ მოამზადა ქარესმა თავდაპირველად მოდელი ქანდაკებისა, შემდეგ ჩამოასხა მისი ნაწილები ბრინჯაოში და სათითაოდ მიუსადაგა ურთიერთს, ვიდრე არ ააწყო მთელი კოლოსი.

„მოქანდაკემ თანდათანობით ჩაფლა მიწის ყორღანებში ქანდაკება, რითაც დაფარა მისი დასრულებული ნაწილები და შესაძლებელი გახადა დანარჩენი ნაწილების დასრულება მიწის ზემოთ. ასე თანდათანობით განახორციელა მან თავისი ჩანაფიქრი, რისთვისაც 500 ტალანტი ბრინჯაო და 300 ტალანტი რკინა დახარჯა. საბოლოოდ მან ჩამოასხა თავისი ღმერთი, რომელიც მართლაც ღვთისსწორი გახდა. თავისი ამ მძლავრი ქმნილებით მან მსოფლიოს მისცა მეორე მზე, პირველის ბადალი" (ელინისტური კვლევის ჟურნალი, ლონდონი, ტ. XXVI, 1956).

ფილონი მექანიკოსი იყო და ამიტომ მას დიდად აინტერესებდა ქანდაკების ტექნიკური კონსტრუქციის საკითხები. მაგრამ არანაკლებ ღირსშესანიშნავი ამბავია ის, რომ ეს იყო ამავე დროს დიდი ხელოვანის ქმნილება. მისი მნახველნი, რომელთაც ჰქონდათ შესადარებელ სტანდარტებად ფიდიასისა და პრაქსიტელესის ქმნილებანი, აღნიშნავენ, რომ ასეთი სრულყოფილი მოდელი ადამიანის ფორმისა ჯერაც არ შექმნილა დედამიწის ზურგზე. და მაინც, არსებობს გადმოცემა (თუმც არ ვიცით, რამდენად შეესაბამება იგი სინამდვილეს), რომ მოქანდაკემ, დაასრულა რა თავისი ქანდაკება, აღმოაჩინა შეცდომა თავის გაანგარიშებაში და თავი მოიკლა.

ფილონის, პლინიუსისა და სხვათა აღწერების მიხედვით ნათელია, რომ კოლოსი იყო შიშველი ფიგურა მზის ღმერთისა, ჰელიოსისა (აპოლონისა), რომელიც იდგა მაღალ კვარცხლბეკზე, ჯებირის თავში

და გადასცქეროდა ნავსადგურს. მისი სიმაღლე, ჰერბერტ მარიონის უკანასკნელი საინტერესო გამოკვლევის მიხედვით, იყო დაახლოებით 120 ფუტი თავიდან ფეხებამდე, კვარცხლბეკის გამოკლებით. რომელიც, როგორც ფილონი აღნიშნავს, აღემატებოდა სიმაღლით ყველა სხვა ქანდაკებას. ამრიგად, მიწის დონიდან კოლოსის სიმაღლე, როგორც ჩანს, 150 ფუტამდე იყო[1], რაც აღემატება ვრენის მონუმენტს კრეიტ ფაირში, ლონდონში. იგი ბრინჯაოს დიდი ფურცლებისაგან იყო აგებული, რომელნიც მარიონის გამოთვლით, ბრინჯაოს მონეტის სისქისა იყვნენ. სამაგიეროდ ქანდაკება შიგნიდან იყო გამაგრებული რკინის მძლავრი საყრდენებით და ქვის ბლოკებით.

რა იყო მიზეზი კოლოსის დადგმისა?

ამ კითხვაზე პასუხი ისეთივე ზეაღმტაცი ისტორიაა გმირობისა, როგორც თავად ქანდაკების შექმნა. როდოსი, მცირე აზიის სამხრეთ დასავლეთი სანაპიროს მცირე კუნძული, მუდამ დიდი სტრატეგიული და კომერციული მნიშვნელობის პუნქტი იყო. ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში (1500 წ. ქრისტემდე) მისი მოსახლეობა გამოირჩეოდა ზღვაოსნობითა და ვაჭრობით; მათ ჰქონდათ კონტაქტები კუნძულ კრეტის ცივილიზაციასთან, ხოლო მოგვიანებით, როდესაც დორიელმა ბერძნებმა დაიწყეს როდოსის კოლონიზაცია, დაახლ. 1000 წ. ქრისტემდე, მათ ააშენეს მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ნავსადგური და ქალაქი, რომელიც ათენს უწევდა მეტოქეობას. ლითონის დამუშავების ხელოვნებით, როდოსელნი სახელგანთქმულნი იყვნენ ნილოსიდან ევფრატამდის და ერთხანს ისე გამდიდრდნენ, რომ ათენელებსაც კი შური აღეძრათ, ვინაიდან როდოსელებმა საბოლოოდ გადაეჯრბეს მათ სიმდიდრით. ამასობაში მათი საზღვაო ვაჭრობა ვითარდებოდა და მათი კეთილდღეობა იზრდებოდა. ერთხანს ისინი ეშორჩილებოდნენ მაუზოლუსს, კარიელ მეფეს მცირე აზიაში, რომლის აკლდამაც მოგვიანებით გადაიქცა სამყაროს ერთ-ერთ საოცრებად; შემდეგ, მეხუთე საუკუნეში, როდოსი დაიპყრო სპარსთა მეფემ დარიოსმა, რომელმაც იგი შეუერთა თავის იმპერიას.

340 წელს ქრისტემდე ალექსანდრე დიდმა დაიპყრო კუნძული; რამდენადაც იგი მაკედონელი იყო და ელინი როდოსელთა მსგავსად,

---

[1] 50 მეტრი (მთარგმ.).

მის მიერ დადგმული უღელი არ იყო მიიმე. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ისინი კვლავ განთავისუფლდნენ და აქედან დაიწყო მათი კეთილდღეობისა და ძლიერების უდიდესი პერიოდი. როდესაც ახალი დედაქალაქი, ალექსანდრია, გადაიქცა ხმელთაშუა ზღვის აუზის ვაჭრობის ცენტრად, როდოსის გემები ეზიდებოდნენ მისკენ აღმოსავლეთის სიმდიდრეს და ანაწილებდნენ ეგვიპტის ნაწარმს მთელს ხმელთაშუა ზღვის სამყაროში, პტოლემესეულ დედაქალაქთან ამ მჭიდრო კავშირმა მოუტანა ომი როდოსელებს. როდესაც პტოლემე I ჩაება ომში ანტიგონესთან, მაკედონიის მმართველთან, როდოსელებმა მჩარი დაუჭირეს პტოლემეს გემებით. ანტიგონემ არ დაივიწყა ეს და 307 წ. ქრისტემდე გაგზავნა მძლავრი დამსჯელი ექსპედიცია როდოსზე, თავისი ვაჟის დემეტრიოსის სარდლობით.

ორმოცი ათასი კაცი ახლდა დემეტრიოსს, რაც როდოსის მთელ მოსახლეობას აღემატებოდა, ისინი შეჭურვილნი იყვნენ იმ დროის უმძლავრესი საალყო არტილერიით, ვერძებით, ზამბარიანი სასროლებით და ა. შ. მცირე კუნძული ძნელად თუ გაუმკლავდებოდა ამგვარ არმადას, მაგრამ გარემოცულმა როდოსელებმა იწყეს მზადება. ისტორიკოსნი მოგვითხრობენ, რომ მონებსაც კი დაურიგეს იარაღი და დაჰპირდნენ აზატობას დემეტრიოსზე გამარჯვების შემთხვევაში. ქალებმა თმები მოიკვეცეს და მშვილდის ლარებად აქციეს, ხოლო თავად ღამღამობით საჭურველს ამზადებდნენ. როდოსელებმა დაარღვიეს ტაძრები და მოზიდეს ქვა გალავნის სუსტი ადგილების გასამაგრებლად

როდოსელნი იბრძოდნენ ალყაშემორტყმულნი, იზოლირებულნი, შველის იმედს მოკლებულნი, ხოლო დემეტრიოსსა და მის 40 ათას მეომარს იერიში იერიშზე მიჰქონდათ, იკაფავდნენ გზას და უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ციტადელს. რამდენჯერმე შესთავაზეს როდოსელებს, დაგვნებდითო, მაგრამ მათ ზიზღით უკუაგდეს ეს წინადადებანი. შიმშილმა და სახადმა ვერ გატეხა წინააღმდეგობა. როდოსელნი, სხვა არა იყოს რა, ბერძნები იყვნენ და მათ წინაშე იყო მაგალითები მარათონისა და თერმოპილესი. ისინი იბრძოდნენ თავდადებით და იმედის გარეშე, ისევე როგორც სპარტელები თერმოპილეში. თუმც სპარტელებისგან განსხვავებით, რომელნიც ერთიანად გაწყდნენ, როდოსელთა სიმამაცე დააჯილდოვა განგებამ. 306 წელს ქრისტემდე, პტოლემეს გაახსენდა კუნძულელთა სამსახური, მისადმი

გაწეული, და იგი დაიძრა მძლავრი ფლოტით კუნძულისაკენ. დემეტ-
რიოსი იძლებული გახდა უკან დაეხია და როდოსი გადარჩა.

პტოლემესადმი მადლიერების გამოსახატავად, რომელსაც უწო-
დეს „სოტერ“ (მხსნელი), კუნძულელებმა გადაწყვიტეს უკვდავყოფა
თავისი გადარჩენის დღის ხსოვნისა. მაგრამ დახეთ გაუსხვავებას ჩვენს
სამყაროსა და ანტიკურს შორის — მათ პტოლემეს როდი დაუდგეს
ძეგლი, როგორც ბრიტანელთ აღუმართეს ქანდაკება ფრანკლინ რუზ-
ველტს გროსვენორის პარკში. ნაცვლად ამისა, მათ მოიწვიეს ქარესი,
მოწაფე სახელგანთქმული ლისიპესი, ალექსანდრეს ფავორიტისა, რა-
თა ჩამოესხა უშველებელი ძეგლი მათი მფარველი მზის ღვთაების
ჰელიოსისა და დააყენეს ქანდაკება თავიანთი ნავსადგურის კარიბჭესთან.

თავად ქარესი მამაცურად იბრძოდა როდოსის დასაცავად; განა
შეიძლებოდა უფრო შესაფერისი ოსტატის პოვნა? მისი დასაქმებით
როდოსელებმა შეფარულად აამეს თავიანთ მხსნელს, ვინაიდან პტოლემე
ალექსანდრეს გენერალი იყო, ხოლო ლისიპე ქარესის ოსტატი, ალექ-
სანდრეს საყვარელი მოქანდაკე. მეფის ბრძანებით, მხოლოდ მას
ჰქონდა განსაკუთრებული პრივილეგია იმპერატორის სახის გამოქანდა-
კებისა. კოლოსის ასაგები მასალაც იქვე იყო, დამარცხებული დემეტ-
რიოსის საალყო მანქანების სახით, ეს მანქანები გადაადნეს, ბრინჯაოდ
აქციეს და ქარესმაც დაიწყო თავისი დიდი საქმე.

ფილონის მონაცემებიდან ჩანს, რომ მოქანდაკე იყენებდა ისეთ-
სავე საკონსტრუქციო ჩარჩოს, როგორსაც ეგვიპტელნი იყენებდნენ
პირამიდების მშენებლობის დროს. მარიონი ბრიტანეთის ე ლ ი ნ ურ ი
ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა დ მ ი გაგზავნილ თავის მოხსენებაში წერს:

„გავითვალისწინოთ რამდენიმე მომენტი საქმის მიმდინარეობისა,
წარმოვიდგინოთ, რომ ვდგავართ მიწის უშველებელი ყორღანის
მწვერვალზე, რომელზედაც ავცოცდით სპირალური ბილიკით. ირგვ-
ლივ ფართო ხიდია; ჩვენს ფერხთითაა პატარა ქალაქი როდოსი თავი-
სი ნავსადგურებით, კლდოვანი ნაპირი შორს გაწოლილა. ზღვის გაღ-
მა, რამდენიმე ათეული მილის მანძილზე, მცირე აზიის სანაპიროა.
ჩვენს წინ აღმართულია სწორკუთხა ხარაჩოები დაახლოებით 30 ფუ-
ტი ფართობისა, შენობის ჩარჩოს მსგავსად. მასში ვხედავთ ბრინჯაოს,
რომელსაც ახლოდან შეხედვისას ადამიანის ფორმა აქვს. მისი სხე-
ულის ქვედა ნაწილი და ფეხები ღრმა ორმოშია, ეს ორმო ყორღანის
შუაგულშია. ნაპრალებიდან შეგვიძლია დანახვა სხეულის დიდი
ღრმულისა, რომელსაც ყოველი მხრიდან ბრინჯაოს ფურცლები აქვს

შემოკრული. ღრმულის სიღრმიდან ქვის მაღალი სვეტები ამოზრდილან, მათ აქვთ რკინის ღეროების განშტოებანი, რომელნიც იჭერენ ბრინჯაოს კედლებს. იქვე, ყორღანის წვერზე, კოლოსის მოდელი დგას დაზგაზე."

კოლოსის მკერდის გარშემოწერილობა 60 ფუტია, ბარძაყისა — 11 ფუტი, წვივისა — 5 ფუტი. შესაძლოა განგვაცვიფროს იმან, თუ ვით ინარჩუნებდა რეალობის გრძნობას ხელოვანი ესოდენ დიდ განზომილებებში მუშაობისას. მარიონი აღნიშნავს, რომ, როგორც კი დამზადდებოდა ბრინჯაოს თითოეული ფურცელი გასაცივებლად, მას შეადარებდნენ გარედან შელესილ პანელებს, რომელთაგან თითოეულის სიმაღლე იყო სამი ფუტი და რომელნიც წარმოადგენდნენ დასრულებულ მოდელებს ფიგურის ნაწილებისას.

„ზოგჯერ ისინი აწყობდნენ ფურცლებს დიდ ქვიშის ტომრებზე ან ტყვიის გრდემლებზე და ურტყამდნენ მრგვალ უროებს, რათა გაესწორებინათ ამობერილი ან ჩაღრმავებული ფორმები. ისინი ატრიალებდნენ ფურცელს ყოველი მხრიდან და ამრიგად სჭედდნენ სადაც საჭირო იყო. ამგვარი დამუშავების შემდეგ ფურცელი მაგრდებოდა და შემდეგ გამოახურებდნენ მას. ამ სამუშაოს ასრულებდნენ ნახშირის სახმილზე საბერველის ბერვით. გავარვარებული ფურცლები მაშებით გადაჰქონდათ, ხოლო შემდეგ, როდესაც ისინი გაცივდებოდნენ, მათ ხეხავდნენ და წმენდდნენ ქვიშითა და წყლით და კვლავ უკან უბრუნებდნენ ხელოსანს. იგი დაატოლებდა მათ შელესილ პანელს და გააკეთებდა აღნიშვნას, თუ რა მოითხოვდა მოდიფიკაციას.

ბოლოს ფურცელი, ოსტატის ხელში გავლილი, თოკებით აიწეოდა და დაიდგმებოდა. მას ამაგრებდნენ ცენტრალური ღეროდან გამომავალ რკინის შრეებზე. როგორც მარიონი აღნიშნავს, დაგრეხილი ფურცლები იოლად იღუნებოდნენ დეტალური მოდელირების დაწყებამდე.

მჭედლები, რომელნიც სჭედდნენ ჯავშანს და საბარგულებს ბერძენი მხედრებისათვის, იოლად უმკლავდებოდნენ ამგვარ სამუშაოს ეს ისინი თავის სტიქიაში გრძნობდნენ თავს, თანაც მათ მუშაობას წარმართავდა დიდი მოქანდაკე" („როდოსის კოლოსი").

ძალგვიძს თუ არა აღდგენა ამ გიგანტური ფიგურის გარეგნობისა, რომელიც სავსებით განადგურდა ისე, რომ მისი ნამუსრევიც კი არ არის შემორჩენილი? მე ვგონებ ძალგვიძს. ერთი, რომ ჩვენ გაგვაჩ-

ნია ფილონ ბიზანტიელისა და სხვა თვითმხილველ მოგზაურთა მონაცემები. მეორეც, არსებობს სკულპტურული რელიეფი, როდოსში აღმოჩენილი რამდენიმე წლის წინათ, რომლის ზუსტი დათარიღებაც შეუძლებელია და რომელიც, როგორც ჩანს, ასახავს კოლოსს. სტილი შენარჩუნებულია, ქანდაკების იერიც შეეფარდება დედანს. აქ ვხედავთ გაშიშვლებულ კაცს, რომელსაც მარცხენა მკლავზე გადაუგდია ძოსასხამი, ხოლო მარჯვენა თვალზე ხელი მიუჩრდილებია და გასცქერის რაღაც შორეულ ობიექტს. თუ კოლოსი ნავსადგურიდან ოდნავ მოშორებით იდგა და გასცქეროდა აღმოსავლეთიდან ამომავალ მზეს, მაშინ ეს პოზა სავსებით შესაფერისია. თუ იგი რომელიმე სხვა პოზიციაში იდგა, მაშინ იგი გასცქეროდა მხოლოდ რაიმე ბორცვს დაახლოებით ერთი მილის მანძილზე. რელიეფი დაზიანებულია და მხოლოდ ზედა ნაწილია შენარჩუნებული. მაგრამ მესამე საუკუნის ჰელიოსისთავიან მონეტაზე ღმერთის სახეს გარს არტყია „სხივები". როგორც სჩანს, ამრიგად დაამშვენა ქარესმა თავი თავისი კოლოსისა. მოსასხამი, რომელიც მას მარცხენა მკლავზე აქვს გადაკიდული და მიწამდე უწევს. ბრინჯაოში ჩამოსხმისას ფარავდა რკინის საყრდენებს, რომელნიც ფეხების შემდეგ მესამე საყრდენს წარმოადგენდნენ ქანდაკებისას.

III საუკუნეში რომ გვეცხოვრა და ალექსანდრიისა და ბაბილონის მონახულების შემდეგ მოგვენდომებინა ქარესის ქანდაკების ხილვა, ფრთხილად უნდა შეგვერჩია დრო დაახლოებით 280—224 წლამდე (ქრისტემდე), თუ ამ 66 წლის განმავლობაში შევცურავდით როდოსის ნავსადგურში, განთიადისას დავინახავდით ისეთ რამეს, რასაც არ უარსებია არც მანამ, არც შემდგომში: ბრინჯაოს ქანდაკებას, რომელიც ოცდაათჯერ და უფრო მეტად აღემატებოდა ადამიანის სიმაღლეს, ცაში ატყორცნილს და ალიონის სხივებზე მოელვარეს; ღმერთის ფიგურას ადამიანის სახით ესოდენ დიდს და ესოდენ ზედმიწევნით პროპორციულს, რომლის მშვენებაც ატყვევებდა მნახველს — თვით იმათაც კი, ვისაც ენახა პირამიდები, დაკიდებული ბაღები და ალექსანდრიის შუქურა.

მაგრამ ფილონთან, პლინიუსთან და სხვებთან ერთად რომ მოსულიყავით როდოსზე ძვ. წ. 224 წლის შემდეგ, ნახავდით მხოლოდ

მარმარილოს კვარცხლბეკს და მასიურ ფეხებს, გადაბელილი ხეებივით ამოჩრილებს.

დანარჩენი ქანდაკება იქვე იქნებოდა გართხმული, ვეება თავი სანახევროდ მიწაში იქნებოდა დაფლული, ტანი გამსკდარი და დაინახავდით მის „ბნელ ღრმულებს" პლინიუსის მიერ აღწერილთ. ჩვენ შეეცდებოდით მის ცერზე მკლავების შემოწვდენას, როგორც პლინიუსმა სცადა; დავათვალიერებდით თითებს, რომელნიც სხვა ქანდაკებათა უმრავლესობას აჭარბებენ სიდიდით და ბნელს სტომაქში დავათვალიერებდით მასიურ რკინის ღეროებს, რომელნიც გადაღუნულიყვნენ მას შემდეგ, რაც ძვ. წ. 224 წელს მიწისძვრამ დაამხო კოლოსი.

მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთისა და ეგვიპტის ყველაზე დახელოვნებულმა ინჟინრებმა სცადეს ქანდაკების ხელახლა აღმართვა, ყოველ მათგანს ხელი მოეცარა. ეს წაქცეული გოლიათი მიწაზე იწვა თითქმის 800 წელს. მერმისში 667 წელს ქრისტეს შემდეგ, არაბებმა დაიპყრეს როდოსი და მიჰყიდეს ქანდაკება ებრაელ ვაჭარს ლითონის სახით. მან წაიღო სამასი ტონა ბრინჯაო 900 დატვირთული აქლემით. დღეს არც ერთი ნამსხვრევიც არ არის შემორჩენილი და ვერც ვერავინ გეტყვით, თუ ზუსტად სად იდგა კოლოსი. შემორჩა მხოლოდ რამოდენიმე წერილობითი გადმოცემა და ტრადიციული სიამაყე, რომ ოდესღაც აქ მდგარა სამყაროს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი.

თუ გავეცლებით როდოსს ჩვენი მესამე საუკუნის ხომალდით, რამდენიმე საათში მივადგებით მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ კიდეს, სადაც მდებარეობს ძველი კარიის[1] პროვინცია, რომლის ერთ-ერთმა მეფემ, მაუზოლუსმა, დაიპყრო როდოსი. კარიას, უძველეს დროში, შესაძლოა კავშირი ჰქონდა კრეტასთან. მისი უძველესი რელიგიური ცენტრი იყო ლაბრანდა, სადაც არქეოლოგებმა იპოვეს ემბლემები ხარისა და ორმაგი ცულისა, რაც, შესაძლოა მიუთითებ-

---

[1] დღევანდელ მეცნიერებაში დადგენილია, რომ კარიელები, ისევე როგორც მინოსელები, ეკუთვნოდნენ არაინდოევროპულ, ხმელთაშუა ზღვის ხალხთა მოდგმას, რომელიც თავისი წარმოშობით პროტოკავკასიურ, პროტოქართველურ ხალხთა ოჯახს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ენციკლოპედია „ბრიტანიკა" ქართველებს აკუთვნებს ხმელთაშუა ზღვის მოდგმას (მთარგ.).

დეს მინოსელთა მიერ კრეტის კოლონიზაციაზე. ეტყობა მინოსელთათვის ეს ორი რამ წმინდა სიმბოლოებს წარმოადგენდა. ისევე როგორც დასავლეთით მდებარე ლიკია, კარიაც ადრეული ბერძნული გავლენის ქვეშ მოექცა. ბერძენი კოლონისტები დასახლდნენ აქ და ააგეს თეთრი ქვისაგან მშვენიერი ქალაქები. თბილი ჰავა ზეთისხილისა და ვაზის გასახარებლად შესაფერისი, უბეები და სრუტეები ეგეოსის ლურჯ ზღვაში გამავალნი, თავად საბერძნეთს ემსგავსებოდნენ.

ბერძნებს მოსწონდათ ეს მხარე: ისინი თავისუფლად შეერევნენ ადგილობრივ მოსახლეობას, და როდესაც იონიელი ბერძნები აუჯანყდნენ სპარსეთის მეფეს, კარიელები მოერთვნენ მათ და გაანადგურეს სპარსელთა არმია. როდესაც თვით მათი ქვეყანა სპარსეთის სატრაპიად (პროვინციად) იქცა, კარიელები განაგრძობდნენ დასავლეთისკენ ცქერას და რჩებოდნენ ელადის კულტურულ ორბიტაში. თუმც ნომინალურად აზიელი მეფის ქვეშევრდომები იყვნენ. ამ დროს მათი მმართველნი ბერძენ ხელოსნებს ქირაობდნენ და ბერძნულ ხელოვნებასა და კულტურას ავითარებდნენ.

ერთი ამ მმართველთაგანი იყო მაუზოლუსი, რომელიც ქრისტემდე მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა. მის შესახებ მცირე ცნობებია შემორჩენილი. იგი იყო ენერგიული მეომარი. დაიპყრო როდოსი და ერთხანს ბატონობდა მეზობელ ლიკიის სახელმწიფოზე. მაგრამ იგი მაინც რჩებოდა სპარსეთის სატრაპად. მისი სახელი შემოვიდა თანამედროვე ენაში და დამკვიდრდა როგორც სიტყვა „მავზოლეუმი“ მისი მეუღლის, არტემიზიას ერთგულების წყალობით. თავისი ქმრის გარდაცვალების შემდეგ 353 წ. ქრისტემდე მან დააგზავნა ემისარები საბერძნეთში, რათა თავი მოეყარათ საუკეთესო ხელოვანთათვის, მოქანდაკეთათვის, ბრინჯაოს ხელოსანთათვის და სხვა მოხელეთათვის და ჩამოეყვანათ ისინი დედაქალაქში. ჩვენ ვიცით ზოგიერთი მათგანის სახელი: არქიტექტორები: სატიროსი და პითიასი; მოქანდაკენი: სპოპასი (რომელიც სახელგანთქმული იყო მოძრაობის ხაზებში გადმოცემის საოცარი ხელოვნებით), ლეოხარესი, ბრიაქსისი და ტიმოთეოსი.

ესენი იყვნენ მთავარი ხელოვანნი; ეჰვგარეშეა, კიდევ მრავალი მცირე ხელოსანი ახლდათ მათ. ისინი ზღვით მოვიდნენ ჰალიკარნასოსში, კარიის დედაქალაქში, სადაც დაქვრივებულმა დედოფალმა შესთავაზა მათ აგება მსოფლიოში უდიდესი აკლდამისა, რომელიც უნდა ქცეულიყო მემორიალად მისი მეუღლისათვის და მისი მხრით ქმრისადმი ერთგულების დასტურად. საინტერესოა, რომ სატიროსმა და მისმა კოლეგებმა, მართალია, მიიღეს ეს წინადადება, მაგრამ არ განუზრახავთ მსოფლიოში უ დ ი დ ე ს ი აკლდამის აგება. პირამიდასთან და ფაროსთან შედარებით იგი მინიატურული ძეგლია. მაგრამ მისი გეგმა იმდენად მშვენიერი იყო, სკულპტურული დეკორაცია იმდენად მდიდარი, რომ მავზოლეუმი ჰალიკარნასოსისა გადაიქცა შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთად;

არტემიზია არ მოსწრებია მის დასრულებას. მაუზოლუსის სიკვდილის შემდეგ ისიც ორ წელიწადში გარდაიცვალა: მაგრამ ხელოვანთ გადასწყვიტეს, ძველი ისტორიკოსების სიტყვით, დაესრულებინათ აკლდამა „თავისი სახელისა და ხელოვნების უკვდავსაყოფად". რამდენიმე მოგზაურმა შეასხა ხოტბა მავზოლეუმის მშვენებას, მაგრამ ისევე როგორც ფაროსისა და დაკიდებული ბაღების შემთხვევაში, მათი მონაცემები ურთიერთისაგან განსხვავდება ბევრი თვალსაზრისით. თუ მხოლოდ ამ მონაცემებს დავეყრდნობით, თითქმის, შეუძლებელი გახდება აკლდამის რეკონსტრუქცია. საბედნიეროდ აღმოჩნდა შენობის რამდენიმე ფრაგმენტი და მათი მიხედვით. წერილობით მონაცემებთან შედარების გზით შესაძლებელი ხდება აღდგენა საკმაოდ ზუსტი სურათისა, თუმც ავტორიტეტები ჯერაც დაობენ დეტალებთან დაკავშირებით.

ჩვენ რომ შეგვეცურა ჰალიკარნასოსის ნავსადგურში, III საუკუნეში, ჩვენს წინაშე გაიელვებდა თეთრი მარმარილოს კოლონები არტემიზიას მონუმენტისა, რომელიც აღმართულიყო ქალაქიდან ოდნავ მოშორებით და გასცქეროდა ყურეს. მიახლოებისას გამოჩნდებოდა დიდი ოთხკუთხა ეზო გალავნით შემოღობილი, მის ცენტრში მაღალი ქვის ბაქანი იყო მარმარილოს საფეხურებიანი, რომელსაც ყოველი მხრიდან ლომის ქანდაკება დარაჯობდა. მეორე კედელი გარს ერტყმოდა ბაქანს და ამ კედელზე მოჩანდა სკულპტურული ფიგურები

ღმერთებისა და ქალღმერთებისა. ყოველ კუთხეში მეომრები მოჩანდნენ ცხენებზე ამხედრებულნი. ყველა ეს ფიგურა მრგვლად იყო გამოქანდაკებული.

ბაქანზე ძირითადი ნაგებობა იდგა; ქვედა სართულში სარკოფაგის ოთახი იყო მარმარილოსი, ოთხკუთხა, ოთხივე მხარე სკულპტურული რელიეფით დამშვენებული. მასზე აღმართულიყო 36 იონიური სვეტი მოთეთრო-ოქროსფერი მარმარილოსი. ისინი შესდგომოდნენ ლავგარდანებს, აგრეთვე მდიდრული ჩუქუთმებით დამშვენებულთ, ხოლო მათ ზევით ატყორცნილი იყო საფეხურებრივი პირამიდა ისეთი მსუბუქი და გრაციოზული, რომ, მისი მნახველების სიტყვით, იგი თითქოსდა ჰაერში დაფარფატებდა. პირამიდის ბრტყელ ზეთავს აგვირგვინებდა კოლოსალური სკულპტურული ჯგუფი თეთრი მარმარილოსი: ეტლში შებმული ოთხი ცხენი ოქროსა და ბრინჯაოს მოსართავებით. ეტლში ორი ფიგურა იდგა სადავის მპყრობელი მამაკაცისა და მის გვერდზე ქალისა. მამაკაცი მაუზოლუსი იყო თავად; ქალი კი ალბათ ათენა, მაგრამ შესაძლოა არტემიზიაც. ძეგლი 140 ფუტი სიმაღლისა იყო და იოლად წარმოსადგენია სკულპტურული ჯგუფის ზომა მიწის დონიდან დანახული.

ეს ჩვენი პირველი შთაბეჭდილებაა — ბრწყინვალების, ღირსებისა და სიდიადისა — მარგალიტივით შენობა მწვანე კვიპაროსების, შეეერცხლილი ზეთისხილებისა და ლურჯი ზღვის ფონზე. მაგრამ ახლოდან მეორე კონტრასტული შთაბეჭდილება მოგველოდა მძლავრი, დაუცხრომელი მოძრაობისა. მავზოლეუმის ქვედა ნაწილში სამი სკულპტურული რიგი იყო: ბერძნების ბრძოლა ამორძალებთან, გაიფთრებული კენტავრების ბრძოლა ლაპიტებთან, ეტლების მარუსა, დაძაბული მხედრები, გაფრენილი ფაფარაშლილი ბედაურები. და ყოველივე ეს თეთრ მარმარილოში როდი იყო გაყინული; ისინი შეფერადებულნი იყვნენ, — როგორც თითქმის ყველა ბერძნული ქანდაკება — ხორცი წითლად. სამოსი თეთრად, მწვანედ და ოქროსფრად, ხოლო მეომრების საჭურველი, აბჯარი და ცხენთა აღკაზმულობა — ოქროსა და ბრინჯაოსფრად. ერთი ავტორი წერს: „ამის შედეგი იყო მშვენიერი სურათი რიტმული მოძრაობისა მთელ რიგში. ბრძოლის ომახიანობა და სიფიცხე არსად გამოსახულა მეტი ძალმოსილებით“, (ფ. ნ. პრაისი, „ჰალიკარნასოსის მავზოლეუმი“).

ამ დიდების აღარც ერთი ნამუსრევი აღარ არის შემორჩენილი

დღეს ჰალიკარნასოსში. მავზოლეუმის არც ერთი სურათი არ შემორჩენილა, თანამედროვეთა აღწერები კი, რომელთაც ჩვენ ვფლობთ, მცირეა და არასაკმაო. ვით აღვადგინოთ მაშ შენობის სურათი? ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს გვაძლევს არქეოლოგია.

არტემიზიას მონუმენტი, როგორც ჩანს, არსებობდა თხუთმეტი საუკუნე, ქრისტეს შემდეგ მეთორმეტე საუკუნემდე და უფრო მოგვიანებითაც. მაგრამ 1402 წელს, იერუსალიმის წმ. იოანეს ორდენის ჯვაროსნებმა დაინახეს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰალიკარნასოსისა (ანუ ბუდრუმისა, როგორც მას იმჟამად ეწოდებოდა) და დაიწყეს იქ ციხესიმაგრის მშენებლობა. მეთორმეტედან მეთოთხმეტე საუკუნემდე, ქრისტიანი რაინდები, პალესტინიდან გამოდევნილნი, აგებდნენ სიმაგრეებს ხმელთაშუა ზღვის მთელ აუზში — კვიპროსზე, როდოსზე და მცირე აზიის მთელ სანაპიროზე. ჰალიკარნასოსი შერჩეულ იქნა როგორც მძლავრი სიმაგრე და დაიწყო ნგრევის სამუშაოები. ამ შენობის ქვის გარდა საკმაო საამშენებლო მასალა იყო ირგვლივ ძველი ბერძნული ქალაქის ნანგრევების სახით.

თავდაპირველად, როგორც ჩანს, მავზოლეუმის მხოლოდ ზეთავი დაირღვა; ჩვენ ვიცით, რომ 1472 წელს იგი დანგრეული იყო, მაგრამ 50 წლის შემდეგ ახალი საფრთხე გამოჩნდა. სულთანმა სულეიმანმა დაიწყო დიდი შეტევის მზადება ჯვაროსნების წინააღმდეგ, რომელთაც ეპყრათ როდოსი და მცირე აზიის სანაპირო. წმ. იოანეს ორდენის დიდოსტატმა იწყო მზადება წინააღმდეგობისთვის და ბრძანა ციხის შეკეთება. ამ დროისათვის, 1522 წელს, მავზოლეუმის დანარჩენი ნაწილი დაარღვიეს საძირკვლამდე, ხოლო მარმარილოს ბლოკებისგან კირი გამოსწვეს. იმჟამინდელ მატიანეთა მიხედვით, ჯვაროსნებმა შეაღწიეს შიდა აკლდამაში, რომელიც ალბათ საძირკველში მდებარეობდა, და იპოვნეს მაუზოლუსის სარკოფაგი. აკლდამის კედლები დამშვენებული იყო ბარელიეფებით, რომელნიც დალეწეს ჯარაცველებმა და, როგორც ჩანს, კირად აქციეს. არსებობს გადმოცემა, რომ მათ ხელი არ ახლეს სარკოფაგს, ვინაიდან უკვე დაღამდა და ჩამობნელდა. ისინი დილით კვლავ მობრუნდნენ სიმაგრეში, რათა დაეთვალიერებინათ სარკოფაგი, მაგრამ იგი უკვე გაძარცვული აღმოჩნდა ადგილობრივი ქურდების მიერ. როგორიც არ უნდა იყოს სიმართლე, კარიის მეფისა და მისი დედოფლის გვამები, რომელთაც

არავინ შეხებია 18 საუკუნის განმავლობაში, გაიძარცვა და, როგორც ჩანს, განადგურდა.

მაგრამ, საბედნიეროდ, აქ არ თავდება ამბავი. ყველა სკულპტურა როდი განადგურებულა; ზოგიერთი მათგანი მოუხსნიათ და ბუდრუმის სიმაგრის კედლებში ჩაუტანებიათ; ერთი ცალი გენუაში გაუგზავნიათ, (არ ვიცით რომელ წელს). დროდადრო ბუდრუმს ჩამოსული დასავლელი მოგზაურნი ამჩნევდნენ ამ ფრაგმენტებს და აღტაცებას გამოთქვამდნენ და რამდენადაც მავზოლეუმის მდებარეობა ცნობილი იყო ანტიკური მატიანეებიდან, ისინი დასკვნიან, რომ ეს ფრაგმენტები მას ეკუთვნოდა. შემდეგში, 1846 წელს ბრიტანეთის კონსტანტინოპოლელმა ელჩმა, ლორდმა სტრეტფორდ დე რედკლიფმა მიიღო სულთანისაგან ნებართვა სკულპტურათა ნაწილის მოხსნისა და ბ რ ი ტ ი შ მ უ ზ ე უ მ შ ი გაგზავნისა. ათი წლით გვიან სერ ჩარლზ ნიუტონმა მოხსნა ქვის ლომები, რომელნიც აგრეთვე ჩაშენებულნი იყვნენ სიმაგრის კედლებში (როგორც ჩანს, ეს ლომები ამშვენებდნენ მავზოლეუმის კიბეს).

მაგრამ ნიუტონი კიდევ უფრო შორს წავიდა. მან გადაწყვიტა გათხრა ძეგლის სანახებისა და შეასრულა ეს სამუშაო დიდის გულმოდგინებით. მართალია, საძირკვლის გარდა თითქმის არაფერი იყო შემორჩენილი, მაგრამ გამთხრელნი წააწყდნენ ქანდაკებათა ასობით ნამსხვრევს და დანგრეული შენობის ნაწილებს. შემდეგ დაიწყო უჩვეულო და ამაღელვებელი პროცესი წარმოსახვითი რეკონსტრუქციისა. წერილობითი მონაცემების შესწავლისა და ფრაგმენტების დეტალური შესწავლის გზით, არქეოლოგებმა შეძლეს შენობის თავდაპირველი სურათის აღდგენა. სკულპტურული და არქიტექტურული დეტალები დღემდე ინახება ბ რ ი ტ ი შ მ უ ზ ე უ მ ი ს სპეციალურ დარბაზში, რომელსაც მავზოლეუმის დარბაზი ეწოდება.

იმავე დარბაზში დგას მოზრდილი მოდელი მავზოლეუმისა. ა. ი. სტივენსონის მიერ შესრულებული, რეკონსტრუქციის ბრწყინვალე ნიმუში, რომელიც ალბათ აღწევს ორიგინალთან მსგავსების შესაძლებლად ზედმიწევნით ადექვატურობას. დარბაზის თეთრად შეფეთქილ კედლებზე გაბნეულია სკულპტურული რელიეფები, რომელნიც მოხსნა ლორდ სტრეტფორდ დე რედკლიფმა ბუდრუმის სიმაგრის კედლებიდან ერთი საუკუნის წინ. მართალია, ისინი გაცვეთილნი და დასახიჩრებულნი

არიან, მაგრამ ეს ფრაგმენტები სკოპასისა და მის თანამშრომელ მოქანდაკეთა მძლავრი ხელოვნებისა კვლავაც იწვევენ ჩვენს განცვიფრებას.

დღესაც აქ არიან ისინი; ჯიღოსანი მებრძოლი, რომლის ბარძაყის დაძაბული კუნთებიც გამოკვეთილად მოჩანან ნანტომის დროს; გამომწვევი ამორძალი უკან იხევს მისი დარტყმის მოლოდინში, მოჩანს მისი უკან გადაქნეული მკლავი, წერაქვცული რომ ჩაუბღუჯავს, აქვე არიან გააფთრებული კენტავრები და მებრძოლი ლაპითე; დაჭერილია ბრძოლის მთელი სიმძაფრე. სიფიცხე და აგონია, თითქოს კინოკადრი გაყინულაო სამარადისოდ ქვაში. იქვე მაუზოლუსის ქანდაკება დგას ნატურალური სიმაღლისა, ხოლო მის გვერდით ქალის ფიგურა მოჩანს, — როგორც ჩანს, მისი ცოლისა. შესაძლოა ეს ორი ფიგურა იდგა ეტლში, რომელიც აგვირგვინებდა მონუმენტს.

ჩრდილოური, რუხი დღის სინათლის ფონზე, ეს ცივი და უფერული ფრაგმენტული ქანდაკებანი დღესაც გვაღელვებენ. ვით გამოიყურებოდნენ ისინი, თავიანთი თავდაპირველი ფერთა სიუხვითა და ფორმათა სიმდიდრით, ეგეოსის მზით გაბრწყინებულნი, მსოფლიოს უმშვენიერესი აკლდამის კედლებზე?

4. დიდ არს არტემი ეფესელთაი!

„მე მინახავს ბაბილონის კედლები და დაკიდებული ბაღები, ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება, როდოსის კოლოსი, მაღალი პირამიდების მძლავრი ნაგებობა და მაუზოლუსის აკლდამა. მაგრამ როდესაც მე ვნახე ეფესის ტაძარი, ღრუბლებში აზიდული, მან დაჩრდილა ყველა ეს საოცრება“.

ფილონ ბიზანტიელის მიერ წარმოთქმული ეს ქების სიტყვა უჩვეულო როდია ანტიკურ ავტორებს შორის, რომელთაც უნახავთ არტემიდეს ტაძარი ეფესოში. მეორე მოგზაური, პავსანიასი წერდა, რომ ტაძარი აჭარბებს ყველა ნაგებობას, ადამიანის ხელით აღმართულს. სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ უნდა ვირწმუნოთ მათი სიტყვები, ვინაიდან ტაძრისაგან აღარაფერია შემორჩენილი, საძირკვლის გარდა. დიადი უნდა ყოფილიყო იგი, მაგრამ მისი არსებითი მასა პირამიდებზე ნაკლებია, ხოლო სიმაღლე ნაკლებია ფაროსისა და დაკიდებული ბაღების სიმაღლეზე, რომელთაც აგრეთვე ის უპირატესობა

აქვთ, რომ წარმოადგენენ თავისებურად უნიკალურ ნაგებობებს არტემიდეს ტაძარი კი ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთი მრავალთაგანი იყო. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მას უნდა ჰქონოდა რაღაც სპეციფიკური თვისება, რომელიც აღძრავდა მოწიწებას და გაოცებას, ნაწილობრივ თავისი მშვენებისა და სიმდიდრის წყალობით, მაგრამ უპირატესად თავისი რელიგიური მნიშვნელობის გამო, ვინაიდან ეფესოში იდგა საკურთხეველი აზიის უძველესი დედა-ქალღმერთისა.

ბერძნებისათვის იგი არტემიდე იყო, რომაელთათვის — დიანა, ნადირობის ქალღმერთი, ტანწყობილი აღნაგობის ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მშვილდი ეკიდა შიშველ მხრებზე: ქალწულთა პატრონი და თავისი ერთ-ერთი ასპექტით, მთვარის ღვთაება. მართალია, მისი კულტი ბერძენმა კოლონიზატორებმა მოიტანეს იონიაში, მაგრამ მხოლოდ გვიანდელ პერიოდში მოხდა მისი გაიგივება უძველეს ეფესელ დედა-ქალღმერთთან, რომელიც გაცილებით უფრო პრიმიტიული იყო. ვატიკანის მუზეუმში ინახება იდუმალებით მოცული მისი ხატება ელინისტური ხანისა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არეკლავს ადრეულ ქანდაკებათა ფორმას.

ეს საკმაოდ მახინჯი ფიგურაა. წელს ქვემოთ იგი ეგვიპტურ მუმიას ჰგავს, წელს ზემოთ კი, მხრებიდან ჭიპამდე, მისი მკერდი უამრავი ძუძუთი არის დაფარული. თითქოს კარტოფილები გადმოცვენილანო ტომრიდან.[1] მას გაუშლია ბრინჯაოს ხელები, თითქოს უნდა მოეხვიოსო თაყვანისცემად მოსულ ადამიანს. უცნაური, პატარა ცხოველები დაცოცავენ მის სახელოებზე. მათი თავები მიბრუნებულან ქალღმერთის ბრინჯაოს სახისაკენ, ტიპური ელინური სახისაკენ, რომელსაც თავზე ახურავს შეუფერებელი ცილინდრული საგანი, კარებიანი მრგვალი კოშკის მსგავსი. თავზე დისკო აქვს ჩამოცმული, რგოლის მსგავსი, რომელზედაც სხვა ცხოველების თავები მოჩანს. ასეთივე ცხოველებია „მუმიის სახვევებზე", რომელნიც ფეხს ფარავენ.

ასეთი იყო ეფესელთა დიანა, რომელშიც აღმოსავლეთის და დასავლეთის რელიგიური კონცეფციები უცნაურად შერწყმულიყვნენ,

---

[1] ზოგი ავტორიტეტი თვლის, რომ ეს მრავალრიცხოვანი ძუძუ თავდაპირველად ფინიკის მტევნები იყო, ქალღმერთის წინსაფარზე გადმოფენილი, უფრო გვიან, ნაყოფიერების ეს ემბლემები შეცვალა ძუძუებმა.

ვინაიდან სახე აშკარად ელინური იყო, მაშინ, როდესაც ყოველივე დანარჩენი აზიურ იერს ატარებდა ნაყოფიერების ზეთ სიმბოლოს თაყვანს სცემდნენ დასავლეთის კუნძულებზე ათასწლეულებით ადრე არიელი ბერძნების ჩრდილოეთიდან მოსვლამდე. გვაგონდება ბერძენგაწიშვლებული მინოსელი ქალღმერთი, რომლის ქანდაკებაც აღმოაჩინა სერ არტურ ევანსმა კრეტაზე, კნოსოსის სასახლეში.

დიანას მთავარი ქანდაკების გარდა, რომელიც იდგა ტაძარში, ათასი პატარა ფიგურა კეთდებოდა პილიგრიმებისათვის, ისევე როგორც ლურდში დღემდე არის ქუჩები, სადაც ფარდულებში ყიდიან წმ. ქალწულის გამოსახულებებს. დიანას ამ ფიგურების დამზადება დიდი საქმოსნობის წყარო იყო და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ერთ-ერთმა ასეთმა საქმოსანმა, დემეტრიოსმა, პროტესტი განაცხადა, როდესაც უცხოეთიდან ჩამოსულმა ებრაელმა, სახელად პავლემ, მოუწოდა ეფესელებს დაეთმოთ თავიანთი კერპთაყვანისმცემლობა.

„რამეთუ დემეტრიოს ვინმე სახელით, ვერცხლის-მჭედელი იქმოდა ტაძართა ვერცხლისათა არტემისთა, და მისცემდა ხელოთა მათ სარეწავსა არა მცირედსა.

რომელნი შეკრიბნა და ჰრქუა: კაცნო! იცით რამეთუ ამის საქმისაგან არს სარეწავი ჩვენი.

და ჰხედავთ და გესმით, რამეთუ არა ხოლო თუ ეფესოს, არამედ კნინღდა და ყოველსა ასიას, ამან პავლე არწმუნა და გადააქცია ერი მრავალი და იტყვის, ვითარმედ არა არიან ღმერთნი ხელით ქმნულნი.

და არა მხოლოდ ესე ჭირი არს ჩვენდა ადგილად მხილებისა მოწევნად ჩვენდა, არამედ დიდისა ღმერთისა არტემის ტაძარიცა ასევე შერაცხად არს, და დარღვევად სიმდიდრე მისი, რომელსა ყოველი სოფელი და ასია მსახურებს.

მათ ვითარცა ესმა ესე, აღივსნეს გულის-წყრომითა, ღაღადებდეს და იტყოდეს: დ ი დ ა რ ს ა რ ტ ე მ ი ე ფ ე ს ე ლ თ ა ი!“ (მოციქულთა საქმე, 19.24—28).

მოციქულთა საქმის ეს ნაცნობი სიტყვები ანტიკურად ეღერდნენ. ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ სიტყვებს და ქრისტიანობის შემდგომი ტრიუმფის მიუხედავად, გვიკვირს პავლე მოციქულისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგობა საუკუნეთა მანძილზე შემონახულ ტრადიციებთან. რამეთუ დიანა მძლავრი ღმერთქალი იყო, ხოლო მის საკურთხეველს, იმ ეპოქის უდიდეს ხელოვანთა მიერ აგებულს, დამშ-

ვენებულსა და განდიდებულს, მთელი ხმელთაშუა ზღვის სამყაროდან მოსდიოდა თავყვანისმცემლები. საუკუნეთა მანძილზე იგი ისევე განდიდებული იყო, როგორც დღეს წმ. პეტრეს ტაძარია რომში. მაგრამ წმ. პეტრეს ტაძარი დღესაც დგას, როგორც მილიონთა რწმენის ცენტრალური პუნქტი, ხოლო არტემიდეს ტაძარი გაქრა და მისი ადგილმდებარეობაც უცნობი იყო გასულ საუკუნემდე. თუმც თავის დროზე, ეფესის ტაძარი ისეთივე განსაცვიფრებელი იყო, როგორც შენობა, რომელიც აღმართეს ბერნინიმ, მიქელანჯელომ და მათმა მიმდევრებმა თავი მოციქულის სათაყვანებელ საფლავზე.

ეფესის ტაძარი აღმოაჩინა ინგლისელმა ი. ტ. ვუდმა, რომელიც 1863 წელს ბრიტიშ მუზეუმმა მიავლინა მისი ადგილმდებარეობის შესასწავლად. ამიტომ დავიწიოთ უკან დროში და ვნახოთ, რას მიაღწია ვუდმა თავისი კვლევით.

უწინარეს ყოვლისა, არსებობდა ტრადიციული გადმოცემები ანტიკური ავტორებისა. მათ მიხედვით, ერთ დროს არსებობდა საკულტო ხე მდინარის დელტაში, ჭაობიან მიწაზე, ეფესის მახლობლად. კიმერიელებმა, რომელნიც მოვიდნენ მცირე აზიის სანაპიროზე 660 წელს ქრისტემდე, დააქციეს ეს სამლოცველო, მაგრამ იგი შემდგომში შეკეთდა. ეს მეორე ტაძარიც დაანგრიეს და შემდეგ აღადგინეს; თუმც მალე იგიც ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, ქრისტემდე მეექვსე საუკუნეში ეფესი გადაიქცა დასავლეთ აზიის ერთ-ერთ უმდიდრეს ქალაქად და მისმა მოქალაქეებმა გადაწყვიტეს ტაძრის აღდგენა, რათა კიდევ უფრო დიდებული იერი მიეცათ მისთვის. სახსრები გაიღო რამდენიმე მეზობელმა სახელმწიფომ და ლიდიის მეფემ, კროესუსმა, რომლის სახელიც ულევი სიმდიდრის სიმბოლოდ იქცა. იგი მეფობდა 560—546 წლებში ქრისტემდე, რაც მიახლოებითი თარიღია მესამედ აღდგენისა. ამბობენ, რომ მან უსახსოვრა ტაძარს სვეტების დიდი ნაწილი, თუმც დღესაც გაუგებარია მისი მხრით ეგზომი პატივისცემა დღემდე ბუნდოვანი დანიშნულების სამლოცველოსადმი. ერთი რამ ცხადია: როდესაც შემდგომ საუკუნეში ჰეროდოტემ მოინახულა ეფესი, მასზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ტაძარმა, რომ იგი მას ისეთივე აღტაცებით ახსენებს, როგორც პირამიდებს და მოერისის ლაბირინთს. იგი თეთრი მარმარილოსაგან იყო ნაგები და ოთხგზის აღემატებოდა თავის წინამორბედს, უმშვენიერესი იონიური სვეტებით დამშვენებული. რომელთაგან ზო-

გიერთს ქანდაკებაც ამშვენებდა. ეს იყო იშვიათი ნიმუში ბერძნული არქიტექტურისა.

ჰეროდოტეს ვიზიტიდან ერთი საუკუნის შემდეგ ტაძარი კვლავ განადგურდა, ამჯერად ვინმე ჰეროსტრატეს უკუღმართი საქციელის შედეგად (356 წ. ქრისტემდე), რომელმაც დასწვა იგი თავის სახელის უკვდავსაყოფად. ამას მართლაც მიაღწია მან. ტომას ბრაუნი ამის შესახებ წერდა:

„ჰეროსტრატე ცოცხლობს, დიანას ტაძრის დამწველი, ხოლო მისი ამგები თითქმის აღარავის ახსოვს, დიანას სამლოცველო მეოთხეჯერაც აღადგინეს მდინარის პირას, ჭაობიან მიწაზე, ამჯერად კიდევ უფრო დიდებული და მშვენიერი, ვიდრე ოღესმე. ამბობენ, რომ ეფესელი ქალები ჰყიდდნენ თავიანთ სამკაულებს და ჰქმნიდნენ ფონდებს; მეფეები, კროესუსის მიბაძვით, უძღვნიდნენ მას კოლონებს; თვით ალექსანდრე დიდმა, როდესაც იგი აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა, შესთავაზა ეფესელთ მთელი ხარჯის ვაღება ტაძრის აღსადგენად. თუ ამ ძეგლს უძღვნიდნენ დიანას მისი სახელით. ამაზე ეფესელებმა უპასუხეს სანიმუშო ტაქტით: „განა შეიძლება ერთმა ღვთაებამ მეორეს მიუძღვნას ტაძარი?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო. ალექსანდრემ თავისი გზა განაგრძო, ხოლო ეფესელთ დაავვირგვინეს თავიანთი საქმე დაახლოებით 323 წ. ქრისტემდე, ტაძრის დასრულებით. ეს იყო ის ნაგებობა, რომელიც ნახა პავლე მოციქულმა. მანამდის, სამი საუკუნის განმავლობაში, ტაძრის მშვენება ანდაზად იქცა. ადამიანები ზღვის გაღმიდან მოდიოდნენ, არ უფრთხოდნენ დიდ და საშიშ გზას, რათა თვალი შეეევლოთ მისთვის და მსხვერპლი შეეწირათ ქალღმერთის საკურთხეველზე. მისი არქიტექტურის ზეაღმტაცი მშვენების გარდა— 127 სვეტი, თითო მათგანი 60 ფუტის სიმაღლისა, 36 ქანდაკებით დამშვენებული, — ყოველივე ეს იზიდავდა სიმდიდრეს საბერძნეთიდან და მცირე აზიიდან. აღმოსავლური მონარქიები და ბერძნული დემოკრატიები ეჯიბრებოდნენ ურთიერთს უმდიდრესი ძღვენის გამოგზავნაში. ქვედა თაღები ძვირფასი ლითონებით იყო შემკული, ზემო დარბაზებში ნაირგვარი საუნჯე ინახებოდა. წმ. პეტრეს ტაძრის მნახველებს დღესაც აღაფრთოვანებს მიქელანჯელოს პიეტა და ბერნინის ქანდაკებანი, დიანას ტაძრის მნახველები კი ორი ათასი წლის წინ თავიანთ გარშემო ხედავდნენ ბერძნული გენიის უზენაეს მიღწევებს.

პლინიუსი წერდა: „ტაძარი სავსეა ქანდაკებებით, რომელთა უმრავლესობა პრაქსიტელესს ეკუთვნის“. აქ იყო მრავალი სურათიც; მათ შორის ალექსანდრე დიდის ცნობილი პორტრეტი, აპელესის მიერ შესრულებული, რომლის შესახებაც არსებობს მომხიბლავი ლეგენდა:

ამბობენ, რომ ალექსანდრემ, სურათების დამკვეთ მრავალ წარჩინებულთა მსგავსად, არ მიაქცია ყურადღება სურათს. მისმა ცხენმა კი, რა დაინახა სურათზე დახატული ცხენი, რომელზედაც მეფე იყო ამხედრებული, ჭიხვინი მორთო. „მეფეო“ — უთხრა აპელესმა, — „თქვენი ცხენი უკეთ ერკვევა მხატვრობაში, ვიდრე თქვენ“.

არტემიდეს ტაძარმა კიდევ ორ საუკუნეს იარსება პავლე მოციქულის ვიზიტის შემდეგ, ხოლო ქრისტეს შემდეგ 260—268 წლებში, რომის იმპერატორის, გალენიუსის მმართველობაში, იგი გაძარცვეს და დასწვეს გუთებმა. იგი აღარ აღუდგენიათ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ დედა-ღმერთქალს აღარ ერთგულებდნენ ისეთი ადამიანები, როგორნიც ორი საუკუნით ადრე შეუერთდნენ ვერცხლისმჭედელ დემეტრიოსს და ყვიროდნენ: „დიდ არს არტემი ეფესელთაი“. ძველი რელიგია კვდებოდა. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ქრისტიანობა რომის იმპერიის ოფიციალურ რელიგიად უნდა ქცეულიყო. როდესაც კონსტანტინემ, რომის იმპერატორმა, თავის დროშებზე ჯვარი გამოსახა, ტაძარი სამტეხლოდ იქცა. პრაქსიტელესის ქანდაკები დალეწეს და კირად აქციეს; სახურავი, ლავგარდანები, კოლონები დაამსხვრიეს და საშენ მასალად წაიღეს. მზე დასცქეროდა სახურავგადახდილი ტაძრის დამსკდარ იატაკს, სადაც უწინ ათასობით პილიგრიმი დამხობილი ლოცულობდა საკურთხეველთან, ამჯერად რომ დაცარიელებულიყო.

მაგრამ დიდ ხედასთან კავშირი იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი გაწყვეტა ერთბაშად მაინც არ შეიძლებოდა. ქრისტიანებმა ააგეს ტაძარი იმავე ადგილას და მიუძღვნეს ქალწულ მარიამს. დროთა განმავლობაში ისიც განადგურდა და ბოლოს ჭაობიანი ადგილის მეტი აღარაფერი შემორჩა ერთ დროს დიდებული ქალაქის, ეფესის მახლობლად.

თექვსმეტმა საუკუნემ განვლო 1863 წელს ვუდის სცენაზე გამოჩენამდე. არა მხოლოდ ძველი ეფესი, არამედ მისი მომდევნო თურქული ქალაქი აიაშალუკიც დაკნინების გზას დაადგა. მისი მკვიდრნი გაექცნენ მალარიას ჭაობიანი დაბლობიდან და გადასახლდნენ ქალაქ

კირკენიეში, აღმოსავლეთ მთიანეთში. თავად აიაშალუკში მხოლოდ 20-მდე ადგილობრივი მკვიდრი დარჩა. ეს იყო მიტოვებული ადგილი, რომლის მშვენებაც ატყვევებდა ვუდს და ავიწყებდა ყველა იმ საფრთხეს და სიძნელეებს, რაც დაითმინა იქ თხუთმეტი მომდევნო წლის მანძილზე.

„ეფესის დიდებული მშვენება ჭეშმარიტად ენით აუწერელია. იგი გარშემორტყმულია მთებით, რომელთა დატეხილი კონტურები ყოველი მიმართულებით ახალ-ახალ სურათებს გვიჩვენებენ ცის ჯაბადონისას. გაზაფხულზე იწყება ანგელოზას (angelica) აყვავება, მთები იფარება ყვავილებით, რაც იშვიათ პეიზაჟს ქმნის.

მართალია თხუთმეტი წელი დავყავი იქ, მაგრამ არასოდეს მომბეზრებია ეს სანახაობა, მთები ყოველ საათში იცვლიდნენ ფერს ჩეჰს წინაშე, მზის მსვლელობის შესაბამისად, ადგილის უკაცურობას ანაზღაურებდა ეს უშრეტი მშვენიერება“ (ი. ტ. ვუდი, „ეფესის აღმოჩენები“, 1877 წ.).

მართალია. ი. ვუდს წაკითხული ჰქონდა ანტიკური ავტორების შრომები, რომელნიც იხსენიებდნენ ეფესს, მაგრამ მათი ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი აღწერები ბევრს ვერაფერს შველოდა. . იგი წერდა:

„აშკარა იყო, რომ უკიდურესად შრომატევადი და ხანგრძლივი, გათხრების გარდა ვერაფერი მოჰფენდა შუქს იმ შენობის ნარჩენებს, რომლის არავითარი ნიშნები აღარ არის შემორჩენილი მიწის ზედაპირზე და რომელიც დაფარულია ამდენი საუკუნის მანძილზე“ (იქვე).

მცირე გზის მაჩვენებელს იძლევა პლინიუსი, რომელიც ადასტურებს, რომ „ტაძარი ააგეს ჭაობიან ნიადაგზე, რათა იგი არ შეემუსრა მიწისძვრებს, ან არ გასჩენოდა ბზარები“. ამასთან არსებობს დიოგენე ლაერტიუსის ნათქვამი: „ტაძარი იდგა ძალზე ნოტიო ნიადაგზე“. ეს გვაძლევდა საბაბს მისი ძებნისას დაბლობზე, მაგრამ სად?

სტრაბონის „ისტორიის“ ერთმა ადგილმა, რომელიც თითქოს საიმედო იყო, სინამდვილეში ერთხანს თავგზა აუბნია ვუდს. სტრაბონი ამბობს, რომ ტაძრის ღობე და შემოგარენი საკურთხევლის უფლებით სარგებლობდა, მაგრამ ამ ღობის ზდვარი იცვლებოდაო დროდადრო. „ალექსანდრემ — წერდა სტრაბონი — გააფართოვა ღობე ერთ სტადიუმამდე (600 ფუტი), მითრიდატემ სტყორცნა ისარი სახურავის კუთხიდან და ოდნავ გადააცილა სტადიუმს. (მარკუს) ანტონიუს-

მა გაორკეცა დისტანცია და ამრიგად საკურთხევლის ზონაში მოაქ-
ცია ქალაქის გარკვეული ნაწილი, მაგრამ ამ კანონმა ბოროტმოქმედ-
თა სათარეშოდ აქცია ქალაქი, ასე რომ ცეზარ ავგუსტუსმა გააუქმა
იგი."

ეს მოასწავებდა იმას, რომ ტაძარი უნდა ყოფილიყო არა უმეტეს
ათასი ფუტის მანძილზე ქალაქიდან, რომლის დანგრეული კედლები
ჯერაც არსებობდნენ. მართალია, ვუდმა გათხარა რამდენიმე საცდე-
ლი ორმო, მაგრამ ვერაფერი იპოვნა, გარდა ზოგიერთი მონუმენტი-
სა და აკლდამების საძირკვლებისა, აგრეთვე რომაული და ბიზანტიუ-
რი შენობების აგურის კედლებისა.

გათხრებს თან სდევდა სიძნელეები. ძნელი იყო მუშების პოვნა.
არც თაედაპირველად, არც შემდგომშიც, როცა სამუშაო გაიოლდა,
ფონდების სიდუხჭირე არ აძლევდა ვუდს საშუალებას 20-ზე მეტი
მუშის დაქირავებისას, თხუთმეტი თვის შემდეგ მან შეძლო გაკლება
რამდენიმე თხრილისა, რათა დაერწმუნებინა საკუთარი თავი იმაში,
რომ ტაძრის ადგილმდებარეობის პოვნა შეუძლებელი იყო ქალაქსა
და ზღვას შორის. ცხენიდან ჩამოვარდნამ და კისრის ძვლის ჭოტეხ-
ვამ აიძულა ვუდი გადაედო სამუშაოები. გამოჯანსაღების შემდეგ მას
არ მიუღწევია მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის, გარდა იმისა, რომ
აღმოაჩინა დიდი გიმნაზიუმის ნარჩენები და სხვა შენობები, რომელ-
თა არსებობაც აგრეთვე ცნობილი იყო. 1863 წლის დასასრულისათ-
ვის მან გათხარა 75-მდე ღრმა ორმო, გათხარა აგრეთვე მრავალი
ბორცვი, წააწყდა ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ შენობებს, მაგ-
რამ, არც ერთი მათგანი არ ჰგავდა ლეგენდარულ ტაძარს არტემიდე-
სას.

ასე გრძელდებოდა ხუთი წელიწადი, რომელთა განმავლობაში ვუდი
განმეორებით ცდილობდა იმ გასაღებთა გამოყენებას, რომელთაც
იძლევოდნენ ანტიკური ავტორები, მაგრამ ამაოდ. 1864 წლის სეზო-
ნისათვის მან ამოწურა თავისი რესურსები და აღარ ჰქონდა იმედი
შემდგომი ნდობისა დამკვეთთა მხრივ, თუ არ შეაგროვებდა რაიმე
საგნებს მუზეუმისთვის მაინც. თუმც მან გადაწყვიტა მაინც განეგრძო
კვლევა და შეიმუშავა ჭკვიანური გეგმა.

მას გაახსენდა, რომ ვენეციაში უნახავს ეკლესია, რომლის ფასად

შემკული იყო კვარცხლბეკზე მდგომი პილასტრებით, რომლებზეც ამოტვიფრული იყო კვიპროსის, როდოსის და ორი სხვა ქალაქის გეგმები.

„იმხანად მეჩვენებოდა, რომ მართალია, მე ვერ ვიპოვნე ეფესის საზოგადოებრივი შენობების ნანგრევებში რაიმე მსგავსი ბარელიეფები, მაგრამ იყო შანსი რაიმე უბრალო ნაჩხაპნის პოვნისა, რომელსაც შეეძლო მიმართულების ჩვენება მაინც, თუ არა ტაძრის ზუსტი ადგილმდებარეობისა ქალაქთან მიმართებაში; ან თუ ეს არა, იქნებ რაიმე წარწერა მაინც აღმოჩენილიყო, რომელიც მომცემდა ადგილმდებარეობის ამოსაცნობ გასაღებს.“

ამ გეგმის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთხანს ძველი ეფესის საზოგადოებრივი ნაგებობების გათხრაზე კონცენტრირება ვუდს აპოვნინებდა სკულპტურებისა და წარწერების ნიმუშებს, რაც გააძხნევებდა დამკვეთთ და მოაცემინებდა მისთვის შემდგომ სახსრებს. ასეც მოხდა, ვუდი პირველი როდი იყო იმ არქეოლოგთა შორის, რომელნიც ასეთ ხრიკებს იყენებდნენ თავიანთ დამქირავებლებთან ურთიერთობისას.

მან თავდაპირველად ოლეუმზე, ანუ თეატრზე იმუშავა, სადაც იპოვნა, სხვათა შორის, სილენის ტორსის სკულპტურა, ერატოს ქანდაკება, ლუციუს ვერუსის ფიგურის ზედა ნაწილი; მაგრამ ეს რომაული ნაწარმოებები მას ნაკლებად აინტერესებდა. დიდი ტაძარი კვლავ დაფარული იყო ჭაობიანი ნიადაგით, ხოლო ვუდს არ გააჩნდა არავითარი გასაღები მის აღმოსაჩენად. ამ 1867 წელს მას შეემთხვა ინციდენტი, რომელმაც კინაღამ წუთისოფელს გამოასალმა. თურქი ტერორისტი, რომელსაც სურდა ბრიტანეთის სმირნელი კონსულის მოკვლა, წააწყდა ვუდსა და მეორე ინგლისელს საკონსულოს მახლობლად. იგი ჯერ ვუდის კომპანიონს დაესხა, მკლავში დაჭრა იგი, ხოლო შემდეგ ეცა არქეოლოგს:

„... იგი მომვარდა და შესძახა: „ეხლა თქვენც!“ მე ვცადე თავდაცვა ჩემი წვრილი ჯოხით, მაგრამ მან გამომტაცა იგი, მეცა და დანა ჩამცა მკერდში, რომელიც გულს ასცდა მხოლოდ ერთი გოჯით.“

ხუთ კვირაში ვუდი გამოჯანსაღდა და კვლავ ეფესს დაბრუნდა.

მართალია, ამ ამბავს არაფერი აქვს საერთო არტემიდეს ტაძართან, მაგრამ მე მაინც ჩავრთე იგი, ვინაიდან თავად ვუდი მოგვითხრობს ამას თავის შთამბეჭდავ მოგონებებში გათხრების შესახებ. მის ეპოქაში არქეოლოგია სახიფათო საქმე იყო და იმავე ეპოქის სხვა არქეო-

ლოგები — შლიმანი და ლაიარდიც მრავალ „ყოფითს“ ამბებს რო-გვითხრობენ, თუმცა არა ასეთ დრამატულს. ვუდი მოგვითხრობს, რომ იმავე წელს ოდეუმის თხრისას იგი წააწყდა დასახიჩრებულ გვამს მოკლული კაცისას.

წლით წლობამდე განაგრძობდა ვუდი თავის საქმეს, ავლენდა მაგნეზიისა და არესის ბჭეებს; პოულობდა აკლდამებისა და სარკოფაგების წარწერებს, იგი ქირაობდა მეზღვაურებს ნავსადგურში ჩამომდგარი სამხედრო გემიდან, H. M. S.[1] „ტერიბლიდან“, რათა გადაეზიდა წარწერებიანი მარმარილოს ბლოკები დიდი თეატრონიდან რკინიგზის სადგურზე ბ რ ი ტ ი შ მ უ ზ ე უ მ შ ი გასაგზავნად. მიწის მფლობელნი ჩიოდნენ, ხელისუფალნი სდევნიდნენ, ყაჩაღები თავს ესხმოდნენ, ხოლო ამერიკელი ტურისტები ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდნენ მის გათხრებზე (უფრო თანამედროვე შტრიხი). მაგრამ ექვსმა წელმა განვლო და ვუდს ჯერაც არ ეპოვნა ტაძარი.

1868 წელს მან აღმოაჩინა ნაწილი ფართო ქვაფენილისა, რომელიც მარმარილოსა და კირქვის ბლოკებით იყო მოპირკეთებული. ამ ქვაფენილზე ეტლის ბორბლების მრავალი ღრმა ნაკვალევი იყო იქნებ ეს იყო გზა, ქალაქიდან ტაძრისკენ მიმავალი? მან განაგრძო თხრა და წააწყდა რომაულ აკლდამებს, გზის გასწვრივ მდებარეთ. ამით გამხნევებულმა, მან გათხარა ქვაფენილი ხუთას იარდზე და ამასობაში ფონდებიც შემოელია.

მომდევნო წელს იგი კვლავ მობრუნდა, მაგრამ შეძლო გზის მიდევნება მხოლოდ მცირე მანძილზე, ვინაიდან ამ წელს მთელს ეფესის ველზე ქერი დაეთესათ, რომელიც ვუდმა ვერ მოთიბა, ვინაიდან თავისი ღარიბი ფონდებით ვერ აუნაზღაურებდა დანაკლისს მიწის მფლობელებს. ასე რომ, იგი შეჩერდა და თავისი თხრილის ბოლოდან გასცქეროდა ნათესებს, რომელთა ქვეშ, როგორც მან იცოდა, გადიოდა გზა.

„ჩემი დაკვირვების მიხედვით იგი მიემართებოდა დიდი ზეთისხილებისაკენ, რომელნიც იზრდებოდნენ ამ ახალი საზღვრის ერთ მხარეს, დაახლოებით ნახევარი მილის მანძილზე... მე გადავწყვიტე გამებედა მცირე თანხის გამოყენება, რათა გამევლო ორიოდე თხრილი ზეთისხილებთან, ამ ხეებსა და მთის ძირს შორის, რამდენადაც ამის შე-

---

1 H. M. S. — Her majesty's Service — მისი უდიდებულესობის სამსახური.

საძლებლობას მაძლევდა შუალედური საზღვრები. მაგრამ დაწყებულიც არ მქონდა ჩემი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, რომ მ უ დ ი რ მ ა (მმართველმა), რომელმაც თვალი დაადგა კოლოსის ბჭესთან ნაპოვნი დიდი სარკოფაგის ნივთებს, შეაჩერა გათხრები იმ საბაბით, რომ ჩემი ფ ი რ მ ა ნ ი (ნებართვა) განახლებას საჭიროებდა. არ იყო არავითარი ხსნა გარდა კონსტანტინოპოლში წასვლისა და ფირმანის განახლებისა მომდევნო წლისათვის".

მაისის დამლევისათვის ვუდი დაბრუნდა ეფესში და მაშინვე ჩაბა თორმეტიოდე კაცი დიდი თხრილის გასავლებად ზეთისხილების მახლობლად. მათ აღმოაჩინეს სქელი კედელი ქვისა და მარმარილოსი, რომელიც, ვუდის ვარაუდით, თავად ტაძრის ტ ე მ ე ნ ო ს ი ს კედელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ შესძლებდა კი იგი ამის დამტკიცებას? მუზეუმის ხელმძღვანელები უკვე კარგავდნენ მისდამი ინტერესს და როდესაც ვუდმა მიმართა მათ მცირეოდენი დამატებითი დახმარებისათვის, მისცეს ეს დახმარება და დასძინეს, რომ „ითვალისწინებენ მის მრავალწლიან შრომას ამ, როგორც ჩანს, უიმედო წამოწყებაზე". მაგრამ მათ ისიც თქვეს, რომ თუ ვუდი სხვას ვერაფერს იპოვნიდა, გარდა გზისა და კედლისა, აღარ უნდა ჰქონოდა იმედი შემდგომი სახსრებისა.

1869 წელი იდგა, მეექვსე წელი იწურებოდა ვუდის ეფესში ყოფნისა. იგი მაწანწალას დაემსგავსა, რომელიც უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი გ რ ო შ ი ს მ ო გ ე ბ ა ს ც დ ი ლ ო ბ ს კამათლის სროლით. სად უნდა თხაროს? მის მიერ გათხრილი კედლის მახლობელი ნიადაგის შესწავლით შეამჩნია, რომ კედელი იმავე მიმართულებას იღებს, რასაც აწინდელი შუალედური საზღვარი და ქმნის კუთხეს მის მიერ გათხრილ ტრანშეასთან.

„ჩემი ვარაუდით თანამედროვე საზღვარი უნდა ყოფილიყო აღმნიშვნელი ძველი კედლის მიმართულებისა, ამიტომ მეორე გრძელი თხრილი გავავლე და წავაწყდი ღიბალზე კედლის კუთხეს, რომელშიც ორი დიდი ქვა იყო ჩაშენებული... მ ა თ ზ ე ი ყ ო ორ მ ა გ ი წ ა რ წ ე რ ე ბ ი: ბ ე რ ძ ნ უ ლ ი დ ა ლ ა თ ი ნ უ რ ი" (ხაზი ჩვენია, ავტ.).

წარწერა გვამცნობდა, რომ კედელი აშენდა იმპერატორ ავგუსტუსის ბრძანებით, მისი კონსულატის მეთორმეტე წელს და ტრიბუნისეული ძალაუფლების მეთვრამეტე წელს (ბ. წ. ქრისტეს შობამდე), და რომ ხარჯები გაღებულია არტემეზიუმიდან და ავგუსტეუმიდან. ვუდს

გაახსენდა, რომ ტაციტუსს აღწერილი აქვს სწორედ ასეთი კედლის მშენებლობა ავგუსტეუსის მიერ, საკურთხეველის საზღვრების შესამცირებლად დამნაშავეთათვის[1], ვინაიდან ეს საზღვრები უკანონოდ განავრცო მარკუს ანტონიუსმა.

ტაძრის ადგილმდებარეობა ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა — ან იქნებ მოჩვენებითი ამბავი იყო ეს?

მაგრამ ვუდს ისევ დაეცა თავზარი.

მან განაგრძო თხრა პერიბოლესის კედლის გასწვრივ ყოველი მიმართულებით მის მიერ აღმოჩენილი კუთხიდან (სამხრეთ-დასავლეთის კუთხე), მაგრამ აღარ ჩანდა არავითარი წარწერები, მიუხედავად იმისა, რომ იგი მიჰყვა კედელს 1000 ფუტის მანძილზე ჩრდილოეთისკენ და 500 ფუტის მანძილზე აღმოსავლეთისკენ.

კვლავ ფული დასჭირდა არქეოლოგს, იგი ლონდონს მიბრუნდა, რათა ეთხოვა შემდგომი ფინანსური დახმარება ბ რ ი ტ ი შ მ უ ზ ე უ მ ი ს ა გ ა ნ.

ამჟამად დამკვეთნი უფრო მეტად დაინტერესდნენ; ეუდმა მიიღო დახმარება და 1869 წლის გაზაფხულზე კვლავ დაბრუნდა ეფესში. მორიელები და გველები კბენდნენ მუშებს, ქარიშხალი და ბურუსი აბრკოლებდა სამუშაოს, მაგრამ წლის ბოლომდე არ შეჩერებულა საქმე და ბოლოს იგი წააწყდა თავად ტაძრის მარმარილოს იატაკს, ზედაპირიდან 20 ფუტის სიღრმეზე მდებარეს.

„ერთ-ერთმა მუშამ, რომელიც თხრიდა ღრმა ორმოებს, ერთ უბანზე დაჰკრა ნიჩაბი თეთრი მარმარილოს სქელ ქვაფენილს... ახალი 1870 წლის დღეს დადასტურდა, რომ ეს ქვაფენილი ბერძნული იყო, ამასთან აღმოჩნდა ორი ქვაფენილი, იგი ორი ფენისაგან შედგებოდა, ზედა ფენა გარანდული თეთრი მარმარილოსი იყო, 9 გოჯის სისქისა, ქვედა ფენა კი უხეშად გათლილი ნაცრისფერი მარმარილოსი, 15 გოჯის სისქისა.

„ამ აღმოჩენით გამოწვეულმა მღელვარებამ და სამუშაოს სიმძიმემ გატეხა ჩემი ჯანმრთელობა. 3 იანვარს ჩემს ჟურნალში გაკეთებული შენიშვნებიდან ჩანს, რომ მე ვწერდი დილის 9 საათიდან საღამოს 10.45 წუთამდე. და ყოველ ღამე 3 კვირის მანძილზე ხურვებისგან ვიტანჯებოდი. მაგრამ მაინც არ გავტყდი და განვაგრძე საქმე შეუსვენებლივ".

---

[1] თუ დამნაშავე მოასწრებდა საკურთხეველში თავის შეფარებას, იგი ხელშეუხები ხდებოდა (მთარგმ.).

ვუდმა კიდევ 5 წლის მანძილზე იმუშავა ეფესში. ამ ხნის განმავლობაში მან გათხარა ტაძრის თითქმის მთელი საძირკველი და მოიძია მრავალი არქიტექტურული და სკულპტურული ფრაგმენტი, რომელნიც დღეს ბრიტიშ მუზეუმში ინახებიან. აშკარა იყო, რომ მათი უმრავლესობა ეკუთვნოდა მეხუთე და უკანასკნელ ტაძარს, ქრისტეს შობამდე 323 წელს დასრულებულს, დანარჩენებმა დაადასტურეს ვიტრუვიუსისა და სხვა ანტიკური ავტორების აღწერები.

ტაძრის დიდი ზომა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ბაქანი, რომელზედაც იგი იდგა, განიზომება 418/239 ფუტით, იგი საფეხურებრივად მაღლდებოდა 91/2 ფუტზე. ამ პლატფორმაზე იდგა თავად ტაძარი 342 ფუტის სიგრძისა და 163 ფუტის სიგანისა, სვეტების ტყით გარშემორტყმული, (რომელთა ჯამი 127 იყო) ორ მწკრივად, თითოეული 60 ფუტის სიმაღლისა. 36 მათ შორის ქანდაკებებით იყო დამშვენებული საფუძვლიდანვე, ზოგიერთი ასეთი ქანდაკება ვუდმა იპოვნა და ბრიტიშ მუზეუმში გაგზავნა. შეღებილი ქვის ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ თავდაპირველად ტაძრის ნაწილები შეფერადებული იყო და ლითონის სამკაულებითაც ბრწყინავდა; სვეტებიცა და ფრონტონებიც ქანდაკებებით იყო გამდიდრებული.

შედარებისათვის შესაძლებელია ითქვას, რომ დიანას ტაძრის ფრონტონი იგივე სიგანისა იყო, რაც წმ. პავლეს ტაძრისა ლონდონში. სიგრძით კი იგი მიაღწევდა იმავე შენობის დასავლეთის ფრთიდან კლიროსის სვეტების პირველ მწკრივებამდე. რამდენადაც ანტიკურ სამყაროში ეს არ იყო ერთადერთი დიდი შენობა, იგი სიდიდის გამო როდი მოხვდა შვიდ საოცრებათა რიცხვში, მისი დიდება მრავალი ფაქტორის შერწყმით იყო განპირობებული: გეგმისა და ჩანაფიქრის მშვენიერება, ბუნებრივი ზეაღმტაცი ნაგებობა, მდიდარი ხელოვნებისმიერი სამკაულები და წმინდა ასოციაციები, ადგილთან დაკავშირებულნი. ვუდისა და მისი მიმდევრების წყალობით შესაძლებელი გახდა მისი თავდაპირველი გარეგნობის რეკონსტრუქცია საკმაო სიზუსტით.

მართალია, ვუდის აღიარებით, მის მიერ ნაპოვნი ფრაგმენტების უმრავლესობა ქრისტეს შობამდე 350 წლით თარიღდება, მაგრამ მან იპოვნა აგრეთვე სკულპტურული ორნამენტები, რომელნიც, მათი სტილის მიხედვით, კროესუსის მიერ უფრო ადრე აგებულ ტაძარს

ეკუთვნიან, რომლის იატაკიც აგრეთვე აღმოაჩინა ეუდმა. მაგრამ იგი უფრო ღრმად აღარ ჩასულა, ალბათ ჭაობიანი ნიადაგის გათხრის სიძნელის გამო. თუმც ოცდაათი წლის შემდეგ დ. გ. ჰოგარტმა დაიწყო ახალი გათხრები ეფესში, ბრიტიშ მუზეუმის დაკალებით. მისი მიზანი იყო უღრმეს შრეებამდე ჩასვლა. ჰოგარტის სიძნელეები ბევრი ჰგვანან ეუდის სიძნელეებს, თუმც მას არ უძებნია ადგილმდებარეობა. წყალმა დატბორა მისი სამუშაოები, ასე რომ არქეოლოგს დასჭირდა ორთქლის ტუმბოები მის ამოსაქაჩად. სამაგიეროდ ჰოგარტმა იპოვნა კიდევ სამი უადრესი ტაძრის ნარჩენი ერთმანეთის ქვეშ. მის მიერ ამ ქვედა შრეებში ნაპოვნი ნივთები, ჩვენი თვალსაზრისით, უფრო საინტერესოა, ვიდრე თვით ტაძარი; ვინაიდან ისინი ამზეურებენ აღმოსავლურ წარმოშობას არტემიდეს ანტიკური კულტისას.

აქ აღმოჩნდა სამი ათასი საგანი, უმრავლესობა ოქროსი; სამკაულები, სპილოს ძვლის ქანდაკებები ქალთა და ცხოველთა, საკულტო სამსხვერპლოები დედა-ქალღმერთისა, მრავალი საუკუნით უფრო ადრინდელნი ვუდის მიერ აღმოჩენილ მეოთხე საუკუნის ტაძარზე. ოქროს საგანთა უმრავლესობა ქვის ნაგებობის ფარგლებში იყო, ეს იყო ალბათ საძირკვლის განძი, რომელიც ჩადებული იქნა პირველი ტაძრის მშენებლობისას. მეხუთე ტაძრის რთული ელინური სკულპტურებისაგან განსხვავებით, ეს საგნები არ იყო ბერძნული სტილისა. აქ იყო ქალთა უამრავი პატარა ქანდაკება, ალბათ ქურუმი ქალებისა, რომელთაც თავზე ჩალმები ეხურათ და აღმოსავლური სამოსი ეცვათ. აქვე იყო ურიცხვი ფიგურები ცხოველებისა, რაც შეგვახსენებს იმას, რომ არტემიდე იყო ტყიურთა დედოფალი. ფიგურების გამოქანდაკების დროა დაახლოებით 700 წ. ქრისტეს შობამდე.

... „ბერძენი ხელოსნები, რომელთაც ჯერაც არ მიეღწიათ ინდივიდუალური სტილისათვის, ჯერაც კმაყოფილდებოდნენ დიდი აღმოსავლური ცივილიზაციის ნიმუშთა ასლების გადაღებით“ (ფ. ნ. პრაისი, „დიანას ტაძარი ეფესში“).

მაგრამ ვერსად მიაკვლიეს არტემიდეს დიდ ქანდაკებას, რომელიც უნდა მდგარიყო შიდა სენაკში, სადაც იყო ტაძრის „წმიდათა წმიდა“. ეს სენაკი, რომელიც ეუდმა აღმოაჩინა, 70 ფუტის სიგანე იყო, კოლონების ორი მწკრივით გარშემორტყმული. მისი ნაწილი, როგორც

ჩანს, სახურავგადახდილი იყო, ასე რომ მლოცველთა წინაშე მდგარი ფიგურა არტემიდესი საჩრდილობლით ან ბალდახინით იყო გადახურული. შემორჩა მხოლოდ ფრაგმენტი მისი საკურთხევლისა და ნაწილი ქვის კვარცხლბეკისა, რომელზედაც იდგა მისი ხატება.

ბედის ირონიით, ამჟამად მისი სახელი შემონახულია უპირატესად იმ რწმენის ეკლესიებში, რომელმაც დაამხო იგი. როდესაც ამა თუ იმ ეკლესიაში, ან ეკვდერში იკითხება მოციქულთა საქმის მეცხრამეტე თავი, ისე გვგონია, თითქოს არტემიდეს ტაძრის ჩრდილში ვდგავართ და გვესმის ხმები მისი მომხრეებისა:

„...კაცნო ეფესელნო! ვინმე არს კაცთაგან, რომელმან არა იცის ეფესელთა ქალაქი, რამეთუ მსახური არს დიდისა არტემისაი და დოპეტისი?

...(ხოლო იგინი) ღაღადებდეს და იტყოდეს: „დიდ არს არტემი ეფესელთაი!“

5. მეხთამტეხის საკურთხეველი

თუ ექვსი საოცრების მონახულების შემდეგ მესამე საუკუნის მოგზაური გადაწყვეტდა ეფესიდან ზღვით გამგზავრებას მეშვიდე და უკანასკნელი საოცრების სანახავად, მას მოუხდებოდა ფრიად დიდი გზის გავლა. მოგზაურობის უმეტეს ნაწილს იგი ზღვაზე გაატარებდა უცილოდ, ვინაიდან ოლიმპია პელოპონესის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე მდებარეობს, იტალიის მოპირდაპირე მხარეს; სახმელეთო მთიანი გზა, რომელიც მიემართება ცენტრალურ პელოპონესზე გავლით, რთული იქნებოდა და საეჭვოთო.

თუმც მას შეეძლო აგრეთვე ეგეოსის ზღვითაც ემოგზაურა კუნძულიდან კუნძულამდე, ვიდრე მიაღწევდა სალონიკის ყურეს და ათენს, შემდეგ შეეძლო ხმელეთით სვლა კორინთოს ყურემდე, მეორე გემში გადაჯდომა და არაქსოსის მოსაზღვრე პელოპონესის ჩრდილო სანაპიროს მარცხნივ მოტოვებით, სამხრეთით გახვევა.

აქ იგი გაღმოვიდოდა ნაპირზე და დაინახავდა მყუდრო დაბლობს, სადაც გადაყვითლებული ვაზები და ვერცხლისფერი ზეთისხილები შეჰყოლიან ბორცვებს და სწრაფი მდინარეები აქაფებულნი მიიკვ-

ლევენ ზღვისკენ გზას. შორს, აღმოსავლეთით, აქაიის გაშიშვლებული კლდე ლურჯად ლივლივებს ჩამავალი მზის ფონზე, ღრუბლებში აზიდული, ბოლოს პატარა ხომალდი მიადგება მცირე ნავსადგურს მდინარის შესართავთან და ჩაუშვებს ღუზას. ხმელეთზე მავალმა ბოგზაურმა უკვე იცის, რომ აქედან ერთი დღის სავალზე არის ოლიმპია, ზევსის საკურთხეველი, ღმერთთა ხელმწიფისა. იქვეა ასპარეზი, სადაც ყოველ ოთხ წელიწადში იმართება მსოფლიოს უდიდესი ათლეტური ფესტივალი.

მან იცის აგრეთვე სხვა წმინდა ადგილებიც: დელფო, ვარდისფერი, „ბრწყინვალე" თირიადების ძირში; აპოლონის მეორე საკურთხეველი, „ტალღებით განბანილი დელოსი". ოლიმპია მესამე დიდი საკურთხეველია. ზურგიდან მას ესაზღვრება ცენტრალური პელოპონესის მთები, ხოლო პირით იგი მიქცეულია ჩრდილო-დასავლეთისაკენ, საიდანაც ბერძენმა წინაპრებმა მოიყოლეს თავიანთი ცის ღმერთი ზევსი მეხთამტეხი.

მრავალნი ე. წ. „ბერძნულ" ღმერთთა შორის, სინამდვილეში როდი იყვნენ ბერძნულნი. ზოგნი, არტემიდეს და დიონისეს მსგავსად, აღმოსავლეთიდან ისესხეს ბერძნებმა; სხვანი, ათენას მსგავსად, დაპყრობილი ხალხებიდან შემოვიდნენ მათ ქვეყანაში. ზევსი კი წმინდა ბერძნული ღმერთი იყო.[1] და ოლიმპიაზე იდგა მისი სახელგანთქმული ტაძარი, რომელსაც ამშვენებდა დიდი ქანდაკება ოქროსი და სპილოს ძვლისა, ფიდიასის მიერ ნახელოვნები, რომელიც შევიდა სამყაროს შვიდ საოცრებათა რიცხვში.

ოლიმპიური თამაშების სახელი ამ წმინდა ადგილიდან მომდინარეობს. 776 წლიდან (ქრისტეს შობამდე) ისინი იმართებოდა ყოველ მეოთხე წელს (ზოგი ბერძნული წყაროს მიხედვით, ყოველ მეხუთე წელს) ასწლიანი პერიოდის განმავლობაში. თამაშების წარმოშობა, მათი კავშირი ზევსთან გაურკვეველია, მაგრამ ეს ჩვეულება ღრმად არის ფესვგამჯდარი ბერძნული მოდგმის ისტორიაში და, როგორც ჩანს, არსებობდა ძვ. წ. მერვე საუკუნეზე უფრო ადრე. ზოგიერთი ავტორიტეტის აზრით, შესაძლოა მათი საწყისი ვეძიოთ ჰომეროსის მიერ ნახსენებ სამგლოვიარო თამაშებში, რომლის პოემებიც განასახიერებდნენ ტრადიციებს უადრესი ბერძნული ცივილიზაციისას, რომელიც ჰყვაოდა 15 საუკუნეზე მეტი ხნის წინ ქრისტეს შობამდე.

---

[1] არსებობდა პელაზგური, ქტონური ზევსიც, უფრო ადრინდელი (მთარგმ.)

მსგავსი ათლეტთა ფესტივალები იმართებოდა აპოლონის ტაძართან დელფოში და სხვა ადგილებში, მაგრამ ოლიმპიური თამაშები უთუოდ უდიდესი პან-ჰელენური ფესტივალი იყო. ბერძნებს, მართალია, ენა და კულტურა აერთიანებდათ, მაგრამ ისინი არ წარმოადგენდნენ ნაციას. მათი მთაგორიანი ქვეყნის ხასიათი, ღრმა უბეები, ხეობები და გაფანტული კუნძულები თიშავდნენ მათ ურთიერთისაგან, რის გამოც მათი უდიდესი პოლიტიკური ერთეული იყო ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი), რომელიც შურით და ჯიბრით შესცქეროდა მეზობლებს და ხშირად ეომებოდა კიდეც მათ. ხოლო ოლიმპია, ისევე როგორც დელფო, ქალაქს როდი წარმოადგენდა; ეს იყო წმინდა ადგილი, რომელსაც ყველა ბერძენი სცემდა თაყვანს. აქაურ ფესტივალებზე ყოველ ოთხ წელიწადში იკრიბებოდნენ ბერძნები სხვადასხვა სახელმწიფოდან და ზღვის გაღმა კოლონიებიდან და ეს იყო მეგობრობის თავყრილობა. ისინი მოემართებოდნენ არკადიის მთების უღელტეხილებით, მოედინებოდნენ სპარტიდან, კორინთოდან, ათენიდან, დასავლეთიდან მათ უერთდებოდნენ სიცილიაზე და იტალიაზე მდებარე ბერძნული კოლონიების მკვიდრნი. ამ პერიოდის განმავლობაში, რა ომებიც არ უნდა ყოფილიყო მათ შორის, ისინი უიარაღოდ უნდა გამოცხადებულიყვნენ ოლიმპიაში, სადაც ერთადერთი ფორმა მოქიშპეობისა იყო სპორტი.

„რელიგიისა და ათლეტიკის დაკავშირება გამოწვეულია ძველ ბერძენთა მოუსვენარი ცხოვრებით. ათლეტთა თავყრილობას სჭირდება მშვიდობიანი ყოფა, ამგვარი მშვიდობა საბერძნეთში კი შესაძლებელი იყო მხოლოდ რელიგიის ეგიდის ქვეშ. თავად თამაშებისათვის რელიგიური მნიშვნელობის მინიჭებას არავითარი საფუძველი არ გააჩნდა... ისინი წარმოადგენენ ბუნებრივ ნაყოფს გართობისადმი სიყვარულისას, შეჯიბრისა და ჭიდილისადმი სიყვარულისას, მათ ხასიათს განაპირობებს ხალხის მებრძოლი ბუნება“ (ე. ნ. გარდნერი, ოლიმპია, 1925).

თამაშების ამგვარი ახსნა თითქოს ახლოა სიმართლესთან, მაგრამ იგი ავტორს საქმის გაიოლებად ეჩვენება. ათასობით ადამიანი მოდიოდა ოლიმპიაში ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, რომელთა მიზანი იყო არა მხოლოდ თამაშების ყურება, არამედ მსხვერპლის შეწირვაც ზევსის საკურთხეველზე, ტაძარში, რომლის მნიშვნელობაზეც ნათლად მეტყველებს მისი მიკუთვნება სამყაროს 7 საოცრებისათვის, იმ

ადგილას, სადაც იდგა ქრიზელეფანტინის ქანდაკება ზეუსისა, საუკუნის უდიდესი მოქანდაკის მიერ შესრულებული. ალტისში, ანუ საღვთო ტყეში, რომელშიც იდგა ტაძარი, გაფანტული იყო სხვა ქანდაკებებიც, ღმერთებისა და გმირების სახელზე აღმართულნი შეჯიბრში გამარჯვებულთა მიერ სამადლობელი მსხვერპლის ნიშნად.

დღეს, როდესაც ნამუსრევიც აღარ არის შემორჩენილი ფიდიასის შედევრისა, ხოლო ტაძარი და მისი შემოგარენი მიწასთან არის გასწორებული, საკმაო ინფორმაცია მოგვეპოვება ოლიმპიაზე, რომელიც მომდინარეობს ორი მთავარი წყაროდან. ეს არის დეტალური აღწერა ბერძენი მწერლის, პავსანიასი, რომელმაც ინახულა ოლიმპია ჩვ. წ. მეორე საუკუნეში და გამოჩენილი გერმანელი არქეოლოგების ჯგუფის მიერ წარმოებული გათხრების შედეგები, რომელთაც ხელმძღვანელობდა ერნსტ კურტიუსი, რომელმაც, 1876 წლიდან მოყოლებული, გაწმინდა და გათხარა ოლიმპია, პავსანიასის წიგნის მეგზურად გამოყენებით. მართალია, მის მიერ აღწერილი ზოგი მონუმენტი მთლიანად განადგურებულია, მაგრამ შემორჩა სხვათა ფრაგმენტები, რომელთა იდენტიფიკაცია შესაძლებელი გახდა მისი განსაცვიფრებლად ზუსტი აღწერების მეოხებით, რომელნიც მან მოგვცა 18 საუკუნის წინ.

სხვა მწერლებმა, განსაკუთრებით რომაული ეპოქისამ, დაგვიტოვეს შენობათა აღწერები, აგრეთვე შეჯიბრთა აღწერები; ასე რომ, ყოველივე ამის მიხედვით, შეგვიძლია დავხატოთ სინამდვილესთან მიახლოებული სურათი ყოველივე იმისა, რასაც ჩვენი მოგზაური იხილავდა ოლიმპიაში ძვ. წ. მესამე საუკუნის დასაწყისში. ვიდრე საბერძნეთი რომის იმპერიის ნაწილი გახდებოდა.

ფესტივალის ორგანიზატორი და წარმმართველი იყო ოლიმპიასთან ახლოს მდებარე დასავლეთ პელოპონესის ქალაქ ელისის მოსახლეობა, ზეიმის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე „სეზონთა ჰეროლდები", „ზევსის მშვიდობისმყოფელნი" იწყებდნენ მოგზაურობას სახელმწიფოდან სახელმწიფოში, სადაც მათ ესალმებოდნენ მაგისტრატები. ზევსის სადიდებლად იქცეოდა შესაწირი ღვინო და საზეიმოდ ცხადდებოდა საღვთო ზავი. ამის შემდეგ ელისი და მისი შემოგარენი წმინდა ადგილად ითვლებოდა; ოლიმპიის ყველა სტუმარს, როგორც კერძო მოქალაქეებს, ასევე სახელმწიფოს წარმომადგენლებს, ეძლეოდათ ხელშეუხებლობის გარანტია, რა და რა ომებიც არ უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ სახელმწიფოს შორის.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი მოგზაური გადმოვიდა ხმელეთზე რამდენიმე თვით ადრე ფესტივალის დაწყებამდე. თავდაპირველად იგი უნდა სწვეოდა ელისს, რომელიც იმ დროისათვის სავსე უნდა ყოფილიყო ათლეტებით, მწვრთნელებით, მეეტლეებით, ცხენებით, მათი მფლობელებით და მხედრებით, რომელთათვისაც ეს იყო წვრთნის უკანასკნელი თვე ოლიმპიადაზე გასვლამდის. მათ საბოლოოდ ამოწმებდნენ ელისელი სახელმწიფო კაცნი, რომელთაც ჰელენოდიკები ეწოდებოდათ. ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ თამაშების ღირსეულად და სამართლიანად ჩატარებისათვის. შესაძლოა არ იყოს მთლად ზუსტი პარალელი, მაგრამ ზოგიერთი მათი ფუნქცია შეიძლება შევადაროთ საგრაფოს საბჭოს წევრთა ან ბრიტანეთის მოკრივეთა ასპარეზობის კონტროლს. ელისში შეჯიბრის მონაწილეთათვის იყო სამი გიმნაზიუმი სარბენი ბილიკებითა და საჭიდაო მოედნებით. აგორას, ანუ ბაზრის მოედანს, ეწოდებოდა ჰიპოდრომი და მას იყენებდნენ ცხენების საწვრთნელად. ანტიკური ავტორების თქმით, ჰელენოდიკებს უყვარდათ მკაცრი დისციპლინა და შოლტებსაც იყენებდნენ საჭიროების შემთხვევაში თავიანთი წესრიგის განსამტკიცებლად. ჩვენი მოგზაური დაინახავდა თავისი დროის საუკეთესო ათლეტებს ელისში მოზღვავებულთ, ასობით მორბენლებს, მხტომელებს, მოჭიდავეებს, დისკოს მტყორცნელებს, მხედრებს და მეეტლეებს, რომელნიც გადიოდნენ გაძლიერებულ წვრთნას შეჯიბრის დღისათვის.

ამასობაში ოლიმპიაში გროვდებოდა ხალხი მთელი ელინური სამყაროდან, ყველა წოდების ქალნი და მამაკაცნი, ქვეითნი და ცხენოსანნი. იქვე იყო სახელმწიფო სადესპანოები, ბრწყინვალებით ურთიერთის მჯობნი. მთავრები და პოლიტიკოსები, ფილოსოფოსნი, პოეტები და მოქანდაკენი, ტიკჭორებიანი გლეხები, მწყემსები, რომელთაც მოერეკათ სამსხვერპლო საქონელი, თასმებითა და ბაფთებით მოვაჭრენი, მოცეკვავენი, მუსიკოსები, მუშაითნი და აკრობატები. სწრაფმდინარე ალფეუსს აღმა მიჰყვებოდნენ ბარჟები, რომლებშიც ისხდნენ იტალიისა და სიცილიის დიდი მთავრები და მათი ამალა.

ბოლოს, ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, შეჯიბრის მონაწილენი, დაასრულებდნენ რა თავიანთ წვრთნას, სტოვებდნენ ელისს და ჰელენოდიკებისა და სხვა სახელმწიფო მოღვაწეების

თანხლებით გაუდგებოდნენ საღვთო გზას, ოლიმპიისაკენ მიმავალს. ეს გზა დღესაც არის შემორჩენილი ნაწილობრივ. ამ დროისათვის მძიმე ხვატი იდგა, ვინაიდან თამაშები აგვისტოს ან სექტემბერს ემთხვეოდა; მზე აცხუნებდა თითქმის შიშველ ათლეტებს, მტვრის თეთრი ბოლქვები ასდიოდა გზას, ცხენების ფლოქვებითა და ეტლების ბორბლებით დახეთქილს.

არცთუ ისე ძნელია ამ სცენის აღდგენა, ვინაიდან ლანდშაფტი თითქმის არ შეცვლილა. გზები კვლავ თეთრია და მტვრიანი; აგვისტოში უწყალო მზე აცხუნებს: მთა კრონოსი, რომელსაც ეწოდა ზევსის მამის სახელი, მუხნარით, ზეთისხილისა და ნაძვის ტყეებითაა დაფარული, რომელნიც ეშვებიან დაბლობზე, სადაც მდებარეობს ალტისი და ოლიმპიის საღვთო ტყე. ჰაერი თბილია და სურნელოვანი. მდინარე ალფეუსი და მისი შენაკადი კლადეოსი აქაფებულნი მოედინებიან თეთრ ლოდებს შორის, ქმნიან მრუმე მორევებს, სადაც ადამიანები და ცხოველები ჩერდებიან წყლის დასალევად.

ოლიმპიის ველის სიმშვენიერე, მისი ჭალები და ხოდაბუნები, გორმახებით გარშემორტყმულნი, დღესაც აღძრავენ ჩვენში იმგვარ რელიგიურ მოწიწებას, როგორსაც ისინი აღძრავდნენ ბერძნებში. დიდებული ჩარჩო დარჩა, ხოლო ალმასი დაიკარგა— ალტისი თავისი კოლონებიანი ტაძრებით, მარმარილოსა და ბრინჯაოს ქანდაკებებით, გიმნაზიუმი, ჰიპოდრომი, პალესტრა და სტადიონი, სადაც ხდებოდა საღვთო ასპარეზობა. თუმც პავსანიასის თვალებით და გერმანელ არქეოლოგთა აღმოჩენების დახმარებით დღესაც ვხედავთ ყოველივე ამას.

ჩვენი ეიზიტორი დაინახავდა, რომ ალტისი და მისი შემოგარენი, რომელიც სხვა დროს უკაცური იყო ხოლმე, ამჟამად ივსებოდა ხალხით. ხანგრძლივი და დიდი ხმაური ისმოდა მოვაჭრეთა ურიცხვი ფერადი ჯიხურებიდან, სადაც ჰყიდდნენ სურსათს და გასართობ საგნებს, ათასობით კარვებიდან, სადაც ბინადრობდნენ სტუმრები, რომელთა უმრავლესობას ღია ცის ქვეშ ეძინა. იქვე, კონუსისებრი მთის, კრონოსის კალთებზე, მოჩანდა ზღუდე, ბერძნული ხელოვნებისა და არქიტექტურის ერთი შეკეთრთაგანი. ლურჯი ცის ფონზე მოჩანდა თეთრი მარმარილოს კოლონები, ლავგარდანებით და კვარცხლბეკებითურთ, რომელთაც ამშვენებდა სკულპტურები და ფერწერული ნამუშევრები ბერძნული მითოლოგიის მოტივებზე. აქვე იყო ჰე-

რაიონი, ზევსის მეუღლის, ჰერას ტაძარი, სადაც მოჩანდა ჰერას ვეება თავი და აგრეთვე ქანდაკება შიშველი ჰერმესისა, პრაქსიტელესის მიერ ნახელოვნები. ჰერაიონი უძველესი ტაძარი იყო ოლიმპიისა, ძვ. წ. მერვე საუკუნეში აგებული, მაგრამ ორგზის გადაკეთებული.

აქ იყო პრიტანეიონი, მთავარი მაგისტრატის სამყოფელი და ქალღმერთ ჰესტიას საღვთო კერა. აქვე იყო ბულეტერიონი, უცნაურად მოყვანილი შენობა ორი ფრთისმაგვარი აბსიდით, რომელიც, როგორც ჩანს, თამაშთა წარმმართველი ოლიმპიური საბჭოს ოფიციალური სამყოფლო იყო. აქვე იყო პროედრია, სვეტოვანი დასასვენებელი ან სასეირნო ოთახი, სადაც ხალხს შეეძლო ეპოვნა თავშესაფარი ხვატის ან წვიმის შემთხვევაში და აქედან ეცქირა ასპარეზობისათვის. ამ ექოკოლონადიანი შენობიდან პროედრები, ანუ უმაღლესი თანამდებობის პირნი, თავიანთი წარჩინებული სტუმრებითურთ ტკბებოდნენ ალტისის ცერემონიების ჭვრეტით. აქ ხვდებოდნენ ურთიერთს საბჭოს წევრები და სახელმწიფო კაცნი, ცხადია, ჰელენოდიკეთა ჩათვლით.

„წარმოვიდგინოთ ჰელენოდიკები, საფეხურებზე მდგომნი, ვით უცქერენ დაბლა ცხენებისა და ეტლების აღლუმს, ან ვით ყრიან კენჭს იქვე მოგროვილ შეჯიბრის მონაწილეთა და მათ მეგობართა წინაშე. ასეთი სცენა სტოაში დიდ ინტერესსა და გამოცოცხლებას იწვევს. ისინი მეურვეობენ აგორას, ჯიხურებითა და კარვებით სავსეს, მეურვეობენ დასავლეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით მიმავალ გზებს. წინ ჰიპოდრომია, რომელიც ალტისის გარეგან წრიულ უბანს წარმოადგენს. ამრიგად, სტოა იმსახურებს სახელ პროედრიას, რამდენადაც ეს სიტყვა ნიშნავს პროედრთა სადგომს, აგრეთვე საპატიო პრეზიდიუმს ფესტივალისას“ (ე. ნ. გარდნერი, იქვე).

კიდევ მრავალი სხვა შენობა იდგა აქ, მაგრამ ყველაზე დიდებული და მნიშვნელოვანი იყო ტაძარი თავად ზევსისა. იგი დასრულდა ძვ. წ. 456 წელს და იდგა ზღუდის სამხრეთ-დასავლეთ-კუთხეში (ჰერაიონს ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ეკავა). იგი მასიურ პლატფორმაზე იყო აღმართული და მძიმე დორიული სვეტებით გარშემორტყმული, რომელთა რიცხვი გვერდებზე ცამეტ-ცამეტი იყო, ხოლო ბოლოში — ექვსი, რომელთაც აგვირგვინებდა ბრტყელი, დახრილი სახურავი. პავსანიასის მიხედვით იგი დაზიანდა ომის შედეგად, რომელიც მოხდა ელისელებსა და მათ მეზობელ ქალაქ პიზას შორის, რომელიც უმდიდრესი იყო ბერძნულ სამყაროში. ელისელებმა აიღეს ეს ქალაქი

ზევსის ტაძარი პართენონის მსგავსად როდი იყო ნაგები ურელიეფო თეთრი ქვისაგან. მისი გვერდები მოხატული იყო დიდი ხელოვნებით. ლავგარდანების ზედა ნაწილი წითლად იყო მოხატული, ხოლო ტრიგ-ლიფები — ცისფრად. სახურავი თეთრი მარმარილოსი იყო, რომელიც ირეკლავდა მზის სხივებს, ხოლო ტაძრის თითოეული წახნაგი სავსე იყო უხვად შეფერადებული ქანდაკებებით და სამკუთხა პედიმენტებით იყო დამშვენებული, რომელთაც ექვს-ექვსი სვეტი ერტყა გარს.

მთავარი პედიმენტის სცენა მშვიდი იყო და ღირსებით სავსე, როგორც ამას მოითხოვდა ბერძნული რელიგიური ტრადიცია. მის ქვევით ცერემონიული კარიბჭე იყო. აქ ასახული იყო ეტლთა შეჯიბრი ოინამაოსსა, ჰიპოდამიას მამასა და პელოპსს შორის, რომელიც იყო პელოპონესის გმირი და ითხოვდა ჰიპოდამიას ხელს. ლეგენდა გვიამბობს, რომ ოინამაოსმა ნება მისცა მას თავისი ქალიშვილის გატაცებისა, მაგრამ დაიტოვა უფლება, რომ გამოსდგომოდა ეტლით და განეგმირა იგი შუბით. მაგრამ პელოპსი არაკეთილსინდისიერად მოიქცა, მან დაიყოლია მირტილუსი, ოინამაოსის მეეტლე, რომ გადაებრუნებინა ბატონის ეტლი. ასე რომ, დევნის დროს ოინამაოსი გადმოვარდა და დაიღუპა. შემდეგ პელოპსმა თავიდან მოიშორა მირტილუსი: მოკლა იგი. ვერაგობის და გამცემლობის ამგვარი ამბავი აირჩიეს ელისელებმა თავიანთი ღმერთების მეუფის უმთავრესი ტაძრის თაყვანისცემის ემბლემად — საინტერესო მაგალითი იმისა, თუ როგორია განსხვავება წარმართულ და ქრისტიანულ რელიგიურ კონცეფციებს შორის, რაც ფრიად დიდი სიძნელის წინაშე აყენებს ჭეშმარიტების იმ მაძიებლებს, რომელნიც აიდეალებენ ბერძნულ ხასიათს.

დასავლეთის პედიმენტი ილუსტრირებული იყო კენტავრებისა და ლაპითების ცნობილი ლეგენდით; მეორე ამბავი, რომელიც, როგორც ვნახეთ, ასახული იყო ოგრეთვე ჰალიკარნასის მავზოლეუმზეც. ლაპითების მეფემ დაპატიჟა კენტავრები (კენტავრი — ნახევრად კაცი და ნახევრად ცხენი), რათა დასწრებოდნენ მის ქორწილს დეიდამიასთან. შეზარხოშებულმა კენტავრებმა სცადეს გატაცება პატარძლისა და გაჩაღდა ცხარე ბრძოლა, რომელშიც ლაპითებმა საბოლოოდ გაიმარჯვეს. ბერძენ მოქანდაკეებს უყვარდათ ეს თემა, ვინაიდან, როგორც სჩანს, იგი აძლევდა მათ დიდებულ საბაბს ცხარე ბრძოლის სურათის აღწერისას: დაძაბული კუნთები, შიშისა და მრისხანებისაგან დაღრეჯილი სახეები, გამარჯვების შვება და სიკვდილის აგონია.

გარდნერი წერს: „აღმოსავლეთის პედიმენტზე ასახული სცენა სხვაგვარია... კუთხის ფიგურებსა და ცენტრალურ ფიგურებს შორის ორი გაწონასწორებული სცენაა კონფლიქტისა, რომელთაგან თითოეული შედგება რვა-რვა ფიგურისაგან და ჯგუფებადაა დაყოფილი. კუთხეებთან უახლოესია ჩაჩოქილი ლაპითი, რომელიც ებრძვის კენტავრს, ლაპითელი ქალის გამტაცებელს. მეორეა ორფიგურიანი ჯგუფი კენტავრისა და ლაპითისა. ამ თავაწეულ ფიგურებს პირსახე შენარჩუნებული აქვთ. და ბოლოს, სხვა ჯგუფია სამფიგურიანი: ფეხზე მდგარი გმირი, რომელიც მახვილს სცემს კენტავრს, რომელსაც ჩაუბღუჯავს მოფართხალე ლაპითი ქალი". (ე. ნ. გარდნერი. იქვე).

ამავე დროს, თავად ტაძარში იდგა ფიგურა ისეთი მშვიდი სულიერების გამომხატველი, რომ ნახევრად ბარბაროსულ რელიგიურ კონცეფციებზე ამაღლებული ფილოსოფოსნი, პოეტნი და ხელოვანნი, ერთიანად მიისწრაფოდნენ მისკენ — ეს იყო ქანდაკება იმავე ოსტატის მიერ შესრულებული, რომელმაც შექმნა ათენას ფიგურა ათენში, და რომელზეც დიოქრიზოსტომი წერდა: „დადინჯებული კაცი, რომელსაც ეტყობა თასი ბედუკულმართობისა და მწუხარებისა. ამ ქანდაკების შემხედვარე დაივიწყებდა მძიმე და მოსაბეზრებელ ტვირთს ამ უაზრო წუთისოფლისას".

კვინტილიანე წერდა მის შესახებ: „მისი მშვენება კიდევ რაღაცას შესძენდა მიღებულ რელიგიას". ხოლო ეპიქტეტე, მკაცრი სტოელი ფილოსოფოსი, არწმუნებდა თავის მოწაფეებს, გამგზავრებულიყვნენ ოლიმპიას და ენახათ იგი. მას დიდ უბედობად მიაჩნდა სიკვდილი ამ ქანდაკების უნახავად.

ქრისტეს შობამდე მეხუთე საუკუნეში შექმნა ფიდიასმა ეს ქანდაკება. იმჟამად პოლითეიზმი უკვე აეჭვებდა ბერძნული აზროვნების კორიფეებს. ევრიპიდე დასცინოდა საბრალო „პოეტთა ზღაპრებს" და ამტკიცებდა, თუ ღმერთი სიავეს ჩაიდენს, იგი აღარ არისო ღმერთი. პლატონიც გმობდა პოეტებს, რომელნიც წარმოგვიდგენდნენ ღმერთებს ურთიერთთან მებრძოლად და ისეთი ადამიანური ემოციების მატარებლად, როგორიცაა შიში, სიყვარული და სიძულვილი.

ოლიმპიელი ზევსის ქანდაკების აღწერა ჰგავს გარიკის ამბავს: არავის უხახავს იგი ცოცხალთა შორის და კაცი უნდა მიენდოს მის მნახველთა მონათხრობს. პავსანიასი და არქეოლოგები გვაძლევენ მცირეოდენ გასაღებს. ქანდაკება იდგა, როგორც ჩანს, ტაძრის ცენ-

ტრალური დარბაზის, ანუ ცელას დასავლეთ ბოლოში. იგი იდგა ქვის კვარცხლბეკზე, რომლის სიგანე სამი ფუტი იყო, ხოლო სიგრძე 22 ფუტი. ქანდაკება 40 ფუტის სიმაღლისა იყო და თითქმის ეხებოდა ჭერს. იგი ქრიზელეფანტინისაგან იყო ნაგები: სპილოს ძვალი და ოქროს ფურცლები, ხის ჩონჩხზე დამაგრებულნი. სინესტის გამო საჭირო იყო ამ ხის პერიოდულად დაზეთვა, რათა იგი არ დაგრეხილიყო. ქანდაკებას უელიდნენ საუკუნის განმავლობაში მისი ავტორის, ფიდიასის ჩამომავალნი.

ზევსი იჯდა ოქროს ტახტზე, რომელიც ძვირფასი ქვებით, ეკალმუხითა და სპილოს ძვლით იყო მოპირკეთებული. ფეხები ედგა პატარა საკარცხულზე, რომელიც იდგა თაყვანისმცემელთა თვალების დონეზე. მარჯვენაში ეპყრა ოქროსა და სპილოს ძვლის ემბლემა გამარჯვებისა. მარცხენაში — სკიპტრა ძვირფასი ლითონისაგან ნახელოვნები, რომელზედაც იჯდა არწივი. მის მძლავრ მხრებზე, რომელნიც სპილოს ძვლისაგან იყვნენ გამოყვანილნი, დიდი ოქროს მანტია იყო გადაფენილი, ყვავილებისა და ცხოველების გამოსახულებებით მოხატული. მისი წვეროსანი, მშვიდი სახე მსხვილი წარბებითა და ხშირი კულულებით იყო დამშვენებული. არსებობს გადმოცემა, რომ, როდესაც ფიდიასს ჰკითხა პანმა, თუ რა ასპექტში ჰქონდა მას განზრახული ღმერთის წარმოდგენა, მოქანდაკემ მიუგო, რომ მისი ქანდაკების მიზანი იყო გადმოეცა ის, რასაც ჰომეროსი გადმოგვცემს სიტყვებით:

„ესრეთ რქვა მეუფემ, ძემან კრონოსისამ, შეჰყარა წარბები,
დახარა თავი და უხრწნელნი კულულნი წინ გადმოიღვარნენ
უკვდავი შუბლიდან. შეირყა დიადი ოლიმპო ანაზდად“.

ეს არის ფიგურა, რომელსაც იხილავდა ჩვენი მოგზაური, და რომელსაც ჩვენ ვერასოდეს ვიხილავთ. იგი უცილოდ დასტკბებოდა ასპარეზობის ნახვით, იგი ალბათ მიუჯდებოდა გვერდით ჰელენოდიკეს პროედრიის ექოკოლონადასთან და მოუსმენდა მათ საუბარს, შეჯიბრის მონაწილეების, ცხენებისა და ათლეტების კლასიფიკაციას, იგი ნახავდა, ვით სდებდნენ ფიცს მსაჯები მართებულ მსაჯობაზე და საიდუმლოს გაუმხელელობაზე. ჰიპოდრომის დაცერებაზე, მრავალ ათას მაყურებელთან ერთად დასტკბებოდა იგი მეეტლეებისა და მათი ბრწყინვალე ცხენების ცქერით, რომელნიც საყვირის ხმაზე მიისწრაფოდნენ ფინიშისაკენ; იგი დაინახავდა გამარჯვებულს, რომელიმე ახალგაზრდა კაცს, ისეთს, როგორიც ასახულია დელფოს „ბრინჯაოს

შეეტლეში“, რომელიც საზეიმო ნაბიჯით მიემართება მსაჯებისაკენ, რათა შიიღოს ზეთისხილის გვირგვინი, ხოლო მაცნეები ამასობაში აცხადებენ შის მაშის სახელს და ქალაქის სახელწოდებას.

შემდეგ მოგზაური გაემართებოდა ადგილის საძებრად, რათა ეცქირა ხუთჭიდისათვის, რომელიც წარმოადგენს ყოველმხრივ შეჯიბრს, რათა შეამოწმოს ათლეტთა ძალები ხუთი თვალსაზრისით: სირბილში, ხტომაში, ბადროსა და შუბის ტყორცნაში და ჭიდაობაში. გამარჯვებულს უნდა დაემტკიცებინა ფლობა ამ ხუთივე ხელოვნებისა. შუბის ტყორცნა განსაკუთრებით კარგი სანახავი იყო, ვინაიდან იგი ხდებოდა ფლეიტების ჰანგებქვეშ, რათა გაემხნევებინა ეს ჰარმონიული მოძრაობა, რომელიც ესოდენ აღაფრთოვანებდა ბერძნებს. ამის შემდეგ მორბენალნი დაიჭერდნენ თავიანთ ადგილებს სტადიონზე, დადგამდნენ ფეხებს სასტარტო ხაზზე, ისევე როგორც დღეს ხდება ეს; სიმაღლეზე მხტომელნი დადგებოდნენ სახტომი გირებით ხელში; ბადროს მტყორცნელნი, მოჭიდავენი და მოკრივენი უცდიდნენ თავიანთ ჯერს.

ხუთდღიანი ფესტივალის დასრულებისას ჯიხურებსა და კარვებს ალაგებდნენ, ხოლო შეჯიბრის მონაწილენი და მოსეირენი იწყებდნენ მზადებას შინ მიბრუნებისათვის.

„საღამოს გამოანათებდა პირბადრი მთვარე და გაისმოდა სიმღერები და ერიამული“.

შემდეგ გამარჯვებულნი და მათი გულშემატკივარნი, ყვავილწნულებით მორთულნი, იწყებდნენ დავას და საუბრობდნენ მომავალი ფესტივალის შესახებ. ფლეიტებისა და ლირის მუსიკის თანხლებით ისინი გაემართებოდნენ ალტისისკენ, რათა შეეწირათ საბოლოო მსხვერპლი და მღეროდნენ, ალბათ, არქილოქეს ჰიმნს ჰერაკლესადმი. აქ გაიშლებოდა სუფრები, სადაც შეისმებოდა უამრავი ღვინო და გაისმოდა სტვირისა და დოლის ხმათა ექო ბებერ კედლებში.

ჩვენს წარმოსახვითს მოგზაურს, რომელმაც ნახა ბაბილონი, პირამიდები, დაკიდებული ბაღები, ეფესოს ტაძარი, როდოსის კოლოსი და მავზოლეუმი, ალბათ, ღრმად დაამახსოვრდებოდა ეს ყოველივე. ღამის სიცივეში, წამოსასხამში გახვეულს, მოესმოდა, ალბათ, მხიარული ხმები თავის მეგობართა სიმღერებისა, მაგრამ მის გონებაში კვლავ რიალებდა ფიქრი ოლიმპიელი ზევსის ქანდაკებასთან კვლავ მიბრუნებისა. ხოლო შემდეგ, სიბერეში, ბუხრის პირად

მჯდომს სიცილიაში, კორინთოში, ეგვიპტეში, ლესბოსში თუ კოლხეთის „ოქროვან სანაპიროზე“, მას შეეძლო ეთქვა თავის ბაღიშთათვის: „მე მინახავს სამყაროს შვიდი საოცრება“.

6. მინოსის სასახლე

ჩვენი წარმოსახვითი მოგზაური იტყოდა: „მე მინახავს სამყაროს შვიდი საოცრება“, მაგრამ განა მართებული იქნებოდა ამის თქმა? მან მოიხილა ფილონ ბიზანტიელის მიერ აღნუსხული საოცრებები, მაგრამ უკანასკნელმა ხომ თვითნებურად შეარჩია ისინი. იმ ხანაში არსებობდა სხვა საოცრებანიც, რომელთა შეტანაც შეიძლებოდა ამ სიაში; როგორც ითქვა, იყო სხვა სიებიც, სადაც შედიოდნენ სხვანი — მაგალითად, პართენონი და მოერისის ლაბირინთი. ამ თავში მე გთავაზობთ ჩემს მიერ შერჩეულ საოცრებებს. ზოგიერთი მათგანი არსებობდა ფილონის დროსაც; სხვანი უფრო გვიან არიან აგებულნი. ყველანი, ჩემის აზრით, საოცარნი არიან, ფილონისეული გაგებით, მაგრამ არის მათ შორის განსხვავებაც. დიდი პირამიდის გარდა, მის მიერ მოწონებული მონუმენტები თითქმის ურთიერთის თანამედროვენი არიან. ჩემს მიერ შერჩეულთაგან უახლესი კი რვაასი წლისაა, ხოლო სხვანი ორი ან სამი ათასი წლით არიან დაშორებულნი ჩვენს თანამედროვეობას. ამის გამო ჩემი რეაქციები მეოცე საუკუნის ადამიანის რეაქციებია. ადამიანისა, რომელიც შეჭირვებულია თანამედროვეობით, წუხს მომავალზე და ნოსტალგიური მზერით ეესცქერის წარსულის სამყაროს, ერთ დროს დაფარულს და ამჟამად კვლავ ჩენილს არქეოლოგთა განსწავლისა და ხელოვნების წყალობით. კოსოსი მშვენიერია სანახავად, მაგრამ მისი აღმოჩენის ისტორია კიდევ უფრო მშვენიერია. „კრაკ დე შევალიე“ (რაინდების სიმაგრე) და კლდოვანი გუმბათი ხიბლავენ მზერას, მაგრამ მათი ხილვისას გვახსენდება ბრძოლა ქრისტიანობასა და ისლამს შორის. ფილონზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ალბათ კარნაკის ტაძარიცა და მეფეთა ველიც. მას არ უხილავს არც განძი ტუტანხამონის აკლდამისა, მიუხედავად იმისა, რომ ცხვირწინ ჰქონდა იგი; ჩვენ კი ძალ-

გვიძს ძათი ძონახულება დღეს, ორი ათასი წლის შემდეგ. ჩვენ ჰამლეტივით „ვეჭვრეტთ გარდასულს და მის მომდევნოს“. ასე რომ, ეს გაღრძავებული პერსპექტივა, ბუნებრივია, გვმატებს ახალ განზოძილებას და ახალ ემოციურ კოლორიტს ანტიკური ძეგლების ხილვისას.

* * *

ფილონი რომ სწვეოდა კრეტას ძვ. წ. მეორე საუკუნეში, იგი იხილავდა ძივარდნილ კუნძულს, ბერძნულენოვანი მოსახლეობით, როძელსაც არ მიეღო დიდი მონაწილეობა ბერძნებსა და სპარსელებს ‘ძორის მოძხდარ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში, 200 წლით ადრე. ერთხანს ეს კუნძული იყო სახელგანთქმული დაქირავებული მშვილდოსნების სამკვიდრო და მეკობრეთა თავშესაფარი. ფილონის ეპოქაში იგი უკვე დაექვემდებარა რომაულ გავლენას, ხოლო მისი გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ რომის კოლონიად გადაიქცა, მთავარი ქალაქები იყო გორტინა, კიდონია და კნოსოსი. ესენი ხშირად ეომებოდნენ ურთიერთს, მაგრამ 220 წელს კნოსოსმა გააერთიანა კუნძული.

ფილონს რომ კარგად სცოდნოდა თავისი ჰომეროსი, შეიტყობდა, რომ პოეტისათვის კნოსოსის ისტორია იკარგებოდა ისტორიის შორეულ, ბუნდოვან, ნახევრად ლეგენდარულ პერიოდში. ოდისევსი იცნობდა კუნძულს და მის ასოციაციებს, მეფე მინოსთან დაკავშირებულს:

„ძუქ ლურჯ ზღვაში მოსჩანს კუნძული კრეტა, მდიდარი და მშვენიერი ძხარე. ტალღები ეშხეფებიან მის ნაპირებს ყოველი მხრიდან, ძჭიდროდ დასახლებულია ოთხმოცდაათი ქალაქი... მათგან ერთ-ერთის სახელია კნოსოსი, სადაც მეფობდა მინოსი ცხრა წლის მანძილზე და მეგობრობდა ყოვლისმძლე ზევსს“.

ამრიგად აღწერს ჰომეროსის ოდისევსი კრეტას პოემის ცნობილ თავში, სადაც „ხერხიანმა“ გმირმა პენელოპას მინოსის შვილიშვილად მოაჩვენა თავი. ფილონს თუკიდიდე რომ ჰქონოდა წაკითხული, გაახსენდებოდა, რომ ეს ბერძენი ისტორიკოსიც ახსენებს მინოსს, როძელიც იყო „ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრინდელი მბრძანებელი, როძელსაც ჰყავდა ფლოტი და კონტროლს უწევდა საბერძნეთის წყლების უდიდეს ნაწილს. იგი ძართავდა კიკლადებს და იყო

მათი პირველი კოლონიზატორი, სადაც აყენებდა მმართველებად თავის ვაჟებს. როგორც ჩანს, მან გაწმინდა ზღვა მეკობრეთაგან, რამდენადაც შეეძლო, რათა დაეცვა თავისი ავლა-დიდება".

ვინ იყო ეს მიხოსი, როდის მეფობდა იგი? რეალური პიროვნება იყო თუ პოეტური ფანტაზიის ნაყოფი? ისტორიკოსი თუკიდიდე მას რეალურ პიროვნებად მიიჩნევს, თუმც ფილონისდროინდელ კრეტაზე უკვე აღარაფერი იყო ისეთი, რაც მიანიშნებდა მის იმპერიულ სიდიადეზე; აღარც სასახლეები იყო და აღარც მდიდარი ქალაქები; მხოლოდ რამდენიმე უღიმღამო პროვინციული ქალაქი იყო შემორჩენილი, რომელთაგან ერთ-ერთი იყო კნოსოსი. რაც შეეხება მოსახლეობას, იგი შერეული იყო, ზოგნი დორიელი ბერძენი დამპყრობლების შთამომავალნი იყვნენ, რომელნიც მოვიდნენ კუნძულზე 800 წლით ადრე, სხვანი თავისთავს უწოდებდნენ კიდონიელებს, პელაზგებს და ეტოკრეტელებს, ისინი არ ჰგავდნენ ბერძნებს არც გარეგნობით და არც ბარბაროსული დიალექტებით. ესენი იყვნენ გლეხები, მწყემსები, მეთევზეები, მეკობრეები, რომელთა დასახლებები გაფანტული იყო ამ მოგრძო, მთიანი კუნძულის კლდოვან სანაპიროზე; ამ მთათაგან ერთ-ერთი, როგორც ტრაბახობდნენ კუნძულის მკვიდრნი, იყო თავად ზევსის დაბადების ადგილი. ამასთან უამრავ ზღაპარს ჰყვებოდნენ ისინი; ერთმა ძველმა მწერალმა სთქვა ამის გამო: „ყველა კრეტელნი მატყუარები არიანო. ფილონი, ბიზანტიელი სწავლული, ალბათ სერიოზულად არც ღებულობდა მათ მონათხრობს, გახსაკუთრებით თეზეოსისა და მინოტავრის შესახებ.

ამ ლეგენდის მიხედვით, მინოსის დედოფალს, პასიფეას, სექსუალური დაუკმაყოფილებლობა სჭირდა; თავისი ვნების დასაკმაყოფილებლად მან უბრძანა დედალოსს, ხუროთმოძღვარს, გაეკეთებინა ძროხის ქანდაკება, რომელშიც იგი უნდა შემძვრალიყო და სქესობრივი კავშირი დაეჭირა ხართან. ამ გზით იშვა მინოტავრი, ნახევრად კაცი, ნახევრად ხარი, ურჩხული, რომელიც მინოსს დამწყვდეული ჰყავდა ლაბირინთში, თავისი სასახლის ქვეშ.

კრეტელნი ტრაბახობდნენ, რომ იმ ხანაში მინოსი მბრძანებლობდა არა მხოლოდ კუნძულებზე, არამედ საბერძნეთის ხმელეთის ნაწილზეც, თვით ათენიც კი ხარკს უხდიდა მას. ყოველწლიურად 12 ჭაბუკი და ქალიშვილი იგზავნებოდა ათენიდან კნოსოსში მინოტავ-

რისთვის შესაწირად. ლაბირინთი იმდენად დახლართული იყო თავისი ძიხვეულ-მოხვეული გვირაბებით, რომ მასში შესული კაცი უკან ვეღარ გამოაგნებდა გზას დახმარების გარეშე. ლაბირინთის სიღრმეში კი მოჩანდა ურჩხული-კურო.

ასობით ადამიანი დაიღუპა ამრიგად, სანამ თეზეოსი, ათენის სეფეწული, არ გააგზავნეს მინოტავრისთვის შესაწირად. იგი შეუყვარდა „წაბლისფერთმიან არიადნეს", მინოსის ასულს, რომელმაც მისცა მას „ძაფი-გასაღები".

„თეზეოსმა დაამაგრა ძაფის ერთი ბოლო კარებზე, თან გაიყოლა იგი და შევიდა ლაბირინთში. მან იპოვნა მინოტავრი ლაბირინთის ბოლოში და ხელით დაახრჩო იგი; შემდეგ გამოჰყვა ძაფს და გამოვიდა გარეთ"...

ფილონ ბიზანტიელის სიკვდილის შემდეგ 2 ათასმა წელმა განვლო. კრეტას ეწვია გერმანელი მილიონერი შლიმანი, რომელიც კარგად იცნობდა ბერძნულ მითებს; მითებმა აპოვნინეს მას ჰომეროსისეული „ოქროს მიკენი", რომელიც მართლაც ოქროში ცურავდა. აგამემნონის ციტადელთან ნაპოვნ სამარხებში აღმოჩნდა იგავმიუწვდომელი განძი საჭურვლისა და ოქრო-ვერცხლისა. გერმანელი მეცხიერები დასცინოდნენ შლიმანს, ვინაიდან ჰომეროსის პოემებს მითებად სთვლიდნენ. მათ ჯიბრზე შლიმანი შეეკვეჭრა კრეტელ მიწათმფლობელს, რათა დაესაკუთრებინა მიწა, რომელზედაც ერთ დროს იდგა კნოსოსი. ძაგრამ გარიგება ჩაიშალა ბოლო წუთებში. გერმანელი ვაჭარი განრისხდა, როდესაც მიხვდა, რომ კრეტელი მიწათმფლობელი ცდილობდა მის მოტყუებას თავის მამულში, ზეთისხილის ხეების რაოდენობასთან დაკავშირებით. საქმოსნის ჟინმა სძლია არქეოლოგის ინტერესს და შლიმანმა დასტოვა კუნძული, მიბრუნდა საშობლოში და ძალე გარდაიცვალა. ერთხანს ამოუხსნელი დარჩა კეფალას დიდი ბალახიანი ყორღანის საიდუმლო კნოსოსში.

შემდგომში, 1900 წელს, კნოსოსს ეწვია სერ არტურ ევანსი, ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, ნუმიზმატიკის სპეციალისტი, რომელიც კარგად იცნობდა კრეტას. მართლაც, მან მოიარა კუნძული მთელი თავისი სიგრძე-სიგანით 1893 წელს, თავის მეგობართან, ჯონ მირესთან ერთად. იგი შლიმანივით მდიდარი იყო, მაგრამ მისგან განსხვავებით, ძიწაში დაფლული სიდიადის საძებნელად როდი ეწვია კნოსოსს, არამედ მცირეზე მცირე ნივთის საძებნელად, რომელიც ერთი გროშის

სიდიდისა იყო და რომელზეც უნდა ყოფილიყო გამოსახული პაწაწინა სიმბოლოები, რომელთა დანახვაც შეიძლებოდა მხოლოდ გამადიდებელი შუშით. ძრავალი წლის მანძილზე იგი შეპყრობილი იყო იმ იდეით, რომ ევროპის კონტინენტზე ერთ დროს არსებობდა „სურათოვანი დამწერლობის“ სისტემა, რომელიც სავსებით არ ჰგავდა ეგვიპტურ იეროგლიფებს, ათენის სიძველეთა ფარდულებში იგი და მირესი წააწყდნენ უმცირეს „მძივ-ბეჭდებს“, რომლებზედაც უცნაური პაწაწინა გამოსახულებები იყო, რომელნიც ევანსმა ჩათვალა დამწერლობის სიმბოლოებად. გამყიდველებმა სთქვეს, რომ ეს ბეჭდები (რომელთაც ჰქონდათ ძაფის გასაყრელი ნახვრეტები) კრეტიდან იყო ჩამოტანილი, სადაც გლეხის ქალები ყელსაკიდად ხმარობდნენ ამ „სარძევე ქვებს“, ვინაიდან მათი რწმენით, ისინი რძეს ჰმატებდნენ მეძუძურებს.

ევანსს გაგონილი ჰქონდა, რომ კნოსოსში მოყვარულმა არქეოლოგებმა იპოვნეს თიხის დაფები მსგავსი ნიშნებით, ამიტომაც შეისყიდა მან ადგილ-მამული კნოსოსში და დაიწყო გათხრები. იგი არ დაყრდნობია არც ჰომეროსს და არც მეფე მინოსის გარშემო არსებულ ლეგენდებს. მან მალე აღმოაჩინა ასობით დაფა, ეიწრო და გრძელ ქვის საწყობებში შენახულნი. თუმც, მან კიდეე უფრო დიდი რამ აღმოაჩინა. ეს საწყობები წარმოადგენდნენ ნაწილს უშველებელი კომპლექსური შენობებისას, დარბაზების, დერეფნების, კიბეების ნამდვილი ლაბირინთისას, სვეტებიანი გალერეებისას, რომელთა მსგავსიც მას არსად ენახა გარდა მიკენის ციტადელისა, სადაც შლიმანმა აღმოაჩინა სამარხები. დათარიღებული ეგვიპტური ნივთების მიხედვით, რომელნიც დამარხულნი იყვნენ კნოსოსის სასახლის ქვეშ, ევანსი მიხვდა, რომ ეს სასახლე გაცილებით, გაცილებით უფრო ძველი იყო მიკენზე, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. 1200 წლით იყო დათარიღებული. კნოსოსის ზოგიერთი ნაწილი ძვ. წ. 3000 წლით თარიღდებოდა, ზოგი კი უფრო უადრესი ხანით. ევანსი კრეტაზე ჩამოვიდა დამწერლობის სისტემის გასაშიფრავად. ერთი თვის შემდეგ კი დარწმუნდა, რომ მან აღმოაჩინა დღემდე უცნობი ცივილიზაცია.

7. „მიწისმძვრელს სათნო უჩნს კაცრიტინი“.

საბოცმა წელში განვლო მას შემდეგ, რაც ევანსის მუშებმა დაჰკრეს ბარი კეფალას ყორღანს. დღესდღეობით კი კნოსოსს ჩასული მოგზაური ხედავს ისეთ რამეს, რაც განაცვიფრებდა ალბათ ფილონ ბიზანტიელსაც და რაც გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე როდოსის კოლოსი, მავზოლეუმი, ან ბაბილონის დაკიდებული ბაღები — ბრწყინვალე თეთრი სასახლის ნანგრევებს, რომლის საძირკველიც ალბათ ისევე ძველია, როგორც თვით პირამიდები. მეფე მინოსი უკვე აღარ არის ლეგენდა, იგი რეალობაა დღესდღეობით, მის ბრწყინვალე საშეფო რეზიდენციაში ჩვენ ვხედავთ გულ' ევროპის უძველესი ცივილიზაციისას. სერ არტური წერდა: „მართალია, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ, ნანგრევთა ნანგრევია, მაგრამ ყოველივე მთლიანობაში წესისა და ორგანიზაციის მიხედვით ინსპირირებულია მინოსის სულით და დიდი ხუროთმოძღვრის, დედალოსის ხელოვნებით. ჩვენს წინაშეა სანახაობა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს...“

მიუხედავად ამისა, სასახლე არ ახდენს უეცარ, მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას, პირამიდების მსგავსად. წარმოიდგინეთ, რომ გაზაფხულის ერთ დილას განვლეთ მზით განათებული ჰერაკლეონის ვიწრო ქუჩები, ჩაუარეთ ძასიურ ვენეციურ სიმაგრეებს და მიჰყევით რამდენიმე მილზე ქარიან და მტვრიან გზას, ზეთისხილის ჯალებისა და ვენახების მიყოლებით, სადაც გლეხები შემოსხდომიან ტაბლაკებს და „რეტზინას“ ღვინოს მიირთმევენ. თქვენს წინაშე გადაიშლება ველი, რომელზედაც შუბებივით გამწკრივებულან კვიპაროსები და მარჯვნივ, დაქანებაზე დგას ვარდისფერი ვილა. ეს არის ვილა „არიადნე“, სერ არტურ ევანსის მიერ აშენებული; აქ ცხოვრობდა იგი ოცდაათი წლის მანძილზე და აწარმოებდა გათხრებს. დღეს ეს ვილა, სასახლესთან ერთად, საბერძნეთის მთავრობის საკუთრებაა.

ბაღში დგას კეისარ ჰადრიანეს ქანდაკება, რომელიც აღმოაჩინა ევანსმა და კვლავ აღმართა იმპერატორის იმ ვიზიტის მოსაგონრად, როდესაც ჩვ. წ. მეორე საუკუნეში მან მოიხილა რომის იმპერიის სხვადასხვა ქვეყანა. იმპერატორი თეთრად მოსჩანს კვიპაროსების

ფიწნეე, ტოგა ‘ბკლაეზე გადაუგდია, გასცქერის ხეებს და სანახაობას, რომელიც თავად ადრიანეს არასოდეს უნახავს.

თუ დავუყვებით ბაღის ბილიკს და მოწითალო ბუგენ-ვილების[1] გავლით გადავჭრით გზას, თანდათანობით თავს იჩენს მინოსის სასახლე. იგი ტაფობშია ჩაფლული, სანახევროდ ხეებით დაფარული და ვაზებით გარშემორტყმული ყოველის მხრიდან. თუმც მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჩრდილო მხარე, ზღვისკენ გამავალი, ღიად არის დატოვებული. სასახლე ბორცვზე დგას, ნანგრევები დაახლოებით ორი ათასი წლისაა; თავდაპირველად თქვენ ხედავთ ყორეს კარგად გათლილი ქვისას, შემდეგ, მის მარჯვნივ, ჩრდილო-დასავლეთის ფართო ეზოა და სასახლეში შესასვლელი. ამ მონუმენტურ გალერეაში, რომლის კოლონებიც უცნაურად ვიწროვდება მიიირებაში, თქვენ ხედავთ ადამიანის ფიგურას, კედელზე გამოსახულს. ეს არის კაფანდარა, ტანწერწეტა ჭაბუკი, რომელსაც მხრებამდე სცემს შავი კულულები. ხმელთაშუა ზღვის მოდგმისაა იგი, როგორც ჩანს, და არა ბერძნულისა. ვერაფერს ნახავთ უფრო განსხვავებულს ბერძნული „კლასიკური“ ტიპისაგან, ვიდრე ამ ელეგანტურ, თითქმის სქესისაგან დაცლილ ფიგურას. იგი პროფილშია მოცემული, ეგვიპტურ ფრესკასავით, მაგრამ ეს კაცი არ არის ეგვიპტელი; არც დაკორძილი, გრძელნიკაპა ჰიტიტია იგი და არც წვეროსანი სირიელი. ევანსის მიერ ამ ფრესკის აღმოჩენამდე არც ერთ არქეოლოგს არ უნახავს მსგავსი გამოსახულება კაცისა ევროპაში. მძლავრი გადაშლილი ბეჭები; მაღალი, კონუსისებრი „რიტონი“ (სასმისი) აღუპყრია მას რიტუალურ პოზაში; პატარა ხელები, გამოკვეთილი, დაძაბული კუნთები მკლავისა, ძალოვანი ბარძაყები, რომლებზედაც შემოტმასნილია ვიწრო ქვედა კაბა, მდიდრულად შეფერადებული — ყოველივე ეს ძთლიანობაში ახდენს ისეთ ემოციურ შოკს, როგორიც განიცადა ალბათ ესპანეთის ალტამირას გამოქვაბულების აღმომჩენმა, თუმც სრულიად განსხვავებულ კონტექსტში; ცნაურდება უეცარი წინააღმდეგობა თანამედროვე კაცისა ცხოვრების სავსებით განსხვავებულ, უცხო და მძლავრ დამკვიდრებასთან.

აი, ეს არის დღეისთვის სახელგანთქმული მინოსური ფრესკა „მეარიქიფე“, რომელიც წარმოადგენს პირველ შთაბეჭდილებას დიდი ხნის მივიწყებული და აწ აღმოჩენილი ხალხის შესახებ, რომელმაც

[1] სამხრეთამერიკული ტროპიკული მცენარე.

ააგო კნოსოსის სასახლე. ევანსმა თავად აღწერა თავის დღიურში ის განცდა, რომელიც იყო დაკავშირებული ამ აღმოჩენასთან:

„დილაადრიან დერეფნის კედლების ფხეკისას მეგარონის მარცხნივ მის საშხრეთ ბოლოში გამოჩნდა ორი დიდი ნაწილი მიკენური ფრესკისა... ერთი წარმოადგენდა თავს და შუბლს, ხოლო მეორე წელს და ქალის ფიგურის ნაწილს (შემდგომში აღმოჩნდა, რომ ეს ფაიაკაცის ფიგურა იყო), რომელსაც ხელთ ეპყრა მიკენური „რიტონი", ანუ ძაღალი, საკვამური მილის ფორმის სამწდეური[1]... ფიგურა ნატურალური სიმაღლისაა, მისი ფერ-ხორცი მოწითალოა და ჰგავს ეტრუსკული აკლდამების ფიგურებს, აგრეთვე ეგვიპტური სააკლდამო ფერწერის „ქეფტიუსს"[2]. პროფილი კეთილშობილურია, მსხვილი ტუჩები აქვს, ქვედა ტუჩი ოდნავ ჩამოწეული. თვალები შავი და ნუშისებური... მკლავები შესანიშნავად გამოკვეთილი; წელი წერწეტი... ეს არის უშესანიშნავესი ფიგურა მიკენური ხანისა, რაც კი დღემდე გამოვლენილა". (სერ არტურ ევანსი, „მინოსის სასახლე", მაკმილანი, 1921. 35. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მიკენური" ეწოდება პრეისტორიულ კულტურას (1500—1200 ქრისტემდე), რომელსაც ახასიათებს უაღრესად ინდივიდუალური სტილი ხელოვნებასა და არქიტექტურაში, რომელიც აშკარად გამომდინარეობს ნაწილობრივ კრეტის მინოსური ცივილიზაციიდან („მიკენი" ადგილის სახელწოდებაა პელოპონესში).

„მერიქიფე" გასაღებია კნოსოსისა. შეხედეთ ჯერ მას, შემდეგ „შროშანისგვირგვინოსან სეფეწულს" დიდი კიბის თავზე და ბოლოს „დიდი სტენდის" ფრესკას, რომელზედაც გამოსახულნი არიან ელეგანტური მინოსელი ტანწერწეტა ქალები, გაშლილი ქვედა კაბებით და დახვეული კულულებით! თქვენთვის საცნაური ხდება პროდუქტები ცივილიზაციისა, რომელმაც ძვ. წ. მეთექვსმეტე საუკუნეში უკვე განვლო თავისი ზენიტი და დაადგა დაკნინების გზას. მთელი მომხიბვლელობა, ინტელექტი და დახვეწილობა მდიდარი, დეკადანსის გზა-

---

[1] ეს სამწდეური (რიტონი) საოცრად ჩამოგვავს ქართულ ყანწს, ხოლო მერიქიფე — ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს. როგორც აღვნიშნეთ, მინოსელები ეკუთვნიან ხმელთაშუა ზღვის აუზის არაინდოევროპულ ხალხთა უძველეს მოდგმას, რომელიც თავისი წარმოშობით პროტოკავკასიური, პროტოქართველურ (მარის ტერმინოლოგიით ე. წ. იაფეტურ) მოდგმას უკავშირდება, არაინდოევროპელ ხალხები ამ ეპოქაში ხშირად განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ და გავლენას ახდენდნენ ინდოევროპელებზე (მთარგმნ. შენ.).

[2] „ქეფტიუსს" ეგვიპტელნი უწოდებდნენ მინოსელებს (მთარგმნ. შენ.)

ზე დამდგარი კულტურისა ცნაურდება ამ სათუთ ფერწერაში. თუ თქვენ ამას ჩასწვდებით, ყოველივე დანარჩენი თავის ადგილს დაიკავებს კნოსოსში.

ეს ძიძირებაში შევიწროებული კოლონები, ესოდენ დამახასიათებელნი ძინოსური არქიტექტურისათვის, გვაგონებენ ტორსს მერიქიფისას ფართო მხრებიდან წერწეტ წელამდე. მინოსელ ქალთა ფრიალა კაბებიც იგივე სამკუთხედებს ქმნიან, ოღონდ გადაბრუნებულს. ამ ქალების გაშიშვლებული, გამოკვეთილი ძუძუ-მკერდი ხელოვნურად "შევიწროებულ წელს ზემოთ, გვიჩვენებს ქალური საწყისის, დედა-ძიწის[1] ქალღმერთის დომინირებას. მნიშვნელოვანი უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ თვით ზევსი, ღმერთთა მეუფე, რომელიც, ბერძენთა რწმენით, იშვა კრეტაზე, იდას მთის გამოქვაბულში, რეამ შვა, ქალღმერთმა დედამიწამ. ხოლო როდესაც მინოსელებმა ააგეს თავიანთი სასახლე, ძვ. წ. ორი ათასი წლის წინ, მაშინ ბერძნები ჯერაც არ იყვნენ ძოსულნი, თავიანთი მამრი ღმერთებითურთ. კრეტის უმთავრესი ღვთაება, რომელიც ევანსმა ჰპოვა ქვებზე ამოტკიფრული და რომლის პაწაწინა გამოსახულებებიც აღმოაჩინა მან, იყო აზიის დედა-ქალღმერთი, ხელებზე გველებშემოხვეული, რომელნიც წარმოადგენდნენ ძის ემბლემას. ალბათ პასიფეა და არიადნე მისი კულტის ქურუმნი იყვნენ.

უცნაურია სურათი, რომელსაც ევანსმა უწოდა „დიდი სტენდის ფრესკა", იგი ასახავს ხალხის სიმრავლეს, რომელიც რაღაც სანახაობას უყურებს. წინა მხარეს, რელიგური საკურთხეველის გარშემო, დგანან ქალები. მათი შავი, დახვეული თმა შემკულია ნაირგვარი სამკაულებით; სახელოებზე ბაფთები აქვთ, წვივებამდე შემოკერილი არ"ძიებიანი კაბები არ ფარავენ ძუძუ-მკერდს; კრეტის არტიკტული ტრადიციის "ესაბამისად ისინი მუდამ ფერმკრთალნი არიან, ხოლო ძამაკაცებს მუდამ მუქი კანი აქვთ. მაგრამ ყველაზე უფრო განსაცვიფრებელია ძაინც ქალების უდარდელი, მხიარული პოზა. ხელოვანძა დაიჭირა ისინი ისეთ მომენტში, როდესაც ურთიერთშორის ტიკტიკებდნენ და ჭორაობდნენ, როგორც მეცხრამეტე საუკუნის დამები პარიზის ოპერაში. არაფრით ჰგვანან ისინი „კლასიკურ" ბერძენ ან რომაელ ქალებს, რომელნიც მუდამ მამაკაცისადმი არიან დაქვემდე-

[1] გავიხსენოთ ქართული სიტყვა „დედა-მიწა". (მთარგმ.)

ბარგებულნი. დიდი სტენდის ფრესკაში, რომელიც „კლასიკური“ საბერძნეთის ხანამდე ორი ათასი წლით ადრეა შესრულებული, ძირითადი მამაკაცები უხეშად არიან მიყრილნი სურათის ფონზე, როგორც ანონიმური პირსახეები და თვალები. მხოლოდ ქალები არიან დახატულნი დიდის სიყვარულით და გულმოდგინებით.

ჰო, მაგრამ, რას უცქერიან ეს ქალ-ვაჟნი თავიანთი დიდი სტენდიდან? გავცდეთ სამხრეთ-დასავლეთ გალერეას, გადავჭრათ მთავარი ეზო, ერთ დროს ოთხ და ხუთსართულიანი შენობებით გარშემორტყმული, და თვალი შევავლოთ ფერად ფრესკას „ზღვის კარიბჭის“ შიდა კედელზე, ჩრდილოეთის გალერეაში. აქ მკვეთრი, მძლავრი ფერებით არის გამოსახული მეწამული, აშვებული ხარი. რომელიც თავჩაქინდრული ჩასცქერის ლურჯ მიწას. ფრესკის უმეტესი ნაწილი უკვე დაზიანებული იყო, როდესაც იგი აღმოაჩინა ევანსმა, მისი ნარჩენი ამჟამად ჰერაკლეონის მუზეუმში ინახება; ჩვენს თვალწინაა რეკონსტრუქცია გილიერონისა (შვეიცარელი მხატვარი, რომელიც ეხმარებოდა ევანსს გათხრების დროს). თუ შეხვალთ გალერეაში, სეფე-დარბაზის თავზე ჰპოვებთ სხვა ფრესკებს, რომელნიც აგრეთვე აღადგინა გილიერონმა. ერთ-ერთი მათგანია „დიდი სტენდის ფრესკა“, ჩვენს მიერ აღწერილი. მაგრამ არის მეორეც, უფრო ღირსშესანიშნავი.

ისევე როგორც ჩრდილო გალერეაში, ცენტრალური ფიგურაა გავგშებული ხარის მეწამული გამოსახულება ღია ცისფერ ფონზე. პირუტყვს უკან უდგას კაფანდარა ფიგურა მოკლე მინოსურ ქვედა კაბაში, წელს ზემოთ გაშიშვლებული. ასეთივე ფიგურა წინ უდგას ხარს, მის რქებში ხელებჩავლებული თითქოს. თავდაპირველად მამაკაცებად მოგეჩვენებათ ისინი, მაგრამ მათი სიფერმკრთალის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ეს ასულების ფიგურებია. ხარის ზურგზე მეორე ფიგურა დგას თავდაყირა, ეს უკვე მუქკანიანი მამაკაცია. იგი მალაყს გადადის ხარის ზურგზე და მზად არის მკლავებში ჩაუვარდეს ხარის უკან მდგომ ასულს, რომელიც დგას მკლავგაშლილი, რათა დაიჭიროს იგი. როგორც ჩანს, ამ სანახაობას უცქერდა ხალხი, „დიდი სტენდის“ ფრესკაზე გამოსახული.

გალერეიდან ჩამოსულნი შედიხართ კნოსოსის სასახლის გულში, მისტერიულ და ოდნავ ავბედით სეფე-დარბაზში. ეს არის საუკეთესო პუნქტი, საიდანაც შეიძლება დაწყება მთელი სასახლის დათვალიერე-

ბისა. მისი სამი კედლის გასწვრივ ქვის სკამებია დატანებული, ცენტრში დგას ქვის სავარძელი, მაღალი, ტალღისებრძგიდეებიანი ზურგით; ეს არის ევროპის უძველესი ტახტი, რომელიც დღესაც თავის თავდაპირველ მდგომარეობას ინარჩუნებს. სასახლეში ვერსად შეხვდებით წარწერებს, მაგრამ თითქმის ფაქტია, რომ ეს იყო საბჭო — დარბაზი მეფე-ქურუმის მინოსისა. ღირსშესანიშნავი მსგავსებაა შუა საუკუნეთა ტაძრების მთავარ შენობებთან, თუმც იგი დაახლოებით 1400 წლით უფრო ძველია, ვიდრე რომელიმე უძველესი ქრისტიანული ტაძარი. სამეფო ტახტის გარშემო კედლებზე ფრესკებია გრიფონების გამოსახულებით, რომელთაც ლიმის ტანი აქვთ და ფრინველის თავი.

ტახტის პირდაპირ, ოთახის მეორე მხარეს, ოთხკუთხა ორმოა, რომელსაც უახლოვდებით კიბეებით. თავდაპირველად ევანსს ეგონა, რომ ეს იყო აბანო, მაგრამ არსად ჩანდა მილი. მინოსელები, რომელნიც დახელოვნებული ჰიდრავლიკოსი ინჟინრები იყვნენ, მოახერხებდნენ მილების შემოყვანას, ასე რომ, როგორც სჩანს, ეს ორმო სხვა დანიშნულებისა იყო. შემდგომში ევანსმა აღმოაჩინა სასახლის სხვა ნაწილებში და მის მახლობელ ვილებში მსგავსი ორმოები, რომელთაგან ზოგიერთის ცენტრში იყო სვეტები. ამ სვეტებზე ორმაგი ცული იყო ამოტვიფრული (ბერძნულად „ლაბრის"). მან დაასკვნა, რომ მიწისქვეშა ოთახებს ჰქონდათ რელიგიური დანიშნულება, მიწის ღვთაებასთან დაკავშირებული.

სეფე-დარბაზი იხსნება დიდი ეზოს დასავლეთ მხარეს. როდესაც კაცი ამოდის ამ ჩაბნელებული სენაკიდან, მზის სინათლე ირეკლება ყინულივით თეთრ თაბაშირის ქვაფენილზე; ციდან გამჭვირვალე ნათელი იღვრება და ჩრდილები ცახცახებენ მიწაზე. კრეტაზე მზე ისევე აცხუნებს, როგორც ეგვიპტეში, მაგრამ რამდენადაც ეგვიპტის ჰაერს მუდამ უდაბნოს სუნი უდის, კრეტას ჰაერი მუდამ სუნთქავს მთებისა და ზღვის ამო სურნელით. თვალი ისევნებს მზით განათებულ ლანდშაფტზე, კვიპაროსებზე და ზეთისხილის ხეებზე, გაშლილ ველებს ებჯინებიან კირქვის კედლები, რომელთაც გადმოსცქერიან თოვლიანი მწვერვალები შორი, ნისლიანი მთებისა, კვერცხისფერი ცის ფონზე.

მე ხაზს ვუსვამ ამ კონტრასტს, ვინაიდან კრეტა სულ რამდენიმე ასეული მილითაა დაშორებული ეგვიპტისაგან, ხოლო მინოსელებს ჰქონდათ კულტურული ურთიერთობა ძველ ეგვიპტელებთან. თუმც

ეგვიპტის გავლენის თითქმის არავითარი კვალი არ ჩანს კნოსოსში. შესაძლოა მისი უადრესი მკვიდრნი აფრიკიდან და აზიიდან იყვნენ ძოსულნი, მაგრამ მინოსის სასახლე აღმოსავლეთი როდია, არამედ დასავლეთი. მისი სული ევროპულია, ამასთან იგი ოთხი ათასი წლისაა.

სასახლე აგებულია წაგრძელებულ, კლდოვან ბორცვზე, რომელიც ეშვება აღმოსავლეთით პატარა მდინარისაკენ, რომელსაც უწოდებენ კაირატოსს. ამ ლანდშაფტმა უკარნახა არქიტექტორს ფორმა სასახლისა. დიდი ეზო ბორცვის ცენტრშია, იგი გარშემორტყმული იყო ადმინისტრაციული და რელიგიური შენობებით, რომელთაც რამდენიმე სართული ჰქონდათ. აღმოსავლეთ მხარეს, როგორც ჩანს, იყო სარეზიდენციო ნაწილი, შენობები ეშვება აღმართზე ველისაკენ, ძათკენ მივყავართ დიდ კიბეს, ხუთრიგიანს. ეს დიდებული კიბე აღადგინა სერ არტურ ევანსის ბრწყინვალე არქიტექტორმა, ქრისტიან დოლმა. კიბე დამსხვრეული იყო, ვინაიდან მისი ხის საბჯენები დამპალი იყო. ურთიერთზე ეყარა მისი საფეხურები ბანქოს ქაღალდივით, იგი მთიდან ჩამორეცხილი თიხით იყო დაფარული.

ამ გაქვავებულ თიხის მასას ბურღავდნენ დოლი და მისი მუშები (ნახ გამოიყენა ამ საქმეში კრეტელი მემაღაროენი), ხშირად დიდი პერსონალური რისკის საფასურად. როდესაც მათ იპოვეს კედელი, მოანგრიეს მას მრავალტონიანი მასა, დააყენეს ვერტიკალურად და გაამაგრეს. ხის სვეტები განადგურებული იყო, მაგრამ მათი ზომა ცნობილი იყო და ისინი შეცვალეს კამეჩის ტყავისფრად შეღებილი ბეტონის სვეტებით, რაც იმიტაცია იყო ორიგინალისა. ზოგჯერ გაიგონებთ ზოგიერთი ამპარტავანი ვიზიტორისაგან სერ არტურის კიცხვას, რად სჭირდებოდაო ამდენი რესტავრაცია. თუმც დოლის მსგავსი ადამიანების თავგანწირული შრომა რომ არა, რასაც ზურგს უმაგრებდა ევანსის ინსპირაცია და სიმდიდრე, ამგვარი კრიტიკოსები იხილავდნენ მხოლოდ გროვას ქვის ნატეხებისას (როგორც ამბობენ, ევანსმა სასახლის აღდგენაზე დახარჯა თავისი პირადი დანაზოგი 250 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით).

ევანსი წერდა: „სხვადასხვაგვარი საშუალებით მოხერხდა კიბისა და ბალუსტრადის შენარჩუნება თავდაპირველ დონეზე და, ამრიგად, აღდგა თანამედროვე მსოფლიოს წინაშე სტრუქტურული ასპექტები ამ უზარმაზარი ნამუშევრისა, რომელიც დაახლოებით 3600 წლისაა.

ეს არის ერთ-ერთი მიზეზთაგანი კნოსოსის შეტანისა სამყაროს

საოცრებათა რიცხვში ჩემს მიერ. აი, როგორ აღწერს თვით ევანსი ამ დიდ კიბეს:

„თლილი, ჩამწკრივებული კოლონები აღდგა თავისი პირველდელი ელფერით, ბალუსტრადები ამაღლდა ერთიმეორის მიყოლებით, აღდგა ფრესკა დიდი მინოსური ფარებითურთ შუა გალერეის უკანა კედელზე, — მან გააცოცხლა უშორესი წარსული შენობის ყველა სხვა ნაწილზე მეტად. მე წილად მხვდა ძალოვანი შთაბეჭდილების მიღება მისგან ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჯერაც არ იყო დასრულებული რეკონსტრუქცია.

ციების შეტევისას უკეთესი ჰაერის ძიებაში დავსახლდი ქვედა ოთახში, საინსპექციო კოშკის ძირში, რომელიც აღმართულიყო ცენტრალურ ეზოს მეზობლად. თბილი მთვარიანი ღამით დავცქეროდი კიბეს და თითქოს გაცოცხლდა მთელი ადგილი და ამოძრავდა. წარმომიდგა მეფე-ქურუმი თავისი ჯიღით, დიდებული სეფე-ქალები, ტანწვრილნი, არშიებიანი კაბებით და კორსეტებით, გრძელსამოსიანი ქურუმები და მთელი ამალა ძარღვიანი ჭაბუკებისა — თითქოს მერიქიფე და მისი თანამეინახენი გაცოცხლდნენ და გამოვიდნენო კლდეებიდან და იწყეს ასვლა-ჩამოსვლა კიბეზე“.

კიბის ძირშია შესასვლელი დიდებულ დარბაზებში, რომელთა შუაგულშიც სინათლის სარკმელია მრგვალი, საიდანაც მკრთალი შუქი იღვრება ინტერიერში. კვლავ ტიპური მინოსური, მიძირებაში შევიწროებული კოლონები, ფაქიზად დამუშავებული ქვის კედლები, ნატიფი ფრესკები: ფრინველების, ცხოველების, ყვავილების გამოსახულებანი. ერთ-ერთს ამ დარბაზთაგანს, სადაც შემორჩენილია ფრესკები, ევანსმა უწოდა „დედოფლის მეგარონი“ (ჰოლი), დეკორაციის ფემინური ხასიათის გამო. აქ ყველაფერი გრაციაა და სიმსუბუქე. კედლების გასწვრივ აქაც დაბალი ქვის სკამებია, კედლებზე ხალისიანი ფრესკებია ბუნებისმიერი სცენებით: მუქლურჯი დელფინები ზღვაში, ვარსკვლავთევზები, ცხვირწამახული ზღვის ზღარბები, — ყოველივე ეს რეალისტურად არის გამოსახული და ჰარმონიულად ეთანხმება დეკორატიულ სქემას. ყოველივე ამის ხილვისას მხოლოდ დაჩლუნგებული წარმოსახვის კაცი თუ დარჩება გულგრილი.

„კნოსოსში დადიხართ დარბაზებში, სადაც ერთ დროს გაისმოდა მაცდუნებელი შრიალი მინოსელ ქალთა არშიებიანი კაბებისა, გაისმოდა ექო მათი ჩურჩულისა და მუსიკისა. აქ, თავის მაღალ ტახტზე,

იჯდა თვით მინოსი... შორეულ კუთხეში ელეგანტურად გამოწყობილი ჭაბუკები თამაშობდნენ აზარტულად, — იქვეა სათამაშო მაგიდა, რომელიც აღმოაჩინა ევანსმა. არცთუ ისე მოშორებით მინოსელი ქალბატონები, რომელთაც ბრწყინვალე სამკაულები უმშვენებდათ სპილოსძვლისფერ მკერდს, საუბრობენ მოდაზე, აშავებენ შორს ცყოფი მეგობრების რეპუტაციას და, შესაძლოა, იგონებენ გუშინდელ თავშესაქცევ დადგმას იმ ათენელი ჭაბუკისას... მართლა რა ერქვა ბარბაროსს?.. — ვგონებ თეზეოსი, არა?" (ლ. კოტრელი, „მინოსის ხარი", 1953 წ.).

ამგვარი ფანტაზიების შემდეგ უხერხულიც არის პრაქტიკულ თემებზე გადასვლა, მაგრამ რამდენადაც კნოსოსს უწოდებენ „წყალსადენის ოსტატთა სამოთხეს", არ უნდა დავივიწყოთ ამ მშვენიერ დარბაზებში ისიც, რომ მათში არის ნიშნები ცივილიზაციის სამი ათასი წლის წინანდელი ორი ძირითადი მახასიათებლისა: აბაზანისა და ვატერკლოზეტისა. დედოფლის მეგარონის მახლობლად პატარა ოთახში ევანსმა აღმოაჩინა აბაზანა, რომელიც ოდნავ ჩამოჰგავდა ვიქტორიანულ ტიპის აბანოს და მის მახლობლად ტუალეტი, რომელსაც გარკვეული ნიშნების მიხედვით ჰქონდა წყალგაყვანილობის სისტემა.

ეს სტრუქტურა მთლიანობაში ავლენს ისეთ ცოდნას ჰიდრავლიკისას, რომელიც თვით თანამედროვე ინჟინრებსაც კი განაცვიფრებს. ეგვიპტელთაგან განსხვავებით, რომელთა ქვეყანამაც თითქმის არ იცის წვიმა, მინოსელ არქიტექტორებს ანგარიში უნდა გაეწიათ კრეტული ზამთრისათვის, რომლის დროსაც ხშირია კოკისპირული წვიმები; ფართო ვერტიკალური მილები, სქელ კედლებში დატანებულნი, უკავშირდებიან ისეთ რთულ სისტემას ვეება ხვრელებისას, რომ ევანსის სიტყვით, მისი კრეტელი მუშები დღეების მანძილზე გამოუსვლელად ისხდნენ შიგ და არ გრძნობდნენ არავითარ უხერხულობას". უფრო მცირე ხვრელები გაკეთებული იყო ტერაკოტის მილებისაგან, რომელთა სექციებიც მეცნიერულად იყო დამუშავებული, ისინი იხსნებოდნენ და იკეტებოდნენ, ალაგ-ალაგ ვიწროვდებოდნენ ოდნავ, რათა ბიძგი მიეცათ წყლისთვის და განედევნათ ნალექი. ეს მილები ხაგებობის უძველეს ნაწილს ეკუთვნიან (2000 წ. ქრისტემდე).

ღირშესანიშნავია აგრეთვე წყლის ღია არხები, რომელნიც ჩასდევენ კიბეს სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, უერთდებიან ცენტრალურ ეზოს და ჩადიან მდინარესთან. კიბე დაქანებულია და ძისი

ჯერები სწორ კუთხეებს ქმნიან. წყლის არხები რომ ბრტყელი ყოფილიყო, წყალი ერთბაშად ჩაეშვებოდა ქვევით და მიაწყდებოდა კუთხეებს, ამიტომ მინოსელმა ინჟინრებმა გააკეთეს პარაბოლური ხვეულები დაქანების ნატურალური პარაბოლების შესაბამისად. ამის შედეგად წყალი სერიებად ვარდებოდა ქვემოთ. მისი ვარდნის სისწრაფე ერთიორად ნელდებოდა. ევანსი წერს: „მინოსელ ინჟინერთა თაობების ინტელექტუალურ გამოცდილებას არაფერი წარმოაჩენს ესოდენ მკაფიოდ, როგორც არხების ეს პარაბოლური ხვეულები“.

ნალექი გროვდებოდა სპეციალურ გუბეებში. ასე რომ, წყალი კიბის ბოლოში გაწმენდილი და სახმარად ვარგისი იყო. აქვე იყო ქვის აუზები. ევანსის ნატიფ წარმოსახვას წარმოუდგება მინოსელი ნავზიკაები[1], რომელნიც გაივლიდნენ აქ გზად, სასახლიდან მომავალნი.

ჩვენს ტექნოლოგიურ საუკუნეში ეს საინჟინრო ხელოვნება მრავალ ადამიანზე გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე სოციალური ცხოვრებისა და რელიგიური რწმენის მონაცემები, რომელნიც ჩვენთვის ძალზე ბუნდოვანია. თუმც აშკარაა, რომ თავად მინოსელების გაკვირვება არც ისე იოლი იყო. მათთვის ტექნიკის ასეთი დონე ისეთივე ბუნებრივი იყო, როგორც ჩვენთვის როზეტი ელექტროგაყვანილობისა. დედალოსი ალბათ მთავარი ოსტატი იყო, პატრონის მიერ დაფასებული, მაგრამ იგი მეფის მსახური იყო მხოლოდ, ხოლო ეს მეფე იყო ღმერთი, ანუ ქურუმი დედა-ქალღმერთისა. მსგავსად ამისა, მინოსელებს ესმოდათ დამწერლობის ხელოვნება, მაგრამ მას ფლობდნენ მხოლოდ სასახლის მსახურნი, მატიანეთა შესაქმნელად. ამ მხრივ ისინი განსხვავდებოდნენ ძველი ეგვიპტელებისაგან, რომელნიც აჭრელებდნენ თავიანთ მონუმენტებს და აკლდამებს წარწერებითა და ქრონიკებით. კრეტელ დიდებულებს კი არასოდეს სჩვეოდათ წარწერების გაკეთება თავიანთი სასახლეების კედლებზე. მათ ალბათ ჰქონდათ ზეპირი ლიტერატურა, რომელსაც ბარდები წარმოსთქვამდნენ მეფის კარზე, ისე როგორც ეს აღწერილია ჰომეროსის პოემებში:

„მოვიდა მაცნე, მოიყოლა თან რუდუნებით,
მგოსანი, მუზის სანუკვარი მისი რჩეული
ქველთა და ავთა საქმეთათვის მას ამღერებდა,
ზეცა წაერთვა, ღვთაებრივი ებოძა ჰანგი“.

---

[1] ჰომეროსის „ოდისეას“ პერსონაჟი.

აშკარაა, რომ ჰომეროსის პოემები შეიცავენ ელემენტებს ეპიური პოეზიისას, რომელსაც სიმღერით წარმოსთქვამდნენ მეფე მინოსის სასახლეში, და რომელიც გადავიდა საბერძნეთში კრეტაზე მოსული დამპყრობლების გზით, რომელთა ზეპირსიტყვაობიდან პოეტმა მრავალი რამ ისესხა. მრავალგზის აღნიშნულა, რომ ჰომეროსის მიერ აღწერილი ვიზიტი ოდისევსისა ფეაკიის სამეფოში შესაძლოა იყოს შორეული, ბუნდოვანი გახსენება მინოსური კრეტის დიდებისა:

„აჰა, სასახლე ფეაკიის მძლავრი მეფისა,
მოჰედილია ბრინჯაოთი მისი კედლები,
მისი ტალანი, შინაგანი სათავსოები,
დამშვენებულან უნატიფეს ლავგარდანებით,
ოქროს კარიბჭე საიმედოდ კეტავს სასახლეს,
ვერცხლის სვეტები აღმართულან ბრინჯაოს ზღურბლთან,
ზევით კვლავ ვერცხლის მშვილდურები, ოქროს თაღები“.

ჰომეროსი აღწერს ტყავის დიდ ფარებს, რომელნიც ფარავდნენ ადამიანს კისრიდან წვივებამდე. როდესაც ბერძენი გმირი აიაქს ტელამონის ძე მიდის ჰექტორთან საომრად, მას აქვს ფარი

„მსგავსი კოშკისა, ბრინჯაოსგან ნახელოვნები,
ექვს ფენად ჰქონდა გაჯაკული უხეში ტყავი
შვიდი ხარისა, იგი უძღვნა მას ჰილეს მკვიდრმა,
ტიხუს მეტყავემ.

ხოლო, როდესაც ჰექტორი ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან ტროაში,

„ტყავგადაკრული დიდი ფარი, ქვებით შემკული,
ფარავდა ჰექტორს წვივებიდან ყურიმალებამდე“.

ჰომეროსს, რომელიც როგორც ჩანს, ძვ წ. მერვე საუკუნეში ცხოვრობდა, ალბათ არ ენახა ამგვარი ფარი. მის ეპოქაში და აგრეთვე გვიანდელ „კლასიკურ“ ხანაში უკვე პატარა მრგვალ ფარებს ატარებდნენ. ხოლო ევანსმა აღმოაჩინა ეს დიდი ფარები სასახლის კედლის ფრესკებზე გამოსახულნი. გარდა ამისა, ჰომეროსი ახსენებს კნოსოსს, „სადაც მეფობდა მინოსი და მეგობრობდა ყოვლისშემძლე ზევსთან“. იგი ამბობს აგრეთვე პოსეიდონზე, რომ „მიწისმძვრელს სათნო უჩნს კურონი“, თუმც „ილიადაში“ და არც „ოდისეაში“ არ უკავშირებს იგი მინოსს ხარის კულტს, რომელიც იყო გულისგული კრეტის რელიგიური მისტერიებისა. ჩვენ ბნელში ხელის ფათურით ვე-

ძებთ ჭეშმარიტებას, ალაგ-ალაგ გაგვინათდება, მერმე კვლავ ბნელი ისადგურებს, ვინაიდან თეზეოსის მსგავსად, არ გაგვაჩნია გზის მაჩვენებელი ძაფი. კნოსოსის სასახლის კედლებზე კი არავითარი წარწერები არ ჩანს.

თუმც შესაძლოა თეზეოსისა და მინოტავრის ლეგენდა შეიცავდეს სიმართლის მარცვალს. არსებობდა მეფე მინოსი, კრეტის მმართველი. შესაძლოა, ეს სახელი, „ფარაოს" მსგავსად, აღნიშნავდეს მეფეთა მთელ დინასტიას. არსებობდა დიდოსტატი დედალოსი; მისი ნამუშევარი ჩვენს თვალწინაა. მინოტავრი შესაძლოა მიდიური იყოს, მაგრამ აშკარად არსებობდა კრეტული რელიგიური კულტი ხართან, კუროსთან დაკავშირებული, ნაყოფიერებისა და ძალმოსილების ემბლემასთან. რაც შეეხება კეთილშობილ ქალწულებსა და ჭაბუკებს, რომელთაც ხარკის სახით აგზავნიდა ათენი კრეტაზე, იქნებ არსებობს რაიმე კავშირი ამ ლეგენდასა და იმ ახალგაზრდა, კაფანდარა მდედრობით და მამრობით „ტორეადორებს" შორის, რომელნიც სცდიან თავიანთ თავგანწირულ ხელოვნებას მინოსურ ფრესკებზე? რაც შეეხება ლაბირინთს, მის ასახსნელად არსებობს ორი სავარაუდო გასაღები. ერთია სიტყვა „ლაბირინთი", ორპირი ცული, ემბლემა, რომელიც ხშირად გვხვდება კრეტაზე. მეორე კი ზეპირი გადმოცემაა: ევანსი აღნიშნავს თავის „მინოსის სასახლეში", რომ მინოსური ცივილიზაციის დაცემის შემდეგ, დაახლოებით ძვ. წ. 1400 წელს დორიელი დამპყრობლები მოვიდნენ საბერძნეთიდან და გააიგივეს ლაბირინთი იმ ღრმა მიწისქვეშა ხეოელებთან, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი (ამგვარად თარიღდება მინოსური ცივილიზაცია ზოგიერთი მეცნიერის მიერ, ოქსფორდის პროფესორ ლვონარდ ჰალმერის ჩათვლით).

სხვა გასაღები, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი, უცნობია ჩვენთვის; შესაძლოა, „ხარის კულტი" კრეტიდან გადავიდა ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა ქვეყნებში. იქნებ ესპანური ბრძოლა ხართან (რომლის მოდიფიცირებული ფორმა პროვანსშიც გვხვდება) ამ კულტის გადმოხაშთი იყოს? სწორედ ესპანეთია სამშობლო უკიდურესად ეროტიული ცეკვის, „ფლამენკოსი" და მე მუდამ მანცვიფრებდა ის გარემოება, რომ ფლამენკოს მოცეკვავეთა არშიებიანი კაბები და წერწეტი წელი საოცრად ჰგავს მინოსურ ფრესკაზე გამოსახულ ქალებს. მით უფრო გამაოცა ამ ცეკვის სპეციალისტის ნათქვამმა, რომ

ოურმე მოცეკვავის ხელების გრეხა და ტრიალი არის იმიტაცია გველის გრეხისა

კრეტის მთავარი ღვთაება კი იყო ღმერთქალი-გველი.

8. მკვდართა ქალაქი

კნოსოსიდან დაახლოებით ათას მილზე, ზემო ეგვიპტეში, არის ადგილი ლუქსორი. აქ არის სამი ათასი წლის აკლდამა თებეს ნეკროპოლისის კლდეში გამოკვეთილი, ერთი მრავალთაგანი იმ აკლდამათა შორის, რომელთაც ეგვიპტელები უწოდებდნენ „მარადიულ სახლებს". ეს აკლდამა აშენდა რეხმირისათვის, რომელიც იყო პრემიერ-მინისტრი ფარაო თუთმოს III-ისა. ამიტომ იგი ჩვეულებრივზე უფრო დიდია და დიდებული ფრესკებით მოხატული, რომელნიც ასახავენ ვეზირის მიწიერ ცხოვრებას და მომავალ საიქიო ყოფას, მისი სასოების მიხედვით.

თუთმოს III მეომარი ხელმწიფე იყო. როდესაც იგი უცხო მიწების დასალაშქრავად მიდიოდა, რეხმირი აგროვებდა ხარკს მის ნაცვლად. ზოგიერთი ფრესკა ასახავს მის მიერ ხარკის აღებას. აქ ნახავთ ნუბიელებს — სუდანის ზანგებს, რომელთაც მოაქვთ სპილოს ეშვები, მოჰყავთ ცოცხალი ჟირაფები, მაიმუნები და აფრიკის სხვა საკვირველებანი. აქ ნახავთ ეგვიპტის სხვა ტრადიციულ მტრებს, „აზიატებს", ანუ სირიელებს, რომელთაც მოაქვთ ხარკი ყოველისმძლე ფარაოსათვის. ეს ორივე რეგიონი ნაწილობრივ დაქვემდებარებული იყო ეგვიპტისადმი. მაგრამ კედელზე ვხედავთ მწყობრს პირმშვენიერი ჭაბუკებისას, რომელთა ჩაცმულობაც არა ჰგავს ეგვიპტურს და რომელთაც მოაქვთ სავსებით განსხვავებული, არაეგვიპტური ნივთები. ეიროგლიფური წარწერა მათ უწოდებს „ქეიფტუს" ხალხს. 1900 წლამდე არავინ იცოდა, ვინ იყო ეს „ქეიფტუ", დღესდღეობით კი ჩვენთვის ცნობილია, რომ ესენი არიან მინოსური კრეტის წარმომადგენლები, რომელთაც აცვიათ ისეთივე შემოჭერილი კაბები, აქვთ ისეთივე თმავარცხნილობა და კეთილშობილური პროფილი, როგორსაც ვხედავთ ევანსის მიერ კნოსოსში აღმოჩენილ „მერიქიფის" ფრესკაზე. უფრო მეტიც, მათ მოაქვთ სპეციფიკური მინოსური თასები, ლარნაკები, „რიტონები" და თავიანთი ხარიხთავის მოდელი, ვერცხლნაქანდაკევი. ოღონდ ესენი დამონებული ხალხის წარმომადგენ-

ლები როდი არიან, აზიატებისა და ნუბიელების მსგავსად, არამედ ვაჭრები, რომელთაც გადმოლახეს ზღვა და მიადგნენ ლუქსორის საანაპიროს ნილოსზე.

სამწუხაროა, რომ კრეტაზე არ შემორჩა მატიანეები, გარდა მშრალი ნუსხებისა. კრეტელები იცნობდნენ ადრეულ ეგვიპტეს. ჩვენ უნდა ჩავიკვრიტოთ ეგვიპტურ აკლდამებში და იქ ამოვიკითხოთ საიდუმლონი კედლის მხატვრობისა და წარწერებისა. მინოსელნი, რომელნიც გეოგრაფიულად ახლოს იყვნენ ეგვიპტესთან, ხოლო რასიულად და კულტურულად ძირეულად განირჩეოდნენ მათგან, ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ ეგვიპტელებს. მათ შეეძლოთ მრავალი რამ ეთქვათ ჩვენთვის, როგორც ზღვისგადაღმელ უცხოელებს. ამჟამად კი ჩვენ მხოლოდ ვარაუდებს უნდა დავეყრდნოთ. იგივე იქნებოდა, მოშავლის არქეოლოგებს რომ აღმოეჩინათ ლონდონისა და პარიზის ნანგრევები, და აღმოჩენილი მატიანეების მიხედვით დამტკიცებულიყო მათ შორის კონტაქტი, მაგრამ არაფერი აღმოჩენილიყო ისეთი, რაც ნათელს მოჰფენდა იმას, თუ რას ფიქრობდა პარიზი ლონდონის შესახებ და ლონდონი პარიზის შესახებ.

შესაძლოა, კრეტელებს განაცვიფრებდათ ეგვიპტე, შესაძლოა იგი ანტიპათიას იწვევდა მათში. მათ შორის ხომ ესოდენ დიდი იყო განსხვავება. კრეტელნი ფართო ოკეანეში გასული მეზღვაურები იყვნენ, ეგვიპტელნი კი ძირითადად ხმელეთზე დამკვიდრებული ხალხი, თუმც მართალია, მათაც ჰქონდათ გემები ნილოსზე სანაოსნოდ. მართალია, კრეტელნი თავიანთ წარჩინებულებს გარკვეული ცერემონიებით მარხავდნენ, მაგრამ კრეტაზე ვერ პოვებთ იმგვარი ხელოვნებით ნაგებ აკლდამებს, როგორსაც უგებდნენ ეგვიპტელნი თავიანთ ფარაონებსა და დიდებულებს, რომელთაც ალბათ ხვდებოდნენ კრეტელი ვაჭრები ლუქსორის მახლობლად.

მედინეტ ჰაბუს გარდა ეგვიპტეში ვერსად პოვებთ კნოსოსის დარ სასახლეებს. მაგრამ ეგვიპტელთა დიდებული აკლდამების მსგავსი არაფერი შექმნილა კრეტაზე, გარდა ამისა, კრეტელთაგან განსხვავებით, ისინი ფარავდნენ თავიანთი ტაძრებისა და აკლდამების კედლებს რელიგიური და საერო ლიტერატურის ნიმუშებით, რომელთა წაკითხვაც შესაძლებელია დღეს.

ლუქსორი და მისი შემოგარენი დღეს განადგურებულია; აღმოსავლეთ ნაპირზე დგას ლუქსორისა და კარნაკის ტაძრები (ეს უკანასკნელი იმდენად გრანდიოზულია, რომ დაიტევს ექვს ევროპულ ტა-

ძარს). აქვეა თავმოყრილი სასტუმროები და ვილები, ნილოსის ნაპირზე. ერთის შეხედვით დასავლეთი ნაპირი ნაკლებ საინტერესოა. ნაქირავები ძველებური ფორდით მივყვებით უდაბნოს მტვრიან გზას. გავუარეთ წყვილ ქანდაკებას ამენოფსის III-ისას, რომელნიც შემორჩენილან დიდი ტაძრიდან. აქ არის ოღროჩოღრო დამტვერილი გზები, ბამბის ნათესები, თიხით ნაშენი სოფლები, ალაგ-ალაგ პალმის ტყეები. ფეხშიშველა ეგვიპტელი შავჩადროსანი გოგოები მიეხეტებიან მტვრიან შარაზე, თავზე დაუდგამთ წყლიანი კათხები. ჰაერი მძიმეა და ჩახუთული, ქარი ქვიშას გვაყრის პირში. ზემოთ მოსჩანს მზისგან გამომშრალი, დაღარული კლდეები კირქვისა, ალაგ-ალაგ შავი გამოქვაბულებით. არც ერთი განსხვავებული შენობა არ ჩანს, გარდა რამზესეუმისა, რამზეს II-ისა და ჰატშეპსუტ დედოფლის ტაძრებისა. აი, ვუახლოვდებით სამყაროს ერთ-ერთ საოცრებას; მომავალში ჰელიკოპტერებმა ყოველ საათშიც რომ ჩამოიყვანონ აქ მნახველნი პირამიდებიდან, ნეკროპოლისი მაინც განსხვავებულ ნაგებობად დარჩება.

რატომ? მართალია, არის სხვა აკლდამებიც სხვადასხვა არქეოლოგიურ ობიექტებზე: მიკენში, მესოპოტამიაში, ქალდეის ურში, ალაჯაჰუკში (თურქეთი) და თვით ეგვიპტეში, მაგრამ არცერთი მათგანი არ შეედრება თებეს ნეკროპოლისს.

ჯეიმს ბეიკი წერდა: „ერთ დროს ამ უკაცრიელ ტრამალზე (იგულისხმება მეფეთა ველი), თავმოყრილი იყო იმდენი სიმდიდრე, ოქროულობა და ხელოვნების ნიმუშები, რაც არ უნახავს სამყაროს არც ერთ კუთხეს“. ყოველივე ამის გასაგებად უნდა შევისწავლოთ ეგვიპტელთა რელიგიური რწმენა. წარჩინებული მიცვალებულებისათვის სამარხში ჩაყოლება საიქიოში მოსახმარი ნივთებისა პალეოლითის ხანიდან მოდის (20 ათასი წლის წინანდელი ხანიდან). ყველა ცივილიზებული ხალხის კულტურა იმავე გზას მისდევს. ევროპასა და აზიაში ბრინჯაოს ხანის მრავალი ამგვარი სამარხი აღმოჩნდა და გაითხარა. მაგრამ ძველი ეგვიპტელები კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ. არა მხოლოდ მათი მეფეები იმარხებოდნენ იგავმიუწვდენელი სიმდიდრისა და ფუფუნების გარემოცვაში, არამედ მათი დიდებულნიც. მათთვის ჩაყოლებული სიმდიდრე სხვა ქვეყნების მეფეთა სიმდიდრეს უტოლდებოდა.

არქეოლოგიისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამბავია ის, რომ ეგვიპტელნი ხატავდნენ და აქანდაკებდნენ თავიანთი აკლდამების კედლებზე სცენებს, რომელთაც ვერსად შეხვდებით მთელ მსოფ-

ლიოში: სურათებს, რომელნიც ასახავდნენ ყოველდღიურ ცხოვრებას ქალისას ან მამაკაცისას (არასამეფო წარმოშობის პერსონაჟთა აკლდამებში); თუ მიცვალებული მემამულე იყო, ხატავდნენ მის მამულს, ნახირს და ხვავრიელ მინდვრებს, გლეხებს, რომელნიც ამუშავებდნენ მათ. თუ მიცვალებული მხედართმთავარი იყო, მას ხატავდნენ ჯარებთან ერთად; თუ ადმირალი იყო — ფლოტთან ერთად; თვით ისეთი დიდებულებიც კი, რომელნიც ატარებდნენ, მაგალითად, ტიტულს „მისი უდიდებულესობის საჩრდილობლის მტვირთველისას", გამოსახულნი იყვნენ ნილოსის ჭაობებში ნადირობისას, თევზაობისას, ან სუფრის თამადობისას, თავიანთი მეგობრების გარემოცვაში. ეს სცენები გულდასმით იყო შესრულებული და ამასთან ზედა და ქვედა წარწერებში დეტალურად იყო აღწერილი ყოველივე, თვით საუბრების ნაწყვეტებიც კი იყო მოტანილი. აქვე ირკვევა, რომ დღევანდელ „კარტონს" თურმე 5 ათასი წლის ისტორია აქვს. ყოველივე ამან, — სხეულის მუმიფიკაციამ, ძვირფასი ნივთების ჩაყოლებამ მიცვალებულთათვის, აკლდამების მოხატვამ და სურათების აღწერამ — აქცია ეგვიპტე, აწ განსვენებული პროფესორი გლენვილის თქმით, „ანტიკური ცხოვრების დიდებულ, ნაციონალურ პარკად".

„რა გვინდა ამ დაწყევლილ ნაცრის ორმოში", შესძახა გაბოროტებულმა ამერიკელმა ტურისტმა, რომელიც თებეს კლდეების გამოქვაბულებისაკენ მიემართებოდა და თან ქვიშას იფერთხავდა ფეხსაცმელებიდან. მაგრამ როდესაც მოინახულა ეს გამოქვაბულები და უკან გამობრუნდა თვალების ჭუტვით, სავსებით სხვა განწყობილებაზე დამდგარიყო. იგი სინანულს გამოთქვამდა თავის სიტყვების გამო, ვინაიდან კლდის ამ გამოქვაბულებში მან ნახა სამყარო, რომელიც არსებობდა სამი ათასი წლის წინ და სასწაულებრივად დღესაც არსებობს. როდესაც აკლდამიდან გამოვედით, გრძელ ლურჯ „გალაბიაში" გამოწყობილი გაფირი (გიდი) ზუსტად იმავე ჟესტით მიესალმა ამერიკელს, როგორსაც ვხვდებით აკლდამის კედლის მხატვრობაში. ლუქსორისკენ მიმავალ გზაზე ბამბის ნათესებს თოხნიდნენ გლეხები ზუსტად ისეთივე პრიმიტიული თოხებით, როგორნიც ვნახეთ ფრესკებზე. ეგვიპტეში, ქაიროს გამოკლებით, ძალზე მცირე რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე.

თვით კაიროშიც, ამ დახვეწილ და კოსმოპოლიტურ ქალაქში, ნახავთ თორმეტი მილის სიგრძეზე წყებას მუსულმანური აკლადმებისას, რომელთაც „მკვდართა ქალაქი" ეწოდება. ეს არის ასეთივე გადაუხურავი „სახლები", რომლებშიც არის აკლდამები. აქ არცთუ

ისევ დიდი ხნის წინ, თავს იყრიდნენ ეგვიპტური ოჯახები, რათა აღნიშნათ გარკვეული დღესასწაულები თავიანთი გარდაცვლილი წინაპრების კომპანიაში. როგორც ჩანს, იგივე სჩვეოდათ ძველ ეგვიპტელებსაც. თუ გადაიხედავთ კლდეზე აღმართული ციტადელიდან, დაინახავთ ამ მკვდართა ქალაქს, რომელიც დანარჩენ ძველ ქაიროს ჰგავს. ქუჩა ქუჩას მიჰყვება ამ კოხტად შეღებილი „სახლებით". ერთადერთი განსხვავება სხვა სახლებთან ის არის, რომ მათი მკვიდრნი შიცვალებულნი არიან. თუ ამას ჩავწვდებით, ჩვენთვის ნათელი გახდება თებეს რაობა.

თებე ბერძნული სახელია (ეგვიპტურად ნიო-ამუნ). ფაქტიურად აქ იყო ორი ქალაქი. აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობდა ცოცხალთა ქალაქი — თავისი სასახლეებით, ვილებით, საწყობებით, ნავსადგურებით, ფუნდუკებით, საროსკიპოებით, მარნებითა და ღარიბების ფარდულებით. ძეხოპები აგურით იყო ნაშენი და დიდი ხნის წინ განადგურდა, მათი საძირკვლები შემორჩენილია მიწის სიღრმეში, ტურისტთა კემპინგების ქვეშ. დასავლეთ ნაპირზე კი მდებარეობს მკვდართა ქალაქი, რომელსაც ეგვიპტელნი გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. აქ, მდინარისპირა ველზე, აშენდა ფარაონების საძვალე ტაძრები: ჰატშეპსუტისა, მწყობრი კოლონებიანი, ამენოფსის III-ისა, რომელშიც იყო წყვილი ქანდაკება მჯდომარე მეფისა (ერთ-ერთ მათგანს ბერძნული მემნონის კოლოსს უწოდებდნენ), რამზეს II-ისა და რამზეს III-ისა და სხვანი მრავალნი. ისინი პირდაპირ დაჰყურებდნენ მდინარეს, ხოლო მათ ზურგს უკან ციცაბო, თითქმის ვერტიკალური კლდეებია, რომლის გადაღმაც მდებარეობს შეფეთა სასაფლაო.

მდინარის პირად, აგურით ნაშენ, აწ განადგურებულ შენობებში ცხოვრობდა პერსონალი, რომელიც ემსახურებოდა მკვდართა ქალაქს; აქ იყვნენ ქვის მტეხელნი და ქვის მთლელნი, მლესავნი, მხატვრები და სხვა ხელოსნები, რომელნიც გამუდმებით მუშაობდნენ ახალ-ახალი გამოქვაბულების კლდეში გამოსაკვეთად. აქ იყვნენ დაბალზამების ოსტატები, რომელნიც ამზადებდნენ ბალზამს, ბანდნენ გვამებს ნატრონში და შემდეგ ახვევდნენ ქსოვილებში. აქ იყვნენ ხელოსნები, რომელთა ხელობაც იყო ტვინის, გულისა და შიგნეულის ამოღება, რომელთა მუმიფიკაცია ცალკე ხდებოდა (გული ითვლებოდა გონების სამკვიდრებლად და ამიტომ კვლავ სხეულს უბრუნდებოდა). სხვანი თავის ქალას ამუშავებდნენ, ხელოვნურ თვალებს უდგამდნენ და აღადგენდნენ გვამს ისე, რომ იგი ცოცხალს ემსგავსებოდა.

აქ იყვნენ სააკლდამო ავეჯის ოსტატები — საწოლების, ტახტების, სკამების, ოქროს ყუთების, აკლდამის სამკაულების: ოქროს ბეჭედების, სამაჯურების, საწვივეების, ყელსაბამების. ყოველივე ამას უკეთებდნენ გვამს შეფუთვამდე. ზოგი ამ ნივთთაგანი ნახევრად ძვირფასი თვლებით იყო შემკული და საუცხოოდ გამოყვანილი. ამ სიმდიდრეს დებდნენ კლდის სიღრმეში, აკლდამის მარადიულ მდუმარებაში. მთელი ინდუსტრია ემსახურებოდა კეთილშობილ გვამთა შეძოსვას და შენახვას, „მარადისობის სახლების" შემზადებას მათ მისაღებად. გამოთვლილია, რომ ეგვიპტელთა ოცდაათ თაობაზე მეტი დაიკრძალა ნეკროპოლისში ათასი წლის მანძილზე.

9. მარადისობის სახლი

შესაძლოა ჩვენთვის უცხო იყოს ასეთი კონცეფცია, მაგრამ ეგვიპტელთათვის იგი მისაღები იყო და ბუნებრივი. კერძოდ, ძალზე ადრეული ხანიდან — დაახლოებით ძვ. წ. 3000 წლიდან — მათ სწამდათ, რომ სულის სიკვდილის შემდგომი არსებობა (რასაც ისინი უწოდებდნენ კა-ს, ბა-ს და ანკ-ს) მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო გარანტირებული, თუ გვამი დაცული იყო გახრწნისა და ძალადობისაგან. უფრო მეტიც, სხეულს უნდა შეენარჩუნებინა ისეთივე გარეგნობა, როგორიც ჰქონდა მას სიცოცხლის ჟამს, რათა სულს ეცნო იგი და კვლავ შესულიყო მასში. გარდა ამისა, იგი უნდა ყოფილიყო მომარაგებული, ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, ყოველივე იმით, რაც საჭიროა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, კერძოდ, საჭმელ-სასმელით და, ნაწილობრივ, სკულპტურასა და ფერწერაში განხორციელებით.

ხელოვნების ამგვარი ქმნილებები დეკორაციისათვის როდი იქმნებოდნენ; მათ ჰქონდათ მაგიურ-რელიგიური ფუნქცია. სიმპათიკური მაგიის პროცედურებით სკულპტურული ან ფერწერული ასლები თავად იქცეოდნენ დამოუკიდებელ საგნებად. ასე რომ, თუ გარდაცვლილის "თამომავალნი (ან მათ მიერ დანიშნული ქურუმნი) რეგულარულად ვერ მოამარაგებდნენ მის კა-ს საჭმელ-სასმელის შესაწირავით, მაშინ აკლდამის კედლებზე უბრალო ასახვა ნახირისა, ფრინველისა და თავთუხის ყანებისა საკმარისი იყო იმისათვის, რომ სუ-

ლი გადარჩენოდა ხრწნადობას, სარჩოს უქონლობით გამოწ-ვეულს.

თუ გადავივლით ქარისაგან აღმართულ ქვიშის ბორცვებზე, მი-ვადგებით თებეს დიდებულთა აკლდამებს, რომელთაგან ზოგი კლდის ირასაა, ზოგში კი კიბის საფეხურები ჩადის გაფირი ხსნის რკინის ჭიშკარს და ჩვენ ჩავდივართ მცხუნვარე ხვატიდან ბნელ, გრილ აკ-ლდამაში. გაპრიალებული ლითონის დაფისაგან ირეკლება მზის სი-ნათლე და კლდეში გამოკვეთილ ოთახებში ჩადის; კლდეებზე ელავს მკვეთრი ფერები, თითქოს გუშინ მოხატესო და ჩვენ უკვე ძველ ეგვიპტეში ვართ.

ეს არის „მარადიული ბინა" დიდებულისა, რომელსაც ერქვა სენუ-ფერი. იგი იყო საუბრეთის ქალაქის (თებეს) მერი, და განაგებდა აგ-რეთვე ამუნის ბელლებს, ნათესებს, ბაღ-ვენახებსა და ნახირს. კედლე-ბი გარანდულია, შელესილი და მოხატული. სახურავი კი არ არის გარანდული და მის უსწორმასწორო ზედაპირზე დახატულია ვაზის ფოთლები და მტევნები. აქრიგად, სენუფერის კა, აკლდამის მკვიდ-რი, გრძნობს, რომ იგი კვლავ დასეირნობს ვენახებში, რომელთაც შეურეოდა სიცოცხლის ჟამს, როცა განაგებდა ბაღ-ვენახების საქ-მეებს.

სენუფერისა და მისი მეუღლის გვამები დაკრძალულია კლდეში გამოკვეთილ სამარხებში, აკლდამის მახლობლად. მისი სურათი რამ-დენიმე ადგილას მოჩანს, მეუღლისა და ნათესავების თანხლებით. მარჯვენა კედელზე იგი გამოსახულია თავის ქალიშვილთან ერთად და შესცქერის მსახურთ, შავაბტების ჩათვლით, რომელთაც მოაქვთ სამგლოვიარო ნივთები. ესენია პატარა ქანდაკებები მუმიფიცირებუ-ლი ფიგურებისა, რომლებზედაც წარწერილია შელოცვები. ათასობით ამგვარი ფიგურა აღმოჩნდა ეგვიპტურ აკლდამებში და დაიგზავნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. საინტერესოა მათი დანიშნულე-ბაც: ძალზე შორეულ ხანაში არსებობდა ჩვეულება გარდაცვლილი ფარაოსათვის მონების შეწირვისა, რათა მომსახურებოდნენ საიქიო-ში. მსგავსი ჩვეულებები შემორჩა ზოგიერთ სხვა ხალხს გვიანდელ ეპოქებამდე, მაგრამ ეგვიპტელებმა, რომელნიც დიდად უფრთხილდე-ბოდნენ ადამიანის სიცოცხლეს, უკუაგდეს ეს ჩვეულება ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დასაწყისში. ნაცვლად ამისა, ისინი მარხავდნენ მეფე-ებთან და, მოგვიანებით, უფრო დაბალი რანგის ადამიანებთან ერთად ამგვარ შავაბტის, რომელიც მაგიური პროცესის შედეგად იკავებდა

ადგილს ცოცხალი ადამიანისას, რომელსაც უწინ სწირავდნენ ხოლმე მსხვერპლად. ყოველ ფიგურას ზედ წარწერილი აქვს სტანდარტული ფორმის შელოცვა, რომელიც, ჩვეულებრივ, შემდეგნაირად იკითხება: „აი სიტყვები ღვთაებრივი ოზირისისა (რასაც მოსდევს გარდაცვლილის სახელი), ჭეშმარიტად ზრახული; იგი იტყვის: „ჰოი, შავაბტი, უკეთუ მოუხმობდნენ (სახელი გარდაცვლილისა) რაიმე საქმის აღსრულებად ნეკროპოლისში, დაე შეეწიოს მას შენი შრომა. შენ უნდა მიუგო: „აქა ვარ მე", შენ უნდა აგო პასუხი ყოველივე იმისათვის, რისი აღსრულებაც ჯერ არს ნეკროპოლისში, შენ უნდა გადახნა მინდვრები, მორწყა მშრალი ველები, მოზიდო ქვიშა აღმოსავლეთით, დასავლეთით და ყოველის მხრით. „აქა ვარ" — უნდა უპასუხო დაძახებისას".

სენუფერისაგან იმდენადვე დაშორებულ ხანაში, რამდენადაც ჩვენ ვართ მისგან დაშორებულნი, ძველ ეგვიპტელთა პრიმიტიულ წინაპრებს სწამდათ, რომ საიქიოში ყოველ ადამიანს მოელოდა სამიწათმოქმედო სამუშაო; თუმც სენუფერის თანამედროვე მეთვრამეტე დინასტიამდე გაცილებით ადრე, ამგვარი იდეა უცხო გახდა დახვეწილი ეგვიპტელი დიდებულებისათვის. მას ერჩია სხვისი ხვედრი ყოფილიყო „მიწის დამუშავება" და „მშრალი ველის მორწყვა", და არა მისი. მსახურნი აღასრულებდნენ ამ სამუშაოს. აქედან წარმოიშვა შავაბტის პატარა ფიგურები (სახელი ნიშნავს „მოპასუხეს"), რომელნიც დგანან მწყობრში დიდებულთა აკლდამებში და უცდიან მათ ბრძანებებს. „აქა ვართ" იძახიან ისინი, ყოველ მათგანს მხარზე აქვს გადებული აუცილებელი იარაღი: თოხი, საცეხველი, კალათა.

ხერეფის აკლდამაში არა მარტო ნახატი სცენებია, არამედ რელიეფურად ნაქანდაკევი სცენებიც. ხერეფი იყო სახლთუხუცესი თიი დედოფლისა, ფ ა რ ა ო ნ ამენოფის III-ის მეუღლისა. მთავარ სცენაზე გამოსახულია მეფე თიი დედოფლის თანხლებით, ქალღმერთ ჰათორთან ერთად, ისინი უცქერენ პროცესიულ ცეკვას მეფის სედ-დღესასწაულის[1] აღსანიშნავად. რვა ტანწერწეტა, პირმშვენიერი ასული წყვილ-წყვილად ცეკვავს, ხელთ უპყრიათ წყლით სავსე დოქები ადგილის განსაწმენდად. მათ მოსდევენ სხვა ასულები, რომელნიც გრაციოზულად ასრულებენ მიწის განახლების სიმბოლურ ცეკვას. გ ა ფ ი რ ი ს

[1] დღესასწაული, რომლის დროსაც ხდებოდა რიტუალური განახლება მეფის სიცოცხლისა.

სარკიდან არეკლილი სინათლე აცოცხლებს ამ ნაზ ფიგურებს. აკლდამის გარეთ ქუში უდაბნოა და მშრალი ქვიშა, ნამუსრევებით მოფენილი. დაბინდულ აკლდამაში კი ფარაოს მშვენიერი ასულნი დღესაც ასრულებენ მარადჟამულ ცეკვას მის სადიდებლად.

ბნელში ხელის ფათურით გამოდიხართ დღის სინათლეზე და ყურს გვრით ამერიკელი ქალის ხმამაღალი აღტაცება. ტურისტების ძვირფასი ჯგუფს დრაგომანი უკვე შემდგომი აკლდამისკენ მიარბენინებს დაუნდობლად. ღება მეორე რკინის ჭიშკარი; კვლავ ბინდი მზის სინათლის შემდგომ; კვლავ გაელვება სარკის სინათლისა, კვლავ სახტად დარჩენა, მღუმარება და მერმე ჩურჩული. ჩვენ მენენას აკლდამაში ვართ, რომელიც იყო აღმწერელი ორი სამყაროს უფლის (ფარაოს) მიწებისა. მენენა დგას პაპირუსის ლერწმის პატარა ტიეზე და ნადირობს ჭაობებში. მარჯვენა ხელში სასრული კეტი უჭირავს, რომელსაც უმიზნებს მის წინ აფრენილ ბატებს. მენენას ტანმორჩილი ცოლი ფეხებზე მოსჭიდებია ქმარს და ეხმარება წონასწორობის დაცვაში. ამ გარდასული სამყაროს მზე კვლავაც ანათებს ამ სურათზე, ესოდენ ბრწყინვალე ფერთა სიუხვეში. მენენას ათლეტური ფიგურა ბრინჯაოსფერია, ვინაიდან მამაკაცებს ასე ხატავდნენ; მისი მეუღლის კანი კი ღია ალებასტრისფერი, ვინაიდან ეგვიპტელ წარჩინებულ ქალებს მუდამ ასე ხატავდნენ. როდესაც მენენა და მისი მეუღლე დაკრძალეს, ისინი ალბათ უკვე მოხუცნი იყვნენ, მაგრამ ამ სურათებზე ახალგაზრდები არიან და სიცოცხლით სავსენი, როგორი ყოფაც სურს ყოველ ადამიანს; ეჭვგარეშეა, მენენას სურდა, საიქიოში მაინც აღარ ყოფილიყო შეურვებული კარისკაცი ფარაოსი, სახელმწიფო საქმეებით გადატვირთული, არამედ კვლავ ახალგაზრდა, უდარდელ აზხაურად ქცეულიყო, რომელსაც სჩვეოდა გარეულ ფრინველებზე ნადირობა და ახალგაზრდა ცოლთან ერთად მხიარული დროსტარება.

აქვეა სცენა ნადიმისა, სადაც მერიეტი, ვეზირის ცოლი გამოსახულია ძრრებზე გადაგდებულ გრძელ მოსასხამში. იგი ამაყად დგას ძეუღლის გვერდით სტუმრების მოლოდინში. აკლდამის სხვა ნაწილებში მუსიკოს ქალთა ჯგუფი ჩანგზე, არფაზე, სტვირებზე და დაირაზე უკრავს მათ საამებლად. სტუმრები, ქალნი და მამაკაცნი, სხვადან ელეგანტურ პოზებში, ისუნთქავენ ლოტოსის ყვავილთა ამოსურნელს, მაშინ როდესაც შიშველი მსახური გოგონები მოართმევენ სამკაულსა და ნელსაცხებელს, უვარცხნიან თმას და არომატულ

ზეთს სცხებენ მხრებსა და მკლავებზე. საღამოთი, მოგვიანებით, წარწერების მიხედვით, სტუმრების ქცევა ნაკლებ ელეგანტური ხდებოდა.

„ჩემი შიგთავსი თივის მსგავსია“ — აცხადებს ერთ-ერთი ქალბატონი წარწერის ტექსტში — „სმა მწყურია თრობამდე“.

გოგონების ფიგურებს ზემოთ რეხმირის აკლდამაში ძველ მხატვრებს იეროგლიფებით დაუწერიათ მსახურთა მისალმება ვეზირისადმი: „მიიღეთ საზრდო კეთილი და მიირთვით, ჰოი ვეზირო და ქალაქისთავო; კეთილი იყოს დასაწყისი, კეთილი იყოს ეს ჟამი, კეთილი იყოს ეს წელიწადი, სიავე გაშოროთ!“

მეორე ტექსტი ასეთია: „კეთილი საზრდო, მუსიკა, ცეკვა-თამაში, სიმღერა, ბალზამისა და ზეთისხილის ზეთის ცხება, ლოტოსის ყნოსვა, პურ-ღვინო, ლუდი, ყოველგვარი გემრიელი საზრდელი მოგვირთმევია ბატონის კაასთვის, რეხმირ ქალაქისთავისათვის და მისი გულითადი მეუღლისათვის, დიასახლის მერიეტისათვის, მას თან რომ ახლავს!“

მსახურნი ყვავილწნულებს ჩამოაცმევენ სტუმრებს კისერზე, ღვინოს დაუსხამენ და ეტყვიან: „თქვენი კაასი იყოს! კეთილი იყოს თქვენი ნადიმი!“

ამასობაში სტუმარი ქალების ჯგუფი, რომელიც ტაქტს აყოლებს მუსიკას, სვამს და ზეთს იცხებს, შესძახებს: „მაეტი[1] შეგვეწიოს, ვის წინაშეც ვსვამთ და ვჭამთ“.

დრაგომანს გამოჰყავს თავისი ჯგუფი აკლდამიდან და კეტავს კარს. თქვენ ნელ-ნელა მიჰყვებით ქვიშიან ბორცვებს და ერთხელ კიდევ გადახედავთ ნანგრევთა გორას, რომელიც ერთ დროს მკვდართა ქალაქი იყო. შორს, აღმოსავლეთით, პალმის ტევრების მიღმა, ლუქსორის ოტელების შეღებილი ფასადები მოჩანს ჩამავალი მზის შუქზე. იქ თქვენ მოგელით აბაზანა და მარტინი სადილის წინ. უფრო გვიან სმა იქნება და ჯაზი. ამასობაში თებეს ნეკროპოლისი წარსულში შთაინთქმის და „საუცხოო შთაბეჭდილებად“ იქცევა. მაგრამ უეცრად ისევ ატყდება ხმაური და გამოჩნდება რეხმირი, მერიეტი და

[1] ეგვიპტური ქალღმერთი.

მათი მეგობრები, მათი სმა და ცეკვა-თამაში სამი ათასი წლის წინ, შესაძლოა ზუსტად იმ ადგილას, სადაც თქვენ დგახართ. მაშინ შესაძლოა შეგშურდეთ ძველი ეგვიპტელებისა, რომელნიც ურიგდებოდნენ სიკვდილს, ცხოვრობდნენ მასთან ერთად და ყოველ წუთს მზად იყვნენ მისთვის.

10. მეფეთა ველი

ეგვიპტის ზოგიერთი მნახველის თვალსაზრისით, მეფეთა ველი ზედმეტად პოპულარული გახდა. ტურისტთა ჯგუფებს ლუქსორში ღებულობენ ავტომატურად, ზერელედ გადაავლებინებენ ხოლმე თვალს წარჩინებულთა აკლდამებისათვის, ასე რომ დახვეწილნი მათ შორის, ან მოჩვენებითად დახვეწილნი უკვე გარკვეული უცნაურობის დაღს ატარებენ. ზოგი ამბობს, რომ მეფეთა ველი „დიადი და შემზარავია", ხოლო ხაკლებად ცნობილი „კერძო აკლდამები", როგორც მაგ., რეხმირისა, მენენასი და სხვათა, უფრო მოსწონთ, ვინაიდან ფარაოს აკლდამებისაგან განსხვავებით, ისინი შეიცავენ ფერწერასა და რელიეფებს, ძველ ეგვიპტელთა ყოველდღიური ყოფის ამსახველთ. ასეთები ჰგვანან იმ ხალხს, რადიოში ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის გამოცხადებისას რომ შესძახებენ: „ოჰ, კიდევ ეს არის!" და გადართავენ რადიოს მესამე პროგრამაზე, სადაც რაიმე საეჭვო ღირსების კამერული მუსიკა სრულდება.

თუმც ასეთი თვალსაზრისი ჩემთვისაც მახლობელია ნაწილობრივ; მეფეთა ველი მეტისმეტად ხალხმრავალია, გადატვირთული, მნახველებით, შესაძლოა მეტისმეტად ნაქები და ნადიდები. მიუხედავად ამისა, იგი რჩება, ჩემთვის მაინც, სამყაროს ერთ-ერთ საოცრებად. აქ დაახლოებით ექვსასი წლის განმავლობაში დაიკრძალა ორმოცზე მეტი ფარაო, ახალი სამეფოს დიდი მონარქების ჩათვლით, რომელნიც მართავდნენ ეგვიპტეს, მისი იმპერიული ძლიერების ზენიტზე. თებეს ნეკროპოლისში თქვენ ხვდებით მხოლოდ კარისკაცთა აკლდამებს, სამეფო ველზე კი მიაბიჯებთ იმ მეფეთა აკლდამებს შორის, რომელთაც ისინი ძრწოლით მსახურებდნენ, აქ არის თუთმოს I, პირველი ფარაო, რომლის აკლდამაც აშენდა ამ ველზე; თუთმოს II, მეორე; კიდევ უფრო დიდი მეორე თუთმოს III, „ძველი ეგვიპ-

ტის ნაპოლეონი", რომელმაც განავრცო ეგვიპტის მპყრობელობა იმ-დროინდელი მსოფლიოს დიდ ნაწილზე, სუდანიდან ევფრატამდე; აქ არიან ამენოფის I და II, ფუფუნების მოყვარული ამენოფის III, აქვეა ჰორემჰაბი; მეცხრამეტე დინასტიის მპყრობელნი, მაგალითად, სეთი I, რამზეს II და III, მენეფთა, ბოლოს ეს რიგი მცირდება და მას მოსდევენ უფრო მცირე მეფენი, რომელთაც აერთიანებს ერთი დიდი სახელი — რამსესი.

ყველაზე მეტად განსაცვიფრებელია სამეფო ველზე პატარა აკლ-დმა, მძლავრი მეფეების აკლდამებზე გაცილებით ნაკლები ზომისა, მაგრამ უნიკალური იმით, რომ მასში ჯერაც ასვენია გვამი მონარქისა, რომლისთვისაც აშენდა იგი. ტუტანხამონი, ეფემერული მბრძანე-ბელი, რომელმაც სულ რამდენიმე წელს იმეფა და გარდაიცვალა სავ-სებით ჭაბუკი. ეს იყო ერთადერთი ფარაო, ორი ათას ხუთასწლი-ანი დინასტიური ისტორიის მანძილზე, რომელიც გადაურჩა აკლდა-მების მძარცველებს. ჯერაც არ არის ცნობილი სხვა რომელიმე ხელმწიფე, გარდა გვიანდელი ოცდამეექვსე დინასტიის სამი სა<ტე-ლი მეფისა (663 — 525 წ. ძვ. წ.), რომელიც გამორჩენოდა ყურად-ღებას ამ მოხერხებული და თავზეხელაღებული ადამიანებისას.

მენესიდან მოყოლებული (3200 წ. ძვ. წ.) პირამიდების ეპოქის გამოვლით, შუა პერიოდის სამეფოში თუ ახალ სამეფოში (რომელიც დასრულდა 712 წ. ¦ძვ. წ.), ყველა სამეფო აკლდამა გაიძარცვა ათა-სობით წლის წინ. ხუფუს დიდმა პირამიდამ ვერ დაიცვა მისი აღმა-შენებელი ხელმწიფე ძალადობისაგან. იგივე ბედი ეწიათ მის მომ-დევნო მეფეებს: ხეპრენს, მენკაურეს, ზაჰურეს, შეპსეკერუს, ნუ-სერრეს, უზერჰეტს. ვერც შუა პერიოდის სამეფოს (2100—1700 წ. ძვ. წ.), არქიტექტორთა საიდუმლო ხვრელებმა უშველა საქმეს. სენუსრეტები და ამენჰოტეპებიც გახდნენ მსხვერპლნი ძალადობისა, ისინი ამოყარეს თავიანთი სარკოფაგებიდან, გაძარცვეს, გათელეს და გაანადგურეს მათი გვამები. მათი დიდებული პირამიდები კვლავ მედიდუ-რად აღმართულან უდაბნოს პლატოზე ლიშტიდან ჰაკარამდე, მაგრამ უკანასკნელი 40 საუკუნის განმავლობაში ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ღამურების საბუდარს.

ძვ. წ. 1555 წლიდან, როდესაც ფარაოთა ახალი დინასტია გამეფ-და თებეში, მეფეებმა სცადეს ახალი მეთოდი სამალავის მოწყობი-სა. ძველი ეგვიპტელები უაღრესად კონსერვატიული ადამიანები იყვნენ, მაგრამ თვით ისინიც კი მისვდნენ, ბოლოს და-

ახლ.;1500 წლის შემდეგ, რომ ამაო იყო ათასობით ტონა ქვის ქვეშ დამალვა ადამიანის ხრწნადი სხეულისა. თუთმოს I-ს ჰყავდა არქიტექტორი, სახელად ინენი, რომელსაც ჰქონდა თავისი საკუთარი აკლდამა;ნეკროპოლისში, რომლის კედლებიც დაფარული იყო წარწერებით, სადაც იგი ტრაბახობდა თავისი მიღწევებით: „მე შევასრულე სამუშაო, რომელიც ვერ შეასრულეს წინაპრებმა. მე ვიმსახურებ ქება-დიდებას მომავალში ჩემი სიბრძნისთვის. ვინ გაიმეორებს ჩემს საქმეს?“ იგი აღნიშნავს, რომ მან დაასაიდუმლოვა მეფის აკლდამა. „ვერვინ ხედავს, არვინ უწყის...;მე ბედნიერად და მშვიდობიანად განვლე დღენი. მე არ ვყოფილვარ გამცემელი, არც დამსმენი, არ ჩამიდენია არავითარი სიავე... მე მოწინავეთა შორის მოწინავე ვიყავი, მე ყოველთვის მიმართლებდა... მე არასოდეს დამიგმია ღმერთი“.

განსვენებულმა ბ-მა რექს ენგელბახმა, ;ქაიროს მუზეუმის კურატორმა მრავალი წლის მანძილზე, შენიშნა ამ წარწერის კითხვისას: „თუ იგი მართლაც ორმოცი;წლის მანძილზე ეწეოდა აღმოსავლური შრომის ჭაპანს ღვთისგმობის გარეშე, ეს მის სხვა მიღწევებზე ნაკლები როდია“.

თუთმოსს, (თუ მის არქიტექტორს) დიდი მოხერხებით შეურჩევია ეს ადგილი საიდუმლო აკლდამისათვის. სამეფო ველი, თუმცა ნეკროპოლისის მახლობლად მდებარეობს, მაგრამ იმდენად უდაბურია და უკაცრიელი, რომ მთვარის ლანდშაფტი გეგონებათ. ერთმა მწერალმა შენიშნა: „მას, მართალია, მხოლოდ კლდეები ჰყოფს ნილოსის ველის სიცოცხლით სავსე ყოფისგან, მაგრამ იგი უსასრულოდ უდაბურია და არამიწიერი — უნაყოფო ქვესკნელიაო თითქოს, ან მთვარის მთების კრატერები“. დასავლეთით პირამიდის ფორმის მთაა, რომელსაც ძველი ეგვიპტელები ქალღმერთ მერიეტ-სეგერეტის საუფლოს უწოდებდნენ, რაც ნიშნავს „სიჩუმის მოყვარულს“. ამ მარტოხელა გუშაგის შემხედვარეს, მზე რომ ოქროსფერ სხივებს ჰფენს, გაახსენდება ძველი ტექსტი: „უფრთხილდი ქალღმერთს დასავლეთის მწვერვალისას. მას უეცარი დარტყმა სჩვევია, გაფრთხილების გარეშე“.

დღეს მეფეთა ველი კეთილმოწყობილია, ბილიკები დატკეპნილია და დაგვილი, აკლდამებს რკინის ჭიშკრები იცავენ, შესასვლელში ბარებია, იქვე დაღლილი ტაქსის მძღოლები ყვინთავენ მზვარეში,

ელოდებიან ტურისტთა ჯგუფებს კვლავ ლუქსორში წასაყვანად, მაგრამ ფარაოთა ძველი აკლდამები მაინც ინარჩუნებენ ძველებურ იდუმალებას ძრწოლისმომგვრელს. რამდენად უფრო ამაზრზენნი იქნებოდნენ ისინი ძველგვიპტელ თავზესალაღებულ აკლდამის მძარცველთათვის, რომელთათვისაც ფარაონი ადამიანები როდი იყვნენ, არამედ ღვთაებანი! ნეკროპოლისის მცველებისთვისაც რომ დაელწიათ თავი, სასამართლოსა და წამებისთვისაც — მათ უკან დაედევნებოდნენ ფარაოთა წმინდა გვამთა მცველი სულები. თუმც თვით ეს შიშიც კი ვერ აკავებდა მძარცველებს, იმდენად დიდი იყო საცთური მეფეთა აკლდამებში დამარხული სიმდიდრისა, მის ხელში ჩასაგდებად მარადიული სატანჯველის დათმენასაც არად აგდებდნენ.

თუმც ინენის მთელი მოხერხება და ხელოვნება ამაო აღმოჩნდა. მისი ბატონის აკლდამა გაიძარცვა, დაახლოებით ერთ საუკუნეში მისი აგების შემდეგ. იგივე ბედი ეწვია მომდევნო მეფეთა აკლდამებს: თუთმოს II-ის, თუთმოს III-ის, ჰატშეპსუტის, ორივე ამენოფსის, ჰორემჰაბის, სეტანახეტის, სეთი I-ისა და ყველა რამზესისა პირველიდან მოყოლებული. მეცხრეს ჩათვლით. თავდაპირველად ფარაოთა არქიტექტორები აკლდამებს უკეთებდნენ შეძლებისდაგვარად დაფარულ შესასვლელებს; მაგალითად თუთმოს I-ის აკლდამაში შესასვლელი წარმოადგენს უბრალო ხვრელს, კლდეში გამოთხრილს, რომელიც საჩიხეში შესასვლელს უფრო ჰგავს. აქ კიდევაც რომ გაეკვალათ გზა მძარცველებს, გზად უამრავი ხრიკი და საიდუმლო ხვრელი დახვდებოდათ: დიდი ორმოები 50 ფუტის სიღრმისა, ამოქოლილი დერეფნები, გულდასმით მოხატული ოთახები. ვითომდაც აკლდამები, რომელნიც სინამდვილეში არ იყვნენ აკლდამები; შელესილი და მოხატული კედლების უკან მიმალული კიბეები, რომელთაც მივყავართ ნამდვილი აკლდამისაკენ,, რომელიც 200 ფუტით დაბლა მდებარეობს და სხვა. ამასთან ჩირაღდნების მოცახცახე ნათელში კედლებზე მოჩანდა ფიგურები დემონებისა და სულებისა.

არა მგონია, დღევანდელმა ადამიანმა, თვით უმდიდრესი ფანტაზიის მქონემ, ამ მიწისქვეშა სამყაროში ჩასვლისას წარმოიდგინოს, თუ რას ნიშნავდა მასში ჩასვლა და მისი გაძარცვა სამი ათასი წლის წინანდელი ადამიანებისთვის. ჩვენ გვაოცებს ტუტანხამონის აკლდამის სიმდიდრე ქაიროს მუზეუმში, ასეთი დიდებული სამეფო სამარხი არ აღმოჩენილა ახალ დროში; მაგრამ ტუტანხამონი მცირე

მეფე იყო, ხოლო მისი აკლდამა უმცირესი და ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი მეფეთა ველზე.

როდესაც აკლდამის ქურდები გზას იკაფავდნენ სეთი I აკლდამის ჩახერგილ შესასვლელში, მათ ხვდებოდათ 350 ფუტის სიგრძე დერეფნები, რომელთაც მიჰყავდათ ისინი ოთახიდან ოთახისკენ, ერთიმეორეს რომ სჯობდნენ სიმდიდრით და დიდებულებით. აქ იყო სვეტებიანი დარბაზები, კლდეში გამოკვეთილი. შელესილი, და მოხატული მიცვალებული ხელმწიფისა და მისი თანამდევი უკვდავი ღმერთების ფიგურებით. აქ იყო ორმოები, რომლებიც მალავდნენ კიბეებს შელესილი კედლების უკან, მახეები და ყრუ დერეფნები, რომელნიც დღეს გახსნილია ჩვენს დასაინტერესებლად და რომელნიც იმჟამად იმედს უკარგავდნენ მძარცველებს. ისინი შექმნა აკლდამის არქიტექტორმა, რათა მძარცველებს მეტი ხანი დაეყოთ იქ და მათი აღმოჩენა გაადვილებულიყო. ქვევით, სიღრმეში, აკლდამის შუაგულში კი თავმოყრილი იყო სიმდიდრე, რომელთან შედარებითაც ტუტანხამონის ნივთები ღარიბულად მოგეჩვენებოდათ.

უთუოდ ადგილი ჰქონდა კორუპციას და ქურდებისათვის ხელშეწყობას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ესოდენ რთული და შრომატევადი ამოცანის შესრულება ასობით ტონა კლდეების ქვეშ, რომ აღარაფერი ვთქვათ არქიტექტორის ხრიკებზე, რომელიც მძარცველთა ალღოს უპირისპირებდა თავის მოსაზრებულობას. თუმცა მუდამ არსებობდა გამცემლობის შესაძლებლობაც. მაშინ, როდესაც მძარცველნი თავგანწირვით მიიკვლევდნენ გზას სანუკვარი სიმდიდრისაკენ, მათი ნერვები უკიდურესად დაძაბული იყო. ისინი ჩადიოდნენ მიწაში ღრმად, სადაც, დერეფნების ლაბირინთებში, ერთადერთ შესასვლელთან ჩასაფრებულნი იყვნენ კარგად შეიარაღებული მცველები. იქნებოდა ხელმრცარვებიც, რომელთა შესახებაც შემორჩენილია გადმოცემები: ჩირაღდნების ნათელში იელვებდა შუბების რიგი და მოღიმარი, გამარჯვებული ქურუმები ზევიდან დასცქეროდნენ მიწაზე გართხმულ ადამიანებს, რომელნიც ლუღლუღით ითხოვდნენ პატიებას.

ეს არ გახლავთ ფანტაზია. არსებობს პაპირუსთა მატიანე, რამზეს მეცხრის მეფობის მეთექვსმეტე წლისა (1126 წ. ქრისტემდე), სადაც აღწერილია დეტალურად გასამართლება და დასჯა სამეფო აკლდამის გამძარცველებისა. „როდესაც ჩვენ გზა გავიკაფეთ ჩახერგილ ღერეფანში", ადასტურებს ერთი მძარცველთაგანი, — „ვპოვეთ ეს

ღმერთი (ე. ი. ფარაო) თავისი აკლდამის ბოლოში. იქვე იყო მისი ცოლის, ნუბხაასის სამარხი, მის გვერდით... ჩვენ გავხსენით მათი სარკოფაგები და კუბოები... და ვიპოვეთ ამ მეფის კეთილშობილი მუმია, მოკლეხმლიანი; უამრავი ავგაროზი და ოქროს ყელსაბამი ჰქონდა მას; თავზე ოქროს გვირგვინი ედგა. კეთილშობილი მუმია ოქროთი იყო გადაკრული, კუბოები ოქროსი და ვერცხლისა იყო, ძვირფასი ქვებით მოჭედილი გარედან და შიგნიდან. ჩვენ მოვაგროვეთ ოქრო, რომელიც დაგვხვდა ღმერთის მუმიაზე... შევაგროვეთ ყოველივე, რაც ვიპოვეთ დედოფლის მუმიაზე და დავწვით სარკოფაგები. ჩვენ თან წამოვიღეთ მათი ავეჯი, ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი... და კვლავ მივბრუნდით თებეში."

თუ გავითვალისწინებთ ამ მონათხრობს და დავიკიწყებთ უაზრო ჭარტალს გიდებისას, ჩვენ განვეშორებით სამეფო ველს ისევე განცვიფრებულნი, როგორც ბერძნები და რომაელები, რომელთაც უნახავთ იგი ორი ათას წელზე მეტი ხნის წინათ. ძველი ჟეგლების კედლებზე წარწერების გაკეთება ჭეშმარიტად სავალალო ჩვეულებაა, მაგრამ ჩვენ უნდა მივუტევოთ სენნუფერ მემტილის აკლდამის ბერძენ მნახველს, რომლის სახელი „ალექსანდრინოსი" წარწერილია ამ დიდებულის ერთ-ერთ ყელსაბამზე. უნდა მივუტევოთ აგრეთვე რომაელ სახელმწიფო კაცს, იანუარიუსს, რომელმაც თავის ასულ იანუარიასთან ერთად მოინახულა აქაურობა, „იხილა და განცვიფრდა", ხოლო შემდეგ, როდესაც სტოვებდა ამ მეფურ აჩრდილებს, წააწერა კედელზე: „გემშვიდობებით ყველას!"... არის აგრეთვე მრავალი ამის მსგავსი წარწერა ჩვენი წინამორბედებისა: „მე ფილასტრიოს ალექსანდრიელი, ჩამოვედი თებეს, და ვიხილე ჩემი თვალით ზარდამცემი ნამუშევარნი ამ აკლდამებში, სადაც გავატარე ბედნიერი დღე".

ალექსანდრინოსმა, იანუარიუსმა, იანუარიამ, ფილასტრიოსმა და სხვებმა აღნიშნეს მეფეთა ველის დიდებულება, მიუხედავად იმისა, რომ მათ ნახეს მტვრიანი, მიწისქვეშა გამოქვაბულები, ჩირაღდნებით სუსტად განათებულნი. მათ ნახეს წარწერები, რომლებიც ვერ წაიკითხეს; ჩვენ კი ძალგვიძს მათი წაკითხვა. მათ ნახეს ნახატები, რომელთა მნიშვნელობა და დანიშნულებაც მათ ვერ გაიგეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენზე ორი ათასი წლით უფრო ახლოს იყვნენ მათთან. ჩვენ კი, ახალი სამეფოს ფარაოთაგან 3500

წლით დაშორებულთ, არა მხოლოდ გვინახავს კედლის მხატვრობა, არამედ გვინახავს თვით საგნებიც. ქაიროს ეგვიპტურ მუზეუმებში ჩვენ ვნახავთ ოქროს კუბოს ტუტანხამონისას, მისი ბრწყინვალე წითელი ქალკედონით და ცისფერი ლილაქვით. ჩვენ ვნახავთ სამეფო ეტლს მისას; ყუთებს სპილოს ძვლისას და ეკალმუხისას, სადაც ინახებოდა მისი ტანსაცმელი; მის ტახტს, საწოლს, თვით მისი ბავშვობისდროინდელ სათამაშოებს.

რა არის ამის მიზეზი? შემთხვევითობა, რომელიც მილიონში ერთხელ ხდება როგორც მეფის, ასევე მდაბიორის ცხოვრებაში. დაახლოებით 1100 წლისათვის (ძვ. წ.) გაიძარცვა პრაქტიკულად ყველა აკლდამა მეფეთა ველისა, თანაც არა ერთხელ. ქურუმებმა, რომელთაც ევალებოდათ დაცვა მეფეთა ველისა, მოიფიქრეს ახალი ხრიკი. რამდენადაც შეუძლებელი იყო ცალ-ცალკე ყოველი აკლდამის დაცვა, მათ შეაგროვეს ერთ ღამეს ყველა მუმია და ხელახლა დამარხეს საიდუმლოდ ორ ადგილას; ერთი ჯგუფი დაიკრძალა ამენოფის II-ის აკლდამაში, დანარჩენნი კი მიწისქვეშა გამოქვაბულში თებეს კლდეების აღმოსავლეთ ნაწილში, დეირ ელ ბარის მახლობლად.

ამ ხრიკმა სასწაულებრივად გაჭრა: სამეფო მუმიები იქ დარჩნენ, ვიდრე 1881 წელს ემილ ბრუგშმა არ იპოვნა საიდუმლო ხვრელი დეირ ელ ბარში; აქ შენახული იყო 30-მდე მუმია მეფეებისა და ქურუმებისა. რამდენიმე წლით გვიან, ფრანგმა არქეოლოგმა მ. ლორეტმა გახსნა აკლდამა ამენოფის II-ისა და იპოვნა 13 გვამი თავად ამენოფისის ჩათვლით, რომელიც კვლავ თავისს ალებასტრის სარკოფაგში განისვენებდა. ამრიგად, შესაძლებელი გახდა 1960 წელს ისეთ მონარქთა სახეების ნახვა, როგორნიც იყვნენ სეთი I, რამზეს II და III, თუთმოს III. მაგრამ თითქმის მთელი მათი დიდებული აღკაზმულობა დაიკარგა.

1902 წელს მდიდარი ამერიკელი თეოდორ დევისი ჩამოვიდა ლუქსორში და მიიღო ნებართვა სამეფო ველის გათხრისა. მან დაიქირავა პროფესიონალი არქეოლოგები ჰოვარდ ქარტერი, არტურ ვეიგალი, ედუარდ ეირტონი და სხვანი. დაახლოებით ათ წელიწადში, 1902-1912 წლებში, დევისმა და მისმა შტაბმა გათხარეს ველი და მრავალი საინტერესო რამ აღმოაჩინეს, მაგალითად, აკლდამა თუთმოს III-ისა, აკლდამა იუიასი და მისი მეუღლის, თუიუსი, ამენოფის IV-ის ახლობელი ნათესავებისა.

მიუხედავად ამისა, 1917 წლამდე არ აღმოჩენილა არც ერთი

ხელშეუხებელი სამეფო აკლდამა, ხოლო დევისი ამბობდა: მე ვშიშობ, რომ ამოიწურაო მეფეთა ველი. მან გამოითხოვა ნებართვა ახალი ჯგუფისათვის, რომელშიც შევიდნენ ლორდი ქარნარვონი და ჰოვარდ ქარტერი, რომელთაც განაგრძეს თხრა 6 წლის მანძილზე. მაგრამ ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ იპოვეს. 1922 წელს ქარნარვონმა გამოიძახა ქარტერი ინგლისში, თავის საზაფხულო რეზიდენციაში, ჰაიკლერსის კოშკში და უთხრა მას შეეწყვიტა გათხრები. ქარტერმა თავი გაიმართლა თავის პატრონთან. მან ამოიღო რუკა ველისა და მიუთითა მას მიწის ერთ სამკუთხა ნაწილზე, რომელიც ეშიჯნებოდა რამზეს მეექვსის ცნობილ აკლდამას და რომელიც ჯერ არ იყო გათხრილი ჯეროვნად. მან თქვა: „ამის მიზეზი ის არის, რომ ეგვიპტის მთავრობა არ იძლევა ნებას ამ ადგილების თხრისას, ვინაიდან ეს ხელს შეუშლის ტურისტებს რამზეს VI-ის აკლდამის დათვალიერებაში. თუ დავარწმუნებთ მათ, რომ დახურონ დროებით ეს აკლდამა, გავთხრიდით და ვიპოვნიდით რაიმეს. თუ ვერ ვიპოვნით, მე დავასკვნი, რომ ველზე აღარაფერია საპოვნი".

ლორდ ქარნარვონი დაეთანხმა თავისი ხელქვეითის გეგმას და ქარტერი დაბრუნდა ეგვიპტეში 1922 წელს. ლუქსორში მისი ჩამოსვლიდან მხოლოდ ცხრა დღე იყო გასული, როდესაც მუშებმა ბარი დაჰკრეს კლდეში გამოკვეთილ კიბეს, მიწაში ჩამავალს. კიბის ძირში კარი იყო აგურის კედლით დახშული, რომლის ეიღმაც აღმოჩნდა სამი ათასი წლის ბეჭედი ნეკროპოლისისა. ქარტერმა დახურა შესასვლელი და ტელეგრამით ამცნო ყოველივე თავის პატრონს, რომელიც გემით ჩამოვიდა ეგვიპტეში. ბოლოს დადგა დღე, როდესაც ქარნარვონისა და სხვების თანდასწრებით გაჭრეს ხვრელი დაბეჭდილი კარის ზედა ნაწილში, ხოლო ქარტერმა შეანათა შიგ ჩირაღდანი და შეიჭვრიტა.

„ხედავთ რაიმეს?" შეეკითხა ქარნარვონი. დიდი პაუზის შემდეგ ქარტერმა მიუგო: „დიახ... საუცხოო ნივთებს".

ამრიგად აღმოაჩინა ქარტერმა ტუტანხამონის აკლდამა, რომლის ძვირფასეულობაც სამი ათასი წლის მანძილზე ინახებოდა მასში. აქ იყო ოქროჭედილი ხის საკურთხეველები, სამმაგი ოქროს კუბოები, ოქროს ტახტები, საწოლები, საომარი ეტლები, ქანდაკებები, კალათები და სამკაულები.

ჭაბუკი მეფე ძვ. წ. 1350 წელს დაკრძალეს. მომდევნო ათასწლე-

ულის მანძილზე ეგვიპტე დაკნინდა და დაეცა, ვიდრე ძვ. წ. მეოთხე საუკუნეში იგი ხელთ არ იგდეს მაკედონელმა ბერძნებმა — პტოლემეებმა. ისინი შესცვალეს რომაელებმა, რომელნიც მართავდნენ ეგვიპტეს რამდენიმე საუკუნის მანძილზე. შემდეგ, ახ. წ. მეშვიდე საუკუნეში მოვიდნენ არაბები და ცხრა საუკუნის შემდეგ თურქები. ევროპა წარმართობიდან ქრისტიანობად მოექცა. ბნელმა საუკუნეებმა განვლეს. შუა საუკუნეთა ევროპა შესცვალა რენესანსმა; პორტუგალიელმა მეზღვაურმა მსოფლიოს შემოუარა გემით და კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა. რევოლუცია მოხდა საფრანგეთში; ნაპოლეონმა წალეკა ევროპა, ხოლო საუკუნით გვიან მოხდა ომი, რომელმაც იმსხვერპლა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე.

ამ ხნის განმავლობაში ყმაწვილ ფარაოს ეძინა თავის აკლდამაში 30 თაობის ფერხთით და იგი არავის შეუწუხებია. იგი მცირე მეფე იყო და მალე დაივიწყეს. ორასიოდე წლის შემდეგ რამზეს VI-ის აკლდამის მშენებლობისასა მუშებმა ქვით და ხრეშით დაფარეს მისი აკლდამა, სავსებით მივიწყებული. არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ ქურდებმა გაძარცვეს რამზესის აკლდამა, მაგრამ არ უწყოდნენ, თუ რა სიმდიდრე ინახებოდა კლდის ქვეშ მათგან რამდენიმე ნაბიჯზე. არავინ უწყოდა მისი არსებობა, არც ბერძნებმა, არც რომაელებმა, არც არაბებმა და არც დღევანდელმა ევროპელებმა. განა ეს ფაქტები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მეფეთა ველი სამყაროს ერთ-ერთ საოცრებად ჩაითვალოს?

11. ტადმორი უდაბნოში

ჩემი შემდეგი საოცრება ისევ შუა აღმოსავლეთში მდებარეობს, ლუქსორიდან არც ისე შორს. თებეს მსგავსად, იგიც უდაბნოს ემიჯნება და მასაც აქვს აკლდამების ველი. თუმც აქ თავდება მსგავსება ვინაიდან ძველი ტადმორი, რომელსაც ბერძნებმა „პალმირა“, ანუ „პალმების ქალაქი“ უწოდეს, დიდი მდინარის პირად როდი მდებარეობს, არამედ სირიის უდაბნოს ოაზისის შუაგულში. ეს არის ნამდვილი „დაკარგული ქალაქი“, სადაც, უკანასკნელ ხანებამდის, იშვიათად დაუდგამს ფეხი ევროპელს.

იგი ჩემთვის სამი თვალსაზრისით არის საოცარი: თავად ქალაქის რომანტიული მშვენებისა და მდებარეობის გამო; მისი ხანმოკლე,

მაგრამ მჩქეფარე და ვნებიანი ისტორიის გამო; აგრეთვე იმ ფაქტის გამო, რომ იგი დაკავშირებულია მშვენიერ ქალთან, რომელიც ისევე ღირსშესანიშნაია თავისებური გაგებით, როგორც კლეოპატრა, რამეთუ დედოფალი ზენობია იყო არა მხოლოდ ძალზე ლამაზი, არამედ ამავე დროს იგი გახლდათ ლინგვისტი, ფილოსოფოსთა მეცენატი, ამორძალი-მოხადირე და მხნე მხედართმთავარი. ამასთან ეს სამივე ელემენტები შემთხვევითი ხასიათისა როდი იყო. ზენობიას ვერ წარმოვიდგენთ კნოსოსსა და თებეში, მაგრამ პალმირაში იოლია მისი წარმოდგენა თვალნათლივ, თუ ვით მიუძღვის იგი ცხენდაცხენ არაბთა მხედრობას, რათა ელვისებურად დაჭკრას სპარსელებს, შორეულ ევფრატის ნაპირებზე მდგომთ: ან ვით მიაჭენებს იგი ცხენს თავის მეუღლესთან ერთად, უდაბნოში სანადიროდ.

პალმირაში, მიუხედავად ფუფუნებისა, ადამიანი გრძნობს უდაბნოს, გარშემოწოლილს. შემოდიან ქარავნები, რომელნიც ამდიდრებენ ქალაქს. ორი ათასი ლარკიდებული აქლემი, შეიარაღებული ბადრაგითურთ, მიემართება ნელნელა დასავლეთისაკენ, მხით გადამწვარ ტრამალებზე. ისინი დატვირთულნი არიან ჩინური აბრეშუმით, ინდური საქაულებით, სპარსეთის ყურის მარგალიტით, არაბეთის შტახსითა და მურით, ისინი მიემართებიან დამასკოსაკენ და ხმელთაშუა ზღვის სამყაროსაკენ. „პალმების ქალაქს", რომელიც მწვანე კუნძულს ჰგავს უდაბურ ზღვაში, უხვად აქვს სურსათი, დუქან-ბაზრები და საზეერეები. პალმირელი თავკაცნი, მართალია, ვერ ბატონობდნენ უდაბნოს ტომებზე, მაგრამ კარგ ურთიერთობაში იყვნენ შეიხებთან და ქარავნების უსაფრთხოება გარანტირებული იყო, მათ აგრეთვე იცავდნენ მშვილდოსნები, ასე რომ, პალმირა თანდათან გამდიდრდა.

თებე შეიძლება შევადაროთ დიდ ხეს, საუკუნეთა ტვირთით დამძიმებულს, ხოლო პალმირა ჰგავს ყვავილს, რომელიც სასწაულებრივად აღმოცენდა უდაბნოში, მცირე ხნით აყვავდა და დაჭკნა. იგი შექმნა ქარავანთა მიმოსვლამ და ვაჭრობამ, ხოლო როდესაც ეს მიმოსვლა შეწყდა, ქალაქი განადგურდა.

დღეს მრავალი მნახველი ჩამოდის აქ საჰაერო გზით დამასკოდან. საიდანაც დაახლოებით 150 მილია აქამდე. რა თქმა უნდა, უკეთესია ხმელეთით მგზავრობა, თუ გვსურს შევიგრძნოთ მთელი ეს მარტოობა, თუმც თვითმფრინავით მგზავრობის დროსაც არ იკარგება

ეს განცდა გარიყულობისა და სიმარტოვისა. თვითმფრინავიდან მოჩანს უსაზღვროება უდაბნოსი, კლდეები, ხეები, მწვანე და უკაცრიელი ტრამალები; მხოლოდ სადღაც შორს გაიელვებენ შავი კარვები და არაბული „ვადის“ ნიშნები, რომელნიც მიუთითებენ ამა თუ იმ ტომის დასახლებაზე. შემდეგ კი, როდესაც თვითმფრინავი დასაჯდომად ემზადება, მის ქვეშ გადაიშლება მწვანე ზღვა პალმისტყეებიანი ოაზისისა, ზოგან თითქოს ასანთის ჩხირებიაო ჩასმული ქვიშაში და მათი ჩრდილები ძირსაა გაწოლილი, ზოგან წყარო მოჩანს, ზოგან ქოხმახები არაბული სოფლისა. ჩვენ პალმირაში ვართ.

მიწაზე ფეხის დადგმისას კვლავ გვიბრუნდება ჩვენი ჩვეულებრივი ადამიანური საზომი და მხოლოდ ამ დროს ცხადდება მთელი სიდიადე ამ ქალაქისა. აქ აღმოჩნდება, რომ ასანთის ჩხირები არიან ატყორცნილი კოლონები, დიდი ხეების სიმაღლისა, სიმეტრიულად გამწკრივებული ნი ქალაქის ორ მთავარ ქუჩაზე, რომელნიც ქმნიდნენ მთელს კვარტალს. ფეხი გვეფლობა წმინდა ქვიშაში, რომელიც ქარის დროს მოედება ხოლმე მიტოვებულ ქალაქს. აქვეა უთავო ქანდაკებები დიდი ხნის მივიწყებული ღვთაებებისა, საძირკვლები პალმირელ ვაჭართა ყოფილი ვილებისა. სტილი რომაულია და კლასიკური, მაგრამ არის განსხვავებებიც, ნაცნობი არქიტექტურული მოტივები: თაღი, ლავგარდანი, კვარცხლბეკი, შემჭიდი ოდნავ აღმოსავლური ელფერისაა.

ეს შეზავება აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ანიჭებს პალმირას მომხიბვლელობას. მართალია, პალმირელებმა შეითვისეს ბერძნულ-რომაული კულტურა, ჩაცმულობა და ჩვეულები, მაგრამ ისინი დარჩნენ აღმოსავლელებად, უდაბნოს ხალხად. ამ ხალხის ისტორია იკარგება გაცილებით უფრო ადრინდელ წარსულში, რომელიც წინ უსწრებს ძველი აღთქმის რიცხვთა წიგნის ავტორს, რომელმაც მოიხსენია მათი ქალაქი როგორც „ტადმორი უდაბნოში“, უფრო ადრე მათი ქალაქი იხსენიება ასირიელი მეფის, ტიგლატპილასარის (ძვ. წ. 1115-10) წარწერაში, სადაც მას უწოდეს „ტადმორი ამურუს ქვეყნისა“, თუმც მას არ მიუღწევია დიდი ზეობისათვის, ვიდრე ახ. წ. 105 წელს არ დაეცა ნაბატისეული სამეფო პეტრასი, რომელიც აკონტროლებდა ქარავანთა მიმოსვლას სპარსეთის ყურიდან სირიის უდაბნომდე. ქარავნები იცვლიდნენ კურსს ამ დროს და პალმირა, რომელსაც სტრატეგიულად ძალზე ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა, აღზევდა, ვინაიდან აქედან სულ ხუთიოდე დღის სავალი იყო ქარავნით ევ-

ფრატამდე. ერთ დროს უბრალო არაბული დასახლება და დასასვენებელი ადგილი გადაიქცა დიდ ქალაქად და რელიგიურ ცენტრად, სადაც თაყვანს სცემდნენ ბელს — მზის ღმერთს.

მისი ტაძარი დღესაც დგას, ძლიერი და ბრწყინვალე, ლურჯი ცის ფონზე, დიდი ეზოთი გარშემორტყმული, დღესაც ჩანს საკურთხეველი, რომელთანაც მიჰყავდათ სამსხვერპლო ცხოველები. თუმც დეტალები „კლასიკურ" პროპორციებშია მოცემული, განსაკუთრებულია სიმაღლე ამ გიგანტური შენობისა, რომელიც უფრო მეტად გვაგონებს ეგვიპტურ ტაძარს, ვიდრე რომაულ მონუმენტს. კედლებში ჩაშენებულ დამრეც კიბეებს ავყავართ სახურავზე, საიდანაც ხელისგულზე მოსჩანს ქალაქის მთელი გეგმა. თვალი სიგრძივად გასდევს ამ კოლონებიან ქუჩებს, რომელნიც თითო მილის სიგრძისანი არიან, კედლიდან კედლამდე გადაჭიმულნი. ჩვენ ვხედავთ დიდებულ თეატრონს, ბერძნულ-რომაული გეგმით აგებულს, ქვის საჯდომების საფეხურებრივი რიგით, ღია ცის ქვეშ. იქვე საძირკვლებია სახლებისა, მაღაზიებისა, საწყობებისა, სადაც ინახებოდა აღმოსავლეთის სიმდიდრე. გრძელი გვირაბიდან გამოდის წყალი, რომელიც რწყავს ოაზისს, ხოლო კედლების ნანგრევების მიღმა მწვანე პალმების ხალიჩაა, უდაბნოს რომ ესაზღვრება. ვარდისფერი ქვიშა მოჩანს ჰორიზონტზე, რომლის მიღმა იკარგებიან ქარავნები და ტაატით მიემართებიან შორეთში, ისევე როგორც 2 ათასი წლის წინათ.

თქვენ მიიკვლევთ გზას ქვევით, გაცვეთილი საფეხურებით, რომელზედაც ადიოდნენ ბელის ქურუმნი მზის მისასალმებლად, შემდეგ გაივლით განათებულ ეზოს და გააბიჯებთ მთავარ ქუჩაზე. თავდაპირველად აქ იყო 750 კოლონა, სამი მეოთხედი მილის მანძილზე გადაჭიმული. შემორჩენილ კოლონებს გააჩნიათ ადგილები, სადაც იდგა ქანდაკებები პალმირას საპატიო მოქალაქეებისა. ქალაქს ბაჟი ჰქონდა დაწესებული იმპორტზე და ექსპორტზე, სამაგიეროდ იგი ემსახურებოდა ქარავნებს და იცავდა მათ საშიშ უდაბნოში მოგზაურობისას, აძლევდა მოსვენების საშუალებას, კომერციულ პრივილეგიებს და სხვა. პალმირელებს საკუთარი ქარავნებიც ჰყავდათ, რომელნიც დადიოდნენ უდაბნოს გავლით ევფრატის ნაპირებზე მდებარე დიდ ბელლებში. ეს მგზავრობა უზარმაზარ რისკთან იყო დაკავშირებული, როგორც უდაბნოს ტომების, ასეკე პართიელების მხრივ საფრთხის გამო. ისინი დიდი მდინარის გაღმა მკვიდრობდნენ:

კარგი დაგეგმვა საქარავნო მოგზაურობისა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ ითვლებოდა და ამისთვის ღებულობდნენ კარგ საზღაურს. ამგვარი ვაჭრების პატივსაცემად აღმართეს ის ქანდაკებები, რომელნიც სადღეისოდ განადგურებულნი არიან. მათ კვარცხლბეკებს 1812 წლისათვის გასართობად იყენებდნენ.

ამავე წელს ლედი ჰესტერ სტანჰოპი ეწვია პალმირას: იგი იყო ერთი იმ შეუპოვარ ინგლისელ ქალთაგანი, რომელთაც არაფერი აშინებთ ამ ქვეყანაზე. მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, მან გადაიცვა ბედუინის ტანისამოსი და თავის მეგობართან ქ-ნ ფრაისთან ერთად გადალახა უდაბნოს საფრთხე. ბედუინთა შეიხმა მიღება გაუმართა მას. მას შეხვდნენ როგორც დედოფალს, მან ტრიუმფით შეაჭენა ცხენი დანგრეულ ქუჩებში, სადაც არაბი გოგონები კოლონებზე ჩამომსხდარიყვნენ; ყველაზე მშვენიერი მათ შორის თოკით ჩამოუშვეს ტრიუმფული თაღიდან და მან დაადგა გვირგვინი სახელოვან სტუმარს. ორი ინგლისელი ლედი ერთი კვირით დაბანაკდა ბელის ტაძარში.

მართალია ლედი ჰესტერმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ პალმირას გამუდმებით დასტრიალებს დიდებული ქალის — დედოფალ ზენობიას სული. მისი სახელი ბერძნულად აწერია ერთ-ერთ კოლონას. ეს წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „ქალბატონ სეპტიმია ზენობიას, უდიდებულესს, ღვთისმოსავ დედოფალს, ბრწყინვალე სეპტიმუს ზაბდას, მხედართმთავარს, და ზაბბაის, ამ ადგილის კომენდანტს, 582 წლის აგვისტოს თვეში“.

მის მშვენებას აღნიშნავდა ისტორიკოსი ტრებილიუს პოლიო: „სახე — მუქი ყავისფერი, უჩვეულო ცეცხლით ანთებული შავი თვალები, ნათელი პიროვნება, ღვთაებრივად მეტყველი სახე, კბილები მარგალიტისა, ხმა ძლიერი და წკრიალა“.

ამ აღწერიდან ნათელია, რომ ზენობიას ძარღვებში აღმოსავლური სისხლი სჩქეფდა, თუმც იგი აცხადებდა, რომ მაკედონელი მეფეების ჩამომავალი იყო და კლეოპატრასაც ასახელებდა თავის წინაპართა შორის. ალბათ მასაც ჰქონდა კლეოპატრასებური მომხიბვლელობა, რამდენადაც იგი, ეგვიპტის დედოფლის მსგავსად, აერთებდა თავისთავში აღმოსავლურ და დასავლურ კულტურას. იგი წერდა და ლაპარაკობდა ლათინურად, ბერძნულად, სირიულად, ეგვიპტურად, შესაძლოა მას განსწავლა ალექსანდრიაში ჰქონდა მიღებული; გიბონი, რომელიც დიდი აზრისა არ იყო ქალებზე, წერდა:

„ენები მან მეცნიერულად იცოდა, ისევე როგორც ლათინური და ბერძნული ლიტერატურა. როგორც ჩანს, იგი უკეთ იცნობდა მსოფლიოს, ვიდრე მისი გენერლები, ან თვით ოდენატუსი (მისი მეუღლე)... მან განაგრძო შესწავლა ბერძენი და რომაელი ავტორებისა ლონგინოსის ხელმძღვანელობით, რომელიც იყო ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფილოსოფოსი და მეცნიერი იმ ეპოქისა.

ზენობია მიუძღოდა თავის მხედრობას შორეულ ლაშქრობებში, იგი იყო ბრწყინვალე მოჯირითე — ქალი, მშვენიერ ცისფერ გეტრებში გამოწყობილი, სვამდა თავის ოფიცრებთან ერთად და ხშირად ამარცხებდა რომაელთა მხედრობას ბრძოლის ველზე. ზენობია, გარდა ამისა, მართავდა იმპერიას, ერთ დროს ნილოსიდან ევფრატამდე გადაჭიმულს.

როდესაც რომაელებმა გაზარდეს თავიანთი იმპერიის საზღვრები სირიამდე, პალმირაც მათ საზღვრებში მოექცა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღიარებდა რომის სიუზერენობას, ქალაქმა არ დათმო თავისი დამოუკიდებლობა, თვით ვესპასიანეს დროსაც კი (ახ. წ. 69 — 79). მისი ტერიტორია განიხილებოდა, როგორც ბუფერსახელმწიფო რომის იმპერიასა და პართიას შორის. ხოლო პეტრეს დაცემის შემდეგ, როდესაც პალმირა აღზევდა ქარავანთა მიმოსვლისა და ვაჭრობის წყალობით, მან უფრო მეტი ყურადღება მიიქცია რომის იმპერატორებისა. ჰადრიანემ, ბუნებრივია, მოინახულა იგი და ნებაც დართო მას თავისი სახელის ტარებისა: „ჰადრიანა პალმირა". ამასობაში რომის გზები დაუკავშირდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს, ხოლო ლათინური კულტურა შევიდა უდაბნოს ქალაქში; მისი წარჩინებული მოქალაქენი ითვისებენ ამ დროისათვის რომაულ ჩვევებს და გარდაქმნიან თავის ჩვევებს რომაულ ყაიდაზე. არსებობს მრავალი წარწერა, სადაც მოთხრობილია აღზევება ამ პალმირელი დიდებულებისა. როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე სევერუსმა მოინახულა პალმირა ახ. წ. 230 — 231 წლებში, მან მიანიჭა სენატორის წოდება სეპტიმიუს ოდინატს, ანუ ოდენატუსს, ჰაირანის ძეს. მისმა ვაჟმა ჰაირანმა მიიღო ტიტული „რას ტადმორ" (მპყრობელი ტადმორისა), სენატორის ტიტულთან ერთად, ხოლო ჰაირანის ვაჟმა, რომელსაც აგრეთვე ოდენატუსი ერქვა, შეირთო ზენობია და თავადაც სენატორი გახდა.

შემდგომ ამისა, ახ. წ. მესამე საუკუნეში, რომის წინსვლა დამუხრუჭდა სირიაში. სპარსეთის მეფემ შაპორმა, არტაქსერქსეს

ძემ, გადმოლახა ევფრატი, დაამარცხა რომის მოწინავე გარნიზონი და არევ-დარევა შეიტანა რომის მოკავშირეებში. იმპერატორმა ვალერიანემ, ასაკისდა მიუხედავად, გაილაშქრა შაპორის წინააღმდეგ, მაგრამ ედესასთან დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ეს იყო უდიდესი დარტყმა, რის შემდეგაც შაპორი გადავიდა შეტევაზე, გაძარცვა ანტიოქია და დაემუქრა პალმირას. ოდენატუსმა თავდაპირველად სცადა დიპლომატიური მოლაპარაკება დაეწყო, გაუგზავნა საჩუქრები და ზრდილობიანი, მაგრამ არა მონური ნოტა. ეს ნოტა ევფრატში გადააგდო მეფემ და თქვა: „ვინ არის ეს ოდენატუსი, თავხედურად რომ მომწერა მე, თავის მეფეს? თუ მას სურს შემსუბუქება თავისი სასჯელისა, დაემხოს ჩემი ტახტის წინაშე, ზურგსუკან ხელებგაკრული“.

ამის პასუხად სირიის მმართველმა შეკრიბა პატარა ჯარი სწრაფი და მსუბუქად შეიარაღებული მხედრებისა, სირიული სოფლებიდან და ბედუინთა კარვებიდან. იგი არა მხოლოდ დაუხვდა სპარსეთის არმიას და დაამარცხა იგი, არამედ წაართვა შაპორს დიდი სიმდიდრე და ხარჯაც კი. სპარსელებმა უკანვე გადალახეს ევფრატი, ხოლო ოდენატუსი ტრიუმფით დაბრუნდა პალმირაში და, გიბონის თქმით, „ჩაუყარა საფუძველი თავის მომავალ დიდებას და კეთილდღეობას. რომის სიდიადეს, სპარსთაგან შელახულს, იცავდა სირიული, ანუ არაბული პალმირა“.

გალიენუსმა, ვალერიანეს შემცვლელმა, დააჯილდოვა ოდენატუსი „დუქს ორიენტის“ (აღმოსავლეთის მპყრობლის) ტიტულით და მიანდო მას რომის იმპერიის აღმოსავლეთის მართვა. ზენობია იზიარებდა მის დიდებას, მისი მიღწევაა და მისი ქმრის მიღწევაა, რომ დღეს პალმირას ნანგრევებს ესოდენ მაგიური მომიხვლელობა აქვს შერჩენილი. ეს არა მხოლოდ მდიდარი სავაჭრო ცენტრი იყო, სოვდაგრებითა და მეაქლემეებით, ნოქრებითა და მწონავებით სავსე; იგი მოკლე ხნის მანძილზე გადაიქცა იმპერიის დედაქალაქად, რომლის ძლიერებაც ემყარებოდა სამხვდრო ხელოვნებას მისი ბრწყინვალე, ახალგაზრდა მპყრობელისას. მართალია, ოდენატუსმა რომაული ტიტული და ჩვევები მიიღო, მაგრამ იგი მაინც რჩებოდა სირიელად, უდაბნოს კაცად. მისი ძალმოსილება ეყრდნობოდა ბედუინი მხედრებისა და პალმირელი მშვილდოსნების ერთგულებას. ახალგაზრდა წყვილმა ორგზის უკუაქცია სპარსეთის მეფე და დაათმობინა ევ-

ფრატი, მისდია ქტეზიფონის, მისი სატახტო ქალაქის კარიბჭემდე. ეს წყვილი ერთად ფლობდა აღმოსავლეთის რომის იმპერიას. თუმც საეჭვოა, რომ ისინი ამას სჩადიოდნენ რომისადმი ერთგულებით. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მათ ხიბლავდათ აზარტი და სისწრაფე უდაბნოს ომისა, რაც მათთვის ნადირობის ერთგვარი სახეობა იყო. ზენობია ნადირობისას კარეტაში როდი ჯდებოდა, სხვა სირიელი ქალების მსგავსად, არამედ ცხენდაცხენ ნადირობდა, მას ხიბლავდა საფრთხე და ხალისი ნადირის დევნიხა. ოდენატუსის საომარი კამპანიების დროს იგი გვერდს უმშვენებდა ქმარს, შორეულ ლაშქრობებში მონაწილეობდა, ფიცხელ შეტევებში ხმალს იქნევდა ბრძოლის ველზე, ხოლო გამარჯვების შემდეგ სვამდა და მხიარულობდა ბანაკის კოცონთან, ვარსკვლავიანი ცის ქვეშ.

ამ მკაცრი საომარი ყოფის შემდეგ, უდაბნოდან ისინი ბრუნდებოდნენ კვლავ პალმირაში, სადაც ელოდათ ცივილიზებულ ადამიანთა სიამენი: რელიგიური და საერო ცერემონიები, ელეგანტური ბანკეტები, მხიარულება, მუსიკა, ამო საუბარი და პურ-მარილი. ზენობიამ ამავე დროს რამდენიმე ძე აჩუქა თავის მეუღლეს.

ტრაგედია მაშინ დაიწყო, როდესაც ოდენატუსი მოჰკლა ვინმე მეონიუსმა, რომელიც ოდენატუსმა დასაჯა რაღაც დაუდევრობისათვის ნადირობის დროს. მკვლელს დიდხანს არ უცოცხლია, ზენობიამ მოაკვლევინა იგი და აიღო ხელში იმპერიის მმართველობა, რამდენადაც მისი უფროსი ვაჟი, ვაჰაბ-ალათი (ათენოდორე — ბერძნული ფორმით) იმჟამად ჯერაც ყრმა იყო.

კიდევ ერთხელ ჩაუდგა იგი სათავეში 70 ათასიან მხედრობას და გაილაშქრა არაბეთში, რომელიც დაიმორჩილა ჯერ კიდევ ოდენატუსმა, შემდეგ გადასერა სინას უდაბნო და ეგვიპტეს უწია, რომელიც ნომინალურად რომაელი გენერლის პრობუსის კონტროლქვეშ იყო, ფიცხელ ბრძოლაში დაამარცხა პრობუსის არმია და ახ. წ. 270 წელს ვაჰაბ-ალათი გაამეფა ეგვიპტეში. მიუხედავად ამისა, ზენობია ნომინალურად აღიარებდა რომისადმი ქვეშევრდომობას. ალექსანდრიაში იმჟამად მოჭრილ ფულზე ამოჭრილია ვაჰაბ-ალათისა და ავრელიანეს თავები, რომელიც ამჯერად რომის იმპერატორი გახდა, გალიენუსის შემდეგ. თუმც მხოლოდ ავრელიანეს თავის ქვეშ არის წარწერა „ავგუსტუს“. რამდენიმე წლის შემდეგ ორმა პალმირელმა დიდებულმა, რომელნიც მართავდნენ ქალაქს, აღმართეს ოდენატუ-

სის ქანდაკება, რომელსაც წააწერეს „მეფეთ-მეფე და ქალაქის აღმდგენელი“ (ერთ-ერთი ამ დიდებულთაგანი იყო ზაბდა, რომლის სახელიც გვხვდება „სეპტიმია ზენობიას“ წარწერაში). ასეთი წოდება ოდენატუსისა ნიშნავდა უკუგდებას რომის მპყრობელობისას, რაც აგრეთვე ხაზგასმულია ვაჰაბ-ალათის მიერ მოპრილ გვიანდელ მონეტებში, სადაც ავრელიანეს თავი უკვე აღარ ფიგურირებს.

ავრელიანე უბრალო კაცი იყო, რომელიც ჯარისკაცობიდან აღზევდა იმპერატორის ტახტამდე. მაგრამ იგი ნიჭიერი გენერალი იყო და რა დაინახა, რომ საფრთხე ემუქრებოდა მის ძალაუფლებას, მოემზადა საომრად. ჯერ პრობუსმა დაიბრუნა ეგვიპტე, ახალი წელთაღრიცხვის 270 წ., შემდეგ მომდევნო წელს, თავად ავრელიანე მოვიდა აზიაში დიდი არმიით. ზენობია მიხვდა, რომ დადგა ბრძოლის ჟამი. მის მშვენიერ ქალაქში მზვერავებმა მოიტანეს ცნობა, იმპერატორის არმია აქედან ასი მილის მანძილზეაო და, მიუხედავად იმისა, რომ ზენობია უკვე წლოვანი იყო, „მამაცურად შეიჭურვა ფოლადით“, როგორც მემატიანე აზბობს და გაემართა მტრის დასახვედრად. ზაბდა მისი გენერალი იყო ამ დროს.

პირველი ბრძოლა რომაელებთნ ზენობიამ გადაიხადა ანტიოქიის სანახებში, მეორე კი ჰომსის მახლობლად. დედოფალი ცხენდაცხენ მიუძღოდა თავის ჯარებს, „დიანასავით შეჭურვილი და ვენერასავით მშვენიერი“. შუბოსნები, დრომადერებზე ამხედრებულნი, იცავდნენ არიერგარდს მისი დიდი არმიისას, რომელმაც აღავსო მთელი ბრძოლის ველი. უდაბნოს მებრძოლნი უტევდნენ რომაულ კავალერიას, დიდი სიფიცხით და შემართებით. უწინ მათ დაამარცხეს სპარსელები შაპორის მეთაურობით და რომაელები პრობუსის მეთაურობით. მაგრამ ცბიერმა ავრელიანემ ხრიკს მიმართა. მან დაარიგა თავისი კავალერია, განზრახ უკუქცეულიყო, პალმირელები დაედევნენ და ეგონათ გავიმარჯვეთო, მაგრამ დაიქანცნენ დევნაში და დაძაბუნდნენ. შემდეგ მხედართმთავრის სიგნალზე რომაელები მობრუნდნენ და „გადათელეს მტერი“.

ეს მოხდა ანტიოქიაში. იგივე მანევრმა გასჭრა ჰომსში, რითაც დამტკიცდა რომაული ტაქტიკის უპირატესობა ნაკლებად დისციპლინირებულ სირიელებზე. ზენობია იძულებული გახდა პალმირასაკენ უკუქცეულიყო. ავრელიანემ დაიმორჩილა გარემომცველი ტომები

და მშვიდად, მეთოდურად შემოეწყო ქალაქს. თუმც იგი შეურაცხყოფილი იყო იმით, რომ რომის სენატი დასცინოდა „ქალთან ომისთვის". მან მისწერა განაწყენებულმა: „რომაელები მეუბნებიან, თითქოს მე ქალს ვეომებოდე, თითქოს ზენობია მე მიპირისპირდება მხოლოდ თავისი საკუთარი ძალებით და არა მტრის ვეება ურდოებით. თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რამდენი მშვილდოსანი ჰყავს და რამდენი საომარი მანქანა, ან რამდენი ლოდსატყორცნი აქვს. გალავნის ყოველ ნაწილს ორი ან სამი ქვის მტყორცნელი მაინც იცავს; ცეცხლსა და წუნწუბას გვაყრიან. კიდევ რა გსურთ, იქნებ გგონიათ რომ მას ეშინია? იგი თავგანწირულად იბრძვის, მაგრამ მე მწამს ძალა რომის სახელმწიფოს ღმერთებისა".

ავრელიანემ მოითხოვა, დამნებდითო. ზენობიამ გაურკვევლი პასუხი გასცა. პალმირას მძლავრი გალავანი ჰქონდა, და სურსათის საკმაო მარაგი, მას მედგარი გარნიზონი იცავდა. დედოფალს იმედი ჰქონდა, რომ იგი საკმაო ხანს გაუძლებდა ალყას, ამასობაში რომაელთა მიერ დამორჩილებული ტომები გაერთიანდებოდნენ და შოეშველებოდნენ. მისი მეუღლე გარდაცვლილი იყო; ერთ-ერთი ვაჟი ბრძოლის ველზე დაეცა; ეგვიპტე დაკარგული იყო, ასევე მთელი სირიაც, პალმირას გარდა. იგი მაინც იბრძოდა, მას მხარში ედგა გენერალი ზაბდა, მეგობარი ფილოსოფოსი ლონგინოსი და სხვა ერთგული მიმდევრები. მაგრამ დადგა ჟამი, როდესაც იგი უნდა მიმხვდარიყო, რომ პალმირელები დიდხანს ვეღარ გაუმკლავდებოდნენ რომაელებს. მან შეიმუშავა თავგანწირული გეგმა მტრის რიგების ღამით გარღვევისა და ეფრატისაკენ გაქცევისა, რათა ვძებნა დახმარება თავისი ძველი მტრების, სპარსელებისაგან.

გალავნის ერთ-ერთ ვიწრო ხვრელში, რომელიც დღესაც არსებობს, დედოფალმა გაიყვანა თავისი მომხრეები და სწრაფ დრომადერზე ამხედრებულმა გაარღვია რომაელთა რიგები. ისინი დღედაღამ მიჰქროდნენ უდაბნოში და ბოლოს მიაღწიეს ევფრატამდე, რომელიც პალმირიდან 200 მილზე მდებარეობს. მაგრამ რომაელებმა შეიტყვეს ზენობიას გაქცევა — ალბათ გამცემლობის წყალობით — და გააყოლეს მდევარი. მდინარის გადალახვამდე დედოფალი შეიპყრეს და რომაელთა ბანაკში მიიყვანეს. ქალაქი დანებდა მტერს.

ავრელიანემ გამოამეღავნა სახელმწიფო კაცისათვის შესაფერი შემწყნარებლობა პალმირელთა მიმართ; მოსახლეობას არაფერი ავნო და ზენობიას მეგობრები დაუსჯელად გაუშვა. შესაძლოა, ზენო-

ბიამ ტყვეობაშივე მოახდინა საკმარისი გავლენა ავრელიანეზე, რითაც შესაძლებელი გახდა ეს ყოველივე. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც იმპერატორი უკვე გემში ჩასაჯდომად ემზადებოდა, რათა კვლავ რომს მიბრუნებულიყო, მას მიუტანეს ამბავი, რომ პალმირას მოსახლეობა აჯანყდა და დახოცა რომაელთა გარნიზონი. იგი მობრუნდა კვლავ პალმირაში და ცეცხლს და მახვილს მისცა ქალაქი. ლონგინოზი და ზენობიას ყველა მრჩეველი სიკვდილით დასაჯეს იმპერატორის ბრძანებისამებრ. ასეთი იყო დასასრული პალმირას იმპერიისა.

მაგრამ ეს არ გახლავთ ზენობიას აღსასრული. 'პალმირაში არსებობს სხვაგვარი გადმოცემა: ამბობენ რომ დედოფალმა დასტოვა ქალაქი იმ რწმენით, რომ გადაარჩინა იგი, ვინაიდან მას არ ენახა ქალაქის ნანგრევებიდან ამოსული ბოლი. როდესაც ზენობია მიჰყავდათ გემით რომში, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის პორტიდან, მან შეავლო თვალი აზიას, გაახსენდა სპარსეთის მეფის დევნა ქტეზიფონის კედლებამდე, ნადირობა და ნადიმობა ოდენატუსთან ერთად; პალმირას კოლონიებიანი ქუჩები, არაბი ვაჭრებით სავსენი; უდაბნოს მცხუნვარე სუნთქვა; ბელის საკურთხევლიდან ამოსული საკმევლის კვამლი; ეგვიპტის დაპყრობა, სადაც პირამიდები აზიდულან დასავლეთის ჰორიზონტზე; ანტიოქიისა და ჰომსის ბრძოლები; ალეპოში გამოვლილი გაჭირვება და უკანასკნელი თავგანწირული ცდა ევფრატზე გაქცევისას. ამჟამად დედოფალი ტრიუმფით შეიყვანეს რომში, საიდანაც აღარასოდეს დაბრუნებულა.

ოქროს ჯაჭვებით დამძიმებული და პატიოსანი თვლებით შემკული ჩაატარეს იგი დედაქალაქის ქუჩებში, რომის განცვიფრებული ბრბო უკან მისდევდა. შემდგომი ამბების შესახებ არსებობს ორი ვერსია. ერთია ის, რომ ზენობია დაჭკნა ტყვეობაში, ვინაიდან ვერ გადაიტანა განშორება თავის მშობლიურ უდაბნოსთან და გამქრალ დიდებასთანო. მეორე კი უფრო პროზაულია და მოგვითხრობს, რომ შეუნდეს, გაათავისუფლეს და ავრელიანემ ვილა მისცა კვიპროსის ნაპირზე; შემდეგ იგი ცოლად გაჰყვა მდიდარ რომაელს, ეყოლა შვილები და იცხოვრა ღრმა სიბერემდეო.

• • •

პალმირა მთლად დანგრეულ შენობებისგან როდი შედგება. აქ დღესაც არის ერთი ადგილი, სადაც შეიძლება ნახვა იმ ადამიანთა

სახეებისა, რომელნიც უცქერდნენ ზენობიასა და ოდენატუსის ჯირითს პალმირას ქუჩებში. ქალაქიდან მოშორებით, დაბალ ბორცვებზე გამწკრივებულან კოშკები, რომელთაგან ზოგი ნაწილობრივ დანგრეულია. მათში შესვლა იწვევს მოულოდნელ შოკს წინასწარ გაუფრთხილებელი მნახველებისას. ვინაიდან ეს კოშკები აკლდამებია. ზოგი კოშკი ხუთსართულიანია. შიგნით, კედლების გასწვრივ, თაროებზე გამწკრივებულან გაპრიალებული სარკოფაგები. ზოგ მათგანში დღესაც ასვენია მდიდარი პალმირელების გვამები, რომელნიც თხუთმეტი საუკუნის წინ ჩაასვენეს. ზოგიერთი აკლდამა თაღოვან ნიშებშია ჩასმული, საიდანაც მოჩანს ბიუსტები აკლდამის პატრონებისა, მშვიდი მზერით რომ შესცქერიან მნახველებს.

ამ ხალხს, მართალია, რომაულად ცცვია და ლათინური კულტურა აქვს შეთვისებული, მაგრამ მაინც სემიტური იერი დაჰკრავს. ისინი ბევრით არ განსხვავდებიან ჰადადეს და ასტარტეს თაყვანისმცემლებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მათ უწოდებენ იუპიტერსა და ვენერას. ეს აშკარად ჩანს მათი ნუშისებრი თვალებიდან, არწივისებრი ცხვირიდან და დამახასიათებელი ბაგედან. მამაკაცები უფრო მოუხეშავები ჩანან თავიანთ რომაულ ტანსაცმელში, ვიდრე ქალები, რომელნიც უფრო შეეგუენ ახალ ჩაცმულობას თავიანთი სქესისათვის დამახასიათებელი ადაპტაციის უნარის შესაბამისად, რითაც შეიძინეს ახალი ღირსება, რომლის გამოვლენასაც მიელტვიან ესოდენ მონდომებულად.

სერიოზული მატრონები, რიდეებით თავშებურვილნი სხედან წინასწარმეტყველური იერით... მკაფიოდ გამოკვეთილნი.

„ისინი აფასებენ ახალ პოზიციას, რომელიც მოუტანა სიმდიდრემ იმ ქალთა შვილებს, რომელნიც ცხოვრობდნენ კარვებში თავიანთ ცხოველებზე ოდნავ უკეთეს ყოფაში. არაფერია უფრო განსაცვიფრებელი ამ ცივილიზაციაში, ვიდრე ეს საზეიმოდ მოკაზმული მატრონები და მათ ფონზე ტანისამოსის კარადები, გასაღებები, შინაური თუ სოციალური რუტინა, რომელიც ასაზრდოებდა რამდენიმე თაობას, ამ ქვიშიან უდაბნოში მცხოვრებს“. (რობინ ფელდენი, „სირია“ 1945 წ.) მათი სახეები არც მოღიმარია და არც მოღუშული. მათ გამომეტყველებაში არ არის ის სიმარტოვე და სულიერება, რომელიც ახასიათებს შუა საუკუნეთა ქანდაკებებს, არც საზეიმო, რელიგიური ჰოზა ძველი ეგვიპტელებისა, რომელნიც ემზადებიან ქვეს-

კნელის ღმერთებთან შესახვედრად. ეს სანახევროდ დაკნინების გზაზე დამდგარი ხალხი, ღვინის სამწდეურებით ხელში დგას თავისი ღმერთების შინაშე, როგორც სოციალურად თანასწორთა წინაშე. ისინი მშვიდნი არიან, თვითკმარნი და თვითკმაყოფილნიც კი და ისევე გამოიყურებიან, როგორც ალბათ გამოიყურებოდნენ თავიანთ მდიდრულ ოჯახებში, სადაც მოესმოდათ იმ აქლემების ეკვნების ყღარუნი, მათთვის აღმოსავლეთის სიმდიდრე რომ მოჰქონდათ.

12. კლდის გუმბათი

არსებობს სხვადასხვაგვარი გზა ანტიკური ძეგლების სულის გამოხმობისა, რომელთა შორის პოეტური გზაა საუკუთესო. შელი ისე ქმნიდა მიმზიდველ სტრიქონებს თავისი „მეფეთ-მეფე ოზიმანდიასისას", რომ თვალით არც ენახა ქანდაკება, რომელმაც შთააგონა ეს ლექსი. თუმც მისი სიტყვები „უშველებელ ქვის ფეხებზე", ტანის გარეშე რომ დარჩენილან, და სახეზე, რომელსაც ატყვია „დაღი გულცივი ბრძანებლისა", გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე უთვალავ მნახველთა აღწერები. რამზეს მეორის კოლოსალური თავი, რომელიც ინახება ბრიტიშ მუზეუმში, არის „ოზიმანდიასი" შელის ლექსისა, მაგრამ განა ყველამ იცის ეს, ან განა ბევრს აინტერესებს?

შესაძლოა რომელიმე ჩვენთაგანს ფეხიც არ დაედგას პარნასის ფერდობებზე, მაშინ იგი უნდა დაკმაყოფილდეს უშუალო თვითმხილველთა აღწერით. ემოციის მშვიდი გახსენება არ აქრობს ღვთაებრივ ცეცხლს. უმჯობესია ქაღალდზე გადატანა ჩვენი შთაბეჭდილებისა, სანამ ისინი ინარჩუნებენ პირვანდელ სიცხოველეს, და არ დაჩლუნგებულან დროისგან. ამჯერად ,იმედია, მომიტევებენ ციტირებას ჩემი ერთ-ერთი ადრინდელი წიგნისას, სადაც მე აღვწერე შენობა, რომელსაც ვოვლი სამყაროს უმშვენიერეს ნაგებობად. ეს შთაბეჭდილებები ჩავიწერე რამდენიმე საათში ნახვის შემდეგ:

„იერუსალიმში მოვინახულე ის ადგილი, სადაც იდგა ტაძარი და სასახლე სოლომონისა. აქ, მეშვიდე საუკუნეში (ქრისტეს შემდეგ), ქრისტიანთათვის და იუდეველთათვის ერთ-ერთ უწმინდეს ადგილას ხალიფა აბდულ მალექმა ააგო დიდებული მრავალწახნაგოვანი მეჩეთი,

რომელსაც უზარმაზარი, მოელვარე გუმბათი აქვს. ქვედა კედლები დაძარღვული, რუხი მარმარილოთია ნაგები. ზედა ნაწილი მოპირკეთებულია ლურჯი და მწვანე ფილებით, გარს რომ ერტყმიან შენობას. მათზე გამოსახულია არაბესკები და ყურანის ციტატები.

როდესაც ფეხზე გავიხადე და შევედი დაბინდულ, გრილ ინტერიერში, რომლის იატაკიც მოფენილი იყო ცისფერი და მეწამული მდიდრული სპარსული ხალიჩებით, მე დავრწმუნდი, რომ ვიმყოფები მსოფლიოს ერთ-ერთ უმშვენიერეს ნაგებობაში.

რით არის იგი ესოდენ მშვენიერი? უწინარეს ყოვლისა, ეს არის ხელოვნების სრულყოფილი ქმნილება; სრულყოფილი პროპორციები, ფაქიზი, ჰარმონიული შეზავება ფერებისა, სრულყოფილი შერჩევა მასალისა, მარმარილოსი, გარანდული ფილებისა, მინის და სადაფისა მოზაიკისა. ძირითადი ტონი მონაცრისფრო-მოლურჯოა. მტრედისფერი მარმარილოს ბოძები ამოზრდილან ხალიჩიანი იატაკიდან და შესდგომიან ვეება გუმბათს, რომელიც ოქროთია ინკრუსტირებული, მწვანე და ლურჯი მოზაიკით დამშვენებული, ხოლო გუმბათის ქვემოთ თაღოვანი ფანჯრებია, რომელზედაც ელავს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი პანოები, მეწამული, ცისფერი, მწვანე და ყვითელი ფერისა. სიმდიდრის, სიმეტრიის, დიდებულების ეფექტი წმინდა პროპორციებიდან მომდინარეობს. აქ ვერ ნახავთ ადამიანის ან ცხოველის გამოსახულებას, ვინაიდან ასეთ რამეს კრძალავს ყურანი. მაგრამ ამ შეზღუდვებმა გამოიწვია სწორედ შექმნა ხელოვნების ესოდენ დიდებული ქმნილებისა მუსულმან ხელოვანთა მიერ. ეს ეფექტი არის შედეგი დაგეგმვისა და ფერთა შეზავებისა, რომელნიც ურთიერთს ერწყმიან და ურთიერთისგან გამომდინარეობენ, როგორც ხმები ბახის ფუგებში.

რა მშვენებაა აქ დაფარული? ძვირფასი თვლებით მოჭედილი საკურთხეველი? ფარდაჩამოფარებული ტრაპეზი? საღმრთო ქანდაკება?

არა, აქ არაფერია, გარდა უბრალო კლდისა, რომელიც წამოღებულია მორიას მთიდან, სადაც აბრაამი სწირავდა ისაიკს მსხვერპლად, და სადაც იაკობი ერკინებოდა ანგელოსს. ეს კლდე ამოჩრილა მოსარკული იატაკიდან, ხოლო ამ მონოლითსა და მეჩეთის დახვეწილ სტრუქტურას შორის გრანდიოზული კონტრასტია. იგი იწვევს მოწიწებას, ვინაიდან ეს არის ძეგლი არა რომელიმე რელიგიისა, არამედ რელიგიისა საერთოდ. ეს კლდე, რომელსაც ცენ-

ტრში აქვს ხვრელი სამსხვერპლო სისხლისთვის, როგორც ჩანს, არსებობდა მრავალი ათასეული წლის წინათ, აბრაამამდე. რა რიტუალების მომსწრე იყო იგი კაცობრიობის ბუნდოვანი ისტორიის გარიჟრაჟზე, გაცილებით ადრე ებრაელთა მიერ თავიანთი ღვთისმსახურების შექმნამდე? სოლომონმა ააგო აქ თავისი ტაძარი, ხოლო ათასი წლის შემდეგ რომაელები დაეპატრონენ მას. უფრო გვიან, ქრისტიანობის ტრიუმფის შემდეგ, კონსტანტინემ ააგო დიდი ქრისტიანული ტაძარი, რომლის საკურთხეველიც იდგა ამ კლდეზე და რომლის კვალი დღესაც ეტყობა მას. დაბოლოს, მოვიდა მესამე რელიგია — ისლამი, და აბდულ მალექმა ააგო თავისი მეჩეთი იმ ადგილას, სადაც მუსულმანთა რწმენით, მაჰმადი ამაღლდა ცად. მეჩეთი კიდეც რომ დაინგრეს, კლდე დარჩება, როგორც მარადიული მოწმე ადამიანის ლტოლვისა უსასრულობისაკენ (ლეონარდ კოტრელი, „მარტოკაცის მოგზაურობა“, 1955).

* * *

თუ ჩემი აზრი მართებულია იმის შესახებ, რომ მე ანტიკურ საოცრებათა უმრავლესობას რელიგიურ მონუმენტებად ვთვლი, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ფილონ ბიზანტიელი უთუოდ შეიტანდა კლდის გუმბათს შვიდ საოცრებათა რიცხვში. თუმც შესაძლოა მას ჭოჭმანი დაეწყო, ვინაიდან ოლიმპიელი ზევსის ტაძრისაგან განსხვავებით, მასში ვერ იპოვნით ვერავითარ ქანდაკებას. იქვე მახლობლად, უფლის საფლავის ტაძარში, რომელიც ქრისტიანობის ერთ-ერთი უწმინდესი ადგილია, ნახავთ უამრავ ქანდაკებას. მიუხედავად იმისა, რომ მე ქრისტიანი ვარ ნომინალურად, ვგონებ მრავალი დაშეთანხმება, რომ ჯვაროსანთა ეს დიდი ტაძარი არ არის იმდენად დაშაკმაყოფილებელი არც ესთეტურად და არც სულიერად, როგორც კლდის გუმბათი. მართალია, იგიც ბრწყინვალეა, მისი მაღალი თაღები საკმევლის ბოლშია გახვეული, ხატები ძვირფასი თვლებითაა შოოჭვილი და ასობით ჩირაღდნებით განათებული. იგი მუდამ სავსეა ხალხით, აქეთ ქალი მგზნებარედ კოცნის საკრალურ ქვას, იქით სირიელი მღვდლების დუდუნი გაისმის და წელზე საბელშებმული ფრანცისკანელი ბერები მშვენიერ გრიგორისეულ საგალობელს მღერიან.

აქ მოჩანს ჩვენი რწმენის ორიათასწლიანი მშფოთვარე ისტორია, მაგრამ ცენტრალური ფიგურა თითქოს დაკარგულია. ყოველივე ამასთან დიდ კონტრასტს ქმნის აბდულ მალექის ძვირფასი თვლებით

მოოქვილი შენობა, სადაც მხოლოდ მდუმარეობაა, სიმშვიდე და აუმღვრევლობა. იგი თვალწარმტაცია, მასში სული ჰპოვებს შვებას, და ოუ მორწმუნე ქრისტიანსაც სურს ასეთივე ემოცია ჰქონდეს მუსულმანურ შენობაში, მას შეუძლია უჭვრიტოს ნიშს კონსტანტინეს საკურთხევლისას და თავად კლდეს.

მეჩეთის თავისებურება ის არის, რომ თავდაპირველად არავის სჭირდება მისი ისტორიის ცოდნა. ბუკლეტში მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებია. ეს შენობა შეიძლებოდა თავისდავადაც აგებულიყო, მას არ უნდა ჰქონოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. მაგრამ შემდგომში, როდესაც გაივლით იერუსალიმის ხალხმრავალ ქუჩებს და ჩამოჯდებით ზეთისხილის მთაზე, თვალს ისევ და ისევ იზიდავს ეს სასწაულებრივი ლურჯი გუმბათი და თქვენში ილვიძებს ცნობისწადილი. საიდან დაებადათ ხალიფას არქიტექტორებს ასეთი შენობის აგების იდეა? ვით მიაღწიეს მათ ასეთ სრულყოფას? ვით გაუძლო მან ცამეტ საუკუნეს? თქვენ ბრუნდებით უკან და კვლავ მოინახულებთ მზით განათებულ ეზოს, რომელსაც მუსულმანები უწოდებენ ხარამ-ეს-შერიფს ანუ „კეთილშობილ საკურთხეველს". რომელი კუთხიდანაც არ უნდა შეხედოთ შენობას, იგი თვალწარმტაცია და გამაოგნებელი.

ამ ადგილის პირვანდელი სახელწოდება იყო ალ-აყსა. თვით წინასწარმეტყველი ახსენებს ამ სიტყვას, რამეთუ მან სასწაულებრივად იმოგზაურა ამ ადგილებში. ამის გამო „კეთილშობილი საკურთხეველი" დაკავშირებულია თავად ისლამის საწყისთან. ჰიჯაზის მექა მუდამ უწმინდესი ადგილი იყო მუსულმანური სამყაროსი. მაშ რატომ ედავება მექას პირველობას კუბატ-ას-სახარა, როგორც არაბულად უწოდებენ მეჩეთს? არსებობს რამდენიმე ახსნა. ერთია ის, რომ მეშვიდე საუკუნის იერუსალიმში იდგა მრავალი ქრისტიანული ტაძარი და ხალიფამ გადაწყვიტა აეგო მეჩეთი, რომელიც დაჩრდილავდა მათ. მეცხრე საუკუნეში არაბი ისტორიკოსი წერდა: „როდესაც აბდულ-მალექ-იბნ-მარვანმა ნახა წმინდა საფლავის ტაძარი, რომელსაც თაყვანს სცემს ქრისტიანული სამყარო, მას შეეშინდა, რომ ეს ტაძარი მიიზიდავდა მუსლიმთა გულებს და ამიტომ გადაწყვიტა აეგო კიდევ უფრო მშვენიერი სალოცავი შენობა. და ასეც მოხდა".

მაგრამ, როგორც ჩანს, უმთავრესი მიზეზი მაინც პოლიტიკური იყო და არა რელიგიური. ქრისტეს შემდეგ 680 წელს, როდესაც

ომაიანი ხალიფები მართავდნენ ისლამურ სამყაროს დამასკოდან, ჰიჯაზის მბრძანებელი აბდულაჰ იბნ-აზ-ზუბეირი აუჯანყდა მათ და გამოაცხადა ჰიჯაზის დამოუკიდებლობა, ხოლო ჰიჯაზში, რომელიც ამჯერად მოსწყდა ომაიანების ზეგავლენას, ინახებოდა ქააბა, წმინდა ქვა მექისა, რომლის სანახავად მთელი მუსულმანური სამყაროდან მოდიან მწირები. აბდულ მალექმა დაუპირისპირა ამ სიტუაციას ახალი წმინდა ადგილი, რომლის მონახულებაც ისევე მნიშვნელოვანი იქნებოდა მის ქვეშევრდომ მუსულმანთათვის, როგორც ქააბას მონახულება.

„მან იშოვა საბუთი იმისა, რომ წინასწარმეტყველი, რომელიც აღიარებდა ლოცვის მნიშვნელობას ყოველ ადგილას, მოუწოდებდა მუსულმანებს მოენახულებინათ შემდეგი ადგილები: მექას მეჩეთი, მედინას მეჩეთი და ალ-აყსას მეჩეთი“ (არეფ ელ-არეფ, „კლდის გუმბათი, იერუსალიმი, 1951 წ.)

ამ ადგილას უკვე იდგა მეჩეთი, ხალიფის, ომარ-იბნ-ელ ქათაბის მიერ აგებული, მის მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ. ამის გამო კლდის გუმბათს შეცდომით აკუთვნებენ ომარს. ეს კლდე მუსულმანთათვის უკვე წმინდა ადგილი იყო მას შემდეგ, რაც მაჰმადმა განაცხადა, რომ იგი წმინდა იყო და სამოთხიდან მოტანილი. შემდეგ, 631 წელს, ომარმა წაართვა იერუსალიმი ბიზანტიელებს და გამოჰკითხა ბერძენთა პატრიარქს კლდის ადგილ-მდებარეობა, რომელსაც იმჟამად ფარავდა ბალასტის გროვა. ხალიფამ გაწმინდა იგი, როგორც ამბობენ, თავისი საკუთარი ხელებით, და ააგო მასზე უბრალო ხის მეჩეთი. როგორც ჩანს, იგი თანამედროვე შენობის ადგილას იყო, რომლის მშენებლობაც დაიწყო ხალიფ აბდულ-მალექ იბნ მარვანმა 685 წელს.

ეს არის მსოფლიოში უძველესი არაბული შენობა. იგი უფრო ძველია, ვიდრე ომაიადების მეჩეთი დამასკოში და იბნ თაულენისა ქაიროში, რომლებიც მერვე საუკუნითაა დათარიღებული. იგი არის წინაპარი ყველა დიდი მეჩეთისა, რომელნიც გაფანტულნი არიან მთელს ისლამურ სამყაროში სპერსეთიდან ესპანეთამდე და ინდოეთიდან აფრიკამდე, თუმც მუსულმანური არქიტექტურული გენიის ამ ძეგლებიდან არც ერთი არ შეედრება მას მშვენებით, სიდიდით კი მრავალი აჭარბებს.

არქიტექტურული თვალსაზრისით კლდის გუმბათი სირთულის წინაშე გვაყენებს. ერთი შეხედვით, იგი სავსებით ჰომოგენურია, სტი-

ლის მთლიანობაც საცნაურია. თუმც უფრო ახლოდან დაკვირვებისას მრავალი სირთულე იჩენს თავს, აქ არის ბიზანტიური, სპარსული და არაბული გავლენები, რომელნიც მაგიურად არის შეზავებული ერთ სრულყოფილ მთლიანობაში. მეჩეთი, როგორც ჩანს, იერუსალიმში 614 წელს სპარსთა მიერ დანგრეული ქრისტიანული ტაძრების მასალით აშენდა. მაგალითად, აქ არის რვა კოლონა და თექვსმეტი სვეტი სხვა და სხვა ფერისა, რომელნიც იკავებენ გუმბათს. გრანიტის სვეტებს ბიზანტიური და ბერძნული ლავგარდანები აქვს; ზოგიერთი მათგანი, როგორც სჩანს, აბულ მალექმა მოიტანა იერუსალიმში დანგრეული კონსტანტინეს ეკლესიიდან. სხვები კი იპოვეს ქვისმთლელებმა საძირკვლის თხრის დროს. ესენი უკავშირდებიან ჰეროდეს პერიოდს, რომელმაც ააგო მეორე დიდი ებრაული ტაძარი. მეჩეთის მშვენიერი ჭერი ინდოელ ხელოსანთა მიერ არის დამუშავებული. რომელთა სახელებიც იქვეა წარწერილი: ბაჰზად კალკუტელი მანი, შაჰ ყული, ვალი დან და აგა რიდა.

გუმბათი, როგორც ჩანს, გადმოღებულია წმინდა საფლავის პირვანდელი ქრისტიანული ტაძრიდან. ფაქტიურად, ეს არის ორმაგი ხის გუმბათი, რომელიც გარედან ტყვიით არის დაფარული. ორ ზედაპირს შორის დატანებულია მატყლი და ბეწვი, რაც ინახავს მეჩეთში სიგრილეს ცხელ დღეებში და იცავს მას ავდრისაგან. არსებობს მომხიბვლელი ლეგენდა ამ გუმბათის შესახებ, რომელიც წარმოაჩენს მის ამგებ ხელოვანთა სულს, რომელიც დამახასიათებელია შუა საუკუნეთა დიდი ტაძრების მშენებელთათვის. ხალიფამ გადასდო თავისი შვიდი წლის შემოსავალი ეგვიპტური მამულებიდან ამ მეჩეთის ფონდისთვის. როდესაც შენობა დასრულდა, დარჩა კიდევ ასი ათასი დინარი. ხალიფამ დაიბარა თავისი არქიტექტორები: რაჯაიბნ-ჰაიათ იბნ-იუდ-ალკინდი, დიდი ბეისანელი სწავლული და იაზედ-იბნ-სალამი, რომელიც იერუსალიმიდან იყო წარმოშობით. მათ უკვე მიღებული ჰქონდათ საზღაური თავიანთი შრომისა, მაგრამ ხალიფამ შესთავაზა მათ კიდევ დამატებითი გასამრჯელო.

ორივემ უარი თქვა: „ჩვენ უმალ დავთმობთ ჩვენს სახსრებს და ჩვენი ცოლების სამკაულებს, ვიდრე ამას ჩავიდენთ“, თქვეს მათ. „უკეთესი იქნებოდა ეგ ფული გამოგვეყენებინა შენობის კიდევ უფრო დასამშვენებლად“. და ასეც მოხდა. ოქრო გადაადნეს და სარტყლად შემოარტყეს გუმბათს, მასში ჩააყოლეს მატყლი, ბეწვი და

ტყავი, რათა დაეცვათ ძვირფასი ლითონი ავდრისგან. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს დიდებულება ვეღარ შემორჩა მეოცე საუკუნემდე, მაგრამ საამურია გახსენება იმისა, თუ ვით გამოიყურებოდა ოქროს გუმბათი ღვთის სადიდებლად, ორი არქიტექტორის ღვთისმოსაობის წყალობით.

ეს გადმოცემა არსებობს არაბ მოგზაურებსა და ისტორიკოსებს შორის, რომელთაც დაგვიწერეს მეჩეთის შესახებ. ერთი მათგანი, ალ-იაქუობი მოგვითხრობს: „აბდულ მალექმა, რომელმაც ააგო მეჩეთი, კლდეს ფარდები შემოავლო ირგვლივ, ისევე როგორც ქიშვას ქსოვილი ფარავს ქაბას მექაში“. მეორე მწერალი, მუთერ გარამი, მოგვითხრობს: „კოლონებს შორის ფარდებია ჩამოშვებული... სადაც აკმევენ საკმეველს, ვიდრე კვამლი არ ჩამოწვება კოლონებსა და გუმბათს შორის“. მეორე რიტუალი შემდეგნაირად არის აღწერილი: „ორშაბათი და ხუთშაბათი ყოველი კვირისა ეთმობოდა დასუფთავებას, რომლის დროსაც სუფთად გამოწყობილი მსახურნი იცხებდნენ ვარდის ნელსაცხებელს და ზაფრანას. ლოცვის ღღეებში ათი მსახური იდგა კარებთან და მოუწოდებდნენ ხალხს ლოცვისაკენ“. ხალხი შემოდიოდა ამ მშვენიერ შენობაში და შემოვლით თაყვანს სცემდა კლდეს, ისევე როგორც ქაბას და ლოცულობდა. ხალიფის ოცნება აღსრულდა. იგი ამბობდა: „ამ შენობით უნდა იამაყონ მათ, იგი უნდა იყოს ღირსი მათი რწმენისა“...

ცამეტი საუკუნის განმავლობაში ხალიფებისა და მეფეების მოსიყვარულე ხელი აღადგენდა და განაახლებდა მას და ჰმატებდა ახალ ბრწყინვალებას. აბასიდების ხალიფამ ალ-მამუნმა (რომელმაც სცადა ხეოფსის პირამიდის გაძარცვა) მოინახულა იერუსალიმი 831 წელს და ბრძანა შენობის შეკეთება. უმ-ალ-მუქტადირმა, ხალიფ იბნ აბდ-რაბბოს დედამ, აჩუქა მეჩეთს ტანუბის კარები (იშვიათი ხეა, რომელიც იზრდება ინდონეზიაში.) 1016 წელს მიწისძვრამ სერიოზულად დააზიანა შენობა, მაგრამ იგი შეაკეთა ერთ-ერთმა ფატიმიდმა ხალიფამ. 83 წლის შემდეგ ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი და თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე შეინარჩუნეს. ბუნებრივია, მეჩეთი მათ ქრისტიანულ ტაძრად გადააკეთეს, რომელსაც უწოდეს „ტემპლუმ დომინი“ (ტაძარი ღვთისა). ამის მიხედვით დაერქვა სახელი იმ დიდ სამხედრო ორდენს, რომელსაც უწოდებენ ტაძრელ რაინდებს. მეჩეთის გუმბათს მათ დიდი ოქროს ჯვარი დაადგეს და მთავარ კარებზე დაკიდეს მაცხოვრის ხატი ძვირფასი თვლე-

ბით მოოქვილი. კლდე ისეთი თავყვანისცემის ობიექტად გადაიქცა, რომ პილიგრიმებს მისი ნატეხები შინ მიჰქონდათ, როგორც წმინდა რელიქვიები. ჯვაროსანთა მეფეები იმდენად შეაშფოთა ამ ამბავმა, რომ კლდეს გადასარჩენად მშვენიერი რიკულებიანი რკინის მესერი შემოავლეს, რომელიც დღესაც არსებობს.

როდესაც 1187 წელს სალადინმა კვლავ დაიბრუნა იერუსალიმი, აბდულ მალექის მიერ აგებული შენობა გადაიქცა კვლავ იმად, რაც იყო უწინ — ისლამის მეორე წმიდათაწმიდა ადგილად. თუმც ევროპაში დღესაცაა შემორჩენილი მასთან დაკავშირებული ხანმოკლე ქრისტიანული ასოციაციები: შინ დაბრუნებულმა ჯვაროსნებმა გამოიყენეს იგი თავიანთი ტაძრების მოდელად. ყოველდღიურად ლონდონის ათასობით მუშა ჩაუვლის ხოლმე ტაძარს ფლოტის ქუჩაზე. განა ბევრმა იცის მათ შორის, რომ ეს ძველი ეკლესია, შვიდი საუკუნის წინათ აგებული, როგორც ჩანს, ინსპირირებული იყო ორჯერ უფრო ძველი მუსულმანური შენობის მიერ, რომელიც დღესაც ბზინავს პალესტინური მზის ქვეშ, ლონდონიდან 2000 მილის მანძილზე?

13. რაინდების სივაგრე

ჩემის ფიქრით, ესა თუ ის საგანი საოცრებად რომ გამოვაცხადოთ, მას სჭირდება ორი ძირითადი ელემენტი; პირველია განცვიფრება. მეორე კი — წარმოსახვის გამდიდრება. მეცნიერული საოცრებებით სავსე დღევანდელ სამყაროში ჩვენი განცვიფრების უნარი თანდათანობით დაჩლუნგდა. იგივე ითქმის, სამწუხაროდ, წარსული ეპოქების ბრწყინვალე ძეგლებზე; ჩვენთვის ძალზე იოლია მათი ნახვა, როდესაც კი მოგვეპრიანება, თუ უშუალოდ არა, პრესით, ტელევიზიით და კინოთი მაინც. განმეორება აჩლუნგებს აღქმას; მაგალითად, ჩემი მესამე ვიზიტი მეფეთა ველზე როდი იყო ესოდენ ამაღელვებელი, როგორც პირველი. თუმც რაღაც ამოუცნობი მიზეზის გამო, პირამიდები აროდეს კარგავენ თავიანთ მაგიურ მომხიბვლელობას.

ისიც ხდება, რომ ზოგჯერ უკვე ცნობილი ძეგლი იწვევს მძლავრ შოკს განცვიფრებისას; აი, ეს არის ჭეშმარიტი საოცრება. ასე მომხვიდა ამ ხუთიოდე წლის წინათ, როდესაც ლიბანში ვიყავი მივ-

ლინებული „იუნესკოს“ ხაზით. ჩემს მიზანს არაფერი ჰქონდა საერთო არქეოლოგიასთან, მაგრამ მე მაინც გამოვნახე დრო და მოვინახულე ბიბლოსი, ბაალბეკი და სხვა ანტიკური ძეგლები. შემდეგ ერთ დღეს მოვინახულე მალარიის საკონტროლო სადგური შორეულ სოფელში სირიის საზღვარზე, სადაც, ერთი ჩემი კოლეგას თქმით, იდგა ჯვაროსანთა ციხესიმაგრე. მან მკითხა, ხომ არ მოისურვებდითო მის დათვალიერებას. აქედან მხოლოდ ნახევარი საათის გზაა იმ ადგილამდე. მე ზრდილობისათვის მივიღე მისი წინადადება, მაგრამ არ გამომიჩენია დიდი ენთუზიაზმი: გარდა ამისა, შუა საუკუნეებს არ ვთვლიდი „ჩემს პერიოდად“. მცხუნვარე ხვატი იდგა; ჩვენი ჯიპი ნახევარ საათს მიხტოდა ოღროჩოღრო უდაბნოს შარაზე, რომელიც უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა გამომშრალ კლდეებში, ჯვაროსნულ ლაშქრობათა შესახებ ვის არ სმენია... რაიმონდ ტულუზელი, გოდფრუა დე ბუიონი, გრაფი ბალდვინი, რიჩარდ ლომგული, ყველამ იცის, ვით სცდიდნენ ისინი ბრძოლებში თავიანთ ხმლებს... კვეთდნენ რკინის მესერს; სალადინი ააგდებდა ჰაერში აბრეშუმის ბალიშს და ორად გაჰკვეთდა ხმლით... ეს ყოველმა მოწაფემ იცის; პეტრე განდეგილის ქადაგებანი საფრანგეთის საბაზრო მოედნებზე, ბავშვების ჯვაროსნული ლაშქრობა, იერუსალიმის აღება, ნორმანი დიდებულების მიერ მიწების დასაკუთრება ლევანტის ნაპირებზე. განკერძოებული, ნაჩქარევი და არცთუ ისე სასახელო ეპიზოდები ქრისტიანობის ისტორიაში.

გზა აღმართს შეუდგა; ბორბლები ცურავდა, ქარი თვალებში გვაყრიდა ქვიშას. კიდევ რამდენ ხანს გასტანს ეს გზა, ვფიქრობდი ჩემთვის. შემდეგ უეცრად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ქედზე წამოიმართა ციხესიმაგრე, რომლის დანახვაზე სახტად დავრჩი, მე მოველოდი რამდენიმე ქვიშამიყრილ კედელს და ჩამონგრეულ კოშკს, მაგრამ ეს სიმაგრე გრანდიოზული იყო. ის იყო ვეებერთელა, სავსებით შენახული ციხე XII საუკუნისა, რომლის მსგავსიც მე არასოდეს მინახავს. ქონგურებიანი კოშკებიდან დაწყებული და ორმაგი კონცენტრული გალავნების წყებით დამთავრებული, ყოველივე შენახული იყო. მე ვცადე მისი შედარება ბრიტანეთისა და ევროპის ციხესიმაგრეებთან. კენილვორთი, მანორბიერი, შატო გაიარი? მათგან მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი ჭწვანე მინდვრებზე და საძოვრებზე; ისინი რომანტიკულნი არიან ტენისონისეული გაგებით, მაგრამ მკვდარნი. უორიკი, არუნდელი, უინდზორი? ისინი შემონახულნი არიან, მაგრამ გარდაქმნილნი,

რესტავრირებულნი, ცივილიზებულნი, ისინი იქცნენ უბრალო დეკორატიულ დანამატებად იმ ქალაქთათვის, რომელთაც ესაზღვრებიან. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება თითოეული მათგანის ჩასმა ამ ციხესიმაგრეში და ადგილი მაინც დარჩება.

ჩემს ცხოვრებაში პირველად შევიგრძენი, რომ მე კი აღარ ვიყურებოდი შუა საუკუნეებისაკენ, არამედ შუა საუკუნენი თავად მომეჭრნენ მე დანდობილად. რამდენჯერ წაგვიკითხავს მოგზაურთა წიგნები, სადაც ვეხვდება შემდეგი ფრაზები: „თითქოს საცაა უნდა გამოვიდნენო შეჭურვილი რაინდები ჭიშკრიდან ჭენებით, აბჯრის ჟღრიალითა და რაჩხუნით გადაკვეთონო გალავნის ხიდები". ეს სიცრუეა. ყველაფერი, „რის ნახვასაც მოველით", ამოიწურება ძუძუმწოვარა ბავშვებით, ფოტოკამერებიანი ტურისტების ჯგუფებით და ფორმიანი გიდებით, რომელთაც დაზეპირებული აქვთ სათქმელი. აქ კი სხვაგვარად იყო საქმე. თითქოს ქველმოქმედთა ორდენის რაინდები კვლავ უმზერენო ციხის ქონგურებიდან მუსულმანთა ბანაკებს შორეულ ტრამალზე.

ეს შთაბეჭდილება არ გახუნებულა მიახლოებისას. გალავნები და კოშკები მაღლა და მაღლა მიისწრაფოდნენ ლურჯი ცისაკენ; მზერა გამექცა დიდი დამრეცი გალავნისაკენ, რომელსაც „მთას" უწოდებენ. იგი 80 ფუტის სიგანეა და იცავს შინაგან დარბაზს, მასიური კედლების კონცენტრული წყებები ისრებითაა დაცხრილული. შიგადაშიგ დატანებულია მძლე ბასტიონები, ზოგი მრგვალი, ზოგი ოთხკუთხა, რომლებშიც მკვიდრობდნენ მეციხოვნენი და სასიგნალო ცეცხლს ანთებდნენ კოშკების ზეთავზე და ქონგურებზე. უფრო მაღლა გუშაგების გზებია, და მათ მოსდევს მეორე სიმაგრე, კოშკებით შეკრული მასიურ შენობად. ყოველივე ეს მყარ კლდეზეა აგებული. ასე რომ მისი აფეთქება შეუძლებელია. აი, კბილდაღრჭენილი სახე შუა საუკუნეთა.

„რა ჰქვია ამ ადგილს? ვეკითხები ჩემს კოლეგას. „ეს არის კრაკ დე შევალიე, რაინდების სიმაგრე". მომიგო მან, გამორთო ძრავა და გადმოხტა ჯიპიდან.

ჩვენ გადავიარეთ ახლად აშენებულ ხიდზე, რომელიც გადებულია გარეგან ბლისკინზე და შევედით კოშკურებიან კარიბჭეში. არავინ გადაგვდგომია წინ; არავის მოუთხოვია ბილეთები; არსად ჩანდა ტურისტთა ჯგუფები, გაუბედავად რომ უცდიან მწყემსს შენობის წინ. შევედით თუ არა, ავიარეთ კიბე და შიგა ეზოში აღმოვჩნდით. ეს თორმეტსაფეხურიანი კიბე ჩვეულებრივი ინგლისუ-

რი შარაგზის სიგანეა და გალავნის სისქეშია ჩაშენებული. ამ გალავანს ოთახები აქვს, სადაც დაეტევა ასობით შეიარაღებული მეომარი. თავის ძლიერების ზენიტზე სიმაგრეს ორიათასკაციანი გარნიზონი იცავდა ჩვენ გზად შემოგვხვდა მაღალჭერიანი, თაღოვანი სანადიმო დარბაზი რაინდებისა, ასოცი ფუტის სიგრძე; იქვე მახლობლად მარნები იყო, სადაც ღვინის დიდი ქვევრები იყო მიწაში ჩაშენებული. ჩვენ ავედით ზედა ეზოში, რომელიც ჰყოფს ორ სიმაგრეს ურთიერთისაგან. აქ რომ გამოგვერიცხა ყავისფერი, ძნით გადარუჯული ქედი, თავი შუა საუკუნეთა საფრანგეთში გვეგონებოდა. აქ იყო მშვენიერი გოთიკური სტილის შენობები, ნაზი ფოთლოვანი ჩუქურთმებითა და საჭურველის გამოსახულებით დაშშვენებულნი, რაც გვაგონებდა ილ დელა სიტეს პარიზისას ან კიდევ უფრო ძველ კოშკებს ლუვრისას. პირველად გაცოცხლდა ჩემს წინაშე შორეული ჯვაროსნული ომები თავიანთი ჭეშმარიტი რეალობით. აქ იყო პასუხი შუასაუკუნეობრივი ქრისტიანობისა აბღუალ მალექისეულ „კლდის გუმბათზე"; მილიონობით ტონა ქვა კლდეზე დახვავებული, ილ დე ფრანსში დაბადებული ხუროთმოძღვრების გალმონერგვა სირიის გამომშრალ გორაკებზე; ლავგარდანებიანი კოლონები და მაღალი მშვილდური თაღები, ექოს რომ უბრუნებენ მესსას; სახედამწვარი გასკონელები, პიკარდიელები და ტურინელები, ოფლის ღვრით რომ აბრუნებენ ხელსაფქვავს ჯვრიან მოსასხამებში გამოწყობილნი. ამგვარ შთაბეჭდილებებს არავითარი თანამედროვეობის შემოჭრა არ აფუჭებს: თაღოვან დერეფნებში ბაისმის ფოლადის დეზებიანი ჩექმების ხმა და შუასაუკუნეობრივი ფრანგული ლაპარაკი; სახედაღლილი მშვილდოსნები დგანან თავიანთ პოსტებზე და გასცქერიან მცხუნვარე, მტრულ უდაბნოს. ეს სცენები არ ამომდიოდა თავიდან, თითქოს ჯვაროსნები ეს-ესაა გასულანო ველად და მალე უნდა მობრუნდნენო ისევ.

უფრო და უფრო მაღლა მივიწევდი ფარფო ქვის კიბეებით შიგა დარბაზისაკენ, რომელსაც ერტყმის მეორე წყება გალავნებისა და კოშკებისა. ამ სიმაღლიდან შენობა ჰგავს ქვის ვეება გემს, რომელიც მიიკვლევს გზას ქედებისა და გორაკების ტალღებში. ველური ქარი ეხეთქება კოშკებს, ჩვენს თავზე არწივი კრავს ირაოს. დასავლეთით მოჩანს შორეული მთების ხოლი, მის მიღმა ხმელთაშუა ზღვაა. სანახევროდ შემოვბრუნდი და დავინახე ვეება ქვიშიანი ტრამალი, რომელიც მუსულმანურ ქვეყნებს ემიჯნება. სამხედ-

რო არქიტექტორმა, რომელმაც შეარჩია ეს ადგილი, უთუოდ იცოდა თავისი საქმე.

ამავე დროს, სიმაგრე როდი იყო მთელს სამყაროს მოწყვეტილი. თავისი კოშკებიდან მას შეეძლო ცეცხლით ენიშნებინა სხვა ციხე-სიმაგრეთათვის კასტელ ბლანკში, აიზიმასა და ტორტოსაში ზღვის სანაპიროზე. კომუნიკაციისათვის იყენებდნენ მტრედებსაც, ეს ხელოვნება ჯვაროსნებმა სარკინოზებისაგან ისწავლეს. როგორც ჩემმა კოლეგამ მამცნო, ჯვაროსანთა მრავალი ასეთი ციხესიმაგრეა ლიბანში, რომელთაგან ზოგი აღემატება კიდეც სიდიდით კრაკ დე შევალიეს; საფიტა და ბოფორი, სუბეიბა ჰერმონის მთაზე, სამხრეთით — ტორონი. ყველას სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა და ჰყავდა გარნიზონი, რაც შეაძლებინებდა შედარებით მცირერიცხოვან ჯარს კონტროლი გაეწია ვეება ტერიტორიისათვის.

თუ ამას ჩავწვდებით, მაშინ გასაგები გახდება ჯვაროსანთა სიმაგრეების ლოგიკა; განა ბევრი ჩვენგანი დაფიქრებულა ყოველივე ამაზე? მე მაგალითად არ დავფიქრებულვარ. აშკარაა, რომ ჯვაროსნებმა აიღეს სირია და პალესტინა, აიღეს იერუსალიმი, მაგრამ ჩვენ ნაკლებად ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დაახლოებით 125 წლის მანძილზე ისინი ფლობდნენ სამეფოს, 450 მილის სიგრძეზე გადაჭიმულს, ტრიპოლის საგრაფოს, იერუსალიმის სამეფოსა და ანტიოქიის სამთავროს ჩათვლით. ეს იყო გრძელი, ვიწრო ზოლი, რომელსაც დასავლეთით ესაზღვრებოდა ზღვა, ხოლო აღმოსავლეთით მტრული მუსულმანური ქვეყნები. ყოველივე ამას ისინი ინარჩუნებდნენ სასაციოლოდ მცირერიცხოვანი ჯარით. მართალია, არმია, რომელიც წამოვიდა ნიკეიდან 1097 წელს, ძალზე დიდი იყო, მაგრამ გზაში მისი დანაკარგები საგრძნობი აღმოჩნდა. საეჭვოა, რომ 50 ათას კაცს- ვეტი შემოსწყობოდა ანტიოქიას. რაც უფრო უახლოვდებოდა არმია იერუსალიმს, მით უფრო მეტ ხალხს კარგავდა, ზოგს ავადმყოფობით, ზოგს ბრძოლის ველზე, ხოლო ზოგმა, ვინც გამოჰყვა თავიანთ ფეოდალ ბატონებს, დაისაკუთრა ახალი ტერიტორიები. რობინ ფედენი წერდა:

„1099 წლისთვის, როდესაც არმიამ უწია იერუსალიმს, იგი შედგებოდა, როგორც ჩანს, 500 რაინდისაგან და დაახლოებით ათი ამდენი მონასპისაგან. როდესაც ქალაქი აიღეს, მიღწეულ იქნა პირველადი მიზანი ჯვაროსნული ლაშქრობისა და მრავალი თავკაცი თავის მიმდევრებითურთ დაბრუნდა ევროპაში. გოდფრუა დე ბუიონი დარჩა მეფედ სამასიოდე შეჭურვილი რაინდის ამარა“. (რ. ფედენი, „სირია“).

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს შეეხება მხოლოდ იერუსალიმის სამეფოს, ხოლო მოსაზღვრე მაწების მმართველნიც იმავე პრობლემის წინაშე იდგნენ — მათ არ იცოდნენ, ვით შეეწარჩუნებინათ ახლად დაპყრობილი ქვეყნები მრავალგზის აღმატებულ მუსულმანთა ურდოების გარემოცვაში, რომელნიც ემუქრებოდნენ მათ აღმოსავლეთ საზღვრებს. პასუხი ნათელი ხდება, როდესაც თვალს შევავლებთ პირველად ამ ვეება სიმაგრეებს, რომელთა შორის ერთერთია კრაკ დე შევალიე. „ზოგიერთები ღრმა ხეობებში არიან შეყუჟულნი, ზოგნი ქედებზე დგანან, და იცავენ მთებში გასასვლელებს, ზოგნი ცარიელ ტრამალებზე დგანან, აღმოსავლეთით, ევფრატამდე, გადაჭიმულ ტრამალებზე. მათ არაფერი შეედრება მთელ მსოფლიოში, თავისი ზომით, ძალმოსილებითა და დიდებულებით ისინი სჯობნიან ევროპის ციხესიმაგრეთა უმრავლესობას. თავად მათი მდებარეობა და განმარტოება უდაბნოებში და კლდოვან ხეობებში აათკეცებს მათ სიდიადეს“ (ლ. ქოტრელი, „მარტოკაცის მოგზაურობა“).

კრაკ დე შევალიე ერთ-ერთი სიმაგრე იყო, სხვანი იყვნენ აკასი, ასიმა, შატელ რუჟი და შატელ ბლანი, რომელნიც დარაჯობდნენ ტრამალს, პრაქტიკულად ერთადერთ საკომუნიკაციო გზას ტრიპოლის სანაპიროსა და აღმოსავლეთით, ორონტის ველს შორის. ამ ხუთ ციხესიმაგრეს შორის კრაკი უმშვენიერესია. ტ. ე. ლორენსის აღწერით იგი „ალბათ ყველაზე საუკეთესოდაა შენახული და ყველაზე მეტად ზეაღმტაცია მთელ მსოფლიოში“. მისი მშენებლობა დაახლოებით 1110 წელს დაიწყეს და 150 წლის მანძილზე იგი „ძვალივით ყელში ჰქონდათ გაჩხერილი სარკინოზებს“. თავდაპირველად იგი ტრიპოლის გრაფის საზღვრებში მოხვდა, მაგრამ 1142 წელს იგი გადასცეს სამხედრო ბერების ორ უდიდეს ორდენთაგან ერთ-ერთს, კერძოდ, ქველმოქმედ რაინდებს. მეორე ორდენი იყო ტამპლიერთა, ანუ ტაძრელთა ორდენი, რომელმაც მიიღო სახელწოდება კლდის გუმბათის მიხედვით, რომელსაც მათ დაარქვეს „ტემპლუმ დომინი“ (ტაძარი ღვთისა).

ვინ დაგეგმა ციხესიმაგრე, ან ვით ააგეს იგი? არავინ უწყის; შესაძლოა კირითხურონი, რომელნიც ეზიდებოდნენ ქვას, ადგილობრივნი იყვნენ, არქიტექტორი კი უთუოდ ფრანგი იყო. ვიდრე ცეცხლმსროლელ იარაღს გამოიგონებდნენ, ეს იქნებოდა ალბათ უძლიერესი ციხე-

სიმაგრე მთელს მსოფლიოში[1]. ძის გალავანთა ორმაგ წყებას, შიგ მოხერხებულად ჩატანებული გოდოლებითურთ, ღრმა თხრილებით გამაგრებულს, ალბათ ვერავითარი ფრონტალური შეტევა შელეწავდა; მტერი კიდეც რომ შეჭრილიყო, იგი მეორე წყებას წააწყდებოდა გალავნებისა, უფრო მაღალს და გოდოლებით გამაგრებულს, საიდანაც მომსვრელი ცეცხლი და წუნწუბა დააწვიმდა მას. რამდენადაც ყველა გოდოლი კლდეზე იდგა, მათი აფეთქება გამორიცხული იყო. რაც შეეხება შემოწყობას, ციხე კარგად იყო მომარაგებული სურსათით და წყლით შენობის შიგნითა ჰეიდან, ასე რომ იგი წელიწადზე მეტს გასძლებდა ალყაში. ამასთან ციხეს ჰქონდა საიდუმლო ხვრელები და კარები, საიდანაც გარნიზონს შეეძლო იოლად გასვლა და მაშველი ძალების მიღებაც.

ყოველი დეტალი საცნაურყოფს დიდ ხელოვნებას მისი ამგები ხუროთმოძღვრისას. მაგალითად, მთავარ შესასვლელს, რომელიც გალავნის სისქეში გადის, სამი გვერდითი შესასვლელი აქვს, რომელსაც იოლად დაიცავდა ათიოდე კაციც კი. გოდოლების სათოფურები ისეა განლაგებული, რომ არც ერთი მათგანი არ არის გაჭრილი ზუსტად მეორის ზემოთ. სამზერები დატანებულია როგორც კედლებში, ასევე ქონგურებში. სამხრეთის მხრიდან, რომელიც ბუნებრივი თავდაცვის თვალსაზრისით უსუსტესია, უშველებელი, 80 ფუტის სისქე დაქანებული გალავანია, რომელსაც მოიერიშე მუსულმანები „მთას“ უწოდებდნენ. ბლისკინი, რომელშიც იგი ეშვება, პატარა ტბას მოგაგონებთ.

როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ამ კედლებში? როგორც მუსულმანმა, ასევე ქრისტიანმა ავტორებმა დაგვიტოვეს ამის გასაღები. როგორც ჩანს, „ფრანკები“ თავიანთ ტერიტორიას მართავდნენ სამართლიანად და ამიტომ მათ პატივს სცემდნენ ადგილობრივი მკვიდრნი. მაგალითად, ერთი არაბი მწერალი ჩივის, რომ „მუსულმანები... კარგად ცხოვრობენ ფრანკების ხელში. ალაჰმა დაგვიფაროს ამგვარი ცდუნებისაგან! ფრანკები მოსავლის ნახევარს უტოვებენ მათ და სულზე 1 დინარსა და 5 კირატს ართმევენ“ (რაც გაცილებით უფრო მცირე იყო მუსულმანურ ტერიტორიებზე დაწესებულ გადასახადზე). „მუსულმანები ბატონებად გრძნობენ თავს თავიანთ კარმიდამოში... მათი უმრავლესობა შეუდარებლად უფრო კარგად ცხოვრობს თავიანთ

---

[1] ქართული ციტადელები: თმოგვი, ხერთვისი, მუცო, სამშვილდე, ბირთვისი, კლდეკარი, გორის ციხე და სხვანი, გაცილებით უფრო მიუვალნი და გრანდიოზულნი იყვნენ (მთარგმ. შენ.)

თანამოძმეებზე, რომელთაც მუსულმანი მმართველები ჰყავთ და, პირიქით, ძალზე ცუდ ყოფაში არიან“.

ამავე დროს ქრისტიან რაინდებზე გავლენას ახდენდა აღმოსავლური ცხოვრების წესი. მიუხედავად რელიგიური განსხვავებისა, მათ მრავალი რამ ჰქონდათ საერთო ისლამის გაბატონებულ, მემკვიდრეობიან კასტასთან; ორივენი ფეოდალური არისტოკრატიის შვილები იყვნენ; ორივეს უყვარდა ომი და ნადირობა; ორივენი მამაცები იყვნენ და რაინდული სულისკვეთებით გამსჭვალულნი. როდესაც სალადინი შემოეწყო მოაბის ციხეს, მეორე ჯვაროსნულ სიმაგრეს, ქრისტიანმა მძძართველმა გაუგზავნა სარკინოზების სულტანს ხორცისა და ღვინის ძღვენი და შეატყობინა, რომ იმ დღეს მისი ქალიშვილის ქორწილი იყო. სალადინმა მადლიერებით მიიღო ძღვენი, გაუგზავნა მმართველს მოციქული და ჰკითხა, შემატყობინეთ, რომელიაო პატარძლის სანთიობო, რათა არ დავუშინოო მას ლოდსატყორცნები. მეორეჯერ ანტიოქიის ქრისტიანმა მმართველმა ტანკრედმა გაუგზავნა ერთ-ერთი რაინდი სარკინოზების მთავარს, შეიზარს და გაატანა ასეთი წერილი: „ეს არის საპატიო ფრანკი რაინდი, რომელმაც დაასრულა თავისი მწირობა და ამჟამად შინისკენ მიეშურება. მან მთხოვა თქვენთან გამომეგზავნა, თქვენი კავალერიის სანახავად, ამიტომაც გიგზავნით მას, მოეპყარით ღირსეულად“...

მიუხედავად ასეთი ჰუმანური ინტერლუდიებისა, ომი მაინც გრძელდებოდა წლით წლობამდე, ვიდრე სარკინოზები მნიშვნელოვნად არ გაძლიერდნენ და ჯვაროსნები რაოდენობრივად საგრძნობლად არ შემცირდნენ. მუსულმანები ზედიზედ იღებდნენ ციხეებს, მაგრამ კრაკ დე შევალიე ჯერაც აუღებელი იყო, თუმც მის გარშემო ყველა სიმაგრე დაეცა. მას იცავდა მხოლოდ და მხოლოდ სამასი რაინდი. მიუხედავად იმისა, რომ გარეშე ზღუდე გაარღვია მტერმა, რაინდები სამხრეთის გოდოლში გამაგრდნენ და არ ნებდებოდნენ მტერს. სარკინოზების სულთანმა ბეიბარსმა ვერ აიღო შიდა ციტადელი.

ბოლოს მან ხრიკს მიმართა და შეაგზავნა ციხეში უსტარი, სადაც ვითომდაც ტრიპოლის გრაფი უბრძანებდა ციხისთავს დაეთმო ციხე. დაეყარა იარაღი და გამოსულიყო, ვინაიდან მტერი გარანტიას იძლეოდა ხელშეუხებლობისას. ციხისთავმა დაიჯერა ამ უსტარის უტყუარობა და გარნიზონმა დატოვა ციხე, მუსულმანებისაგან ხელშეუხებლად, ჩაიარა ტრამალი, გავიდა სანაპიროზე და სამუდამოდ დასტოვა იქაურობა. იმ დღიდან აღარავინ გალობდა მესსას სამხრეთ გოდოლის ეკვდერში. სანადიმო დარბაზიც დაცარიელდა, აღარავინ ავსებდა ქვევრებს, ფრანგული ლაპარაკის ექოც აღარ გაისმოდა დერეფნებში. ასე

მოხდა მთელ სირიასა და პალესტინაში. ჯვაროსნები წავიდნენ და დასტოვეს ციხეები თავიანთი რაინდობის, რწმენისა და სიმამაცის დასტურად. თვით სახელებიც კი ამ ნაგებობათა, რაინდული საყვირებიკით ეღერენ: აკკარ, ბოფორ, ლე შასტელ, ბანია...

„ადონისის წყაროებს გადმოჰყურებს ლე მუანესტრი, ექვსი ათასი ფუტის სიმაღლის მთაზე აგებული, რომელიც რამდენიმე თვის მანძილზე თოვლით არის დაფარული. იგი დარაჯობს გასასვლელს ბაკაას ველიდან დასავლეთისკენ, ზღვის სანაპიროზე. იგი იმდენად მაღალია და მიუდგომელი, რომ მხოლოდ ბედუინი მწყემსები ადიან მასზე. ლე ვო მუაზში და სელაში მკვიდრობდნენ სამხრეთის იზოლირებული გარნიზონები, მხით გახურებულ პეტრას კლდეზე დაბანაკებულნი, ლეოპარდებსა და მიტოვებულ ნაბატელთა ტაძრებს შორის. ტორტოსაში, ზღვის სანაპიროზე, ჯვაროსნებმა ააგეს ბურგუნდიული კათედრალი, ფორტიფიკაციებით გარშემორტყმული. მთელი სოფლები, ჭუჭყიანნი და მტვრიანნი, შეჰფარვიან მას და მრავლღებიან ამ კედლებში, რომელნიც ააგეს სამხედრო ორდენთა ცელიბატებმა სტრატეგიული მიზნებით.

სირიასა და პალესტინაში მოგზაურობისას ყოველ წუთს გვახსენდება ჯვაროსანი მშენებლები, ყოველ გზაჯვარედინზე, ყოველ ფონთან, ყოველ გორაკთან თუ სანაპიროსთან. ექვსი საუკუნეა. ეს შენობები მიტოვებულია და გაძარცული, მაგრამ მათი ნაგებობა, მიუხედავად მკაცრი ზამთრის ყინვებისა, ხაფხულის მცხუნვარე ხვატისა, მკვიდრად დგას უცხო მიწახე“.

რობინ ფედენის წიგნი „სირია“, საიდანაც ციტირებულია ეს სიტყვები, თავისებური შედეერია. თავისი მკაცრი, სიტყვაძუნწი პროზით, რომელსაც ვერ შეედრება ვერც ერთი ჩემთვის ცნობილი მწერლის სტილი, იგი მაგიურად მოგვითხრობს ქრისტიანობის ამ ფორპოსტებზე, რომელნიც გადაშენებული ურჩხულების ძვლებივით ამოჩრილან მზით გადამწვარ ლევანტში. ეს წიგნი მას შემდეგ ჩამივარდა ხელში, რაც მოვინახულე კრაკ დე შევალიე, და გამომადგა გზის მაჩვენებლად ჩემს შემდგომ აღმოჩენებში. თუმც მოხარული ვარ, რომ იგი ჯერაც არ მქონდა წაკითხული, როდესაც ვნახე რაინდების სიმაგრე. წაკითხული რომ მქონოდა, უფრო კარგად ვიქნებოდი შეჭურვილი გამოცდილებით, მაგრამ ვეღარ განვიცდიდი იმ თავზარდამცემ შოკს გამოცხადებისას, რომელიც ესოდენ იშვიათია ცხოვრებაში და რომელიც ჩემთვის იტევს მთელს შინაარსს იმ გაცვეთილი ცნებისას, რასაც ჩვენ „საოცრებას“ ვუწოდებთ.

14. დელფოს სამისნო

საბერძნეთის შუაგულში აზიდულა მთა პარნასი 8 ათას ფუტზე, სიმაღლით იგი მეორეა ელადის მთათა შორის. მისი თოვლიანი მწვერვალი შუქურასავით ანათებს შორიდან; დღისით თეთრი ღრუბლები გროვდებიან მის გარშემო, მზის ჩასვლისას კი თოვლი ელვარებს ვარდისფერ-მეწამულად. პიტალო კლდეებს ქარი ეხეთქება და არწივები დასტრიალებენ, ღრუბლები შემოსდგომიან გარეშემო აქაფებულ ზღვის ზვირთებივით.

ამ თოვლიანი კლდის გუმბათიდან ოთხი ათასი ფუტით ქვევით ფაროო ტყიანი ზეგანი გადაწოლილა, სადაც მოსჩქეფენ მდინარეები და გაზაფხულობით ხასხასა ბალახში უხვად იზრდება ველური ყვავილები. საბერძნეთის მაგიურ ნათელში იდუმალი შინაგანი გასხივოსნებით ანათებენ ეს ყვავილები, მაგრამ განა ყველა ამჩნევს ამას? ზეგანის ქარაფებიდან კიდევ ორი ათასი ფუტით ეშვებით კლდოვანი ფერდობით, რომელსაც „ავი საფეხური" ეწოდება. ამ კლდოვანი ბილიკით ადიოდნენ მთაში თიადები, დიონისოს მიმდევარი ექსტატიკოსი ქალები, ზამთრის ღამეებში ანთებდნენ ჩირაღდნებს და იდუმალ რიტუალებს ასრულებდნენ ცეკვით.

თავად კლდე მიწიდან ამოჩრილა გიგანტის მუხლებივით, მის ძირას პატარა სოფელია, სახელად კასტრი; არცთუ ისე შორს, კლდის მოპირდაპირე მხარეს, ძველი შენობების საძირკვლებია, მზეზე თეთრად მოელვარე; ეს არის აპოლონის დიდი ტაძარი, კოლონებიანი საუნჯე ათენელთა, და თვით წმინდა გზა, გველივით რომ გაწოლილა პლეისტუსის ველსა და კლდეს შორის. აქ სიმყუდროვეა მუდამ. „წმინდა კლდეები", როგორც მათ უწოდებენ ბერძნები, ცად აზიდულან და მათი საამური ჩრდილი გადაწოლილა ველზე. თქვენს უკან აზიდული პარნასის ძლიერება კი დაფარულია. თქვენს წინ ბალახიანი ფერდობია, ყვავილებით მოფენილი, იქვე ზეთისხილის ხეებია და მეორე ჯგუფი შენობებისა, გიმნაზიუმი და პალესტრა, სადაც ათლეტნი ვარჯიშობენ და ემზადებიან წმინდა თამაშებისთვის. მარცხნივ ჰელიკონის მთაა მოელვარე, მარჯვნივ კი ქრიზეს ველია, მის მიღმა ცისფერი ზოლია — კორინთოს ყურისა. ხვატისდა მიუხედავად, ჰაერი წმინდაა, თიმეს არომატით გაჟღენთილი. თქვენ დელფოში ხართ, აპოლონის სამისნოში, ათასწლეულის მანძილზე დედამიწის ერთ-ერთ უწმინდეს ადგილად რომ ითვლებოდა. ჩემს მიერ შერჩეულ საოცრებათა შორის,

რომელნიც მე მივუმატე თავდაპირველ შვიდ საოცრებას, დელფოს ყველაზე მაღლა ვაყენებ.

დელფოს მიმზიდველობის მიზეზთა ჩამოთვლა რთულია და ინდივიდუალობის მიხედვით ცვალებადი. ზოგი განსაკუთრებულ მშვენებას ასახელებს ადგილისას; სხვანი, საეკსკურსიო წიგნით ხელში, სტუმებიან შენობათა ნანგრევებით, თეატრით, ტაძრით, ფასისსაცავით. კვარცხლბეკებით, რომლებზედაც ოდესღაც იდგა პრაქსიტელესის, ფიდიასისა და სხვათა ქანდაკებები, ასახელებენ აგრეთვე სარბენ ბილიკებს, ეტლის გზებს და ა. შ. ჩემთვის დელფო აბალგამაა ყოველივე ამისა. აქ დიდებული, ბუნებრივი მშვენებაა, არქიტექტურულ შედევრთა ნანგრევებია. მაგრამ ყოველივე ეს მთლიანობაში იძლევა ისტორიის შეგრძნებას, ერთ ადგილას კონცენტრირებულს, რომელიც იკრებს ყოველგვარ ასოციაციებს: რელიგიურს, ესთეტურს, ლიტერატურულს, პოლიტიკურს — ყოველივეს, რაც უკავშირდება სიტყვა „ჰელლასს“ (ელადას).

აქ არის აგრეთვე რაღაც ძნელად ასახსნელი ნათესაობა ათასობით ადამიანს შორის, რომელთაც აერთიანებდათ უკანასკნელი 3 ათასი წლის განმავლობაში დელფოს მაგია. პლუტარქე წერდა:

„ჰაერი უძრავია და კომპაქტური, მთების წყალობით,
თან ამავე დროს საამური, მოსალბუნე აბრეშუმივით“...

ევრიპიდე კი წერდა აპოლონის ცნობილ კასტალიისეულ წყაროზე:

„დელფოს აპოლონის მსახურნო,
გელით კასტალიის წყარო,
განიბანეთ მის ტალღებში
და დაბრუნდით ტაძარს,

ავ ზრახვას არიღეთ ბაგე,
ვინც დაეკითხებით მისანს,
დე, ღმერთმა გასცეს პასუხი
მხოლოდ უცოდველს, წმინდას“.

მომხიბლავია, თითქმის სანტიმენტალური, ვიდრე არ შევიტყობთ, რომ ეს სტრიქონები ამოღებულია ევრიპიდეს იმავე დრამიდან, სადაც იგი კიცხავს აპოლონს მოკვდავი ქალისადმი უდიერი მოპყრობისათვის:

„მისმინე, აპოლო, რომელიც აეღერებ,
ჩანგს შვიდსიმოვანსა უკვდავი ჰანგებით,
მარტოხელა მწყემსთ რომ ჩაესმით მინდვრებზე,
აჰა, დღისით-მზისით მე ვგმობ შენს სიტყვებს!

მე ყვითელ ყვავილებს ვკრეფდი მინდორ-ველად,
რომელთა ფურცლებიც ოქროს გვაპკურებენ,
ოდეს თავს დამესხი შენ, ოქროსთმიანო,
წამალე ხელები ეღონო მაჯებში
და მყის გამიტაცე ქვაბისკენ კიეილ-ი.
იქ ძირს დამაკვეთე, ო, ურცხვო ღვთაებავ
და ვინი მოიკალ, კიპრიდას პატივად".

ეს ბარბაროსული აპოლონი, რომელიც იტაცებდა ქალიშვილებს და რომლის ისრებიც სასიკვდილო სახადს ავრცელებდნენ კაცთა შორის, არის ის ღმერთი, რომლის შესახებაც პლატონი წერდა:

„დელფოს აპოლონის მიერ არის შექმნილი უმნიშვნელოვანესი, უკეთილშობილესი და უმძაფრესი აქტები კანონმდებლობისა... შექმნა ტაძართა, დაწესება მსხვერპლშეწირვათა და სხვა ცერემონიებისა, რომელნიც ღმერთებთან, ნახევრად ღმერთებთან და გმირებთან არიან დაკავშირებულნი... ჩემინ აზრით, ეს არის ღმერთი, რომელიც მკვიდრობს ომფალოსზე, დედამიწის გულში, რომელიც არის ეროვნული სულის შთამნერგავი ყველა კაცისათვის ასეთ ამბებში"... (ბლეკველი, „დელფოს სამისნო", 1918).

იგივე ღვთაების შესახებ წერდა პინდარეც:

„აპოლომ უწყის აღსასრული უზენაესი
ყოველ საგანთა, უწყის გზანი მუნ მიმავალნი
მან უწყის რიცხვი ფოთლებისა ხეთა რტოებზე,
აღრიცხული აქვს ქვიშა ზღვებში, მდინარეებში,
მან უწყის აწმყო, გარდასული და მომავალი."

ეს იყო ყოვლისმცოდნე აპოლონი, ღმერთი გონებისა, კანონისა და სამართლისა, რომლის მსჯავრნიც, დელფოს სამისნოს მიერ განცხადებულნი, აღიარებული იყო V საუკუნის საბერძნეთის გამოჩენილი მოაზროვნეების მიერ, მაგალითად, სოკრატე ამბობდა:

„განა ვინმეს ეპარება ეჭვი იმაში, რომ ჭეკა-ქუხილს ხმა გააჩნია, ან განა ცხადი არ არის, რომ პითიას ქურუმი უდიდესია ქვეყანაზე, განა იგი არ გვამცნობს ღვთაებრივ წინასწარმეტყველებას, ტრიპოდზე მჯდომი? ჭეშმარიტად ეს ღვთაება მომავლის განმჭვრეტია; იგი უცხადებს მომავალს მისთვის სასურველ ხალხს".

ამ უდიდეს ადამიანებზე ზეგავლენა მოახდინა დელფომ, მათი აზრის მოსმენა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მშრალი არქეოლოგიური ფაქტების დახვავება. პოეტები უჭეშმარიტესი გზის მაჩვენებლებია, მათი ხმები 25 საუკუნის წინანდელი ეპოქიდან სწვდება

ჩვენს სმენას. ისინი გვესაუბრებიან არა სვეტებსა და ლავგარდანებზე, არამედ რელიგიის საწყისებზე.

ქრისტემდე დაახლოებით რვა საუკუნით ადრე, ჰესიოდე მოგვითხრობს, თუ ვით მოვიდა დელფოში აპოლონი, ხოლო თავად ეს ლეგენდა, როგორც ჩანს, ათასეული წლებით უფრო ძველია, ვიდრე თვით ჰესიოდე: „შენ სწრაფი სვლით გადმოლახე ქედი და მოხვედი ქრიზეში, თოვლიანი პარნასის მისადგომებთან; მთა დასავლეთისკენ არის მიქცეული; კლდე გადმოწოლილია და მჩქეფარე მდინარე ჩაუდის მას. აქ გადაწყვიტა ფებუს ბეუფემ აგება თავისი მშვენიერი ტაძრისა. მან თქვა: „აქ მსურს აღვაშენო დიდებული ტაძარი, რომელიც იქნება კაცთათვის სამისნო. აქ მოზიდავენ ისინი ნიადაგ სრულქმნილ ჰეკატომბებს, როგორც მდიდარი პელოპონესიდან, ასევე ევროპიდან და ზღვის კუნძულებიდან, რათა დამისვან შეკითხვები. მე რჩევას მივცემ მათ უცდომელს და პასუხს გავცემ ჩემს მდიდრულ ტაძარში“.

მაგრამ ღმერთმა დაინახა, რომ დელფო დაეპყრო ურჩხულს, უზარმაზარ გველს, ანუ დედალ გველ-მაპს, ჰესიოდე ამაზე მოგვითხრობს: „თავისი მძლავრი მშვილდით სტყორცნა ისარი მეუფემან, ძემან ზევსისამ, მოკლა დიდი დედალი ურჩხული, რომელმაც დიდი უბედურება მოსწია დედა-მიწას, რამეთუ სისხლიანი ბავთი იყო იგი. მრავალი ადამიანი უშსხვერპლია მას, ვიდრე უფალმა აპოლონმა, შორით მტყორცნელმა, არ განგმირა იგი ქიბურჯით. შემდეგ იგი დაიკლაკნა მწარე ტკივილით და ამოუშვა ოხშივარი. შემზარავი ხმა აღმოხდა მას, როდესაც იგი დაიკლაკნა ისრის გარშემო, მერმე ამოანთხია სისხლი და განუტევა სული, შემდეგ ჰელიოსის საღმრთო ბალამ გახრწნა და გაანადგურა იგი, ხოლო კაცნი ამის გამო უფალ აპოლოს უწოდებენ მეორე სახელს, პითიელს; ვინაიდან ამ ადგილას გახრწნა ურჩხული ჰელიოსის წმინდა ძალამ“...

„ცოცხალი, დრამატული პოეზია, პრიმიტიულ მითზე აღმოცენებული, მაგრამ, მითი და სხვა არაფერი“ — ასე ახსნიდნენ XIX საუკუნის რაციონალისტები ჰესიოდეს ლექსებს. მაგრამ XX საუკუნის არქეოლოგები, ისტორიკოსები და ანთროპოლოგები გვიჩვენებენ, რომ ლეგენდაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. ვიცით, მაგალითად, რომ დიდი ხნით ადრე, სანამ ბერძნები მოვიდოდნენ საბერძნეთში, ამ ქვეყანაში მკვიდრობდა მუქკანიანი ხმელთაშუა ზღვის მოდგმა, რომელიც თაყვანს სცემდა მიწის ღვთაებას, რომლის სიმბოლოც იყო გველი. ჩვენ უკვე შევხვდით მას მინოსურ კრეტაზე. მინოსის სასახლეში იყო ქვით ამოშენებული ორმოები, რომელნიც, როგორც ჩანს, დაკავში-

რებული იყო მიწის ღვთაებასთან. პრიმიტიული ხალხებისთვის გველი დაკავშირებული იყო და კვლავაც არის დაკავშირებული მიწასთან; ეჭვგარეშეა, რომ კრეტული ქანდაკებები, რომლებზედაც წყვილი გველია გამოსახული, მიწის ქალღმერთის ქანდაკებებია. დელფოშიც იყო მიწის ქალღმერთი; პავსანიასი, რომელიც დაახლოებით 17 საუკუნის წინათ ცხოვრობდა, მოგვითხრობს, რომ უადრეს ხანაში დელფოს სამისნო ეკუთვნოდა გ ე ს — დედამიწას, რომელმაც დანიშნა წინასწარმეტყველ ქალად დაფნისი, მთის ერთ-ერთი ნიმფა. ბერძნებს შორის გავრცელებულია ჰეგზამეტრით დაწერილი პოემა, სადაც პოეტი მოგვითხრობს, რომ სამისნო ეკუთვნოდა პოსეიდონს და დედამიწას. იგი ორივესთვის საერთო იყო. დედამიწა თავად წინასწარმეტყველებდა. ხოლო პოსეიდონი პირკონს იყენებედა თავისი პასუხების საუწყებლად. ლექსი ამგვარია:

> მიწის ქალღმერთმა ბრძნული სიტყვა წარსთქვა თავის ხმით,
> სახელგანთქმული მიწისმძვრელის პირკონმაც გვაცნო.
> (პოსეიდონი იყო ღმერთი ზღვისა და მიწისძვრებისა).

ამ მითებსა და ლეგენდებში ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ერთი უტყუარი ფაქტი. დელფო სეისმურ ზონაში მდებარეობს და იქ ხშირია მიწისძვრები. ბერძენთა წინაპრების მოსვლამდე ეს ადგილი უკვე წმინდა იყო. ლანდშაფტი დრამატულია. გრიგალები აწყდებიან პარნასის ფერდობებს. ელვის ლახტი სერავს მწვერვალებს, მზით განათებული ველები უეცრად იბინდება ღრუბლებით. ყველა ეს ელემენტი დამახასიათებელია პირველადი ღმერთების სამყოფელისთვის (გე — მიწის ქალღმერთისა და პოსეიდონის — ზღვის ღმერთისა, რომელსაც მიწისმძვრელადაც იცნობენ).

ამრიგად, უადრესმა ბერძნებმა აქ მოიყვანეს საკუთარი ღმერთები და ისევე, როგორც საბერძნეთის სხვა ადგილებში, ახალმოსული მებრძოლი მოდგმის რელიგიური რწმენა შეგზარდა ადგილობრივ მკვიდრთა რწმენას. დელფოში აპოლონმა ძალით დაიპყრო გეს სამისნო; გველის მოკვლა კი, როგორც ჩანს, მითური სახეა ქვეყნის აღებისა ჩრდილოელი დამპყრობლების მიერ.

ოქროსთმიანი აპოლო, ვერცხლისმშვილდოსანი ღმერთი, შორით მომსვრელი, თავდაპირველი ფორმით ისეთივე პრიმიტიული და ამორალური იყო, როგორც საბერძნეთის სხვა ღმერთები, მაგრამ დელფოში იგი გარდაიქმნა. ქრისტემდე VI საუკუნეში, როდესაც ესქილემ დაწერა „ევმენიდები", უკვე გარდაქმნილი იყო თავად მითი მის მიერ

გველის მოკვდინებისა, ვინაიდან დრამის დასაწყისში პითონესა (როგორც უწოდებდნენ აპოლონის წინასწარმეტყველებათა განმცხადებელ ქალებს ტაძარში), გვეუბნება, რომ ღმერთმა მიიღო დელფო, როგორც დაბადების დღის საჩუქარი, მიწისაგან შობილ ტიტანესასგან, ფოებესაგან. ამრიგად, შეერთდა ორი რელიგია. აპოლონი განმგებლობდა, მაგრამ მის წინასწარმეტყველებებს ამბობდა ქალი — პითონესა. და ვიდრე იგი დაჯდებოდა თავის წმინდა ტრიპოდზე, ჯერ შედიოდა გამოქვაბულში — აშკარაა, რომ ეს ჩვევა უკავშირდება ადრინდელი ქალღმერთის თაყვანისცემას. ესქილე თავის „ევმენიდებში" ამგვარ სიტყვებს ათქმევინებს დელფოელ წინასწარმეტყველ ქალს:

„ყოველთა ღმერთთა უწინარეს მე განვადიდებ
წინასწარმეტყველს უპირველესს, თვით დედამიწას,
მერმე თემიდას, ბრძენს, დედობრივ საყდარზე დამჯდარს,
რ-ივიო მეორეს, ვით იტყვიან. რომლისა ნებით
მესამე იყო ტიტანესა, მიწის ნაშობი
ფებე; რამეთუ იმის სახელს ატარებს თავად
დიდი ფებუსი, ჯილდოდ თვისის დაბადების დღის.
კუნძული თვისი დასტოვა მან, ზღვაც დელოსისა,
გადმოუარა ტალღით ნარეცხ ათენეს კონცხებს
რათა დაეპყრო ეს დიადი მთა პარნასისა,
დელფოს საეანე, უდაბნოში გვირგვინოსანი".

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აპოლონი იყო სიამაყე დელფოსი, აქ დიდ პატივში იყო მეორე ღვთაებაც — დიონისე. რომაელნი მას ბახუსს უწოდებდნენ, იგი მათთვის ღვინის ღმერთი იყო მხოლოდ, მაგრამ ბერძნებისათვის დიონისეს ჰქონდა უფრო ღრმა მნიშვნელობა. როგორც ჩანს, იგი აზიიდან მოვიდა საბერძნეთში აპოლოს მსგავსად, მაგრამ თუ აპოლო გახდა ღმერთი კანონისა და გონებისა, დიონისე წარმოგვიდგენს საპირისპირო პოლუსს ადამიანის სულისას; ემოციურს, ირაციონალურს, ზეშთაგონებულს. იგი იყო ღმერთი სიშმაგისა და შეპყრობისა. მისი ამქარნი იყვნენ უპირატესად ქალები და გოგონები. ბერძნების ვნებიანი ნატურა ხედავდა მასში განთავისუფლებას იმ აკრძალვებისაგან, რომლებიც მომდინარეობდა მათი ნათელი, რაციონალური ინტელექტისაგან. გონება არ იყო ყველაფერი. ვნება, ეროტიზმი, შვების შეგრძნებათათვის დათმობა თავისა, ყოველივე ის, რაც დღეს პურიტანთა აღშფოთებას იწვევს — აღიარებული იყო და თავისი ადგილი ჰქონდა ცხოვრებაში. ნაცვლად იმისა, რომ აეკრძალათ ეს აზიელი უცხოელი, ბერძნებმა ადგილი დაუთმეს თავისი უძველესი ღმერთების გვერდით. ზამთრის სამი თვის განმავლობაში.

როდესაც აპოლონი არ იმყოფებოდა დელფოში, დიონისე იკავებდა მის ადგილს.

ყოველ მეორე წელს ზამთრის თვეებში ახალგაზრდა ქალების, დიონისეს მეგობრების დასი იკრიბებოდა აქ. დელფოში და ათენში მათ უწოდებდნენ თიადებს, ხოლო საბერძნეთის სხვა კუთხეებში ერქვათ მენადები ანუ „გიჟები". ევრიპიდე თავის „ბაკხელებში" გვიჩვენებს ამ მისტერიას; აწ განსვენებული დ-რი სელტმანი წერდა: „დიონისეს ცენტრალურ ფიგურას ერთ დროს ერქვა ბრომიოსი, ანუ „გაშმაგებული", მისი მეორე სახელია ბასუსი. ყოველი ენერგიული ადამიანი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ქალი თუ კაცი, მისი მიმდევრების გროვაში ბაკხად იწოდებოდა აგრეთვე; ეს არის გულისხმული ამ მისტერიისა: როდესაც თქვენ ეძლევით ამ სიშმაგეს ღვთაებისას, თავად ღმერთია თქვენში, მას შიჰყავხ რთ ტყეებში და მთებში სახეტიალოდ. თქვენ ღმერთის მიერ შეპყროობილნი სჩადიხარი ისეთ საქმეებს, რასაც არც ერთი ნორმალური მოკვდავი არ ჩადენდა.

წარმოვიდგინოთ გვიანი შუადღე დელფოს თეატრში 25 საუკუნის წინ. აღგზნებული ხმების ღრიანცელი აღავსებს თეატრს, ქალებითა და ქალიშვილებით სავსეს, ესენი არიან თიადები, დიონისეს მიმდევრები, რომელთაგან ზოგიერთი მთელი დღეების მანძილზე მოგზაურობდა მთებში, რათა მოსულიყო ამ წმინდა ადგილას.

კოლონებიანი თეატრის თაღიდან ისმის სალამურის ხმა, გამოჩნდება ჭაბუკის ფიგურა, რომელსაც ცხენის ძუა აქვს შემოხვეული და უკრავს ორმაგ ფლეიტაზე. ეს არის მოწოდება ღვთაებისა და თაყვანისმცემლები ეგებებიან მას ყვირილით „ევოე, ევოე... მოდის! მოდის!"

ჩირაღდნების შუქი ანათებს ბნელს, ხალხი მიჰყვება კიბეებს და მისდევს ჭაბუკს, რომელიც კვლავ უკრავს სალამურზე და შეუდგება კლდის ბილიკს, რომელსაც „ავი საფეხური" ეწოდება, ბრომიოსს, ანუ „გაშმაგებულს", მთებში მიჰყავს თავისი მიმდევრები...

მოგვიანებით ზეგანზე, პარნასის მთის ძირში ღმერთი აღანთებს თავის თაყვანისმცემლებს. „ბაკხებში" ევრიპიდემ ცოცხლად აღადგინა ეს სცენები. როდესაც დელფოში ღამდება, თითქოს მოგვესმისო წწვერვალებიდან ქარის ზუზუნი და ეგზალტირებული ყვირილი ღვინის ღმერთისა, რომელიც უხმობს თავის მიმდევრებს:

„მოვედით, წმინდა დასნო, შვებით სავსენო, ქალნო, რომელთაც მოგიხმეთ აღმოსავლეთიდან, თმოლუსის ფერდობებიდან, ლიდიის ბასტიონიდან, რათა იმგზავროთ ჩემთან ერთად! დაუკარით თქვენი მშობლიური ფრიგიული ჰანგები, დიდი დედის რეასა და ჩემს მიერ გამო-

გონილი დაირები. დაუკარით ისეთი ხმით, რომ თებემაც გაიგონოს და მზერა მოგაპყროთ!“

ხოლო მენადების ქორო პასუხობს:

„ო, რა შვებაა მთების გულში!
მოზეიმენი, ირმის ტყავში გამოწყობილნი,
მიწად გართხმულან.
მხლებელნი კი ფეხმარდნი მათნი
დარბიან ირგვლივ,
სისხლმოწყურებულთ უმი ხორცი მონატრებიათ,
მოკლავენ თრას და უმ ხორცს მისას ხარბად ძიძგნიან,
მიისწრაფიან ფრიგიისა და ლიდიის მწვერვალებისკენ.
შეპყრობილნი, ბედნიერნი, გააფთრებულნი
ეწაფებიან რძეს და ღვინოს, ფუტკრების ნექტარს,
კივილი მათი შორს გაისმის
და სირიული ნელსაცხებლის სუნი დგას ტყეში,
მოზეიმენი ჩირაღდნებით ხელში დარბიან,
კამის ბუჩქები ხელთ უპყრიათ ცეცხლმოდებულნი,
შეუქახებენ თავის ჯგუფებს, ღრანტეებში მოხეტიალეთ,
ფერხულს უელიან გაშმაგებით, ნატიფ კულულებს
უწეწავს მათ ძლიერი ქარი.
ისმის სიმღერა და კივილი:
„აბა ვიცეკეოთ გაშმაგებით, შეპყრობილებო,
ოქროს თბოლუსის მშვენებანო, მადლნო და ძალნო,
და შემოვძახოთ გაშმაგებულ დოლის ქუხილში
ჰიმნი შვებისა!
შვების უფლის, დიონისოს დიადი ქება!
ფრიგიულად შემოსძახეთ ნაცნობი პანგი
მხიარული ფლეიტის ხმაზე
და ფერხულის ტაქტს ააყოლეთ.
მთებისაკენ, აბა, მთებისკენ“!

თუ ყოველივე ამას შეხედავთ რომელიმე არქეოლოგის ცივი მზერით და ჩაილაპარაკებთ: „ნაყოფიერების რიტუალი“, თქვენ დაკარგავთ ბევრ რამეს, შესაძლოა მთელ დელფოს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ლექსის ანალიზისას მრავალი მნიშვნელოვანი დეტალი ხდება საცნაური. მაგალითად, მოკლული თხის უმი ხორცის ჭამა, ხომ არ არის გახსენება პალეოლითის პერიოდის ადამიანისა, ვიდრე იგი გამოიგონებდა ცეცხლსა და ისწავლიდა ხორცის შეწვას? რაც თავდაპირველად აუცილებლობა იყო, შემორჩა, როგორც რიტუალი.

ჩემთვის ეს ლექსი არის დიდებული ჰიმნი, ქმნადობის პრიმი-

ტიული, უშუალო ცხოველური ხალისისა და შვებისა, ფროიდი უწოდებდა ამას „იდს“, შოუ — „სასიცოცხლო ძალას“, პირველად ძახილს ინსტიქტისას, რაც გვაერთებს ყველა ცოცხალ არსებასთან. მართალია, ინტელექტუალური ელემენტები დომინირებს დელფოში აპოლოს სახით, მაგრამ ბერძენთა სიბრძნემ ნება დართო „ბახუსსა“ და მის კომპანიას ამგვარი ცელქობისა წელიწადში სამი თვის მანძილზე, რამეთუ ორივე ელემენტი ძირეულია ადამიანის არსებობისათვის. ხოლო დელფო, სწორად გაგებული, ადამიანურ ცხოვრებას მოიცავს თავის მთლიანობაში.

15. დელფოს მისტერია

დღევანდელი დელფო სხვა არაფერია, გარდა ჟანგისფერი კლდეებისა, ზეთისხილის ტყისა, ყვავილების სუნით გაჟღენთილი ბალახისა და ერთ დროს დიდებული მარმარილოს შენობების ნარჩენებისა. მსგავსი ქვის გროვები ინგლისის ნესტიან ველებზე, ინგლისური რუხი ცის ქვეშ, ვერ გააღვიძებდა ვერავითარ ფანტაზიას. აქ კი, საბერძნეთის სუფთა ჰაერზე, გავარვარებული, ლურჯი ცისქვეშ, ისინი ბრწყინავენ მშვენებით და მაგიური მომხიბვლელობით.

ამ ნანგრევების აღმოჩენას უნდა ვუმადლოდეთ ფრანგი არქეოლოგების ჯგუფს, რომელნიც აქ აწარმოებდნენ გათხრებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ძველი ტაძრის აღმოსაჩენად მათ მთელი სოფელი გადაასახლეს, ასე რომ, დღეს შეგვიძლია დავტკბეთ აპოლოს ტაძრის კოლონებით, ავიაროთ თეატრონის საფეხურები ან დავუყვეთ საღვთო გზას, სადაც წინ არ გადაგვეღობება თანამედროვე შენობები. მართალია, თანამედროვე ადამიანებიც შემოგვხვდებიან გზადაგზა: ტურისტთა ჯგუფებს „ლეიკები“ აქვთ მომარჯვებული ავტობუსების სარკმლიდან, სხვანი თეატრონის საფეხურებზე ჩაცუცქულან, ხოლო ბერძენი გიდები ეჯაჯღანებიან მათ უცნაური ბერძულ-ამერიკული აქცენტით. მართალია, ეს სნობისტურად ისმის, მაგრამ ფაქტია, რომ ის ხალხი, რომელიც იკრიბებოდა დელფოში 25 საუკუნის წინ, თავისთავს ჟუცხადებს მხოლოდ განმარტოებულ ინდივიდუალობებს. მრავალი წლის წინ ბ-ნმა ე. მ. ფოსტერმა ასეთი რჩევა მისცა ამ სტრიქონების ავტორს: „თუ გსურთ დათვალიერება ანტიკური ძეგლისა, მოინახულეთ იგი მაშინ,

როდესაც სხვა მნახველნი არ იქნებიან. მართალია, ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ სცადეთ მაინც". ეს სრული სიმართლეა.

საბედნიეროდ, ეს შესაძლებელი აღმოჩნდა ჩემთვის — დილაადრიან, როდესაც გავიპარე სასტუმროდან და მარტოდმარტო აღმოვჩნდი ტაძრის პირისპირ. გიდებსაც თავი დავაღწიე ამ გზით.

უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე, სერ ფლინდერს პეტრის დროიდან, არქეოლოგებს შორის დამკვიდრდა მოდა „კლასიკური ანტიკვარების" დაცინვისა. ეს იყო გარდუვალი რეაქცია კლასიკურად განსწავლულ გონებაზე, რომელიც არავითარ ინტერესს არ იჩენს იმ ანტიკური ძეგლებისადმი, რომელნიც ბერძნულ-რომაულ პერიოდს არ ემთხვევიან და არც არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს მათ. ამანვე გამოიწვია, ჩემის გაგებით, აბსურდული მიდგომა, რაც გამოვლინდა ერთ-ერთი ცნობილი ეგვიპტოლოგის მეუღლის სიტყვებში, რომელმაც ბერძნულ-რომაულ სიძველეებს უწოდა „საშინლად გვიანდელი ნივთები". ამავე დროს არად აგდებენ ლიტერატურული წყაროების მნიშვნელობას არქეოლოგიურ კვლევაში. საგანი თავისთავად არაფერს გვეუბნება; ხოლო ისეთი პიონერების მაგალითზე, როგორნიც იყვნენ პეტრი (დინასტიამდელი ეგვიპტის მკვლევარი) და ევანსი (კრეტის მკვლევარი), ვგონებ დამტკიცდა, თუ რამდენად შესაძლებელია ძველი ცივილიზაციების შესწავლა წერილობითი წყაროების გარეშე.

ფრანგ არქეოლოგებს, რომელთაც გათხარეს დელფო, ასეთი ცრურწმენები არ უშლიდა ხელს. მართალია, ისინიც ეძებდნენ საგნებს, ქანდაკებებს, შენობებს, გზებს და ა. შ., მაგრამ როდესაც წააწყდებოდნენ სიძნელეებს ძველი და ახალი ნანგრევების გათხრებისას, წერაქვების, ნიჩბებისა და ბარების გარდა მომარჯვებული ჰქონდათ პავსანიასის, სტრაბონის, დიოდორე სიცილიელისა და სხვა ანტიკური ხანის ავტორების წიგნები. ასე რომ, ისინი, ევანსის მსგავსად, „ტერა ინკოგნიტას" როდი იკვლევდნენ. არქეოლოგთა წინაშე როდი იდგა კითხვა: „რა უნდა აღმოვაჩინოთ ჩვენ?" არამედ კითხვა „სად უნდა აღმოვაჩინოთ შენობები, რომელთაც ესოდენ დეტალურად აღგვიწერენ ბერძენი და რომაელი ავტორები?"

თანდათანობით ისინი დარწმუნდნენ, რომ ყოველივე ეს თითქმის შეესაბამებოდა ანტიკურ ავტორთა აღწერებს. მათ აღმოაჩინეს კედელი, რომელიც გარს ერტყა ტაძარს, აღმოაჩინეს საღვთო გზა, აპოლოს ტაძრისაკენ მიმავალი, და მის ორივე მხარეს კვარცხლბეკები, რომლებზედაც ერთ დროს იდგა ფიდიასის, პრაქსიტელესისა

და ელინური სამყაროს სხვა დიდ ხელოვანთა ქანდაკებები. თითქმის ყველა ქანდაკება განადგურებული აღმოჩნდა, ან რომაული და ბიზანტიელი მძარცველების მიერ წაღებული. მათ აღმოაჩინეს პალესტრას და გიმნაზიუმის ნარჩენები, სადაც ემზადებოდნენ საღვთო შეჯიბრთათვის, აგრეთვე სარბენი ბილიკები, სადაც ისინი ეჯიბრებოდნენ ურთიერთს დაფნის გვირგვინის მოსაპოვებლად.

სამაგიეროდ მათ ვერ აღმოაჩინეს გულისგული მისტერიისა, გამოქვაბული, სადაც ჩადიოდა დელფოს ქურუმი ქალი წინასწარმეტყველების დაწყებამდე. ეს გასაკვირია, ვინაიდან ეს გამოქვაბულიც მრავალგზის აღუწერიათ ძალზე დეტალურად ბერძნულ-რომაულ ეპოქაში. დიოდორე სიცილიელი, მაგალითად, წერდა ერთი საუკუნით ადრე ქრისტემდე:

„ამბობენ, რომ ძველ დროში თხებმა აღმოაჩინეს სამისნო საკურთხეველი, რის გამოც დელფოელნი დღემდე იყენებენ თხებს, როდესაც მათ სურთ დაეკითხონ სამისნოს. იგი შემდეგნაირად აღმოჩნდა: ამ ადგილებში არის ნაპრალი, სადაც დღეს მდებარეობს აკრძალული საკურთხეველი. უწინ თხები ძოვდნენ ხოლმე აქ (როდესაც დელფო ჯერაც უკაცრიელი იყო). როდესაც რომელიმე თხა მიუახლოვდებოდა ნაპრალს, და ჩაიხედავდა მასში, კვლავ უკანვე გადმოხტებოდა უცნაურად და გაიღებდა უჩვეულო ხმას“.

შემდეგ დიოდორე მოგვითხრობს, რომ მწყემსებსაც იგივე ემართებოდათ ნაპრალში ჩახედვისას, მათ შეიპყრობდათ რაღაც ძალა და ისინი წინასწარმეტყველებდნენ.

„მოგვიანებით, ვინც კი ჩახტა ნაპრალში, ყველა გაუჩინარდა, ამიტომ ადგილობრივმა მკვიდრებმა დააყენეს აქ ყველას მაგიერ ერთი ქალი, რათა მისი მეშვეობით განცხადებულიყო წინასწარმეტყველებანი. მას შეუქმნეს დანადგარი, რომელზედაც იგი უნდა დამჯდარიყო ზეშთაგონების მიღებისა და წინასწარმეტყველებისას. ყველა მსურველს შეეძლო შეკითხვები დაესვა მისთვის. ამ დანადგარს სამი საყრდენი ჰქონდა და ამიტომ მას ტრიპოდი ერქვა“.

სტრაბონი წერს:

„ამბობენ, რომ სამისნო გამოქვაბულშია, რომელიც ღრმად არის მიწაში და ვიწრო შესასვლელი აქვს. მისგან ამოდის ოხშივარი, რომელიც იწვევს საღვთო აღგზნებას; იქვე დგას მაღალი ტრიპოდი, რომელზედაც ზის პითიელი წინასწარმეტყველი ქალი, ისუნთქავს ოშხივარს და შემდეგ წინასწარმეტყველებს. ლექსად და პრო-

ზად, ზოგჯერ კი მის ნათქვამის გალექსავენ ხოლმე პოეტები, ტაძარში მომსახურენი".

თავდაპირველად, ისტორიკოსის თქმით, „წინასწარმეტყველად იჯდა ახალგაზრდა ქალწული, ვიდრე ვინმე თესალიელმა წარჩინებულმა, სახელად ეხეკრატემ, არ მოიტაცა იგი, რამეთუ შეუყვარდა". ამ სავალალო ინციდენტის შემდეგ დელფოელებმა წინასწარმეტყველად დააყენეს 50 წლის ქალი, მაგრამ დღემდე ვერავინ იპოვნა ის „ნაპრალი", საიდანაც ამოდიოდა „მყრალი ოხშივარი". აპოლოს ტაძრის ქვეშ არის რამდენიმე მიწისქვეშა სენაკი, რომელთაც ეწოდებოდათ ადიტონები, ე. ი. ადგილები, სადაც პითონესა ჩადიოდა, ვიდრე დაჯდებოდა ტაძარში მდგარ ტრიპოდზე. ნაპრალი კი, როგორც ჩანს, მიწისძვრამ შთანოქა. ასეა თუ ისე, ბერძენი მწერლები, რომელთაც უნახავთ დელფო თავისი დიდების ზენიტში, დიოდორეზე ხუთი-ექვსი საუკუნით ადრე, არ ახსენებენ არავითარ ნაპრალს და არც არავითარ ოხშივარს, მისგან ამომავალს. შესაძლოა ეს ვერსია პრაქტიკოს რომაელთა მიერ იყო შეთხზული, რათა რაციონალურად აეხსნათ დელფოს საიდუმლო. რომაელები ამგვარ მისნობას არ მიმართავდნენ, ისინი ნიშნებით წინასწარმეტყველებას მისდევდნენ.

მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით. დელფოში შევხვდი ერთ ბერძენ არქეოლოგს, რომელმაც მითხრა, რომ ეს ადგილი სეისმურ ზონაში იმყოფებოდა და აქ ხშირია მიწისძვრები. იგი მარწმუნებდა ავგრეთვე, არ ვიცი რა წყაროზე დაყრდნობით, რომ მახლობელ მთებშიც არის ნაპრალები, საიდანაც დროდადრო ამოდის ბუნებრივი გაზები. საინტერესო იქნება, ერთ მშვენიერ დღეს, სკეპტიკოსები რომ გამტყუნდნენ და დიოდორე და სტრაბონი გამართლდნენ.

როდესაც დელფოს სამისნო თავისი დიდების ზენიტზე იდგა, როგორც მეფეები და სახელმწიფო კაცნი, პოეტები და ფილოსოფოსნი, ასევე ათასობით უბრალო ადამიანი მოდიოდა აქ, როგორც ბერძნული სამყაროს ყველა კუთხიდან, ასევე აზიიდან. კონსულტაციის მეთოდი, რამდენადაც დადგენილია, იყო შემდეგი: ვიდრე პილიგრიმები დაეკითხებოდნენ მისანს, ისინი ჯერ უნდა განბანილიყვნენ კასტალიის წყაროში, შემდეგ შეეწირათ კვერი და მსხვერპლი საკურთხეველზე, ტაძრის წინ, ღარიბებს მოჰყავდათ ცხვარი ან თხა, მდიდრებს კი ხარები.

მთხოვნელი, რომელსაც მომზადებული ჰქონდა შეკითხვები, გა-

დასცემდა მათ დელფოელ ქურუმებს. ეს შეკითხვები ყოველთვის როდი ეხებოდა მომავლის განჭვრეტას. უმრავლესობა ითხოვდა დამოძღვრას. მაგალითად, ბერძნული ქალაქი მოსახლეობით გადაიტვირთა და ეძებს ახალ კოლონიას ; მაგრამ სად? მოდით, დავეკითხოთ აპოლონს. ერთი ბერძნული სახელმწიფო ეომება მეორეს, ან შემოეწყო სხვა ქალაქს. შეიძლება ამ ქალაქის აღება თუ მოიხსნას ალყა? სახელმწიფო კაცს სჭირდება რჩევა პოლიტიკაში, ახალგაზრდა კაცს — კარიერის არჩევაში. ისინი სათითაოდ შედიან სვეტებიან ტაძარში. და წარსდგებიან ადიტონში, პატარა სენაკში, პითონესას წინაშე, რომელიც დამჯდარა თავის ტრიპოდზე. არომატულ ბალახებს აკმევენ მის გარშემო. იქვე დგანან ქურუმნი და უცდიან მის პასუხებს და მომსვლელთა შეკითხვებს. იგი მუდამ უბრალო ქალია, გაუნათლებელი, როდესაც იგი ღვთაებრივ ექსტაზშია, მისი პასუხები გაუგებარია მთხოვნელთათვის. ქურუმთა ფუნქციაა მათი გადმოთარგმნა ლექსად, მაგრამ ზოგჯერ ეს ლექსებიც ძნელი გასაგებია. ხშირად ისინი ბუნდოვანია და ორაზროვანი, ამიტომაც აპოლონის ერთ-ერთი სახელია „ლოქსიას“ — ორაზროვანი.

ასე პასუხობდნენ, ძირითადად, პოლიტიკურ კითხვებზე. ხოლო როდესაც საქმე ეხებოდა ყოველდღიურ ცხოვრების ამბებს, ღმერთი პასუხობდა გარკვევით. მაგალითად, ვინმე დიოგენეს ჰყავს ძე, რომელსაც შეუყვარდა ისეთი ასული, მამა რომ შეუფერებლად სთვლის მისთვის. მამამ სიმკაცრე გამოიჩინა, აუკრძალა ვაჟს ქორწინება და იგი ლოგინად ჩავარდა. დიოგენე დაეკითხა აპოლონს, ხოლო პითონესამ მიუგო მას:

„შენი ვაჟი დაივიწყებს სიყვარულს და აფროდიტეს ნატიფი ისარი გამოუნელდება, აღარ დაუწყლულებს გულს, იმ შემთხვევაში, თუ შენ დაიცხრობ შენს რისხვას და აღარ შეუშლი მას ხელს. შენ შენივე განზრახვის საწინააღმდეგოდ მოქმედებ. თუ მოუოხებ, შენს ვაჟს დაავიწყდება სიყვარულის ციებ-ცხელება, იგი კვლავ ფხიზელ გონებას დაუბრუნდება და მოსწყდება მდაბალ იმპულსს“.

ზოგჯერ მომსვლელი თავხედურ შეკითხვასაც აძლევდა მისანს და ღებულობდა გამანადგურებელ პასუხს. აქაიის პატარა ქალაქის, ეგიუმის მკვიდრნი, რომელთაც ხელში ჩაიგდეს საზღვაო ბრძოლაში დიდი ხომალდი, სახელად პენტეკონტერი, იმდენად გათამამდნენ, რომ ეწვივნენ აპოლოს და დაუსვეს კითხვა, თუ ვინ სჯობდა მათ ბეელს საბერძნეთში. პითონესამ მიუგო:

„ნიადაგით პელაზგური არგოსია სახელგანთქმული, ცხენებით თრაკია, ქალებით სპარტა, მამაკაცებით კი მშვენიერი არეთუზა. ამათზე კიდევ უფრო მეტად სახელგანთქმულნი არიან თირინსა და არკადიას შორის მკვიდრნი, ფარებითა და ჯოგებით მდიდარნი, აგრეთვე არგივნი, ბრწყინვალე აბჯაროსანნი, თქვენ კი, ეგეელნო, არც მეოთხენი ხართ, არც მეთორმეტენი, საერთოდ სათვალავში არ ხართ“.

ამგვარ პასუხებს, ცხადია, არ სჭირდებოდა წინასწარხედვა და ზესთაბუნებითი შემწეობა. პასუხების უმრავლესობა ამგვარი ხასიათისაა. მაგრამ არის ისეთი მისნობანიც, რომელნიც მიხედვით უნდა დაასკვნათ, რომ ან პითონესას ჰქონდა პარანორმალური ძალები, ან დელფოელი ქურუმებისათვის ხელმისაწვდომი იყო საიდუმლო ინფორმაციის წყარო, რომელიც უცნობი იყო შეკითხვების დამსმელთათვის. ამ მხრივ ყველაზე მეტად განთქმულია და ამოუცნობი პითონესას პასუხი ლიდიის მეფის კროესუსის შეკითხვაზე. ჰეროდოტე, რომელიც ქრისტემდე მეხუთე საუკუნეში ცხოვრობდა, მოგვითხრობს ამბავს, რომელიც მას გაუგია თავის დროის ადამიანებისაგან გადმოცემის სახით. აი რას მოგვითხრობს ისტორიკოსი:

„კროესუსმა გადაწყვიტა გამოეცადა რამდენიმე სამისნო საბერძნეთში, ერთიც ლიბიაში. მან დააგზავნა დესპანები სხვადასხვა მიმართულებით, ზოგნი დელფოში, სხვანი აბესა და ფოკიაში, დოდონასა და სხვა ადგილებში. მათ ჰქონდათ შემდეგი დავალება: უნდა გადაეთვალათ დღეები მათ მიერ სარდისიდან გამგზავრების შემდეგ და შეასე დღეს შეკითხვა დაესვათ სამისნოსათვის, თუ რას აკეთებდა იმ წუთში კროესუსი, ლიბიის მეფე, ძე ალიატისა. წერილობითი პასუხი უნდა წამოეღოთ და მოეტანათ მისთვის. არც ერთი პასუხი არ იყო საგულისხმო, გარდა დელფოს სამისნოს პასუხისა. ლიდიელები როგორც კი შევიდნენ ტაძარში, მათ მიერ შეკითხვის დასმამდე მიუგო მათ პითონესამ;

„მე ძალმიძს დათვლა ქვიშისა,
ძალმიძს ამორწყვა ზღვისა,
ყურნი მასხია უტყვთათვის,
და ვუწყი, რა სურს მუნჯს.
სუნი მცემს, ვხედავ, ხარშავენ
კუსა და ბატკანს წყალში,
და ბრინჯაოს ქვაბს ახურავს
ბრინჯაოსავე ხუფი.

როდესაც დესპანნი დაბრუნდნენ კროესუსთან, აღმოჩნდა რომ მხოლოდ ერთ მისანს შესძლებია სწორად განჭვრეტა იმისა, თუ რას აკეთებდა მეფე იმ წუთში და ეს იყო დელფოს მისანი — ჰეროდოტე წერს:

„როდესაც დესპანნი წავიდნენ, მეფე დაჯდა და დაიწყო ფიქრი თუ რა იქნებოდა ყველაზე მეტად შეუძლებელი და ყველასათვის წარმოუდგენელი. შემდეგ, როდესაც მოაწია დათქმულმა (მეასე) დღემ, მან... აიღო კუ და ბატკანი, დაკეპა თავისი ხელით და ორივენი მოხარშა ბრინჯაოს ქვაბში, რომელსაც ბრინჯაოსავე ხუფი დაახურა. რით აიხსნება ეს? ტელეპატიით? შესაძლოა, ალბათ ზოგიერთ ქალს იმჟამად ჰქონდა ის, რასაც დღეს „ექსტრასენსორულ პერცეპციას“ უწოდებენ. მაგრამ არსებობს საკმაოდ უცნაური გაგრძელება ამ კარგად ცნობილი ამბისა, რომელიც, შესაძლოა, ყველამ არ იცოდეს. 1954 წელს ბერძენი არქეოლოგი პაპადიმიტრიუ თხრიდა ძველ სამარხებს მიკენში, პელოპონესში. ამ სამარხების თარიღია დაახლოებით 1600 წელი ქრისტემდე, ათასწლეულებით ადრინდელი ხანა კროესუსამდე. ერთ-ერთ საფლავში მან იპოვნა ლითონის ჭურჭელი, რომელშიც აღმოჩნდა კუსა და ბატკნის ძვლები.

შესაძლოა დავუშვათ, რომ დელფოელმა ქურუმებმა, რომელთაც ანტიკურ სამყაროში საუკეთესო ინტელიჯენს სერვისი ჰყავდათ, იცოდნენ, რომ ლიდიაში შემორჩენილი იყო ზოგიერთი ძველებური მსხვერპლშეწირვა, მათ შორის კუსა და ბატკნის ერთად მოხარშვა.

ამრიგად, პითონესა დაეჭვებულს გვტოვებს. კიდევაც რომ დავუშვათ დამთხვევები, ორაზროვნება, მთხოვნელთათვის უცნობი ამბების შეტყობა, მაინც რჩება ისეთი პასუხები, რომელთა ასახსნელად აუცილებელია დაშვება პარანორმალური პერცეფციისა, ანუ „მეორე ხედვისა“. ანტიკური საბერძნეთის ზოგიერთი უდიდესი მოაზროვნე აღიარებდა სამისნოს ჭეშმარიტებას, და თუ ჩვენ პლატონსა და სოკრატეს ისეთ მიამიტ ადამიანებად ვთვლით, რომელთაც არ ძალედვათ ხრიკების ამოცნობა, მაშინ ეს თავის მოტყუება იქნებოდა ჩვენის მხრით.

პარადოქსი ის არის, რომ ასეთ დაეჭვებას ადგილი ჰქონდა საბერძნეთში. ეგვიპტელთა მისტერია, მაგალითად, არ იყო იმდენად ღრმა, ისინი უფრო რაციონალურნი იყვნენ; მათი მისტერია არსებობს მხოლოდ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის რომანისტების წარმოსახვაში, რომელთაც კარგად ვერ გაიგეს თებელ ქურუმთა რიტუალები. საბერძნეთი ნათელი გონების, მეცნიერების მშობელი ქვეყანა

იყო. ამიტომ მართლაც და საოცარი მისტერიაა, თუ ვით სწამდა საბერძნეთს „წარმართული ცრურწმენა“ და სჯეროდა მისი. ხოლო თუ ეს მართლაც მოტყუება იყო, მაშინ ეს იყო უდიდესი საიდუმლო ხრიკი, რომლის მსხვერპლიც კი ოდესმე გამხდარა კაცობრიობა. ასობით ქალაქ-სახელმწიფოები, სიცილიიდან მცირე აზიამდე, იტალიიდან ჩრდილო აფრიკამდე, აგზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლებს საძისნოსთან შესათათბირებლად, მსხვერპლის შესაწირად, საკრალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად: კრიკეში, ჭიდაობაში, ეტლების რბოლაში და ა. შ. აქ იყო აგრეთვე შეჯიბრი მუსიკოსთა შორის, ვინიდან აპოლონი მუსიკოსთა მფარველიც იყო, რაც გამოსახულია ერთ-ერთი შენობის (ათენელთა ფასისსაცავის) კედლებზე. ამაზე მიუთითებს ფრანგი არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ერთ-ერთი ორიგინალური დელფიური ჰიმნი აპოლონისა:

„ჰოი მუზებო, თეთრმკლავა ასულნო მეხთამტეხ ზევსის,
ვინაც დაიმკვიდრეთ წმინდა ჰელიკონის უღრანნი ტყენი,
შთააგონებდეთ სიმღერებს ფებუსს, ოქროსკულულიანს,
ოდეს მიისწრაფვის ქასტალიის წმინდა წყაროებისკენ,
დელფოს სამისნოს დიად მწვერვალისკენ,
დელფოელ ქალთა სახელოვან დასის თანხლებით“.

მეორე ჰიმნი კი ასე ითარგმნება:

„ლოტოსის სალამური უკრავს ცვალებად ჰანგებს, ოქროს ჩანგის თანხლებით მღერიან ჰიმნებს. ატიკელ ხელოვანთა დასი გალობს შენს სადიდებლად, დიდო ძეო ზევსისავ, ამ თოვლიან მთებზე! შენ გამოუცხადებ უტყუარ მომავალს მოკედავთ, მას შემდეგ რაც ჰფლობ საძისნოს ტრიპოდს, უწინ რომ იცავდა მძვინვარე გველი“.

როგორც ცნობილია, არ არსებობდა ბერძენი ერი, ერთი მპყრობელის მძართველობაში გაერთიანებული; ნაცვლად ამისა, არსებობდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ხშირად ურთიერთშორის მოშუღლენი; მათ აერთებდათ მხოლოდ ენა და კულტურა, მათ საბოლოო გაერთიანებას კი ხელს უშლიდა მგზნებარე სიყვარული თავისუფლებისადმი. და მაინც, ბერძნულ თემთა წარმომადგენლები ხშელთაშუა ზღვის აუზის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ დელფოში იარაღაყრილნი და უძმობილდებოდნენ ურთიერთს. ისინი აქ მხოლოდ ღვთისმოსაობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს: მონუმენტებისა და მემორიალების მშენებლობაში, საუკუნის საუკეთესო მოქანდაკეთა ნამუშევრების დადგმაში და ა. შ. კლდის ძირას, პატარა შემოღობილ ადგილას, აპოლოს ტაძრისკენ მიმავალი საღვთო გზის გასწვრივ,

თავმოყრილი იყო ბერძნული გენიის უდიდესი მიღწევები: მარმარილოსა და ბრინჯაოს ქანდაკებები, ფასისსაცავები წმინდა მსხვერპლისთვის, ფერწერა, რომელიც ასახავდა სცენებს „ილიადადან“ და „ოდისეადან“, ბერძნული მოდგმის ლეგენდარული ისტორიიდან. ერთ პერიოდში დელფოში თავმოყრილი იყო სამი ათასამდე ქანდაკება, თვით ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეშიც კი, როდესაც პავსანიამ მოინახულა დელფო, აქ უამრავი ქანდაკება და ფრესკა იყო შემორჩენილი.

დელფოსთან დაკავშირებული ყველაზე უფრო მეტად დრამატული აქმბავია საბერძნეთ-სპარსეთის ომი. ქსერქსე, სპარსელი დამპყრობელი მეფე, რომელსაც უზარმაზარი არმია ჰყავდა, დაემუქრა ევროპას. მრავალმა ბერძნულმა სახელმწიფომ გზა უტია მას, გაუგზავნა რა მიწისა და წყლის მსხვერპლი მორჩილების ნიშნად. მაგრამ ათენელნი, თავიანთი ლიდერის თემისტოკლეს მიერ წახალისებულნი, წინააღმდეგობას აპირებდნენ. თუმც ისინი ჯერ შეეთათბირნენ სამისნოს და დაუსვეს კითხვა პითონესას, რომლის პასუხმაც ცივი წყალი გადაასხა მათ:

„დაქცეულია ყოველივე და დაკარგული... ცეცხლი, არესი,
სირიულ ეტლზე აღმხედრებული სპობს ყოველივეს.
მხოლოდ შენ როდი განადგურებს — კოშკებს ამდაბლებს,
უკვდავ ღმერთების საკურთხევლებს მტვრად აქცევს იგი.
აწ ცახცახებენ ძენი ძრწოლით, ჰირის ოფლი სდით,
ო, შავი სისხლი ეონავს თითქოს მაღალ ჭერიდან,
ეგ უტყუარი ნიში არის უბედობისა,
განვედ ტაძრიდან! შეეგებე ბავთს[1] კარზე მომდგარს!“

ჰეროდოტე გვეუბნება, რომ ათენელები დიდად დამწუხრდნენ ასეთი პასუხის მიღებისას, მაგრამ მოგვიანებით ანდრობოლუსის ძის, ტიმონის რჩევით, ისინი კვლავ მიბრუნდნენ დელფოში ზეთისხილის რტოებით ხელში და შევიდნენ ტაძარში უკვე როგორც მთხოვნელნი. ამჯერად მისანმა უფრო დამაიმედებელი პასუხი გასცა მათ:

„ათენეს ლოცვას გადმოხედა წყალობით ზეესმან,
თქვენ და თქვენს ძეთა ხის კედლები კვლავ დაგიცავეენ,
ნუ ელოდებით ცხენთა ფლოქვებს, ნუღარც ქვეითებს,
ხმელეთით მოსულთ. შეაქციეთ მომხვდურებს ზურგი,
დადგება ჟამი, კვლავ შეხვდებით მტერს ბრძოლის ველზე,
წმინდავ სალამის, შენ ამოქლეტ დიაცის მოდგმას,
როს მამაკაცნი დათესავენ ან მოიმკიან“.

---

[1] ბ ა ვ თ ი — განსაცდელი.

ეს იყო უკიდურესად ორაზროვანი პასუხი ლოკსიასისა. რას ნიშნავდა „ხის კედლები?“ თუმც თემისტოკლე აღარ ეჭვობდა. მან შეკრიბა უხუცესნი და უთხრა:

„ეჭვი არ არის, ღმერთის პასუხი მტერს უფრო მეტად ემუქრება, ვიდრე ათენელთ. ჩემი თათბირია, ხომალდებით შევებათ მტერს. ხის კედლები ხომალდებია, რომელთაც უნდა ვენდოთ ღმერთების სიტყვისამებრ“.

თემისტოკლე გამართლდა. ათენელებმა გაბიზნეს ქალაქი, სალამისის კუნძულიდან უცქერდნენ ისინი, ვით დაწვეს სპარსელებმა მათი სახლები და ტაძრები. ბაგრამ როდესაც მათ მოიმწყვდიეს მტერი ვიწრო სრუტეში, სპარსელთა მძლავრი ფლოტი აბორდაჟზე აიყვანეს, ცეცხლს მისცეს და ჩაძირეს. ქსერქსეს არმიას ანაზდად ჩამოეცალა ააზღვაო მაშველი ძალა. კოლოსი, რომელიც მთელს ევროპას ემუქრებოდა, დამუხრუჭდა და მომდევნო წელს ნელ-ნელა უკუიქცა კვლავ აზიისკენ, დაკარგა რა გზაში ათასობით მხედარი სახადისგან და შიმშილისგან. ათენმა გადაარჩინა საბერძნეთი, განა მარტო საბერძნეთი, დასავლეთის მთელი ცივილიზაციაც.

იქნებ თემისტოკლემ მოქრთამა დელფოს ქურუმნი სასურველი პასუხის მისაღებად? ყოველ შემთხვევაში ჰეროდოტე აშსად მინიშნებითაც კი არ ახსენებს ქრთამს. ბერძენთა უმრავლესობას პოეტ პინდარესთან ერთად სწამდა, რომ:

„აპოლომ უწყის აღსასრული უზენაესი ყოველ საგანთა,
უწყის გზანი მუნ მიმავალნი,
აღრაცხილი აქვს გაზაფხულზე ფოთლების რიცხვი,
ქვიშა ზღვებში და ქარისაგან აქაფებულ მდინარეებში.
მან უწყის აწმყო, გარდასული და მომავალი“.

როდესაც ფილიპე მაკედონელმა დაიპყრო საბერძნეთი, დელფოს საძისნო ჯერაც ინარჩუნებდა ავტორიტეტს და რეპუტაციას. ალექსანდრე დიდმა ძღვენი გაუგზავნა მას. მართალია, საბერძნეთს მაკედონური დინასტია მართავდა, მაგრამ ელადის კულტურა და ცივილიზაცია განაგრძობდა არსებობას. შემდეგ მოვიდნენ რომაელები, თუმც არა იმდენად ცივილიზებულნი, როგორც მაკედონელნი.

ორატორი ციცერონი სიჭაბუკეში ეწვია დელფოს და ჰკითხა პითონესას:

„ვით შოვიხვეჭო კიდევ უფრო მეტი სახელი?“ რაზედაც მიიღო ძალზე ბრძნული პასუხი: „შენივე ბუნება გყავდეს მეგზურად ცხოვრებაში და არა უმრავლესობის აზრი“.

მაგრამ აპოლონი თანდათან კარგავდა ძალებს. რომაელები, უხეში, პრაქტიკული, არაესთეტური რომაელები მოწიწებით როდი მიდიოდნენ დელფოში, არამედ ცნობისმოყვარეობით. ნერონმა ხუთასზე მეტი საუკეთესო ქანდაკება გაზიდა თავის სატახტო ქალაქში. სატირიკოსი ლუციანე დასცინოდა სამისნოს. მეოთხე საუკუნეში იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა იმპერიის ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. ძველი ღმერთების გამგებლობა წარსულს ჩაბარდა. მათი ტაძრები დაცარიელდა, მათი ქანდაკებები დაემხო, მათ საკურთხეველებზე მსხვერპლს აღარავინ სწირავდა. შემდეგ ახ. წ. მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში, იმპერატორმა იულიანე განდგომილმა, წარმართობის უკანასკნელმა ქომაგმა, თავის წინამორბედთა მიბაძვით, დელფოში დესპანი გაგზავნა. მან გაიარა ძველი საღვთო გზა, მიტოვებული, ნახევრად მივიწყებული ქანდაკებები ღმერთებისა და გმირებისა, და წარსდგა აპოლოს საკურთხევლის წინაშე, იქ, სადაც ათასწლეულის მანძილზე მსოფლიოს უდიდესი მპრძანებელნი მოდიოდნენ და მოწიწებით სწირავდენ მსხვერპლს. მაგრამ პითონესას პასუხი უხუგეშო იყო:

„ამცნე ხელმწიფეს, დაეცა-თქო ტურფა დარბაზი,
ფებუსს აღარ აქვს სამყოფლო და წინაოქმის დაფნა,
დაშრა მეტყველი შადრევანი,
დაიშრიტა წყარო ზრახვისა“.

ფრანგ არქეოლოგთა ჯგუფმა საუკუნოვან ნანგრევებს შორის აღმოაჩინა რამდენიმე ნაშთი დელფოს წარსული დიდებისა.: ათენელთა ფასისსაცავი, რომლის კედლებზეც წარწერილია აპოლონის ჰიმნი; ლეშეს, ანუ კნიდოსელთა კლუბის შენობის ნარჩენები, რომელთაც ახსენებს პავსანიასი; დიდებული კოლონებიანი ანსამბლი მოცეკვავე ქალებისა, სიცილიელ დიდებულთა აღთქმული და შემოწირული, ბერძნული სამყაროს უკიდურეს დასავლეთ კუთხიდან. უმშვენიერესი ბრინჯაოს ქანდაკება ე ტ ლ ზ ე ამხედრებული ჭაბუკისა („მ ე ჯ ა გ ვ ე“), სირაკუზელთა ძღვენი — ბერძნული ხელოვნების დღემდე შემორჩენილი უნატიფესი ნიმუში. ეს არის მშვიდი, წელში გამართული ჭაბუკი, რომელიც სერიოზული, გაუღიმარი სახით დგას ეტლზე სადავით ხელში და ელოდება რბოლის სასტარტო ს ი გ ნ ა ლ ს დ ო ლ ზ ე. დელფოში ალბათ სხვა უკეთესი ქანდაკებებიც იდგა, მაგრამ დღეს, როდესაც მნახველნი შედიან იმ დარბაზში, სადაც ეს ქანდაკება დგას, თვით არასენსიტიურნიც კი უეცრად ჩუმდებიან. „მ ე ჯ ა გ ვ ე“

ფაქტიურად ერთადერთი ქანდაკებაა დღემდე შემორჩენილი იმ სამი ათასი ძეგლიდან, რომელნიც ერთ დროს ამშვენებდნენ საღვთო გზას პარნასის მისადგომებთან, სადაც ბ-ნ ე. მ. ფოსტერის თქმით, „არწივნი ირაოს ჰკრავენ და ბრინჯაოს მეჯაგვე მიჰქრის უსასრულობაში“.

თეატრონის უკან ძველი გზაა, „ავ. საფეხურად“ წოდებული, რომელიც კვლავ ციცაბო კლდეებისკენ მიემართება. თეატრონი დღეს ცარიელია, თიადებიც აღარ ცეკვავენ ქარაფებზე. იქ მხოლოდ ღრუბლების ჩრდილები ცეკვავენ და ცხვრის ფარის ეკვანთა ყღარუნი გაისმის. სოფელ კასტრიდან კი ერთადერთი ზარის ხმა მოისმის, რომელიც უხმობს იმ ღმერთის მლოცველებს, რომელმაც დაამხო ქანდაკებები.

თუმც აპოლონი და დიონისე მთლიანად როდი არიან განდევნილნი. ახედეთ ციცაბო კლდეებს, რომელთაც არწივნი დასტრიალებენ და გაიგონებთ ექოს ღვინის ღმერთის სალამურისას, ბრომიოს შმაგისას. ვახედეთ ქრიზეს წყნარ მინდორს, მზით განათებულს: მოწესრიგებულ დისციპლინირებულ აზრს, მთის ჰაერივით წმინდას — ეს აპოლონის ტაძარია. შემდეგ გაიხსენეთ ძველ მწერალთა მიერ ხსენებული დიდებული წარწერები ტაძრის კარიბჭეზე, რომლებშიც ბერძნებმა გამოხატეს ბრძოლა ადამიანის სულის რაციონალურსა და ემოციურ საწყისებს შორის:

„შეიცან თავი შენი!
ნურასოდეს გადააჭარბებ.
შუათანა გზაა საუკეთესო“.

შინაარსი

შესავალი		5
1. შემორჩენილი საოცრება		10
2. ალექსანდრიიდან ბაბილონამდე		26
3. ქანდაკება და აკლდამა		37
4. „დიდ არს არტემი ეფესელთაი!"		50
5. მეხთამტეხის საკურთხეველი	.	64
6. მინოსის სასახლე	,	75
7. „მიწისმძვრელს სათნო უჩნს კურონი!"		80
8. მკვდართა ქალაქი	,	92
9. მარადისობის სახლი	,	97
10. მეფეთა ველი	.	102
11. ტადმორი უდაბნოში	,	110
12. კლდის გუმბათი	,	122
13. რაინდობის სიმაგრე	,	129
14. დელფოს სამისნო	,	138
15. დელფოს მისტერია	,	145

კოლეგიის რედაქტორი გ. ჭუმბურიძე
რედაქტორი დ. ჯიბლაძე
მხატვრული რედაქტორი თ. კარბელაშვილი
მხატვარი ნ. ჭკუასელი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ამირანაშვილი
კორექტორი ლ. შვანგირაძე

ЛБ № 3533

გადაეცა ასაწყობად 7.08.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.09.87; ქაღალდის ზომა 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ვენა, ბეჭდვა მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 10. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,3. პირ. საღებავგამტარება 9,77. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,07. ტირაჟი 100 000 შეკვ. № 7111

ფასი 06 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50
1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33,
Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.